



# ჩვენს მხედრობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

7 მარტი 2014

№ 5 (213)

ემზარ კვიციანიშვილის ბალადა შუქზე  
 ხმაურიანი „მაკბეტის“ სისასტიკე  
 ინტერვიუ მალხაზ ხარბედიასთან  
 ვაჟა ოთარაშვილის სევდის წვიმა  
 იოსებ ქუმბურიძის ჩანაწერები  
 ნანა კუცია დავით წერეთლიანზე  
 ახალქალაქის ძველი სიმღერა  
 ინგა მილორავას ზღაპარი  
 საუბარი ირმა რატიანთან  
 მო იენის თეთრი ძაღლი  
 ბექა ახალაიას ლირიკა  
 ბედი ერთი ბარათისა



# შინაარსი

|                          |    |  |
|--------------------------|----|--|
| რადამტორის გვერდი        | 2  | ვილცას რაღაც ქრისტიანულად (ბედი ერთი ბარათისა)   |
| იმაღალი და პარსაჰეზივიზი | 4  | კულტურული დიალოგის უმთავრესი გარკები<br>(მირანდა ტყეშელაშვილს ესაუბრება ირმა რატიანი)                              |
| ამსპრას-ინტერვიუ         | 7  | მალხაზ ხარბედა „შემოვლას ყოველთვის ქარცაცხლში<br>გავლა მირჩევნია“ (მომზადდა ინა არჩუაშვილმა)                       |
| კულტურის სიღარი          | 8  | ამბროსი გრიშოკაშვილი „პრო გეორგია“-ზე და არა მხოლოდ...   |
| ჩვენი ყოფა, წუთისყოფილი  | 10 | თამარელა ნონორია საყდრისი-ყაჩაღიანი  |
| პროზა                    | 11 | ეკა ფხალაძე ნათესოვარი ძვეყანა   |
|                          | 12 | ნინო ბაქანიძე ახალქალაქის ძველი სიმღერა  |
|                          | 18 | ინგა მილორავა მკჷვაპილე და რუსი ქალაქი   |
|                          | 20 | ვაჟა ოთარაშვილი სევედის წვიმა და სხვა ლექსები  |
|                          | 23 | ბექა ახალაია სიზმარი და სხვა ლექსები   |
|                          | 26 | ემზარ კვიციანიშვილი ზანტასტიური თანამგზავრი (ბალადა შუქზე)   |
|                          | 27 | თავბანენიკვა მარტონელა კაციასა<br>(მარინე რევიშვილს ესაუბრება მათა ყიასაშვილი)                                     |
|                          | 33 | ჟულიენ ბისონი ბალბიური ცხოვრება<br>(შეხვედრა ერიკ-ემანუელ შმიტთან)   |
|                          | 34 | მანანა ტურიაშვილი ხმაურიანი „მაკბეტი“ სინასტიკა  |
|                          | 36 | ნინო დეკანოიძე ლექსები პირის გარეშე<br>(შეხვედრა მურმან ჯგუბურიასთან)  |
|                          | 41 | იოსებ ჭუმბურიძე ჩანანერები   |
|                          | 43 | მაია ჯალიაშვილი „რა სამცარი დასრულდა წლები...“<br>(XIX საუკუნე ნინო ვახანიას თვალთ)                                |
|                          | 43 | ლია გუგუია ეს ნიგნი სასკოლო პროგრამაშია შესატანი<br>(ტარიელ ნამორაძის ნოველების კრებული „გატეხილი გული“)           |
|                          | 46 | ნანა კუცია ლექსი-მისტერია (დავით ნერედიანი, „თრიმლები“)  |
|                          | 50 | როსტომ ჩხაიძის გამოსვლები უკრანოდ  |
|                          | 54 | ნინო ქუთათელაძე სივრცე კედელში, ანუ სივრცე გამოუვალში...<br>(ნუციკო დეკანოზიშვილის პოეტური კრებული „ნამსხვრევები“) |
|                          | 56 | მურმან ბულათურქია ბერლიოზის რეცეპტი  |
|                          | 60 | მო იენი თეთრი ძალი და საქანელა   |
|                          | 69 | მამუკა ბერძენიშვილი იტალიაში გამოიცა ქართული მცენიერის<br>გიოგიბლიობრაზია (ელენე მეტრეველი)                        |
|                          | 70 | თინათინ ანასაშვილი „თუ იცნობდი ნიტა ტაბიკას...“<br>(სალამო ლიტერატურის მუზეუმში)                                   |
|                          | 71 | მარტოკაცი ჭამაშიც გრალიაო  |



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი  
გამოვა 21 მარტს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

|                                  |                     |
|----------------------------------|---------------------|
| მთავარი რედაქტორი                | როსტომ ჩხეიძე       |
| პროზის რედაქტორი                 | ივანე ამირხანაშვილი |
| პოეზიის რედაქტორი                | მაკა ჯოხაძე         |
| კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი | თამაზ ნატროშვილი    |
| მხატვრული რედაქტორი              | კარლო ფაჩულია       |
| დიზაინერი                        | მალხაზ იაშვილი      |
| სტილისტ-კორექტორი                | ნინო დეკანოიძე      |
| კომპიუტერული უზრუნველყოფა        | თენგიზ რობიტაშვილი  |
| ოპერატორი                        | თამარ ჩიხლაძე       |
| სარეკლამო მენეჯერი               | ეკა ბუჯიაშვილი      |
| გავრცელების სამსახური            | ლევან კვიციანი      |

გარეკანზე: ეკა ფხალაძე, გიორგი გეთიაშვილის ფოტო  
კემბრიჯი (დიდი ბრიტანეთი)

# ვილაცას რაღაც ქრისტიანულად

□

## ბავი ერთი ბარათისა

ეს ბარათი ოდესღაც წაკითხული მქონდა, მაგრამ როდესაც ბიოგრაფიული რომანისათვის „ავგისტოს შვილები (მამაჩემი ოთარ ჩხეიძე)“ დავისაჭიროებდი, ველარსად მივაგნებდი. გადავატრიალებდი მამას არქივს, მაგრამ ცას ჩაეყლაპა თუ მინას, არ გამოჩნდებოდა და არა.

არადა, ძალიან კი მოუხდებოდა თხრობას ეს დოკუმენტი, ქვემო მაჩხაანელი სპირიდონ ილიას ძე შანშაშვილის მიერ გამოგზავნილი 1959 წლის 16 თებერვალს.

მახსოვდა, რომ ხელს აწერდა როგორც რიგითი ინჟინერი, მახსოვდა მისი შინაარსიც და ცალკეული ფრაზების აღდგენა ზეპირადაც კი შემეძლო, უპირველესად მაინც დასაწყისისა:

— „კომუნისტს“ ვათვალისწინებდი, თქვენი „მეჩემის“ „განხილვას“ გადავავლე თვალი, მერე გულდასმით წავიკითხე, ვთქვი, ვილაცას რაღაც ქრისტიანულად დაუწერია, უნდა წავიკითხო-მეთქი.

მაგრამ უდოკუმენტოდ მოვერიდებოდი მის ჩართვას თხრობაში, უშუალოდ იმ თავში, რომელიც ეხებოდა რომანის — „მეჩემი“ — შერისხვას ხელისუფლების მიერ და მწერალთა კავშირში გამართულ სამსჯავროს, ეს რომანი დანაშაულებრივ მოვლენად რომ შეირაცხებოდა.

უცნობი მკითხველი კი თანადგომას უცხადებდა და ინჟინერი კაცი საკმაო გონიერებასაც და ნაკითხობასაც ამჟღავნებდა. ასე რომ, ბარათს პირწმინდად ლიტერატურული მნიშვნელობაც კი ენიჭებოდა, არამცთუ საზოგადოებრივი თუ სოციალური.

მეორედ მაშინ დავფაცურდებოდი მის მოსაძებნად, როდესაც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მიერ წამოწყებულ პროექტში — ოთარ ჩხეიძის 24-რომანიანი „მატიანე ქართლისას“ გამოცემისას — „მეჩემის“ ჯვრიც დადებოდა.

გამოცემას დაერთვოდა იმ ლიტერატურულ-პოლიტიკური სამსჯავროს ანგარიში (გამოქვეყნებული არა „კომუნისტის“, არამედ „ლიტერატურული გაზეთის“ 1956 წლის 28 ნოემბრის ნომერში, თუმც მკითხველის ამ უნებლიე უზუსტობის მიზეზი ძნელი მისახვედრი არ არის — სამწერლო გაზეთი ბევრით არაფრით განსხვავდებოდა „კომუნისტისაგან“); ამერიკაში გადახვენილი ქართველი პოლიტიკოსისა და მეცნიერის ალექსანდრე მანველიშვილის რადიოსადგურ „კავკასიონში“ გამოსვლის ტექსტი (გაოცებას რომ გამოთქვამდა საბჭოთა იმპერიაში ასეთი რომანის დაწერის გამო, კომუნისტურ იდეოლოგიას რომ უპირისპირდებოდა); და მათთან ერთად ახალგაზრდა მკვლევარის თამარ ყალიჩავას მეცნიერული ნარკვევი „ხელოსნობის, როგორც ტრადიციის ტრაგედია“. და რა კარგი იქნებოდა, რომ იმ უკვე ისტორიად ქცეულ ბარათსაც შეევსო თანამედროვე მკითხველის ნარმოდგენა მაშინდელ ეპოქაზე.

მაგრამ როდესაც ცა ჩაეყლაპავს თუ მინა!..

ვერ ვეგუებოდი მის დაკარგვას, მაგრამ რა გინდა გელონა...

და, აი უეცრად გამოჩნდებოდა, სულ სხვა მასალებს რომ ვეძებდი... მზერა ამეჭრებოდა, კონვერტს დავხედავდი თუ

არა და პირველად ქვემო მაჩხაანის მომხვედებოდა თვალში... და გავიფიქრებდი: ღმერთო, ოღონდ ილუზია ნუ იქნება-მეთქი!..

არ აღმოჩნდებოდა ილუზია და უკვე რომ დავიბეგებდი „ავგისტოს შვილების“ ხელახალი გამოცემისთვისაც და ოთარ ჩხეიძის ტომების აკადემიური კორპუსისთვისაც, ცხადია, მოვინდომებდი ბარათის გამოგზავნის ვინაობის დადგენასაც — ეს, პირადი ინტერესის გარდა, ბიოგრაფიული რომანის თხრობასაც მოუხდებოდა და აკადემიური გამოცემის კომენტარ-ექსკურსებსაც. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ გამოადგებოდა თამარ ყალიჩავასაც თავისი სადისერტაციო ნაშრომისათვის, და კიდევ სხვა მკვლევარებსაც.

ვილაცას რაღაც ქრისტიანულად დაუწერიაო...

ქვემო მაჩხაანთან თუ ვინმეს მიუწვდებოდა ხმა ჩემს ახლობელთა წრიდან, უპირველესად თამარ ლონღაძეს, ვინც ჩვეული ერთუზიანობით ნამოინყებდა ძიებას, თუმც წინასწარ კი გავაფრთხილებდი — მე თვითონაც არ ვიცი, უეცრად რამ მათქმევინა ეს სიტყვები: ასეა, როცა ერთ სოფელში ცხოვრობს ორი მარინე, ორივე გიორგის ასული და ორივე ფერაძე-მეთქი.

და... თითქოს მარინა ბარათაშვილის პიესის „ჭრიჭინა“ სიუჟეტური ქარგის განმეორებააო, ქვემო მაჩხაანშიც სწორედ ასევე აღმოჩნდებოდა ორი სპირიდონი, ორივე ილიას ძე და ორივე შანშაშვილი, თანაც ორივე 1932 წელს დაბადებული.

გვრძნობთ ალბათ, რომ პირველად... სწორედ იმ მეორე სპირიდონ შანშაშვილს მივაკვლევდით, არა ბარათის ავტორს. თუმც მთავარი უკვე გამორკვეული გახლდათ და ბატონი სპირიდონიც და მისი მეუღლეც, ქალბატონი ეთერი, ძალიან დაგვეხმარებოდნენ, მოგვიძებნიდნენ და დაგვიზუსტებდნენ ბარათის ავტორის ოჯახის წევრთა ტელეფონის ნომრებს...

თვითონ ბატონი სპირიდონი, სამწუხაროდ, გარდაცვლილი აღმოჩნდებოდა და მასთან საუბრის საშუალება აღარ მოგვეცემოდა.

და ახლა რაც შეგიძლია, მისი ბიოგრაფიული ცნობების შეგროვება.

ცნობებს მისი რძალი მოგვანვდიდა, ქალბატონი ლია ზედგინიძე:

„სპირიდონ შანშაშვილი დაიბადა 1932 წლის 5 მაისს, სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში. 1951 წელს აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე. ამავე წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სპეციალობით — ინჟინერ-მშენებელი, რომელიც დაასრულა 1957 წელს. შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში, კითხულობდა ლექციებს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (მასალათმამუშაო და დრეკადობის თეორია, მხაზველობითი გეომეტრია), ინსტიტუტში მუშაობის შეწყვეტის შემდეგ საქმიანობდა გარდაბნის რაიონის პროფკავშირების თავმჯდომარედ. ბოლოს — სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებში ინჟინრად.

ქალაქ რუსთავში დაფუძნდა 1966 წლიდან. სადაც შექმნა ოჯახი და გაზარდა შვილები — ქალ-ვაჟი. მართალია მისი ბიოგრაფიის ყოველი ნაწილი უკავშირდება მის მათემატიკურ ნიჭს, რომლის მიღმაც ვერ იმალებოდა ლიტერატურის სიყვარული. ჯერ კიდევ 12 წლის ასაკში წერდა მოთხრობებს, ლექსებს, პოემებს და აგზავნიდა იმდროინდელ საბავშვო გაზეთში („ნორჩი ლენინელი“). მართალია მისი მწერლობა ვერ შედგა, თუმცა დიდი სიყვარული და პატივისცემა ლიტერატურისა ნამდვილად დაუტოვა. ყოველთვის ეცნობოდა თანამედროვე მწერლობას, გამოთქვამდა თავის შეხედულებებს და მსჯელობდა არსებულ სიახლეებზე. გარდაიცვალა ქალაქ რუსთავში 2004 წლის 22 ოქტომბერს.“

არ აღმოჩნდებოდა ილუზიაო...

თორემ ავერ საკუთარი თვალით დარწმუნდებით:

„კომუნისტს“ ვათვალისწინებდი, თქვენი „მეჩენის“ „განხილვას“ გადავავლე თვალი, მერე გულდასმით წავიკითხე, ვთქვი, ვილატას რაღაც ქრისტიანულად დაუნერია, უნდა წავიკითხო-მეთქი. მაგრამ „მნათობის“ ყველა ნომერს თავი ვერ მოუყარე ერთბაშად და აქამდის ვერ წავიკითხე.

ამბის დასასრულს გამოთქმული თქვენი წუხილი ამაოა. ათიათასებს ესმის და მოსწონს კიდევ თქვენი ნაწარმოები, ხოლო თუ დანარჩენს არ ესმის (არ წაუკითხავს) ამის მიზეზი სოციალისტური რეალიზმის პრინციპებია, რომელმაც თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას ჩამოაგდია ჭკვიანი ადამიანები; ხოლო ვინც შეილება წაიკითხოს და მაინც დამაინც არ მოეწონოს, ისინი ის ჭაბუკები და ქალიშვილებია, ან ის მოზრდილი ბრყველებია, რომლებმაც ცუდად იციან პური რა ნიადაგზე მოდის.

თქვენი რომანის ღირსება, ჩემის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველი ხვდება: „ფიქრები, რომელიც მე მანუხებს, სხვასაც ანუხებს, მილიონებს ანუხებს, მაშასადამე მე მარტო არ ვარ“. ეს უნერგავს რწმენას მას ხვალისდელი დღისადმი, ეს განამტკიცებს მასში იმ რწმენას, რომ დაბრკოლება, რომელიც ადამიანებს ცხოვრების გზაზე ელოდება, მიწასთან უნდა გასწორდეს, მაშასადამე გაზაფხულზე ის უყოყმანოდ გადაიტანს კომბალს ერთის მხრიდან მეორეზე.

ეს არის და ეს.

გამოცდილება გვეუბნება, რომ ჩვენი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, მაშასადამე სხვის მერცხალს უნდა დაველოდოთ.

ახალი შენობის ასაგებად, ახალი ადამიანებია საჭირო. ამიტომ თავს უნდა გაუფრთხილდე. მილიონების სამსახურებში აყვანისას ვისაც ხელი არ ათრთოლებია, ერთეულების აყვანას ის ზომიერ გართობად მიიჩნევს. ბედმა რატომ უნდა გიმუხთლოთ. ამბავს ფუნდამენტად სხვა რამ დავუდოთ; თუმცა, ეშმაკმა იცის, ყველა გზა რომში ჩაგვიყვანს.

თქვენი ირინე და გიგო კი კარგი მხატვრის ხელით არის დახატული, ძალიან კარგი მხატვრის ხელით. ირინე თითქმის იდეალურია, თუმცა ამ ცოდვით სავსე ნუთისოფელში ყოველი ნორმალური იდეალურად მოგვეჩვენება.

ირინე და გიგო — ეს ოთარაანთ ქვრივი და ოთარაანთ გიორგია სოციალიზმის დროს.

ლაპარაკობენ თქვენი ენის შესახებ. რაღა თქმა უნდა, თქვენს რომანს კარგი ქართული დაამშვენებდა, კარგ ქართველს კარგი დრო რომ ამშვენებდეს. ცოდო კი იმათ მოეკითხოს, ვინც უკვანტავი საქმე საკვანტავად გაგიცხადა.

სადაც სპილოა, იქ ჭიანჭველის შესახებ რომ ალაპარაკებო, ზედმეტი ჭირვეულობის ბრალია, რაღა მიხვედრა უნდა.

ულრმესი მადლობა იმ სასიამოვნო წუთებისათვის, რომელსაც თქვენი რომანის კითხვისას განვიცდიდი.

გისურვებთ წარმატებას.

**სპირიდონ შანშაშვილი**

რიგითი ინჟინერი  
16/11-59 წ.



სპირიდონ შანშაშვილი

ადამიანისაგან, ვინც ასერიგად გატაცებულიყო ლიტერატურით, აღარ გიკვირს ასეთი შინაარსის ბარათის შედგენა, კრიტიკოსებსაც რომ შეეხარებოდათ. და თუ „ნორჩი ლენინელის“ რედაქცია კარს ჩაურაზავდა მწერლობისაკენ, ასე მოულოდნელად მაინც შემორჩებოდა ჩვენი ლიტერატურის ისტორიას.

უცნაურია, უცნაური ნუთისოფლის გზა და სავალი!..

### ზურაბ სამხარაძის გამოფენა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში საქართველოს დამსახურებული მხატვრის, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორის **ზურაბ სამხარაძის** 80 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. ღონისძიება **რევაზ სირაძის სახელობის „რუსთაველის კლუბის“** და **ეროვნული ბიბლიოთეკის** ორგანიზებით გაიმართა.

დამსწრე საზოგადოება, მეგობრები და კოლეგები, გულსტკივილით აღნიშნავენ, რომ მხატვარს სიცოცხლეში პერსონალური გამოფენა არ ჰქონია.

თავყრილობას ხელოვნებამცოდნე **ირინა აბესაძე** უძღვებოდა: „ახალგაზრდებისთვის მისაბაძი და დასაფასებელი უნდა იყოს ის სიმაღლე, რომელსაც ზურამ მიაღწია თავის შემოქმედებაში. ის, რომ სიცოცხლეში გამოფენა არ ჰქონია, მხოლოდ მის თავმდაბლობაზე მეტყველებს. ხშირად მიხდება მისვლა მასთან, სახელოსნოში და ვიცი, როგორ მუშაობდა მუსიკის ფონზე... მუსიკა იყო მისთვის ძალზე ახლობელი, განსაკუთრებით მუშაობისას. ზურაბი ფლობდა საფუძველთსაფუძველს ფერწერისა, ქმნიდა შედეგებს წარმოსახვით... აქ წარმოდგენილი ნიმუშები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ჩვენგან წავიდა მართლაც დიდი ფერმწერი“.

მხატვრის პიროვნულ თვისებებზე გაამახვილეს ყურადღება **გივი თოიძემ** და **გიგა ბათიაშვილმა**: ზურაბი პირველ რიგში იყო უნიკალური პიროვნება, რომელმაც თავისი ცხოვრების ტკივილი ასახა თავის შემოქმედებაში; ის დარჩება ქართულ ხელოვნებაში შემოქმედად, რომელმაც არ უღალატა მხატვრობის ძირითად ამოცანებს...

**ვახტანგ დავითაიამ** აღნიშნა: ამქვეყნად ყველაფერს მოეწვება, მაგრამ რასაც პოეტი, არქიტექტორი, მხატვარი, მსახიობი და ზოგადად შემოქმედი საფლავში ჩაიტანს — იმას არაფერი ეშველება... ამიტომ უნდა მოუფრთხილდე და დავაფასოთ ეს ყოველივე მათ სიცოცხლეშივე... ზურაბის ნამუშევრები იმდენად მრავლისმეტყველია, რომ მათში შეიძლება დავინახოთ მისივე ხასიათი და პიროვნება...

სიონის მგალობელთა შერეული გუნდის წევრებმა — **ლევან სამყურაშვილმა**, **მეკლუდ ლომიძემ**, **შოთა კანდელაკმა**, **კახაბერ კუხიანიძემ**, **რომან ტყეშელაშვილმა** — შესარულეს ხალხური სიმღერები, მათ შორის ზურაბ სამხარაძის ერთ-ერთი საყვარელი სიმღერა **„წინწყარო“**.

ოჯახის წევრებმა — **ნონეტა იშხნელმა** და **ნელი ნიკურაძემ** — მადლობა გადაუხადეს დამსწრე საზოგადოებას.

თეო კაკანაძე

# კულტურული დიალოგის უმთავრესი პერკეტი

(მირანდა ტყეშელაშვილს ესაუბრება ირმა რატიანი)

— ქალბატონო ირმა, ცნობილი მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე და ჩვენი ჟურნალის არცთუ იშვიათი ავტორი ბრძანდებით. ამდენად მკითხველისათვის ცნობილია თქვენი შემოქმედებისა და სამეცნიერო დამსახურების შესახებ. მაგრამ ერთი მეცნიერის პროფესიული მოღვაწეობა და სულ სხვა, ისეთი ტრადიციული და მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელობა, როგორც არის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, რომელსაც შვიდ ათეულზე მეტი წლის ისტორია აქვს და რომლის სათავესთან ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ისეთი კორიფეები იდგნენ, როგორებიც იყვნენ: კორნელი კეკელიძე, გიორგი აბზიანიძე, გიორგი ლეონიძე, ალექსანდრე ბარამიძე... პასუხისმგებლობას, ალბათ, ისიც ზრდიდა, რომ თქვენ ამ ინსტიტუტს სათავეში ურთულეს, საკმაოდ მტკივნეული რეფორმების ყამს ჩაუდევით. ბევრი რამ იყო დამოკიდებული სწორ მენეჯმენტზე...

— სწორი მენეჯმენტი, როგორც თქვენ ბრძანეთ, ნებისმიერი საქმის გაძღოლის აუცილებელი წინაპირობაა. სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელობის შემთხვევაში კი ის თანაბრად გულისხმობს სამეცნიერო-ადმინისტრაციული სტრატეგიის სწორად ორგანიზებასა და გარკვეული ცოდნის ფლობას კონკრეტული დარგის მიმართულებით. ცოდნა დარგის არსის წვდომასა და მისადმი ერთგულებას განაპირობებს, რაც, ზოგადად სჭირდება ხელმძღვანელს და, მითუფრო, საშურია რთულ სარეფორმო ხანაში. 2006 წლის შემდეგ ქართული მეცნიერების სფერო პერმანენტულ სარეფორმო რეჟიმში იმყოფება — სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა სამეცნიერო კვლევათა განვითარების საერთო ხედვის შემუშავება და მისი თანამიმდევრულად განხორციელება. ასეთ პირობებში არამარტო ხელმძღვანელისთვისაა რთული ორგანიზაციის მართვა, არამედ მეცნიერებისთვისაც ძალზე რთულია საყვარელი საქმის კეთება. სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და სტაბილურობა, მსოფლიოს მასშტაბით, სამეცნიერო კვლევათა განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს — გულწრფელად ვუსურვებ ამას ჩემს ქვეყანას!

— ნებისმიერი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მუშაობაში უმთავრესი წინასწარ შემუშავებული და სწორად განსაზღვრული კვლევების სტრატეგიაა...

— რასაკვირველია ასეა. დირექტორად არჩევის შემდეგ მე ვაღიარებ ვიყავი, შემეთავაზებინა ინსტიტუტისთვის სამეცნიერო კვლევების ახალი სტრატეგია და, რაც მთავარია, დასახული ამოცანების გადაჭრის ინოვაციური გზები. ინსტიტუტის პრიორიტეტად იმთავითვე განისაზღვრა კვლევების მეთოდოლოგიური მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია. მაღლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ ინსტიტუტის კოლექტივი დიდი ენთუზიაზმით ჩაება ამ საქმეში (სამწუხაროდ, სხვა სახელს ვერ დავარქმევთ არსებული სახელფასო ანაზღაურების პირობებში მუშაობას) და საკმაოდ შთამბეჭდავ შედეგებსაც მიაღწიეთ: ინსტიტუტის თანამშრომლების ერთობლივი ძალისხმევით გამოიცა არაერთი წიგნი და კრებული, რომელშიც თავიდანაა შეფასებული და გადაფასებულიც კი ქართული ლიტერატურული ისტორიის ცალკეული პერიოდები. მათ შორისაა: — სამეცნიერო წიგნები: „ნიონოს ცხოვრება და მოქცევა ქართლისაი“, „იაკობ ცურტაველის შუშანიკის წამება და ადრექრისტიანული კულტურა“, „ათონის საღვთისმეტყველო ლიტერატურული სკოლა“, „XVI-XVIII საუკუნეების ქართული ლიტერატურა აღმოსავლური და დასავლური კულტურულ-ლიტერატურული პროცესების გზაშესაყარზე“, „ქართული რომანტიზმი. ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები“; — სამეცნიერო კრებულები: „გალაკტიონოლოგია“, „რუსთ-

ველოლოგია“, „ქართული ფოლკლორი“; ლექსმცოდნეობის ყოველწლიური სამეცნიერო სესიის მასალების მიხედვით გამოცემული კრებულები: „ანა კალანდაძე“, „გიორგი ლეონიძე“ „ლადო ასათიანი“, „მუხრან მაჭავარიანი“, „ცისფერყანნელები“; სამეცნიერო კონფერენციის მიხედვით კრებული „ოთარ ჩხეიძე“; — თემატური კრებულები: „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი. XX საუკუნის გამოცდილება“, „უცნობი აკაკი“, „ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე (მიქელანჯელო ლორთქიფანიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას)“, „რევაზ ინანიშვილი. მწერალი და დრო“; — საიუბილეო კრებულები: სულხან-საბა ორბელიანი 350“, „ილია ჭავჭავაძე 170“, „აკაკი ნერეთელი 170“, „ვაჟა-ფშაველა 150“. ამასთან, გამოიცა თანამედროვე ფილოლოგიური სტანდარტების მიხედვით შედგენილი წიგნები, რომლებიც დამხმარე სახელმძღვანელოთა ფუნქციასაც სწევენ ჰუმანიტარული მიმართულების სტუდენტებისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით: „ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“, „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი“, „ლიტერატურის თეორია. ქრესტომათია“ (I-II ტომები); სერიიდან „ლიტერატურათმცოდნეობითი რვეულები“: ირმა რატიანის „ჟანრის თეორია“ და „ფიზულა და სიუჟეტი“, რუსუდან ცანავას „მეტაფორა“, თამარ ბარბაქაძის „ლირიკული ჟანრები“.

ვფიქრობ, ინსტიტუტმა ზედმიწევნით კარგად გაართვა თავი დასახულ ამოცანებს და კიდევ უფრო მეტი პოტენციის მატარებელია!

— არცთუ შორეულ წარსულში, როდესაც დაისვა ქართული მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის საკითხი, ბევრი გამოთქვამდა ეჭვს, რამდენად მოხერხდებოდა ქართველოლოგიური კვლევების გატანა საერთაშორისო ასპარეზზე, მსოფლიო სამეცნიერო სისტემაში მათი ინტეგრირება...

— ეს ნამდვილად არ ყოფილა ადვილი გზა. მითუფრო, რომ ხანგრძლივი საბჭოური იზოლაციის პირობებთან ადაპტირებულ ცნობიერებას საკმაოდ უჭირდა როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ საზღვართა დემარკაციების მოშლა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის აზრი, რომ ქართველოლოგიური კვლევები არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს კულტურულ იზოლაციას, არამედ — პირიქით, იმსახურებს, რომ სრულფასოვნად იყოს ჩართული საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების ქსელში და არგუმენტირებულად დაუსაბუთოს მსოფლიო საზოგადოებას ერთი მარტივი ჭეშმარიტება: შეუძლებელია მსოფლიო კულტურული და ლიტერატურული რუკის დასრულება ქართული კულტურისა და ლიტერატურის გარეშე!

ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო ინსტიტუტის ბაზაზე გამომავალი ჟურნალების („ლიტერატურული ძიებანი“ „სჯანი“, „კრიტიკა“) მოდერნიზაცია და საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის ორგანიზება. დღეს ჟურნალი „სჯანი“ საერთაშორისო რეცენზირებადი ჟურნალის სტატუსს ატარებს, ხოლო 2013 წელს ინსტიტუტში უკვე რიგით მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩატარდა — 156 მონაწილით, საიდანაც 68 მეცნიერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას წარმოადგენდა (პირველი სიმპოზიუმი გაიმართა 2007 წელს)! სიმპოზიუმები საშუალებას გვაძლევს, ორგანულად ჩავრთოთ თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა სხვადასხვა ეპოქის საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესთან ნიადაგში. სიმპოზიუმების ფინანსურ მხარდაჭერას შვიდი წელია განუხრებლად ახორციელებს შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდი, რაც უთუოდ დიდი ნდობის მანიშნებელია.

ინტერნაციონალიზაციის გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას ინსტიტუტის გახმაურებული საერთაშორისო გამოცე-

მეტი წარმოდგენს: კემბრიჯის გამომცემლობის მიერ ინგლისურ ენაზე დასტამბული „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი. XX საუკუნის გამოცდილება“, ქართულ-უკრაინული „ვეფხისტყაოსანი“, კომენტარებით, „ლომფერი მწვერვალები (XX საუკუნის ქართველ მწერალთა მოთხრობების კრებული)“ სლოვენური ენაზე. ამჟამად კვლავაც მიმდინარეობს მოლაპარაკება კემბრიჯის გამომცემლობასთან VII საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა. XX საუკუნის გამოცდილება“ რჩეულ მასალათა გამოცემის თაობაზე.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა შრომების პუბლიკაციები სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო ცენტრთა პრესტიჟულ ჟურნალებში, აგრეთვე, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მათი მონაწილეობის ინტენსივობის ამაღლება (ამისათვისაც განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომელიც ხშირად უწევს ჩვენს მეცნიერებს ფინანსურ მხარდაჭერას).

— **ეროვნული მეცნიერების განვითარებისთვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო ფილოლოგიური, ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების ქართულ ენაზე თარგმნას და გამოცემას, მათ შემოტანას სამეცნიერო მიმოქცევაში. აქაც უთუოდ უპირატესი მნიშვნელობა ინსტიტუტს ენიჭება, რადგან ერთია უცხო ენის ცოდნა და იმ ენიდან ნებისმიერი ტექსტის გადმოღება და მეორე, მაღალ დონეზე შესრულებული სამეცნიერო თარგმანი — სათანადო კომენტარებითა და სამეცნიერო აპარატით. ბოლო წლებში ლიტერატურის ინსტიტუტის გრიფით გამოცემული არაერთი ამგვარი გამოკვლევა გვინახავს. ეს საქმიანობაც ინსტიტუტის სტრატეგიის ნაწილია?**

— მოგეხსენებათ, თარგმანი ინტერკულტურული კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფორმაა. ჩვენ უნდა ვთარგმნოთ და ჩვენ უნდა გვთარგმნონ — დაახლოებით ასე შეიძლება განისაზღვროს ეს პროცესი. საქართველო თანაბრად უნდა იყოს კულტურული გამოცდილების გამცემი და მიმღები ქვეყანა, ლიტერატურის ინსტიტუტს კი ამაში თავისი კომპეტენტური სიტყვა ეთქმის. ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული სამეცნიერო თარგმანის სირთულეები: სამეცნიერო ტექსტის თარგმანის მაღალი ხარისხი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, მთარგმნელის მიერ ორივე ენის სრულყოფილ ცოდნაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მეცნიერ-კონსულტანტის ინტენსიურ ჩართულობაზე თარგმნის პროცესში. მთარგმნელისა და სპეციალისტის სინქრონული მუშაობა ყოველთვის სასურველ შედეგს იძლევა.

ამ ტექნოლოგიის გამოყენებით ბოლო წლებში, მისი პროფილიდან გამომდინარე, ინსტიტუტში არაერთი საეტაპო მნიშვნელობის მქონე ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომი ითარგმნა და გამოიცა. მათ შორის: ადრიან მარინოს „კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია“, ფერდინანდ დე სოსიურის „ლინგვისტიკა და სემიოლოგია“, ჟან-მარკ მურას „ფრანკოფონური ლიტერატურები და პოსტკოლონიური თეორია“, როლან ბარტის „S/Z“.

განსაკუთრებით მახარებს ის გარემოება, რომ თარგმანი მხოლოდ ერთი მიმართულებით არ წარიმართება, არამედ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებიც ითარგმნება სხვადასხვა ენაზე და იბეჭდება შესაბამის გამოცემებში ამერიკაში, გერმანიაში, ინგ-

ლისში, სლოვენიაში, საფრანგეთში, კანადაში, თურქეთში, რუსეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, სომხეთში და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნე, ამჟამად ინსტიტუტი სახელშეკრულებო შეთანხმებას აწარმოებს კემბრიჯის გამომცემლობასთან, რათა ინგლისში დაიბეჭდოს ინსტიტუტის მორიგი პროდუქცია.

— **სამწუხაროდ, მეცნიერება, თუნდაც ქართველოლოგია, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში დიდი ფუფუნებაა. მისი საბაზისო დაფინანსება მცირეა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგრანტო დაფინანსების მოპოვებას.**

— მეცნიერების დაფინანსების საკითხი უაღრესად მწვავედ დგას. შეუძლებელია, რომ მეცნიერს ეძლეოდეს ისეთი დაბალი ანაზღაურება, როგორც დღეს მას საქართველოში ეძლევა. ვის უხმობს ხარი?!

აუცილებელი და გარდაუვლად საშურია ქართული სამეცნიერო სივრცის შესწავლა და შეფასება! სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ატესტაცია ანუ კვლევით ინსტიტუტთა მრავალწლიანი (რეფორმის შემდგომი, 2006 წლიდან დღემდე) მუშაობის შეფასების შედეგები გამოკვეთს როგორც ძლიერსა და სუსტ რგოლებს თანამედროვე ქართულ სამეცნიერო სივრცეში, ისე — მათ სახელმწიფოებრივსა თუ ეროვნულ მნიშვნელობას, შედეგები კი საფუძვლად დაედება საგანმანათლებლო და სამეცნიერო რეფორმის ახალ, უფრო არგუმენტირებულ, მისაღებ და დახვეწილ ეტაპს. გამოიკვეთება როგორც სამეცნიერო კვლევათა რეალისტური სურათი, ისე — სამომავლო განვითარებისა და დაფინანსების ოპტიმალური სტრატეგიები!

ქართველოლოგიური კვლევები, რასაკვირველია, კიდევ უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. არ მეგულება ქართველი, რომელიც ამ აზრს არ დაეთანხმება: ქართველოლოგიური კვლევები დგას იმ კულტურულ ღირებულებათა სადარაჯოზე, რომელთა გარეშეც ქვეყანა არ არის ქვეყანა! ქართველოლოგიური მეცნიერებები, რომელთა კვლევების პრაქტიკაში დანერგვაც შეიძლება არ ასოცირდება მაღალშემოსავლიან ეკონომიკურ შედეგებთან (განსხვავებით რიგი საბუნებისმეტყველო, ეკონომიკური თუ ტექნოლოგიური მეცნიერებებისგან), ნაცვლად ამისა, განსაზღვრავს და ინარჩუნებს ერის იდენტობას, მის სულიერებას, ენას, ლიტერატურას, კულტურასა და ისტორიას. ქართველოლოგიური კვლევები ის საყრდენია, რომელზედ დგას ქართული ღირებულებანი, შესაბამისად, ქართველოლოგიის, სახელმწიფო ენის, ეროვნული ლიტერატურისა და ისტორიის მოვლა-პატრონობა სახელმწიფოებრივ სტრატეგიად უნდა იქცეს იმ მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ეროვნული კვლევები მსოფლიოს მასშტაბით განიხილება, როგორც კულტურული დიალოგის უმთავრესი ბერკეტი, ხოლო კულტურული დიალოგი წარმოადგენს კომუნიკაციის საყრდენ ფორმას თანამედროვე მსოფლიოში!

რა ადგილი უჭირავს საქართველოს თანამედროვე მსოფლიო კულტურულ რუკაზე? როგორია მისი როლი მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში? რა კულტურული კოდის მატარებელია ქართველი? რას ნიშნავს „პატარა ერის“ კულტურული გამოცდილება „დიდი ერების“ კულტურული გამოცდილების ფონზე? რამდენად ინარჩუნებს „ნაციონალური ლიტერატურა“ თვითმყოფადობას მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში? რას ნიშნავს „ლიტერატურა საზღვრებს გარეშე“ და როგორ მუშაობს ეს ფორმულა თანამედროვე შედარებითი კვლევების კონტექსტში?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ ხდება ერთხელ და ერთჯერადად, არამედ მუდმივი პროცესია, დამოკიდებული კონკრეტულ გარე-ფაქტორებზე. ამ პასუხების გაცემა ქართველოლოგიური ანუ ეროვნული



ირმა რატიანი

სამეცნიერო კვლევების პერეოგაცივია, სადაც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებს უჭირავს. ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები, ერთი მხრივ, არის მარჯვენა და საზომი ქართული იდენტობისა, ხოლო, მეორე მხრივ, მსოფლიო კულტურულ პროცესებთან ქართულ კულტურულ პროცესთა ფასეული ინტეგრაციის წინაპირობაა: ლიტერატურა ყოველთვის ასრულებდა და დღესაც ასრულებს საქართველოში ინტელექტუალური ლიდერის ფუნქციას. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, როგორც საქართველოში ქართველოლოგიურ კვლევათა ჭეშმარიტი ფლაგმანის მისია არის არამარტო კვლევა ქართული ლიტერატურისა, მითოლოგიისა თუ ლიტერატურათმცოდნეობითი პროცესებისა, არამედ ამ კვლევების დანერგვა პრაქტიკაში და გატანა საქართველოს ფარგლებს მიღმა, საერთაშორისო სივრცეში.

ამ მისიის კვალიფიციურად შესრულებაში ინსტიტუტს, გარდა საკუთარი რესურსების ოპტიმალურად გადანაწილებისა და ორგანიზებისა, ესაჭიროება ქმედითი მხარდაჭერა და დახმარება სახელმწიფოს მხრიდან. აუცილებელია, ქვეყანაში მკვეთრად განისაზღვროს ქართველოლოგიური კვლევითი ცენტრების მისიის განხორციელების პერსპექტივები და შესაძლებლობანი, ანუ განისაზღვროს ქართველოლოგიურ კვლევათა შემდგომი განვითარების სტრატეგიული გეზი!

რაც შეეხება საგრანტო დაფინანსებას, ის შემოსავლის აუცილებელი დამატებითი წყაროა მეცნიერისათვის: სამეცნიერო გრანტი საშუალებას აძლევს მეცნიერს იმუშაოს საკუთარი სამეცნიერო ინტერესების მიმართულებით და, თანაც, მიიღოს დამატებითი ანაზღაურება. რაც შეეხება საგრანტო ფონდი იქნება საქართველოში, მით მაღალი იქნება მეცნიერების განვითარების პერსპექტივები.

**— რამდენადაც ვიცით, 2010 წლიდან განხორციელდა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაცია უნივერსიტეტებთან. თქვენ შემთხვევაში როგორ წარიმართა ეს პროცესი?**

— უნივერსიტეტის ბაზაზე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სტატუსით არსებობა საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში მიღებული და აპრობირებული პრაქტიკაა. არსებობს მონყობის სხვა მოდელებიც და, მათ შორის, ერთ-ერთია ეს მოდელი. მაგრამ საუნივერსიტეტო არსებობა ძლიერი და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისათვის, როგორც არის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, არ უნდა ნიშნავდეს სრულ შერწყმასა და განლევას, არამედ გონივრულ ინტეგრაციას კვლევის — როგორც უპირველესი პრიორიტეტისა და უმთავრესი ფუნქციის — შენარჩუნების პირობით! სხვა პირობა ჩვენ არ გვაინტერესებს და არც გვეკადრება.

**— მეცნიერების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ახალი თაობის ჩართვა სამეცნიერო კვლევების პროცესში. პროფესიონალთა მიერ ათწლეულთა განმავლობაში დაგროვილი ცოდნის გადაცემა და ახალი კადრების მომზადება. დღევანდელ ეტაპზე ეს არცთუ იოლად მოსაგვარებელი პრობლემაა, თუ გავითვალისწინებთ მეცნიერის სოციალურ მდგომარეობას თანამედროვე საზოგადოებაში.**

— ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ალბათ, ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე დანიშნურებული კვლევითი ცენტრია: 2006 წლიდან დღემდე ინსტიტუტში საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი მოვიდა — ზოგიერთი მუშაობს მკვლევარის შტატზე, ზოგიერთი — ადმინისტრაციულ ნაწილში, ზოგიერთი გადის სტაჟირებას და, იმავდროულად, ჩაბმულია საგრანტო პროექტში... არ მინდა იფიქროთ, რომ ინსტიტუტის კედლები საერთოდ დატოვა უფროსმა თაობამ. ცხადია, არა — უფროსი თაობის ყოფნა ინსტიტუტში ჩვენი სიმდიდრეა. ფილოლოგია აკუმულირებული ცოდნის სფეროა, სადაც ძალზე მაღალია წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნისა და გა-

მოდლები ფასი. ეს ხალხი მაგალითია ახალგაზრდებისათვის, მათი მონივნისა და პატივისცემის საგანი. დაბეჯითებით მიმაჩნია, რომ მონივნება ძალზე საჭირო განცდაა ადამიანისათვის, მითუფრო, მისი ცხოვრების გზის დასაწყისში. მონივნება არ გულისხმობს მორჩილებას, არამედ სხვისი აზრის გათვალისწინებასა და სხვისი შრომის დაფასების უნარს.

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ ქართველ კლასიკოსთა აკადემიური გამოცემების შესახებ, რომელიც ყოველთვის იყო ლიტერატურის ინსტიტუტის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი.**

— ტექსტოლოგიური კვლევები და აკადემიური გამოცემების მომზადება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტსა და სახელმწიფოებრივ ფუნქციას წარმოადგენს. ინსტიტუტი თავისი დაარსების დღიდან ამ საქმიანობითა დაკავებული და სრულ პრიორიტეტს ფლობს ქვეყნის საგამომცემლო ბაზარზე. ბოლო წლებში, 2006 წლიდან დღემდე ინსტიტუტმა თითქმის დაასრულა ილია ჭავჭავაძის აკადემიური ოცტომეულის გამოცემა (დარჩენილია მხოლოდ ორი ტომი) და შეუდგა აკაკი წერეთლის აკადემიური ოცტომეულის გამოცემას (უკვე გამოცემულია პოეზიის სამი ტომი). იმავდროულად მიმდინარეობს მუშაობა ახალ პროექტებზე — ამ მიმართულებითაც ჩვენ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას ვსაჭიროებთ და იმედს ვიტოვებ, რომ ასეც იქნება.

**— ქართული ლიტერატურის, გვულსხმობ მხატვრულს, არცთუ ვრცელი ასპარეზი აქვს. რაც უნდა ზოგადსაკუთარი მნიშვნელობის იყოს ამათემი მწერლის შემოქმედება, მხოლოდ ოთხი მილიონი პოტენციური მკითხველი ჰყავს. ამდენად, თარგმნა და მსოფლიოში გატანა, პოპულარიზაცია, მნიშვნელოვანია. ამ საქმეში თუ მონაწილეობს ინსტიტუტი?**

— დიას, მონაწილეობს. 2010 წლიდან ინსტიტუტი, კომპარატივისტული ლიტერატურის ქართულ ასოციაციასთან ერთად (GCLA), სათავეში ჩაუდგა თარგმანის საერთაშორისო საზღვარგარეთ სკოლის ორგანიზებას (მხარდამჭერი ორგანიზაცია — შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) და ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული. სკოლის მუშაობას უძღვებიან მსოფლიოში აღიარებული მთარგმნელები (ლინ კოფინი, ქრისტინანე ლიხტენფელდი, მერი ჩილდსი, იორდან ლუცკანოვი...), ხოლო სკოლის მსმენელები არიან არამარტო დამწყები მთარგმნელები, არამედ — უკვე გამოცდილი სპეციალისტებიც. თარგმანის სკოლის ფარგლებში არაერთი ქართველი ავტორის ტექსტი ან ვრცელი ფრაგმენტი იქნა თარგმნილი და წარდგენილი მსოფლიოს სხვადასხვა გამომცემლობისათვის. სკოლის მუშაობამ ასახვა ჰპოვა სპეციალურ ვებ-გვერდზე, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით შეიქმნა. სკოლის ერთ-ერთ დიდ მიღწევად კი უნდა ჩაითვალოს კონტრაქტი ფრანგულ გამომცემლობა „გალიმართან“, რომლის ფარგლებშიც სრულდება ერთლმ ახვლედიანის რომანის — „კოლო ქალაქში“ — თარგმანი.

**— დაბოლოს, რაკი ქართული მწერლობის პოპულარიზაციაზე ვსაუბრობთ, რამდენადაც ცნობილია, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი საქართველოში ერთადერთი ინსტიტუტია, რომელსაც აქვს ნობელის კომიტეტში კანდიდატის წარდგენის უფლება...**

— სწორედ ასეა. ნობელის საერთაშორისო კომიტეტში კანდიდატის წარდგენის უფლება საქართველოდან, ლიტერატურის დარგში, უკვე მრავალი წელია, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს აქვს მინიჭებული.

გამომდინარე კომიტეტის მთავარი მოთხოვნებიდან, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მწერლის დამსახურება ნაციონალური და მსოფლიო ლიტერატურის წინაშე, 2006 წლიდან დღემდე, ინსტიტუტის მიერ წარდგენილი იყვნენ შემდეგი ავტორები: ოთარ ჭილაძე (2009 წელს შეტანილი იქნა ნომინანტთა საბოლოო სიაში), ჭაბუა ამირეჯიბი, ბესიკ ხარანაული.

2014 წელს ინსტიტუტის ექსპერტთა საბჭომ ნობელის პრემიაზე გურამ დოჩანაშვილი წარადგინა.

მალხაზ ხარბელია

# „შეშვლას ყოველთვის ქარცეცხლში გავლა მირჩევნია“

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც ადამიანი ვერაფრით შევლის საკუთარ თავს და მხოლოდ სხვას თუ შეუძლია მისი დახმარება.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— იქ, სადაც ყველაზე მეტი ძალის მოკრება შეიძლება.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— დიდი სიყვარული და ნაყოფიერი მარტოობა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ძალიან ბევრნი არიან... არასდროს დამავინწყდება ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მთხრობელის მიმართვა თავისი ერთი პერსონაჟისადმი: „რა გატირებს კვაჭი კვაჭანტირაძე? რად გიკვნესის ეგ ჭრელი გული? რად გებურება ეგ მჭრელი თვალები?“. წლები გადის და ეს „ჭრელი გული“ და „მჭრელი თვალები“ სულ მახსოვს.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— სოკრატე და მისი მოსწავლე, პლატონი, ვის გარეშეც, იძულებული ვიქნებოდით მხოლოდ ქსენოფონტეს ტექსტებით გაგვეცნო ეს ჩვენი სოკრატე. სოკრატე მართლა „ისტორიული პერსონაჟია“, იგია „ისტორიულიც“ და ამავე დროს „პერსონაჟიც“.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ჯოტო, ჯორჯო დე კირიკო, ედუარდ შოპერი, დავით კაკაბაძე.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბახი, მოცარტი, შუბერტი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— თავისუფლება.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველზე მეტად ქალში?

— სილალე.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე უფრო მომხიბლავი?

— სამართლიანობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— დაგემოვნება (დაგემოვნებაში ბევრ რამეს ვგულისხმობ).

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყო?

— არავინ.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ცნობისნადილი, ნდობა, რისხვა და სინანული.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— ნდობას, სიყვარულს და მოთმინებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— რისხვა (ზოგიერთი ჩემი მეგობარი არბილებს და სიფიცხეს უწოდებს ამ ნაკლს).

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ერთხელ უკვე მკითხეთ, მაგრამ ვეცდები სხვანაირადაც გიპასუხოთ: ვალმოხდის მელანქოლიაც ბედნიერებაა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ყველაზე დიდი უბედურებაა, როდესაც ვერ გამოხატავ, ვერ გამოთქვამ შენს სათქმელს. ყველასგან მიტოვებაც კი არაა ისეთი უბედურება, როგორც ეს უუნარობა, გამოხატო შენთვის ყველაზე მთავარი.

— როგორი გინდობათ ყოფილიყო?

— არ მიფიქრია ამაზე.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ცეცხლისფერი, უნაბისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ალბათ კესანე.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— შაშვი და თოხიტარა.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— უცებ ვინც მახსენდება – დავით კლდიაშვილი, ფოლკნერი, კაფკა, პლატონოვი, ალფრედ დიობლინი, მიხეილ ჯავახიშვილი, იოზეფ როტი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— არქილოქე, მისი ერთი ფრაგმენტი მირჩევნია ზოგიერთი ეპოქის მრავალსიტყვაობით სავსე ყველა ლექსს. კატულუსი, ოვიდიუსი, ფროსტი, მანდელშტამი, პასტერნაკი, ბროდსკი, ბესიკ ხარანაული, გალაკტიონი, სტუდენტობისას ძალიან ბევრს ვკითხულობდი აპოლინერს და ლორკას, თარგმანებში.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— თინათინი, მაგა (კორტასარის „კლასობანადან“), პეპი გრძელინიდა, ესტერ პრინი (ჰოთორნის „ალისფერი ნიშანიდან“), ასე უცებ, მეტი არავინ მახსენდება სამწუხაროდ.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— ალბერტ შვაიცერი.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ასტრიდ ლინდგრენი, მარინა ცვეტაევა, ქეთევან დედოფალი, მარო მაყაშვილი, ბებიაჩემი — შურა კუპრავა.

— საყვარელი სახელები?

— ლაშა და თინათინი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სწორხაზოვნებას და მონურ მორჩილებას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ჩემთვის მაინცდამაინც სასიამოვნო არაა ზიზღში გამოტყდომა. ყველაზე საზარელი ტირანების და სხვ. მონსტრების ვინაობა კი ჩემს გარეშეც კარგად ეცოდინება მკითხველს.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

— საომარ მოქმედებებს ალტაცებით ვერ შევაფასებ.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— არ ვიცი.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— სიმღერის ნიჭი. მართლა სიმღერას ვგულისხმობ, გულის გარდა ხმაც რომ მღერის.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— არ მინდა გარდაცვალება.





- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- ნათელ სევდაში გარდამავალი მახვილგონივრული გულისტიკვილი.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- ზოგადად, ძალიან შემწყნარებელი ვარ, მიუხედავად მძიმე ხასიათისა.

- თქვენი დევიზი?
- სიტყვები რობერტ ფროსტის ლექსიდან: „The best way out is always through“ (შემოვლას ყოველთვის ქარცეცხლში გავლა მირჩევნია).
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- სალოლ, ძმაო, მაგარი იყო!

ამბროსი გრიშკაშვილი

# „პრო გეორგია“-ზე და არა მხოლოდ...


შამილს უთქვამს, პატარა ერს დიდი ხმალი უნდა ჰქონდესო. შეუსწორეს: პატარა ერს ბევრი მეგობარი უნდა ჰყავდესო...

რატომღაც ეს გამახსენდა, როდესაც ვარშავის უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის ცენტრის (Studium Europy Wschodniej Uniwersytetu Warszawskiego) მიერ გამოცემული ყოველწლიური (2013 წლის 23) ჟურნალი „პრო გეორგია“ („Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies University of Warsaw“) მივიღე და წასაკითხად ვეპირებოდი. ჟურნალის რედაქტორია ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ყოლბაია. ჟურნალის სარედაქციო საბჭოში არიან პოლონეთში (გარკვეულ სამეცნიერო წრეებში, საქართველოშიც) ცნობილი ისეთი ადამიანები, როგორიცაა: ვოიცეხ მატერსკი, ისტორიკოსი, საქართველოს ისტორიის შესახებ მრავალი წიგნის ავტორი, ჰენრიკ პაპროცკი, თეოლოგი, წმინდა გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფი, და იან მალიცკი — ისტორიკოსი (მედიევისტი).

პროფესორი დავით ყოლბაია მრავალი წელია ვარშავის უნივერსიტეტში მოღვაწეობს და, შეიძლება ითქვას, რომ გამოაცოცხლა და ახალი სული ჩაბერა პოლონეთში უკვე მინავლებულ ქართულ კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობას. საქართველო-პოლონეთის ურთიერთობის გაღრმავების საქმეში და საზღვარგარეთ ქართული ემიგრაციული ლიტერატურის ძიებისა და როგორც პოლონელი, ისე ქართველი მკითხველისათვის მის გაცნობაში ბ-ნი დავითის უაღრესად დიდი დამსახურება განსაკუთრებით იმაში მდგომარეობს, რომ მან საფუძველი ჩაუყარა და 1991 წლიდან ყოველწლიურად გამოსცემს ვარშავაში ჟურნალ „Pro Georgia“-ს. ჟურნალი გამოდის ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთევროპის შესწავლის ინსტიტუტის ეგიდით.

ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ვარშავის უნივერსიტეტში წინასწარ შემუშავებული პროგრამის საფუძველზე იმართება ლექციები საქართველოსა და კავკასიის ისტორიის შესახებ, ისწავლება ქართული ენა. პროფესორი დავით ყოლბაია ვარშავის უნივერსიტეტში კავკასიოლოგიური კვლევების მუდმივი სემინარის ხელმძღვანელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე უნივერსიტეტში ათი წელია ქართულს ასწავლის მისი მეუღლეც, ქ-ნი სოფიო ყვანია, რომელიც ამავდროულად ჟურნალ „Pro Georgia“-ს მდივანია.

ამას გარდა, 2012 წელს დავით ყოლბაიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით გამოიცა (ნახევარ საუკუნეზე მეტი წლის ლოდინის შემდეგ) ქართველი ემიგრანტის (გარდაიცვალა ლონდონში), სამხედრო პირის, ამავე დროს ლიტერატორისა და საზოგადო



მოღვაწის ვიტალი უგრეხელიძე-უგორსკის მიერ ქართულად თარგმნილი პოლონელი კლასიკოსის ადამ მიცკევიჩის „პან თადეუში“. ბატონმა დავითმა პოემის ქართული ტექსტი დედანთან შეადარა და წიგნს ვრცელი ბოლოსიტყვაობა დაურთო. ამ მოვლენას გულთბილად გამოეხმაურა ქართული საზოგადოება, ეროვნულ ბიბლიოთეკაში წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. „პან თადეუში“-ს გამოსვლას მივუძღვევნიტ წერილი, რომელიც „ჩვენი მწერლობის“ 1012 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა.

ამჟამად პროფესორი დავით ყოლბაია ჟურნალ „პრო გეორგია“-ს გამოცემასთან (ასევე უნივერსიტეტში თავისი აკადემიური მოღვაწეობის პარალელურად) ერთად მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან საქმეს ჩაუდგა სათავეში. კერძოდ, მისი ინიციატივით მიმდინარეობს ქართველი მეცნიერის, მღვდელმთავრის, წმინდანის გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო მემკვიდრეობის გამოცემა (ამ ოთხტომეულის პირველმა ტომმა უკვე იხილა დღის სინათლე და ინტერესით მიიღო ქართულმა საზოგადოებამ). გრიგოლ ფერაძის „თხზულებათა კრებულის“ პირველი წიგნი საქართველოს ეკლესიის უძველესი ისტორიის პრობლემებს ეძღვნება; შემდგომი ტომები — ლიტურგიის, პატროლოგიისა და ლიტერატურის კვლევებს, ასევე დღიურებსა და ქადაგებებს, წერილებსა და პოეზიას.

თუ რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი მრავალტომეულის გამოცემა, იქიდანაც ჩანს, რომ გრიგოლ ფერაძე თავის ნაშრომებს ხუთ ენაზე წერდა: ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, პოლონურად და ქართულად. მისი ნაწერები მიმოფანტულია რამდენიმე ქვეყნის ძნელად მისაწვდომ სამეცნიერო ჟურნალებსა და ემიგრაციულ გაზეთებში. ჰენრიკ პაპროცკისთან ერთად დავით ყოლბაიამ თავი მოუყარა მათ და პოლონურად და ქართულად თარგმნა. ქართულ გამოცემას დართული აქვს განმარტებანი და ვრცელი კომენტარები. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თხზულებათა პირველი ტომი უკვე გამოსულია მისი ყოვლადუსამღვდელოესობის გორისა და ატენის მიტროპოლიტის ანდრეას (გვაზავას) ლოცვა-კურთხევით.

თუმცა, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ, „ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ“...

2013 წლის ჟურნალ „პრო გეორგია“-ს 23-ე ნომერი საკმაოდ სოლიდურია, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსობრივად. კერძოდ, მოიცავს 270 გვერდს და მასში სტატიები რამდენიმე ენაზეა (ქართულად, პოლონურად, ინგლისურად, გერმანულად და ფრანგულად) წარმოდგენილი.

მკითხველი გაეცნობა ისეთ საინტერესო წერილებს, როგორიცაა: ფრანგი ქართველოლოგის ბერნარ უტიეს საინტერესო სტატია ირანში ახალაღმოჩენილ ქართულ ხელნაწერებზე, ჰენრიკ პაპროცკის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ძალიან მნიშვნელოვანი გამოკვლევა, დავით ყოლბაიას, — უცნობი აპოკრიფული სახარების ქართული ხელნაწერი, ანჯეი ვოზნიაკის, — პოლონეთში ქართული ემიგრაციის პოლიტიკური აზრისა და კულტურის კერების შესახებ, ეკა ვარდოშვილის, — ილია ჭავჭავაძე და დასავლეთის რეფლექტიური ტრადიციები, ნიკო ჯავახიშვილის, — ქართული საზოგადოებრივი აზრი კავკასიის ხალხების ტრაგედიის შესახებ, ჯაბა სამუშიას, — ვიკინგების მონა-

წილება საქართველოს სამოქალაქო ომში, პაველ ოლშევსკის, — „კავკასიური საკითხი“ მეფის რუსეთის 18-19 საუკუნეების პოლიტიკაში, ირაკლი ფალავასა და გიორგი გერაძის სტატია ქართულ ნუმიზმატიკაზე, ნანა გაფრინდაშვილის, — იაკობ ხუცევის აგიოგრაფიული თხზულების შესახებ, გერმანელი მკვლევარის ჰუმბერტის სტატია, ვიფრიდ ბოდერის რეცენზია, პაველ ოლშევსკის სტატია ჩერქეზეზე, ჰამედ კაზიმზადევის — ირანელი ქართველები, საინტერესო მასალები კათოლიკე-მისიონერების მოღვაწეობის შესახებ საქართველოში, გერმანიაში მოღვაწე მეცნიერის მანანა თანდაშვილის ენათმეცნიერული გამოკვლევები და სხვ.

ყურნალში ჩვენი ყურადღება მიიპყრო პროფესორ ანჯეი ვოზნიაკის წერილმა, — ვარშავის ქართული ემიგრაციის პოლიტიკური აზრისა და კულტურული კერის შესახებ. განსაკუთრებით აქ მოტანილმა ფრაგმენტმა ინტერვიუდან, რომელიც გაზეთ „ვარშავის კურიერის“ კორესპონდენტმა ჩამოართვა პოლონეთში ქართული კომიტეტის მდივანს ნიკოლოზ ბაგრატიონს, რომლისგანაც შეიტყო, რომ ქართული ემიგრაცია ვარშავაში ითვლიდა დაახლოებით ას კაცს. მათ შორის იყვნენ ოფიცრები, მოხელეები, მენარმეები და ახალგაზრდები. ინტერვიუს ბოლოს ნიკოლოზ ბაგრატიონმა აღნიშნა, რომ „პოლონეთში ქართული ემიგრაცია, ძალიან კარგად არის მიღებული, რადგან ბევრი თანაუგრძობს მათ და გაგებით ეკიდება მათი ქვეყნის ტრაგიკულ ბედს. ქართველები, რომლებიც დაიბადნენ ვარშავაში, კარგად ფლობენ პოლონურ ენას და მშვენივრად იციან თავისი შორეული ქვეყნის ლიტერატურა და ისტორია“.

ქართული ემიგრაცია ერთიანი და კარგად ორგანიზებული გამოდიოდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ სხვადასხვა სახეობაზე, რომელსაც აწყობდნენ ვარშავაში. თუმცა, როგორც ავტორი დასძენს, სინამდვილეში ქართველ ემიგრანტთა ბედი არც ისე შესაშური ყოფილა, მათ მატერიალურად უჭირდათ, ქართული ემიგრაცია მჭიდრო კავშირებშია არ გამოირჩეოდა, ხოლო რაც შეეხება ახალგაზრდობის მიერ ქართული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის სიყვარულს, ეს თუ ეთნიკურად ქართული ოჯახებს მართლაც ახასიათებდათ, შერეულ ოჯახებში, სადაც დედა პოლონელი იყო (ქართულ-პოლონური ოჯახები კი ძირითადად ასეთი გახლდათ) ბავშვები უფრო პოლონურ ტრადიციებზე იზრდებოდნენ და ქართულადაც იშვიათად ლაპარაკობდნენ.

1918-39 წლებში ქართველი ემიგრანტები რიცხობრივი თვალსაზრისით მცირე ჯგუფს მიეკუთნებოდნენ, მაგრამ თავისი დამოუკიდებელი ხასიათის გამო საკმაოდ აქტიურები იყვნენ



დავით ყოლბაია

და განსაკუთრებული, პრივილეგირებული პოზიციები ჰქონდათ, რომელიც ვერც რიცხობრივი შემადგენლობით და ვერც ეკონომიკური როლით ვერ აიხსნება. ამ პოზიციას უფრო ემოციური, მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის, პოლონელი და ქართველი ხალხის ისტორიათა მსგავსება ედო საფუძვლად. ტრადიციულად, მეგობრული გრძნობები, რომლებიც პოლონურ საზოგადოებაში ქართველებისადმი არსებობდა, მხარდაჭერას მარშალ პილსუდსკის აღმოსავლური პოლიტიკის ფედერალისტურ კონცეფციაში პოულობდა. მართალია რიგის ტრანქატიის ხელმოწერის შემდეგ მან პრაქტიკულად მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ იდეოლოგიურ სფეროში არ გამქრალა და მის გაგრძელებას პრომეთეიზმი წარმოადგენდა. მისი მიზანი იყო რუსეთის საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ხალხების — უკრაინელების, სომხების, აზერბაიჯანელების, თათრების, კავკასიის მთიელებისა და ქართველების — მხარდაჭერა, რომლებიც I მსოფლიო ომის დროს საკუთარი სახელმწიფოს შექმნას შეეცადნენ.

დასასრულს ნიკოლოზ ბაგრატიონმა გამოხატა თავისი მადლიერება პოლონელი ხალხის მიმართ, რომელიც ასე ამოუდგა მხარში ქართველებს „კეთილშობილი უანგარობით, რომელიც სანაცვლოდ არაფერს არ ითხოვდა“. ინტერვიუ გამოქვეყნდა 1939 წლის აგვისტოში, ორი კვირით ადრე I მსოფლიო ომის დაწყებამდე. ომმა დაანგრია ქვეყანა, რომელმაც შეიკედლა ქართული ემიგრაცია, ხოლო პოლონელები, ბუდემო-

„...ის რაც იყო, არის და რჩება“

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მაია მიქაბერიძის მიერ შედგენილი წიგნის „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემები 1861-2012 - ბიბლიოგრაფია“ წარდგინება გაიმართა.

ბიბლიოგრაფიაში შედის 1861-2012 წლებში გამოცემული: წიგნები და ბროშურები, პერიოდული და გრძელდებადი გამოცემები (ყურნალები, გაზეთები, კრებულები, კალენდრები), სტატიები პერიოდული გამოცემებიდან.

წიგნი ავტორმა წარმოადგინა და ვრცლად ისაუბრა როგორც წიგნის შექმნის მიზნების, ასევე ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემების შესახებ. „დიდი ხანია მინდოდა მსგავსი ბიბლიოგრაფიის გამოცემა, რადგან თითქმის ნახევარ საუკუნეს მოიცავს ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემები და ვფიქრობ, ასეთი დონის კულტურის ცენტრს უნდა ჰქონდეს მსგავსი ტიპის გამოცემა.“

ბიბლიოთეკის ფონდების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა და წიგნის რედაქტორმა ლევან თაქთაქიშვილმა მოკლედ მიმოიხილა ის გამოცემები, რომლებიც აღნიშნულ ბიბლიოგ-

რაფიაშია შესული და აღნიშნა: „შეიძლება ითქვას ამ დღისთვის 1861 წლიდან ემზადებოდნენ, როდესაც პირველი ბეჭდური წიგნი გამოსცა მაშინდელმა საჯარო ბიბლიოთეკამ. ამ წიგნს, ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს ფონდების დაკომპლექტებისთვის.“

ყურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქტორის ალექსანდრე ლორიას თქმით: „ბიბლიოგრაფია არის ის რაც, იყო, არის და რჩება. ბიბლიოგრაფია არის იმის აღნიშვნა რაც იყო, ამიტომ, აქედან რამის ამოღება და დამატება არ შეიძლება. ჩვენ, ყველა ვაცნობიერებთ, თუ რა შრომა არის ჩადებული ქალბატონ მაია მიერ ამ წიგნში, ამიტომ დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მას, ამ შესანიშნავი პროექტის განხორციელებისათვის.

წარმატება მიულოცეს ავტორს მეგობრებმა და კოლეგებმა: გულწარად სტურუამ, რუსუდან დანელიამ, ინგა ლორიამ, გულიკო ქენქაძემ.

წიგნის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ ბიბლიოგრაფია ეძღვნება ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლების ძველ თაობას, ვინც კეთილსინდისიერად და ერთგულად ემსახურა საზოგადოებას.

თაქო კაპანაძე

ყოველგვარი წესითა და კანონით საყდრისი-ყაჩაღიანის ირგვლივ არავითარი კამათი თუ დისკუსია არ უნდა გამართულიყო — ასეთ უძველეს საუნჯეს, საამაყოსა და თავმოსაწონებელს, ყველა ქვეყანა ისე მოუფრთხილდებოდა, ცივ ნიავსაც არ მიაკარებდა. და თითქოს ჩვენშიც ასე იყო, რადგანაც ოფიციალურად გამოცხადებულიყო კულტურულ მემკვიდრეობად და სახელმწიფოს თავისთავზე აეღო მისი დაცვა. ამ სტატუსის სრულიად გაუმართლებელმა მოხსნამ საპარტიოპოლიტიკო კულტურისა და კამპათა დაცვის სამინისტროს მიერ და ამ უძველესი მალაროს განადგურების მოსალოდნელმა საფრთხემ ძალიან შეაშფოთა საზოგადოება და მთელი ძალ-ღონით შეეცადა მის გადარჩენას. საერთოდ დისკუსიაში ჩვენი ყურნალიც ჩაერთო და 2013 წლის 22-ე ნომერში გამოაქვეყნა გიორგი თაყაიძის, დავით სახაშვილის და ჯუშუბერი ხანთაძის ერთობლივი სტატია „ბასტანის ქვანახა მამარაძე (შენიშვნები საყდრისის ოქროს შესახეზე)“, რომელშიც სრული დამაჯერებლობით იყო დასაბუთებული საყდრისი-ყაჩაღიანის განსაკუთრებული ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. თითქოს აქ ყველაფერი უნდა მოთავებულიყო, მაგრამ ყოველად მცდარი, ითქვას პირდაპირ, დანაშაულებრივი შემოტევები ამ საუნჯის გასანადგურებლად კვლავაც გრძელდებოდა და იძულებული გაგხდით, წლებადგულ მე-3 ნომერში კვლავ გამოეხმაურებოდით ამ თემას პაატა იაკაშვილის სტატიით „მსოფლიოს მარკა, ქართული საოცრება (საყდრისის უკველასი მალარო)“. და აგერ, ისევ გვიწევს მის შესახებ მსჯელობა. ღმერთმა ინებოს, რომ ყველაფერი სასიკეთოდ მოგვარდეს და თამარელა წონორია

# საყდრისი-ყაჩაღიანი

საყდრისი-ყაჩაღიანი — თითქოს უნებურად დაეწყვილება ხოლმე ერთმანეთს ანტიონიმური სემანტიკის ტოპონიმური ერთეული. ინფორმაციები საყდრისი-ყაჩაღიანის გარშემო სასიამოვნო მოსასმენ-გასაზიარებელი წამდვილად არ არის. ქართულ სინამდვილეში არსებულ ათას სხვა სატკივართან ერთად ამ პრობლემის არსებობა მეტისმეტიც კია, რადგან ბიზნესიც კულტურაა, და კულტურული ფასეულობათა გადარჩენა და მეცენატობა ბიზნესმენტა საღვთო ვალიცაა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ინჟინრებმა ოქროს მოსაპოვებლად პატარა ქალაქ კაზრეთის მიმდებარე საყდრისის გორაკზე (თბილისის სამხრეთით, 50 კილომეტრის მოშორებით) გვირაბი გაიყვანეს. გასაოცრად, ინჟინრები მთის ქვეშ ადამიანის ხელით გათხრილი გვირაბების ლაბირინთს წააწყდნენ. მოკლედ, ინჟინრებმა ძველი ოქროს საბადო აღმოაჩინეს.

25 წლის შემდეგ ქართველმა და გერმანელმა არქეოლოგებმა საყდრისში არქეოლოგიური გათხრები წამოიწყეს და ხელახლა გაიხსნა სამთომომპოვებელი კომპლექსის ანტიკური შესასვლელი. არქეოლოგებმა გვირაბის შესასვლელთა გარშემო უამრავი ანტიკური არტეფაქტი აღმოაჩინეს: ქვის წერაქვი და ჩაქუჩი, მინერალებისა და ქვანახშირის გასანმენდად განკუთვნილი ცხოველთა ძვლებისგან დამზადებული ხელსაწყოები და მრავალი სხვა. ქვანახშირის ანალიზმა შესაძლებელი გახადა სტრუქტურის ზუსტი ასაკის განსაზღვრა — ოქროს საბადო 5000 წლის წინანდელი აღმოჩნდა.

ეს ნიშნავს, რომ საყდრისი კაცობრიობის ისტორიაში უძველესი ოქროს საბადოა!

დადასტურდა ისიც, რომ ქართველებს ეგვიპტელებზე დაახლოებით 1000 წლით ადრე მაინც დაუწყიათ მადნის მოპოვება. ანტიკური კოლხეთის ოქროს სიუხვე იასონსა და არგიონავტებზე შექმნილი ლეგენდის შთაგონებადაც იქცა. მეცნიერები ოქროს სანმისის ძვირფასი ლითონის მოპოვების ისეთ ალეგორიად განიხილავენ, როგორიცაა მცინვარებიდან მონადენ წყალში არსებული ოქროს გასაფილტრად ბენვის გამოყენება. ამ ჰიპოთეზას ძველბერძენი ისტორიკოსი სტრაბონიც (ძვ.წ. 64-ჩვ.წ. 24) იზიარებდა. თავის „გეოგრაფიაში“ იგი წინარეისტორიულ ქართველებზე წერდა: „ამბობენ, რომ მათ ქვეყანაში ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ზარბაზნები აგროვებენ. ოქროს დახვრეტილი ვარცლებითა და ბანჯგვლიანი ტყავებით. აქედან მომდინარეობს მთი ოქროს სანმისიან ვერძზე. ისინი თავიანთ თავს იბერიელებს უწოდებენ, ზუსტად იმავე სახელს, რასაც დასავლეთ იბერიელები ატარებენ.“

უკვე არაა გასაკვირი, რომ 5000 წლის წინათ ქართველებმა დაიწყეს ოქროს მოპოვება იმდროინდელი ტექნოლოგიის გამოყენებით. გვირაბთა სიღრმეში აღმოჩენილი ქვანახშირი ადასტურებს, რომ წინარეისტორიული მალაროელები ოქროს მადნის სხვადასხვა მინარეთაგან გამოსაცალკევებლად იყენებდნენ

ტექნოლოგიას, რომელიც მსოფლიოსთვის მხოლოდ 1000 წლის შემდეგ გახდა ცნობილი. გეორგ აგრიკოლა (1494-1555) წიგნში „De Re Metallica“ აღწერს მალაროელთა მიერ ცეცხლის გამოყენებას, როგორც კლდისგან მადნის გამოცალკევების ტექნოლოგია. გახურება მადანს მყიფეს ხდიდა და ადვილად ამორეზდა კლდეს. აღნიშნული ტექნოლოგია ასაფეთქებელ ნივთიერებათა გამოგონებასთან ერთად გაქრა. გვირაბთა სპეციფიკამ დაადასტურა, რომ აგრიკოლას თანამედროვე (XV-XVI ს.) ტექნოლოგია უფრო ადრე გამოიყენებოდა საყდრისში. არქეოლოგებმა ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად მალაროს ერთ-ერთ გვირაბში ცეცხლი დაანთეს და საკმარაოდენობის მადანიც მოიპოვეს. თუმცა ადრეულ პერიოდში ეს მეთოდი სარისკო და ხშირად ფატალურიც კი იქნებოდა, რადგან ვინაო გვირაბები კვამლით გაივსებოდა და ძველ მალაროელებს სასუნთქი ჟანგბადი გამოეყოფოდა. არქეოლოგები ფიქრობენ, რომ ანტიკური სამთომომპოვებლები საყდრისის გვირაბების შესასვლელში ვენტილაციისთვის ხელის საბერველს იყენებდნენ.

კულტურული მემკვიდრეობის მიუხედავად, საყდრისის საბადო უეჭველი განადგურების საფრთხის წინაშე დგას. 2013 წელს კულტურის სამინისტრომ მას 2006 წელს არქეოლოგიური მნიშვნელობის გამო მინიჭებული დაცული ტერიტორიის სტატუსი ჩამოართვა და RMG Gold-ს სექსპლუატიციოდ გადასცა. კომპანიას უფლება მიეცა გააგრძელოს ღია კარიერული წესით საყდრისის მადნის მოპოვება.

ქართულ-გერმანული არქეოლოგთა გუნდის მეთაური, პროფესორი თომას შტოლენერი წერილში, რომელშიც შექმნილ ვითარებას აანალიზებს, წერს: „ამით საქართველო დაკარგავს მისი კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს, რადგანაც არქეოლოგიასა და მეცნიერებას ამ საოცარ ძეგლთან წვდომა აღარასოდეს ექნება.“

ეს კი ამონარიდია ფოლკსვაგენის ფონდის გენერალური მდივნის, პროფესორ ვილჰელმ კრულის 2013 წლის 13 სექტემბრის ოფიციალური წერილიდან, რომლითაც მან საქართველოს პრემიერ – მინისტრს ბიძინა ივანიშვილს მიმართა.

„გაოგნებული ვარ იმ ახალი ამბით, რომ განზრახულია პრეისტორიული ხანის სამთომომპოვების ძეგლის განადგურება; საყდრისი წარმოადგენს მსოფლიოში უძველეს ოქროს მალაროს, უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელიც იმსახურებს როგორც დაცვას, ასევე მომავალ კვლევებს; გთხოვთ, დაუყოვნებლივ შეაჩეროთ ნებისმიერი სამთომომპოვება ძეგლზე და დააფუძნოთ დამოუკიდებელი კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო ექსპერტებით.“

თუკი უცხოელი პარტნიორები ასე განიცდიან საყდრისის ანმოსა და მომავალს, რატომ არ შეიძლება ამ გზისპირა ბორცვის გამოყოფა მთელი ტერიტორიიდან. ნუთუ არ შეიძლება ეს დაუმთავრებელი დავა უნიკალური არქეოლოგიური ბორცვის გამო, კულტურათა დიპლომატის რეჟიმში გადავიდეს და არ დადგეთ ძეგლის აფეთქების სამიშროების წინაშე?!

შემამფრთხილებელი და უხერხულია კულტურული მემკვიდრეობისადმი ასეთი დამოკიდებულება.

საყდრისი-ყაჩაღიანის ამოღება კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან ცივილიზებული ქვეყნისთვის მიუღებელია, რადგან ის ეროვნული და ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის ძეგლია.

ეკა ფხალაძე

# ნათხოვარი ქვეყანა

— წირვა დამთავრდა, ეტყობა. ნავალ, იქაც ვიდგები ცოტა ხანს... ვინმე რამეს გამოიმეტებს...

— მოიცა რა, — ხელი ჩაიქნია უქუდო მათხოვარმა, — მაგათ შენთვის რა უნდა გამოიმეტონ, საკუთარი თავისთვის სიცრუეში ცხოვრება უნდაღებიათ...

— ნუ დაიწყებ შენებურს. „იქაურებთან“ ჩხუბი არც მე მეპიტნავება. ჯობს გამომყევი, შენთან ერთად რომ დამინახავენ, იქნებ ცოტა მოლბნენ...

— გაგიჟებულხარ... ღმერთო... ღმერთო... თავიანთი მოგონილი იდეალის, მათივე შეთხზული მომავალი ტანჯვა — სამოთხის არ ემინიათ, — ცეცხლს მიუჩხრიკა, — ჩემი შეეშინდებთა?!

— დაიწყო... აღარ გაათავებს, — ჩაიბუზღუნა ქალმა, დაბლა მიგდებული საფულის ასაღებად დაიხარა და უნებურად ინვალიდის ხელნაკეთ ხის საგორაოს წამოედო, წაბორძიკდა.

— აქ მაინც დამანებეთ თავი! — რაც შეეძლო, იღრიალა ზედ მისვენებულმა უფეხო ახალგაზრდამ. — ქალმა ზურგი აქცია, შეუმჩნეველად, სწრაფად გადაინერა პირჯვარი და უხმოდ გაიძურნა.

— ტყუილი ვთქვი? — ხმას აუნია უქუდომაც და ცეცხლთან დარჩენილ-მიფიცებულნი მიმოათვალიერა, — რა... მითხარით, ტყუილი რაა... იოლად რომ ემართათ ერთმანეთი, იოლად რომ ეშოვათ ფული, იოლად რომ ებატონათ... უფალი ღმერთი დაარქვეს არარსებულ, მოგონილ ძალას, უხილავ ძლიერებას მიუძღვნეს ლოცვა, ხატი, სანთელი... ჯოჯოხეთი ცეცხლიაო... ის სანთელი ცეცხლად არ იწვის ვითომ... ეკლესიაში... ოჰ, ამ ყოფის დედაც!..

— ფუჰ, მართლად ეშმაკეული დღე იყო... — მღვდლის ანაფორაში გადაცემულმა ახალგაზრდა კაცმა ილიაში ამოჩრილი პლასტიკის გამჭვირვალე ყუთი წამოაყირავა, მინახე გადმოაპირქვა ახურები.

— მღვდლო, — ახლა მას მიუტრიალდა უქუდო კაცი, — შენ რას იტყვი, რას მიჩუმებულხარ! მგონი წამეტანი დავჩაჩანაკდი, უზიარებლად ნუ გამიშვებ იმ ქვეყნად, — ირონიით გახედა და დამცინავად განელილი ტურები მოარიდა.

„მღვდელმა“ ცეცხლისკენ მიშვერილი თვალ-ხელი მოაბრუნა და ძალღვივით შეიღრინა.

— აგე ეკლესია, აგე მღვდელი... იქ არი ცხოვნება. ბევრჯერ გითხარი, ამაზე ნუ მეხუმრები-მეთქი... ჩემი გამჭირვებია!

— ჩემთვის მღვდელი შენ ხარ: ანაფორა გაცვია, საეკლესიო შესაწირის აგროვებ, — უცებ ხმას დაუნია და დაფანტულად განაგრძო, — ხალხს ლოცვა-კურთხევასაც არ აკლებ...

— რაო?! — შეუტია „მღვდელმა“.

— რა რაო! — ხმა იმაღლა უქუდომაც, — რა რაო, ჩემი თვალით გნახე, რამდენჯერ რამდენს გადასწერე პირჯვარი და თავზე ხელი გადაუსვი. ვინ რა იცის მაგ შენი ბინძური ხელის ამბავი, ჯიბეში ჩაყოფა რომ ურჩევია.

„მღვდელი“ ადგილიდან წამოხტა, მუშტმეკრულმა გაინია უქუდოსაკენ.

— რამდენჯერ გითხარი!

— მეც გითხარი!

— შენ თუ ანაფორიანს ვერ იტან, რა ჩემი ბრალია!

— არა-მეთქი! — იყვირა უქუდომ, — მე ტყუილს ვერ ვიტან. ჯობს ანაფორის გადაცმას ხალხს იმად ეჩვენო, ვინც ხარ: სალსალამათი მატყუარა, ხელფეხსრულყოფილი ცბიერი მათხოვარი.

— გადი, შენი! — ხელი მსუბუქად ჰკრა „მღვდელმა“, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის მაინც უკან დაიხია.

— გაჩერდით... რა გაჩხუბებთ, რით ვერ გაიგეთ, რომ ეს საქართველოა, ძმაო, — ჩაიდუღუნა უფეხო ხეიბარმა.

— შენ რა, შენ ფეხებზე გკიდა... — მწარედ მიუბრუნდა „მღვდელი“. მაინც ყველას ეცოდებო, უნდოდა დაემატებინა, მაგრამ ხეიბრის გამოხედვამ თავი დაახრევინა.

— მე არავისთვის მითხოვია სიცოცხლე, მაგრამ გამაჩინეს... — სატკივრით ჩამუხრუჭებული სათქმელი არაბუნებრივი ტონით განაგრძო უქუდომ, — გამაჩინეს და აქაც დროებით... ეს რა, მოტყუება არ არი? გამაჩინეს და ეს ქვეყანაც დროებით მათხოვეს. რატომ, რისთვის, რომ მათხოვრობით გამელია ეს უთავბოლო გზა-ღრე-ბილიკი?

— ნადი, შენს შვილებს მოსთხოვე პასუხი.

— ჩემი შვილების დედაც!!!

ახალგაზრდა ბავშვიანმა ქალმა ჭუჭყიანი კაბა მოაფრიალა. ხელში მიძინებული ბავშვი მოწყვეტით მოიშორა მკერდიდან, ძირს გაფენილ ძონძებზე მიაგდოსავით და როყიო ხმით კაცივით შეიკურთხა.

— ძაღლები... ღორები... ერთი წიხლი არ მომაცოლეს მარტო... ამათი ჯიშ-ჯილაგი უნდა ამოაგდო... გასიებული მუცლები მანქანებში ვერ დაუტევიათ...

— კაი, კაი, ჩვენც დავგიტოვე საგინებელი! — გასაჩუმებლად უფრო ჩაერია „მღვდელი“.

— რით ვერ გაიგე, რომ ქუჩაში ყველანაირი ნაძირალა დადის. მარტო ერთი მიზანი უნდა გქონდეს: მათი სიბრალული დამისახროს. არც თანაგრძნობის გამოხატვა გჭირდება, არც მათი აზრის მოსმენა და გამოსავალი, ფული დაგიგდოს და გაიაროს... — ხეიბარმა ღრმად ჩაისუნთქა, ამოისუნთქა, ერთხანს წამლებსაგან მილულულ პატარას სიბრალულით უმზირა. მერე ჯიბიდან კანფეტი ამოაცოცა და გვერდით დაუგდო, — ჰო და ჰო! შეიგნეთ, ეს ქვეყანა ჩვენთვის უკულმა რომაა გაჩენილი. არ გეყოთ დღევანდელი საგიჟეთი გარეთ? ხომ შეიძლება, ჩვენც გვიხაროდეს რამე, ჩვენც გვსიამოვნებდეს რაღაც... — ყურებზე ხელები მიიბჯინა და ხმადაბალი ლიღინი დაიწყო.

ცოტა ხანს მართლა მიყურდა გარემო. ხალხის ფეხმა იკლო, თითქოს სიბნელე შთანთქა საადამიანო საქმე, გარემო. მიჩუმებულ მათხოვრებს თვალი მიშტერებოდათ აღდაკლებულ კოცონზე. ბავშვმა კანფეტი შეჭამა, ლეკვური ნმუკუნით მოაფათურა ხელი, დედის კალთას მოეჭიდა და გულზე მიიხუტა. ახალგაზრდა ქალმა უხეშად გამოგლიჯა კაბა, წამოდგა და მკლავით აითრია პატარა.

— ადე, შენს გამოფხიზლებას ველოდი, ისევე ხელით რომ არ მეთრეი.

— რამე გაგამწარა ეგრე! — შეუხედავად მიაგდო ბრაზი „მღვდელმა“.

ახალგაზრდა ქალმა ისევ კაცივით გადააფურთხა.

— ხალხო, — უქუდომ ოხვრით მიაბრუნა მოკეცილი ფეხი, — ერთი ჭირი გვაქვს, ერთი საქმე, თავშეყრის ერთი ადგილი... კაი, აზრი სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთს მაინც...

— ოჰოჰოჰო, კარგად მოუჭირა სიცივემ, ქუჩის ხალხო, რატომ არ დაიშლებით?! — ქოთქოთით მოვარდა ხნიერი ქალი.

— შენ გელოდებოდით... ეკლესიიდან წამოღებული მადლიანი კალთა რომ დაგებერტყა.

— დაყაჭე, რაც მოგიგროვებია.



ხნიერმა ქალმა დინჯად, გულდასმით, მაგრამ მაინც თითქოს მალევით ჩაყოლილი სინანულით ამოაბრუნა საქამრეზე დამაგრებული საფულე, ხურდა წამოყარა და თვალი, რომ არ მოუცილებია, ისე განაგრძო დანაწილება.

— ეს — მე, ეს — შენ, ეს — იმას... — მოულოდნელად ბავშვიანმა ქალმა მონყევით მიაგდო შვილი „მღვდლისაკენ“ და ხელებდაფარჩული ეცა ახალ-მოსულს, — აბა, კაბა ჩაიხსენი, მანდ ქალაღდის ფულს მალავ, ვიცი!!! — ლამის საკინძე ჩამოაგლიჯა გაავებულმა.

— გიჟი ხარ ვილაცხა... ეგ მოქარგული ფანტაზია, ეტყობა, შენი გამოცდილებით მოგძალდება... აბა, შენ გაიხსენი ეგ დასაწყევლი ღილები, იქნებ რას მალავ...

— ხომ ვამბობდი! მეერე მარტომ რომ ჩაიხსას ცეცხლადსაქციევი არაყი... აქ მოტანილი ყველასია, რით ვერ გაიგე.

— თქვენი სიცოცხლის გახარებამ, თვითონ არაფერს მალავთ უჩემოდ!

— შენ მე რას მედრები, მათხოვარო!

— მათხოვრის ხმა მესმის! — მიაძახა, სახე დაემანჭა, ჩვეულად ზურგი აქცია და თავისთვის ჩაილაპარაკა: „რჩეული ცოტაა, რჩეული — ცოტა!“

— მღვდლების ბუტუტურით ტვინგამოლაცხებულო! — მიაკვილა ახალგაზრდამ, ბავშვი ხელში აიტატა და თავისი წილი ხურდების ჩხრიალით გააბობცა ქუჩაში.

— ეგეთია ეს ქვეყანა-მეთქი, ხომ ვთქვი! საქართველოა, ძმო! გვინდა თუ არ გვინდა, ასეთი... გინდ ნათხოვარი ეძახე და გინდ სათხოვარი...

— რა შუაშია, ქვეყანა, ბიჭო, — „მღვდელმა“ მისკენ გაინია, გორგოლაჭებიანი საგორაოს კიდებზე გადმოშლილ კალთებს ფეხი დაადგა, ხელით საყელოში წაეტანა, მაგრამ შეკავებით მომუჭა და მუჯღუგუნის ნაკვრალა აკმარა. ბოლომდე არ გაუშვია, ასე, საყელოში მოჭიდებულივე მიატრიალა ქუჩისკენ, გამწარებული მარჯვენა აქეთ-იქით ქნევით აატრიალა, — რა შუაშია-მეთქი! აგე, იმის ბრალია... აგე, იმის... იმისიც...

ქუჩის სიშორეში მიწვდენილი სიტყვებით დამფრთხალი მგზავრები შიშინი თვლებით ერიდებოდნენ გაშვერილ საჩვენებელსა და როყოდ მოსროლილ ხმა-სიტყვას.

— დაწყნარდი! — ხმა დაეძაბა ხეიბარსაც, — ხომ არ გედავები, რად ჩხუბობ. ვიდრე სრულყოფილი ძალ-ღონე მქონდა, ვზრუნავდი, ვუნანილებდი. უეცარი უბედურების მერე... — თავი უკან გადასწია, რომ ყელს მონოლილი ნერწყვი ადვილად გადაეყლაპა, — სხვის ხელში ყურება აღარ მინდა, აგე, ვზივარ და სურვილით გამომეტებულ სამადლობელს ველოდები... ისევ იმათი იმედი მაქვს, შენ ვისზეც ბრაზდები და კრულვას უგზავნი... ეგეთი ყოფილა ეს ქვეყანა... მეთქი...

— დავიშალოოთ, — სიმღერასავით გააგრძელა უქუდომ, — ხვალისთვისაც მოიტოვეთ სალაპარაკო, სათხოვარი, საჩხუბი... ი... ი... იმედი, — ენაბლუსავით ძლივს გადმოაშორა კბილებს.

— რისი? — ლამის ერთხმად შეიძახეს დანარჩენებმა.

— რომ ხვალ ცოცხლები მოვალთ ისევე, დავრიგდებით ქუჩა-ქუჩა, მეტი კეთილი გამორჩდება და... ჩვენი სანაქებო „მღვდლისა“ არ იყოს, ნაკლები ეშმაკეული დღე გვექნება... — ფხუკუნ-ფხუკუნით დაიწყა და ხმაამაღლებულ სიცილს გაურია: ეშმაკეულიი...

ხნიერმა ქალმა კაბა დაიფრთხა, ჩუმი ღულუნით გაისწორა თმა, ღამე მშვიდობისაო, ჩაილაპარაკა და თავშესაყარს გაცდენილმალა აუნია ხმას:

— წუთისოფელში ჭირი გექნებათ, მაგრამ გამაგრდით, მან სძლია წუთისოფელს... ეგრე არ ამბობდა? ჰო... ჩემი რალა საქმეა, ვის დაუჯერებია და ვის არა...



ნინო ბაქანიძე

## ახალქალაქის ძველი სიმღერა

ერთი სახლი ორ მდინარესთან  
(ეკატერინე გაბაშვილი)

ახალქალაქში ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, დიდი თუ პატარა, ყველა მიგასწავლით გაბაანთ სახლს, სოფლის სიამაყეს, თემის პირას დავანებულ ამ უძვირფასეს საუნჯეს. ეკატერინე გაბაშვილის სახლის წინ მოზრდილი, წყალუხვი რუ მირაკრაკებს. აქაურები მას ნიაბურუს ეძახიან, რადგან მახლობელ სოფელ ნიაბში ჩაედინება. ნიაბურუს მეორე ნაპირზე კი, ოდნავ ქვემოთ, ჩემი სახლია. ალბათ, ამიტომ, ადგილობრივებზე ნაკლებად არ მეამაყება, რომ მეც ამ კუთხის შვილი ვარ. გაბაანთ ღობესთან ორი გუშაგი, ორი ასწლოვანი ალვის ხე აშოლტილა, რომლებიც დიდი გულმოდგინებით ფარავენ მათ უკან აღმართულ კოპწია სახლს; მაგრამ ხეების ამგვარი გარჯილობა სახლსა და ეზო-ყურეს უფრო მეტად სძენს იდუმალ, ზღაპრულ ელფერს. დილაობით ჩემი აივნებიდან გაცქერი საუკუნოვანი სახლის სახურავს, ვტკბები ალვის ხეების ცქერით, რომელთა ბებერ შტოებში მზის ანცი სხივები შემოცურებულან და მხიარულად ირწევიან აქეთ-იქით. ამ რწევა-რწევებაში კი სახლის სახურავი ჩემს თვალწინ კინო-კადრივით ჩნდება და ქრება. მეერე კვლავ ირინდებიან ალვის ხეები, მზეც გულ-ხელს დაიკრეფს და ჩვენი სახლების მიჯნის, ნიაბურუს დუდუნს აყურადებს. ვინ იცის, მერამდენედ ისმენენ ისინი მაგდანას ლურჯას, თინას ლეკურის, კონას დალუპვის, ღვინიას გადაჩხვის და სხვა გულისმომკვლელ ამბებს. ჩვიან და მოთქვამენ ნიაბურუს ტალღები. თუ კარგად მიაყურადებთ, მძიმე ჯაფით დამამვრალ გლეხ-კაცთა ჭირ-ვარამსაც გაიზიარებთ, სიცივისა და შიმშილისგან აცრემლებული ბალებების მუდარასაც და მიჯნურთა ტრაგიკულ სვე-ბედსაც. „ბუნება თითქო არ ყაბულობს, რომ კაცი დიდის ხნით სრული ბედნიერი იყოს“. — ოხვრით ადასტურებს ნიაბურუს



მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი

მონათხრობს ჩვენ სახლებს ქვემოთ წყალ (თუ ცრემლ) დამმრალი, გვალვით გატანჯული თეძამი. მაგრამ ეკატერინე გაბაშვილის პერსონაჟები მაინც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძვიან სიმართლისა და ბედნიერებისათვის. მათი სულის-შემძვრელი თავგადასავლები, რეალობიდან აღებული ადამიანური ისტორიები ერთდროულად გაძრუნებს და ძალასაც გმატებს. ალბათ სწორედ ესაა ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობების მთავარი ღირსება. „უსამართლობა კაცს მთასაც შეაბრძოლებს“. — შრიალ-ჩურჩულით მეხმთანებიან ბებერი ალვის ხეები. მერე კვლავ ნიაბურუ და თეძამი განაგრძობენ თხრობას და ამ გადაძახილ-გადმოძახილ დასასრული არ უჩანს. არ უჩანს, იმიტომაც, რომ ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედებას დავინყება არ უნერია. განა თვითონ მწერალი ქალი ერთ-ერთ წერილში სრულიად სამართლიანად ასე არ აფასებს თავის ორმოცდაათწლიან შემოქმედებით გზას: „ცოტათ თუ ბევრად ამ ორმოცდაათი წლის ნაღვანი აღნიშნავს იმ დროს სვლის ავ-კარგს, გამოსახავს ამა თუ იმ პირს ამ გასულის და ფრიად შესანიშნავი ხანისას ჩვენ ნაციონალურ თვითგანვითარებაში და წინსვლაში“.

კი, მაგრამ — ალვის ხეებს უკან მიმალული სახლი?! განა ბევრმა იცის, რა ხდებოდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ამ ძველთაძველ კედლებში? რა სატიკვარსა და საფიქრალს ინახავენ ისინი? მგონი, დროა, ჩამოვაცილოთ აქაურობას მივინყების საბურველი! — ერთბაშად ვიღებ გადაწყვეტილებას და ფრთხილად გადავიღვარ ნიაბურუზე გადებული სახელდახელო ხიდეზე. „მიყვარს ნაკადული, პატარა, ანკარა, ლულუნ-ჩუხჩუხით ტკბილად მომავალი თავის ვინორ, ათასფრად აყვავებულ სანოლში...“ — გალობს გაბაშვილი წიგნის პირველი ჩიტი-ჩიორა — „მაგრამ ყველაზე უფრო ნაკადული მე იმისთვის მიყვარს, რომ ის არის სიცოცხლის მომასწავებელი, ის არის გამაცოცხლებელი, სულისჩამდგმელი, ედემად მქცევი გამხმარი, შავი დედამიწის გულისა...“

გაბაშვილს სახლი ერთსართულიანია. შეაბიჯებ თუ არა, მშვენიერ, ფართო ეზოში, მყისიერად შეიგრძნობ გარდასულ დროთა სურნელს. ორიოდ საფეხურის ავლაა საჭირო, რომ უზარმაზარ, ნათელ დარბაზში მოხვდე. მას დღესაც ამშვენებს „Birmann“-ის ფირმის ძველი როიალი. ეკატერინეს შვილთაშვილი, ბატონი ზურაბ ჩუბინიძე ახლა მეორე, ოდნავ მომცრო დარბაზისკენ მიმიძღვის და დიდი მონივნებით მიჩვენებს სასიქადულო მწერალი ქალის პორტრეტს, რომელიც ეკატერინეს შვილიშვილს, შალვა მაცაშვილს შეუსრულებია (ცნობილ კოჯრის ბრძოლაში გმირულად დაღუპული მარო მაცაშვილის ძმას).

ეს უმშვენიერესი, თემისპირა ბალი ეკატერინე თარხნიშვილისთვის მზითვად მიუცია ბიძას, თავად ალექსანდრე გაბაშვილს და დაქორწინების ნიშნად. სახლი კი უფრო გვიანდელია. იგი ეკატერინეს უფროს ვაჟს, რეზო გაბაშვილს დაუპროექტებია (რეზო გაბაშვილს განათლება მიუღია ბელგიაში. მას დაუმთავრებია ლიეჟის ელექტრო-ინსტიტუტი). იმ დროიდან ახალქალაქი მწერლის უსაყვარლეს საცხოვრისად გადაქცეულა და ღრმა სიბერეში სწორედ აქ, ამ კედლებში დაუღუპია სული...

— ვინ არ სტუმრობდა ჩვენ სახლს, — განაგრძობს თხრობას ბატონი ზურაბი, — ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, აკაკი წერეთელი... პაპაჩემი, გიორგი გაბაშვილი ხშირად ამაყად გაიხსენებდა, როგორ მოაგვლევებდა მათ ქიშკართან ცხენს სოფელ ხოვლედან სტუმრად მომავალი ივანე ჯავახიშვილი. სხვათა შორის, პაპას იმის გახსენებაც უყვარდა, თუ რა სიხარულით მიჰყვებოდა დედას საგურამოში, ილია ჭავჭავაძის ოჯახურ თავყრილობებზე...

მოკრძალებით ვთხოვ ჩემს კეთილ მასპინძელს, მიჩვენოს მწერლის სხვა პირადი ნივთები და ძველი ფოტოები, მაგრამ ბატონი ზურაბი მისხნის, რომ თითქმის ყველაფერი, რაც ჟამთასვლას გადაურჩა, დღესდღეობით საისტორიო არქივშია

დაცული... — არა, ამ ფოტოს გარდა — ლიმილით „მამხნევებს“ ბატონი ზურაბი, — შეგიძლიათ, გადაილოთ: ეკატერინე გაბაშვილი მეუღლესთან და ხუთ შვილთან ერთად (ეკატერინეს სულ თერთმეტი შვილი ჰყავდა). ეს ფოტო ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, აქამდე არასდროს გამოქვეყნებულა... ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, ზურაბ ჩუბინიძე კი ამასობაში ეკატერინეს მულისშვილზე, ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლეზე მომითხრობს:

ნინო პოლტორაცკაიას მშობლებს, ივანე პოლტორაცკის და ნადეჟდა გაბაშვილს, ცხადია, არ ენდომებოდათ ქალიშვილის გათხოვება ნიჭიერ, მაგრამ უსახლკარო ყმანვილზე ამიტომაც ახალდაქორწინებულთათვის სწორედ ეკატერინეს დაუთმია თბილისის ბინა. ექვთიმესა და ნინოს შეუღლება ილია ჭავჭავაძის ინიციატივა ყოფილა, რომელიც ნინოს მამის, ივანე პოლტორაცკის, ახლო მეგობარი გახლდათ. ეკატერინემ ამასთან დაკავშირებით ერთი საგულისხმო ცნობაც შემოგვინახა, — განაგრძობს ჩემი მასპინძელი — ილია ჭავჭავაძე ცხოვრებაში ერთადერთხელ უნახავთ თვალცრემლიანი და ისიც, ივანე პოლტორაცკის დაკრძალვაზე...

ამ მეტად საინტერესო მონოლოგს ბატონ ზურაბს შვილიშვილების ჟრიაშული აწყვეტინებს. ეკატერინე გაბაშვილის სახლი სიცოცხლეს აგრძელებს და ეს, პირველ რიგში, ბატონ ზურაბ ჩუბინიძის დამსახურებაა.

მასპინძლის თხოვნით კვლავ ეზოში გამოვდივართ. სახლის უკან მშვენიერი ბაღია და ვენახია გამწვანებული. ხის მერხზე ვსხდებით. უკვე ბინდდება. თუმცა მოსათხრობი ჯერ კიდევ ბევრია.

— ეკატერინე გაბაშვილი მარტო მწერალი კი არა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და დიდი ქველმოქმედი იყო, — ნაჩქარევად განაგრძობს ლაპარაკს ბატონი ზურაბი. — თუ გახსოვთ, მისი ერთი პერსონაჟი ამბობს კიდევ: „შრომა და სწავლა ხელიხელს ჩაკიდებული მტრისგან დაუძღვევია“—ო. თურმე, ჯერ კიდევ გათხოვებამდე, ეკატერინე ღარიბ ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას. გათხოვების შემდეგ კი თბილისის ბინაში ქალთა ხელსაქმის სუთნლიანი სკოლა გაუხსნია, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო საგნებსაც ასწავლიდნენ. როგორც გითხარით, ამ სახლში — კვლავ ფანჯრებისკენ იწვდის ხელს ბატონი ზურაბი, — ხშირად იკრიბებოდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ქვეყნის საჭირობოროტო საკითხებზე სათათბიროდ.

ამ მხრივ ეკატერინე გაბაშვილი მართლაც რომ გამორჩეული პიროვნება გახლდათ. მან სრულად გაიზიარა თავისი ქვეყნის სატიკვარი: „ნუთუ მხოლოდ უბედურებას შეუძლიან კაცს ბედნიერების გზა აპოვნინოს?“ — კვლავ გადასძახის ნიაბურუ მწუხარე თეძამს.

ეკატერინე გაბაშვილმა მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება მართლაც ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის და ბედნიერებისათვის ბრძოლას შეაღია. ქართულ საზოგადოებას თავის დროზე ძალზედ დაუფასებია მწერალი ქალის ამაგი და 1911 წელს, დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავს მისი სამოცი წლის იუბილე. ქართული თეატრის სცენაზე ეკატერინე აკაკი წერეთელს გამოუყვანია, შესავალი სიტყვაც წარმოუთქვამს და ბოლოს მოკრძალებით მთხვევია ხელზე. მწერლის იუბილეს-



ეკატერინე გაბაშვილი

თან დაკავშირებით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მისი თხზულებების სრული კრებული გამოუცია. აი, ეს ეკატერინეს საიუბილეო სიტყვის ტექსტია, ალბათ, გამოგადგებათ. — მოკეცილ ფურცელს მანვდის ბატონი ზურაბი.

ამასობაში ლამდება. ვემშვიდობები ჩემს კეთილ მასპინძელს, ბატონ ზურაბ ჩუბინიძეს და ჩაფიქრებული მივუყვები ნიაბურუს ნაპირს. სახლის გუშაგი, ასწლოვანი ალვის ხეები ახლა მთვარის მკრთალ სხივებს ებასებინან და ჩემთვის არა სცალიათ. ნიაბურუსაც მისძინებია ვერცხლისფერ ბურუსში. სახლამდე ვერ ვითმენ და შუა გზაში მასპინძლის მოცემულ ქალღმერთს ვშლი, თუმცა სიბნელეში ვერაფერს ვარჩევ. მხსნელად მთვარის სხივები მევლინებიან, სრიალ-ბზრიალით ეშვებიან ალვის კენწეროებიდან და გაშლილ ფურცელზე ციციანათელებივით ეფინებიან. არ ვიცი, მართლა ვკითხულობ ეკატერინე გაბაშვილის მიმართვას მშობელი ქვეყნისადმი თუ ქვემოდან თემძის ხმა ჩამესმის: „ყოველი წამი ჩემი სიცოცხლისა გეკუთვნის შენი და შენი გაუმჯობესების სურვილს. და თუ ჩემი ნაბიჯი მკრთალი და უფერულია, ნუ დამსჯი... ის ხომ რაც არის, შენია და შენ გეკუთვნის!“

სახლში შესვლამდე კიდევ ერთხელ გავხედავ ბნელში გარინდულ ალვის ხეებს, ვაყურადებ მინაბული ნიაბურუს ღულუნსა და თემძის ფშვინვას. მათ სიზმრებს ახლა მთვარის სხივები ფაქიზად წნავენ, რათა ფიანდაზად გადააფინონ მიძინებული, ძველთაძველი სახლის სახურავს...

**ერთ მდინარეში ორჯერ შესული კაცი  
(გივი გვაგაჭკორი)**

სალამო ხანს მივუყვები მდინარის ნაპირს და უბრალოდ, მჯერა, რომ სასწაულები მარტო აქ, თემძის ხეობაში ხდება.

— სასწაულები მთელ დუნიაზე ხდება. — ისე დინჯად მომმართავს ჩემკენ მომავალი კაცი, თითქოს ფიქრების ამოცნობა შეძლებოდას (მიკვირს, რომ აქამდე ვერ შევნიშნე!) — ისე, სასწაულსაც გააჩნია, — ხმადაბლა განავრძობს იგი — მაგალითად, მხოლოდ აქ, „ქართლის ერთ პატარა სოფელში, თემძის ნაპირას“, შეიძლება ერთმანეთს შეხვდეს წელიწადის ოთხივე დრო. ჰოდა, რაკი სასწაულებისა გჯერა, ერთიც მიიხედ-მოიხედე! — შეცბუნებული ვიყურები აქეთ-იქით. უცნობი კი ისე სწრაფად მშორდება, ხეირიანად თვალის შევლება-საც ვერ ვასწრებ. ამასობაში მთელი არე-მარე მოვარდისფერო-მოლურჯო, გამჭვირვალე ბურუსში ეხვევა. მდინარე კი მაინც ისე თვალისმომჭრელად ელვარებს, თითქოს ზეცას ვარსკვლავებით ნაქარგი კალთა მასზედ დაებერტყოს. დღეა თუ კამეა?! ვინ მეტყვის სწორ პასუხს, როცა მაღლა, გორაკზე, კალოუზნის სალოცავთან მზე და მთვარე ერთურთს შეყრიან. ისინი თავიანთი სხივ-ნათელით ჭრილობებს უამებენ დიდი თურქობის დროს უმანკო ბალებების სისხლით მორწყულ მინას (ნეტა, ეს სიმართლეა, თუ მხოლოდ შემზარავი თქმულება, ჩვენს კუთხეში რომ დღემდე ჰყვებიან?) ვინ მეტყვის სწორ პასუხს, როცა უცნობი სადაცაა მოვარდისფერო-მოლურჯო ბურუსში ჩაიკარგება: „მზე ირიბად დამყურებს, /სანამ მოეფარება/ კალოუზნის საყდარს“... — შორიდან ჩამესმის მისი ხმა.

ნეტა, ვინ იყო უცნობი მგზავრი?! ან, საერთოდ, რა ხდება ჩემს თავს?!

— განსაკუთრებული, არაფერი. — ჟღერტულეებს ჩიტი-ჩიორა, — უცნობი, უბრალოდ, წავიდა...

— სად? (იქნებ დავენიო!)

— არსად, — ტოტზე მხიარულად ფრთხილდება ჩიტი. — ის მუდამ აქა, თემძის პირას. — ტოტი ირხევა და ფოთლები თოვლის ფანტელებით იფანტებიან ჰაერში.

— განა შეიძლება, ადამიანი იმავდროულად წავიდეს და თან მუდამ აქ იყოს? — ვჩურჩულებ მე.

— შეიძლება, შეიძლება! — თავს დამტრიალებს ჩიტი-ჩიორა, — ოღონდ, მხოლოდ აქ, მდინარის პირას, წელიწადის მეხუთე დროს...

მაშ, ასე: ახლა თურმე წელიწადის მეხუთე დროში ვიმყოფები. ამიტომაც, რომ მზე და მთვარე ერთად ანათებენ ზეცაზე... ირგვლივ კვლავ დაფარფატებენ ფოთლები. ერთი მათგანი ნება-ნება ეშვება ჩემს ხელისგულზე. ეს ფოთოლი კი არა, თოვლის ფანტელია, გაყინული ცრემლია, რომლის წაკითხვაც შეიძლება. თეთრ, ქათქათა ფურცელზე კი აი, რა წერია:

**პოეზიას თავისი  
კალენდარი ჰქონია  
და უკალენდაროა,  
რადგან ის ერთდროულად  
წელიწადის ოთხივე  
და მეხუთე დროა.  
(„ანა კალანდაძეს“)**

ქათქათა ფურცელი ფიფქვით მადნება ხელში. ნეტა, უცნობი თავად ხომ არ იყო პოეზია, თავად ხომ არ არის ალთქმული სასწაული?!

— ასეა, ასეა! — მხიარული ჟღერტულით მიდასტურებს ჩიტი-ჩიორა, — ადამიანი ყოველთვის მიდის, ცხოვრების კიბეზე დღეს თუ ხვალ, რომელიმე საფეხური აუცილებლად ჩატყდება. სულის კიბე კი უსასრულოა. თავის რჩეულებს ზეცამდეც აიყვანს და საკუთარ ფესვებთანაც დააბრუნებს. აი, ამგვარად:

**ჩემი ფესვია წარსული,  
თავს თუ დავაღწევ ოდესმე,  
მხოლოდ სიკვდილის ფასად.  
მოლოდინია ამაო!  
მე როგორ დავუბრუნდები,  
მე არ წავსულვარ არსად.  
(„ესმა“)**

კაცი, — რომელსაც გულმხურვალედ უყვარდა თავისი დედულეთი, ქართლი, სოფელი ახალქალაქი („არსებობს ქართლის ერთი სოფელი, / ის არის სადღაც თემძის ნაპირას...“) — გივი გვაგაჭკორი.

მისი პოეზიის ფერადოვან ხალიჩაში პაციოსანი თვლებით ციმციმებენ მშობლიური კუთხის წარმტაცი პეიზაჟები, ბავშვობისა და ახალგაზრდობის მშობლიური სახლ-კარის ამსახველი სურათ-ხატები. ოღონდ პოეტურ ქსოვილს აქა-იქ მუქი ფერებიც გადაჰკრავს. ეს ქართლის ისტორიის უმძიმესი ფურცლებია, მისი გმირული წარსულია, ასე რომ შეუხისხლხორცებია პოეტის სულს:

**დღეს მეთორმეტე საუკუნეა...  
ბოლოს მოვედი, მგონი...  
თეძამს გავტოპავ, აქ არის რკონი.  
მე მაკისრია დღეს უმაღლესი  
ვალი — გავწირო თავი ძმათათვის...  
ვარ უსახელო მეფის ვასალი...  
ახლოა მტერი უბოროტესი.  
უნდა აოხროს,  
აჭრას, დახოცოს...  
ციხის გოდოლზე დავანთებ კოცონს.  
დაინახვენ...  
კაცი შვიდასი  
გუშინ ავიდა ერთანმინდაში.  
მანამდე იქნებ გავუძლო ალყას...  
ო, ნუთუ გვერდით არავინ არ მყავს?  
(„რკონი“)**

გივი გეგეჭკორის ლექსებში სხვა ტკივილებიც იკითხება — ესაა, გარეგნული ადამიანის, „ქალაქში მომწყვდეული კაცის“ სულიერი ტანჯვა, მისი გამუდმებული ლტოლვა წარსულისაკენ, ფესვებისაკენ, რათა განახლებული, გაჯანსაღებული სული კვლავ დაუბრუნდეს ანმეოს და მომავალს. ესაა — „ლექსი ატირებულ კარის ფიცარზე“:

**...მეც ამ ფიცარივით ვარ,  
ასე გარანდული ვარ  
და მეც ასე მღებეს,  
მომწყვდეული ქალაქში,  
აყოლილი ქალაქის  
სურვილებს და ვნებებს.**

**მხოლოდ ზოგჯერ ბაზარში  
ხელს რომ მომითათუნებს  
ატმის რბილი ხაო,  
სევდიანი ქალწულის  
მზერით სულში იღვიძებ,  
ერთანმინდის ცაო!**

ის, ვისაც ხელეწიფება მოჯადოებული წრის გარღვევა, ვინც ერთხელ მაინც დააღწევს თავს ქალაქის მტვრიან ლაბირინთებს, უეჭველად მიხვდება, რომ

**ერთხელ ჩასვლა სოფელში  
კარგი წიგნის მეორედ  
გადაკითხვას უდრის,  
როცა დამარცხებული  
ხელმეორედ იღვიძებს  
გარძნობა მესაკუთრის.  
(„ერთანმინდა“)**

თუმცა, ჯადოსნური წრის გარღვევა, ბუნებასთან და წინაპრებთან დაბრუნება, პოეტს ახალ, მძიმე საფიქრალს უჩენს: ესაა, ყოფიერების არსის წვდომის, სიკვდილ-სიცოცხლის რაობის, სიკვდილის დაძლევისა და მარად უკან დაბრუნების ტკივილიანი საფიქრალი. „სამყაროს განსმულობა“, „სამყაროს შიდა სივრცე“ ავსტრიელმა პოეტმა რაინერ მარია რილკემ ადრიატიკის ზღვის პირას შეიმეცნა. გივი გეგეჭკორმა კი „წელიწადის მეხუთე დროის“ საიდუმლოება თემის ტალღებში ამოიკითხა. მეც ხომ სწორედ თეძამთან შევხვდი პოეტს, მოვარდისფრო-მოლურჯო ბურუსში გახვეულ ნაპირთან, მზე და მთვარე დაგენათოდა თავზე, უწყვეტლივ გალობდა ჩიტი-ჩიორა, ჰაერში კი თეთრი ფანტელები (თუ ლექსები) დაფარფატებდნენ.

— ეს ცხადია თუ სიზმარი?! — მაინც ვფიქრობ მე — ნუ-თუ ახლა თემის ნაპირზე ვდგავარ?!

— მუდამ გახსოვდეს, — მპასუხობს პოეტი, — „ხილული მდინარის გვერდით/ არის მდინარე უხილავი...“ ეს ყველაფერი მრავალჯერ მინახავს, ახლა შენც გაჩვენე და „თუ ჩემს ენაზე ლაპარაკობ, / უნდა გაიგო“... გავა დრო, მენც ჩემსავით მოხვალ უხილავ მდინარესთან, მოხვალ და ჩამომძახებ:

**არასოდეს დავივინებ,  
რაც მაშინ ვნახე დილის ბურუსში,  
ამ ქვეყანაზე როცა ერთხელ უკვე ვიყავი.  
(„დაბრუნება“)**

— ნუ ნახვალ, ნუ... ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ აქ, უხილავი მდინარის პირას! — ვედრებით მივმართავ პოეტს.

— ცოტა ხანს?! — ჩაფიქრებით იმეორებს იგი, — რისი თქმა გსურს? გახსოვდეს, წელიწადის მეხუთე დრო — იგივე მარადისობაა:

**დროა!.. მეძახის უსაზღვრო  
სივრცე,  
ვინ დამინესა ეს ჰორიზონტი!..  
(„სეზამ, გაიღე!“)**

ნაცნობი სილუეტი თანდათან მშორდება — ის მიდის, რომ კვლავ დაბრუნდეს. — ხმადაბლა მღერის ჩიტი-ჩიორა და ტოტიდან ფრინდება — რაღას უყურებ, მომყევი, ჩვენც გავინავარდოთ:

**და მე ვიყავი ძალიან მაღლა,  
სახლებზე მაღლა,  
ხეებზე მაღლა,  
იქ, სადაც მაღლა,  
ღრუბლებზე ზევით...  
(„მე ვიძინებდი ძალიან ადრე“)**



გივი გეგეჭკორი

დავლივლივებ ასე ჰაერში, მსუბუქად, ლაღად, კალოუზნის სალოცავსაც ავცდი და ჩიტი-ჩიორაც უკან მოვიტოვე. ქვემოთ ვერცხლის ძაფითა მოჩანს თეძამი. კვლავ ვხედავ ნაცნობ სილუეტს. ის უხილავ მდინარეში შედის. სადაცაა, წყალი დაფარავს, მაგრამ შიშის ნაცვლად, რატომღაც საოცარი სიმშვიდე მეუფლება.

— ვის შეუძლია ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა?! პოეტს, მხოლოდ — პოეტს! — ლაყვარებში გალობს ჩიტი-ჩიორა. ქვემოდან კი ისევ მესმის ძვირფასი ხმა, ჩემამდე ყრუდ რომ აღწევს:

**შენ უბადრუკზე უბადრუკო უბადრუკებში,  
ერთსა და იმავ მდინარეში ორჯერ შესულო,  
თუ კი ღირსი ხარ, ღირსეულად რომ აღესრულო,  
ნუ ნახვალ ისე,  
რომ არავის არ სცე ნუგეში!..  
(„ნუ ნახვალ ისე, რომ არავის არ სცე ნუგეში“)**

კვლავ თემის პირას ვდგავარ. ჩიტი-ჩიორაც იქვე, ტოტზე ჩამომჯდარა და ნალვლიანად შემომცქერის. ცა მოქუფრულა. აღარც მზე ჩანს, აღარც მთვარე და აღარც ჩემი მგოსანი.

— ის დაიღუპა! — სასონარკვეთით ვამბობ მე.

— დამშვიდდი, — დინჯად მომმართავს ჩიტი, — განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. პოეტი უხილავ მდინარეში შევიდა. ეს არის და ეს! ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია!

— ნეტა, კიდევ თუ შევხვდები? ოდესმე მაინც...

— შეხვდები, შეხვდები! — კვლავ ჟღერს ჩიტი. — შენ ხომ მისთვის „მომავლის სულიერ ამხანაგად“ იქეცი... ჯერჯერობით კი თავად მიხვდები, როგორ განაგრძო ცხოვრება!

მადლობას ვუხდის ძვირფას ჩიტუნას და უმაღლესი ვცილდები ხილულ მდინარეს, მის ხილულ ნაპირს...

სახლში, წიგნის ერთ-ერთ თაროზე გივი გეგეჭკორის ლექსების კრებულს ვპოულობ, ალალ-ბედზე ვფურცლავ და ვკითხულობ:

**მე ალბათ უნდა გავიზიარო  
მივიწყებული პოეტის ბედი,  
მაგრამ უეცრად მტვრიან თაროზე  
ნამაწყდები და აღვსდები მკვდრეთით.  
შენ დაგაფიქრებს ის, რაც ოდესღაც  
მე მაფიქრებდა და არ მართობდა,  
შენ დამაბრუნებ და გამაცოცხლებ,  
შეცვლი განაჩენს და აღუცხლები  
გულგრილი ჟამის უსამართლობას...  
(„მცირე ანდერძი“)**



ფანჯარას ვალებ და ჩაფიქრებული ვუსმენ ხილული მდინარის დუღუნს. ახლა ზაფხულია, წელიწადის მესამე დრო — ზაფხულის თბილი ღამეა, ოღონდ ის უკვე არაფერს მეუბნება, სრულიად აღარაფერს!

ხვალე ისევ გათენდება, დაღამდება, გათენდება... და, მეც მეტი რა დამრჩენია, მოთმინებით დაველოდები წელიწადის მეხუთე დროის დადგომას.

**სურვილდამხრალი კაცი მდინარესთან (ნოდარ მამაცაშვილი)**

გამთენიისას მეღვიძება, უფრო ზუსტად — ღამისა და დღის გასაყარზე. ეს ენით გამოუთქმელი, ერთგვარი „შუალედური დროა“, როგორც პოეტი იტყვის: „დროის შუალედური სივრცეა“. დრო — როცა ჯერ კიდევ ბნელა, თუმცა გარინდული ბუნება თანდათან იწყებს შრიალ-ჩურჩულს. არა, ეს მგონი სულაც სიზმრის ანგელოზები ამრიალებენ ფრთებს და ბელურების ადაჟიოს ფონზე, ჯერ კიდევ ჩამუქებულ ზეცაში გასაფრენად ემზადებიან. ახლალა ვხვდები, ასე ადრე (უფრო სწორად — უდროო დროს!) გავიძობის მიზეზს. ძალიან მინდოდა, ჩემი სიზმრის ანგელოზი შემეყოფნებინა. სიზმარი კი ერთობ უსიამოვნო და წვეტილი იყო, თანაც — ფინალური წარწერის გარეშე: „გაგრძელდება იქნება“. ჰოდა, ანგელოზს ნავნვდი კიდევ ფრთაში, მაგრამ ეს კეკლუცი არსება ისე მარად დადისხლტა ხელიდან, რომ სიზმრებით მოჩითული ფრთებიც მთელი შერჩა და ჩემი განანწყენებაც ხომ შერჩა და შერჩა! არაუშავს, რალაცას თავად მოვახერხებ. დღეს თუ ხვალ, მაინც გავემგზავრები სიზმრების კუნძულზე და იქ ვისიზმრებ ნანატრ, ნათელ, ბავშვობისდროინდელ სიზმრებს. მთავარია, როგორმე საამისო ძალა მოვიკრიბო. მიყუროს მერე შორიდან ჩემმა ანგელოზმა, უმუშევარი რომ დარჩება! გამალებით ვწვდები ფურცელ-კალამს და სამოქმედო გეგმის შედგენას ვიწყებ, თუმცა ენთუზიაზმი რატომღაც მალევე მიქრება:

**უთუოდ უნდა გავემგზავრო წყნარი სიზმრების კუნძულზე ქარის ექსპრესით. მოვანატრო იქნება თავი, მაგრამ ხომ ვიცი ჩემი ამბავი, — მომიბრუნდება ისევ გული როგორც ყოველთვის. („მივემგზავრები სიზმრების კუნძულზე“)**

— მეც მაგის იმედი მაქვს „როგორც ყოველთვის“. — ირონიულად ჩამომძახის ფანჯრის რაფაზე შემოსკუპული ანგელოზი, თან ჩემ მიერ უნებლიეთ აბურდულ სიზმრებს ისწორებს ფრთებზე. — ან, ნეტა რით ხარ უკმაყოფილო? ყველა ადამიანი ისეთ სიზმარს ხედავს, როგორსაც იმსახურებს. ადრეც რამდენჯერ დამქადნებიახარ, რამდენჯერ გიცდია ბავშვობის ბედნიერ ხანაში დაბრუნება, შენი ფესვების პოვნა და განახლება, მაგრამ ვერც ადრე შესძელი ეს და როგორც ვხვდავ, ვერც ახლა შესძლებ. ჰოდა, მე რალას მერჩი? რას მოითხოვ ჩემგან?!

— აღარც არაფერს, ალბათ, მართალი ხარ... — ოხვრით ვეპასუხები მე.

— ბა, ერთი შენი ადრინდელი ლექსიც გაიხსენე — მედიდგულება ანგელოზი, — თუ ეგეც მე ვარ?

დაბნეული ვიქექები ძველ ფურცლებში და ჩემდა სამწუხაროდ, ვპოულობ, რასაც ვეძებდი:

**მოვიძინარე ნუხელის თავი ჩემს ძველ სანოლში. ვით სახუნდარში — ჩავუსაფრდი ბავშვობის სიზმრებს. მიტყუება მინდოდა მათი.**

**გაცნაზე სული, უდარდელად დავინყე ფშვინვა და ხელისგული ამოვიდე ლოყის ქვეშ ისე, როგორც მჩვეოდა ჩემს ბავშვობაში.**

**შენც არ მომიკვდე, არ გამეკარნენ.**

**ჩანს, რომ მიმიხვდნენ ეშმაკუნები.**

**რა გაენყობა, ისევ მომიწევს, ამალამაც,**

**ტილვევიზორის სენსაციების გადამღერება.**

*(„ნადირობა სიზმრებზე“)*

— ასეა, ბატონო, აგერ, სადაცაა გათენდება. ჩართე ტელევიზორი და გადააყოლე გული, რამდენიც გენებოს. — დამცინავად მომმართავს ანგელოზი, სიზმრებს კრიალოსანივით აჩხაკუნებს ფრთებზე და ფანჯრიდან უჩინარდება. ვბრაზობ ანგელოზზეც და საკუთარ თავზეც. ეჰ, რა გაენყობა?! დროის გასაყვანად ისევ კალამს ვიღებ ხელში და ვწერ:

**გადაფრენილი სასთუმალქვეშ მიგდია ძილი, დღე ჭირვეულობს როგორც ქალი გაუბედავი. ხოლო სიზმარი — ჩემი ხვედრი და ჩემი წილი სხვას მიუწვება როგორც მეძავი.**

*(„ნოქტიურნი“)*

კვლავ მარტო ვარ ოთახში. ვერა და ვერ ინათა. რით ველარ გავიდა ეს ოხერი „შუალედური დროა“ თუ რალაც?! ტელევიზორიც ვერ ჩაურთავს ადამიანს. სიზმარი კი არა, რულიც აღარ მეკარება. რით შევიქციო თავი? ანგარიშმიუცემლად შევყურებ ოთახის შიშველ, დაბზარულ კედლებს. ისინი ახლა განსაკუთრებით პირქუში და უცხო მეჩვენება. თითქოს სულიც მეხუთება... იქნებ ეს საერთოდაც არ არის ჩემი ოთახი, ან ოთახი კი ჩემია, მაგრამ მე — მე არ ვარ?! ამ რალაც „შუალედურ დროსა და სივრცეში“, როგორც ჩანს, ყველა და ყველაფერი სახეს იცვლის. ისევ სჯობს, გარეთ გავიდე და სუფთა ჰაერზე გავისეირნო. იმ უცნაური სიზმრის შემდეგ ადგილს ვერ ვპოულობ, თუმცა მანამდე ერთი საქმეც უნდა მოვილო:

**ილუზიების ქუტა მწერები — სახიფათონი და აბეზარნი — მივასრისე კედლის შპალიერს ამოუხსნელ პიქტოგრამებად. („გამოთხოვება“)**

დილა-ბნელში ისევ ვხვდავ საკუთარ თავს მდინარის პირას (მაგრამ, საიდან გაჩდა აქ მდინარე?! ნეტა, თეძამი ხომ არ არის? ჩემი დიდი პაპა, მერე — პაპაჩემიც აქაური მკვიდრი მაცხოვრებლები იყვნენ. მამაცაშვილები დღესაც ბლომად სახლობენ ახალქალაქში. როგორც მსმენია, ჩემი გვარი მეტისმეტად ელოლიავება ლეგენდას, ვითომდა ყრმა დავით აღმაშენებელი თეძმის ხეობაში გაუძიძავებიათ მამაცაშვილების წინაპრის ოჯახში (თუმცა ეს ფაქტი ისტორიულად დადასტურებული არ ვახლავთ). ასეა თუ ისე, მე — ნოდარ მამაცაშვილი ახლა ვხვდავ საკუთარ თავს მდინარესთან, დროის ჩვეული მდინარებიდან სრულიად ამოვარდნილი და რის ვაი-ვაგლახით ვიხსენებ ნუხანდელ სიზმარს. ჰო, აი, რა ვნახე:

ვზივარ მდინარესთან ანკესით ხელში და მოთმინებით მივეჩერებივარ ტივტივას. ამ დროს, სად იყო, სად არა, ოქროს თევზი მეცხადება და გაოგნებულს მარწმუნებს, რომ „ნამდვილად ოთხმოცდათხუთმეტი სინჯის ოქროს თევზს“ ვესაუბრები. რა თქმა უნდა, სამი სურვილის შესრულებასაც მპირდება, მაგრამ „მე სავსებით მოუმზადებელი ვარ ამისათვის“. ოქროს თევზი კი დაჟინებით თავისას გაიძახის. დახეთ ერთი, „რა ჩინოვნიკივით მანება ეს დალოცვილი. გეგონება მთელი ცხოვრება ამაზე უნდა მეფიქრა, ისე მაყვედრიან თავს. იმას

არც კითხულობენ, გიღირს თუ არა მაგათი სერვისი“. მოკლედ, თეგვი უკმაყოფილო სახით უჩინარდება ტალღებში. შვებით კი ამოვისუნთქე, მაგრამ „მანც გამიფუჭდა გუნება. რატომ, არ ვიცი“. სწორედ ამის გარკვევა მსურდა, როცა სიზმრის ანგელოზმა შემეფხიზლა და მერე, ეს სურვილდამშრალი კაცი ბედის ანაბარა მიმატოვა. უი, რა კარგი შედარება მომაფიქრდა — სურვილდამშრალი კაცი! ზუსტად ჩემზეა ზედგამოჭრილი. ახლავე სიზმარსაც ჩავინერ უბის ნიგნაკში და ასეც დავასათაურებ: „სურვილდამშრალი კაცი“.

ფიქრში ნასული ნელ-ნელა მიფუყვები ნაპირს. რას ვიზამთ? ახლა ასეთი ცხოვრებაა, რას მიქვია ოცნება და ილუზიები? სურვილები და დიადი საქმენი? იცხოვრე რა დღევანდელი დღით: პრესა-რადიო-ტელევიზია-კომპიუტერი... ასე მოიტანა დრომ და უკან დასახევი გზა მოჭრილია. დიახ, როგორც იტყვიან: „ცხოვრება იმ ახრებულ რუჟისორს ჰგავს, აქტიორის ამპლუას რომ არ სცნობს“ (კარგია, ამასაც ჩავინერ!) განა, სწორედ ამაზე არ მიმანიშნებდა სიზმრის ანგელოზი? განა ჩემი სიზმარიც ამის დასტური არ არის?! ტექნოკრატულმა სამყარომ დიდი გულმოდგინებით შეისრუტა ლაჟვარდოვანი კოსმიური სივრცე და „ბუნების გვირგვინად“ წოდებული ადამიანიც ზედ მიაყოლა. რა ვიცი, იქნებ სადმე კიდევ დარჩენ სულით ძლიერნი, მაგრამ მე, ჩემს ასაკში, სამყაროსთან კი არა, საკუთარ თავთან ბრძოლის უნარიც დაკარგული მაქვს. რა გაუნებო? „როგორც ჩანს, ოცნებებსაც აქვთ თავიანთი გამოყენების ვადა“...

ამ სევდიანი ფიქრებით ვაგრძელებ გზას და მოუთმენლად შევყურებ ზეცას, როდის ინათებს?!

**დაჰყურებს ბებერ დედამიანს შავი ხვრელიდან და სინანულით თავს აქნევს ღმერთი!!!**  
(„მინიმები“)

ცის ყურებაში უცებ რაღაცას წამოვედე და კინაღამ ძირს არ გავიშხლართე?! უჰ, შენი! გატეხილი ვარცლი ყოფილა! ეტყობა, ვილაც ოხერმა დააგდო მდინარის პირას. გაბრაზებული ვიყურები აქეთ-იქით, თითქოს დამნაშავეს ვეძებდე და უცებ ბინდ-ბუნდში კაცის სილუეტს ვხედავ. ის ნაპირზე ჩამომჯდარა, ანკესი წყალში ჩაუშვია და თავისთვის რაღაც უცხო მელოდისა ღლინებს. ღმერთო, ეს ხომ მეთევზეა! ჩემი არ იყოს, ნეტა ამ „უდროო დროს“ გარეთ რამ გამოიყვანა?! მეცნობა თითქოს. კი, კი, ახალგაზრდობაში შევხვედრივარ და შეიძლება — უფრო ადრეც. ნეტა, თვითონ თუ მიცნობს?! მოკლედ, რას ვკარგავ, გამოვლავარაკები...

— ამ დილა-ბნელში აქ რამ მოგიყვანა, მეგობარო? — უეცრად თავად მომმართავს მეთევზე. — დაექებ რამეს? დახმარება ხომ არ გინდა?

— არა, მე... ისე...

ცხადია, ჩემმა პასუხმა არ დააკმაყოფილა, ისე შემომცქერის. მე კი უნებლიეთ ვაგრძელებ ბუტბუტს:

**სხეულს სივრცე არ ჰყოფნის, ლოცვით თრთიან ბავენი. ნაპირს ყოფნა-არყოფნის ისევ ვერ მივაგენი.**

— მე შენ გიცნობ. — დინჯად მეუბნება მეთევზე. — ჩვენებური უნდა იყო. ეჰ, ადამიანი არ უნდა მოსწყდეს ფესვებს. შენი გაუცხოვება და გულგატეხილობაც სწორედ აქედან მოდის.

— მაშ, მიცნობ? — ვჩურჩულებ მე. — ამ წუთში მე თვითონ ვერ ვცნობ საკუთარ თავს... ერთი სურვილდამშრალი კაცი ვარ და მეტი არაფერი...

— სამაგიეროდ, მდინარეა წყალუხვი. — ელიმება მეთევზეს, — რაღას უცდი, ჩაიხედე მის უძირო სარკეში, იქნებ, ხელახლა შეიცნო საკუთარი თავი.

— აქ ადრე არასდროს ვყოფილვარ, არც ეს მდინარე მინახავს ოდესმე. საერთოდაც, ასფალტზე ვარ გაზრდილი...

— უფრო სწორად, ასფალტსა ხარ შეზრდილი! — უკმაყოფილოდ აქნევს თავს მეთევზე.

— „ადამიანი ხომ დანყვევლილია არჩევანის თავისუფლებით“ — ჟღერს ტულით მაფრინდება მხარზე ჩიტი-ჩიორა. გამნარებით ვაქნევ ხელს, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი მოვიცილო. ეგლა მაკლდა! დღეს ყველა ფრთოსანმა ჩემთვის მოიცალა, თუ რა ხდება?!

— ეს ბედურების ადაჟიოს ყველაზე სევდიანი ნაწილია. — შენიშნავს მეთევზე. — ჰოდა, რა გიკვირს, შენ და ოქროს თევზმა ერთმანეთს რომ ვერ გაუგეთ? თქვენ, ქალაქელები, ქალაქის ოსმივარში ხართ გამოყვანილი „პივის“ თევზებივით. ფიქრის და სურვილის უნარიც კი დახშული გაქვთ. ამას წინათ, ერთი წიგნი წავიკითხე, თანამედროვე ამერიკელი ავტორისა, ჰოდა, იმ წიგნში ერთი პერსონაჟი ეუბნება მეორეს: „ფრთხილად იყავი, როდესაც ღმერთს რაიმეს ევედრები, იმიტომ, რომ, შეიძლება, აგისრულდეს“. უბედურებაც ეგაა! შენისთანებს ლანგრითაც რომ მოგერთვით ახდენილი ოცნებები, იმ ლანგრებიანად ასფალტზე დაანარცხებთ. მერე გაუთავებლად ინუნუნებთ: ეს რა დღეში ვართ, ეს რა ცხოვრება მოვიდაო!

— დამცინე, რამდენიც გეუნებოს. — მუდარით მივმართავ მეთევზეს. — ოღონდ ჯერ მომისმინე. ვხედავ, ბრძენი კაცი ხარ. საიდანაც მეცნობი... იქნებ, მიჩიო რამე? გამუდმებით თავქვე მივექანები. არა და არ დაიწყო ჩემი ცხოვრების აღმართი...

— „აღმართიც ცხოვრებასავითაა“ — მანყვეტინებს მეთევზე — „ხან მძიმედ მიუყვები, ხან ღლინ-ღლინით. გააჩნია, რა გულით მიუყვები, რა გულით და რა ტვირთით“.

— ტვირთს ნუ მკითხავ! — ვოხრავ მე. — თუმცა ხანდახან მგონია, რომ, არც აღარავის ვჭირდები ან იქნებ პრობლემა თავად ჩემშია?

— მე მგონი, „თვითონ დებ წარმოსახვითი პრობლემების ნაღმებს და მერე, გზააბნეული, თავადვე ფეთქდები. გაიგე, რომ ის, ვინც თავს კარგავს, სხვას საყრდენად ვერ გამოადგება“. — მკაცრად მპასუხობს მეთევზე. — მაგრამ, რაკი აქამდე მოხვედი, ერთი შანსი კიდევ გეძლევა. რაღას უყურებ, ჩაიხედე მდინარეში. იქნებ სადმე ოქროს თევზს მოჰკრა თვალი. ოღონდ ამჯერად ერთი სურვილის უფლება გრჩება!

მორჩილად ვიხრები მდინარისკენ და ჩავცქერი ანკარა წყალს. ტალღებში მართლაც დავლანდე ოქროს თევზი. იმანაც დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოცურა და კითხვის თვალით შემომაცქერდა. სასწრაფოდ ჩავუთქვი სურვილი. თევზი თავს მიქნევს და უჩინარდება...

მდინარე მყისიერად ირინდება. მის მოსარკულ ზედაპირზე კი ვხედავ ულამაზეს ხეობას, ვხედავ, როგორ მიაქანებს ტალღებს თეძამი.

— შენ ხედავ მდინარეს მდინარეში, ისე, როგორც ადამიანი ხედავს სიზმარს სიზმარში! — კვლავ ჟღერს ტულებს იქ-



ნოდარ მამაცაშვილი

ვე, ტოტზე ჩამომჯდარი ჩიტი-ჩიორა, მაგრამ მისი ხმა ახლა საამურად ჩამესმის. ვხედავ გორაზე წამომართულ კალოუბნის სალოცავს, ჩემი წინაპრების სოფელს — ახალქალაქს, მარიამ ღვთისმშობლისა და თევდორე მღვდლის ეკლესიებს. ვხედავ და შევიგრძნობ ამოძირკვეული ფესვების ტკივილიან ძახილს. მერე პატარა ბიჭს ვხედავ, მის უდარდელ ბავშვობას, მის მომღიმარ სახეს... უეცრად სარკეს ქუფრი ერევა, ანკარა ზედაპირს მღვრიე, მშფოთვარე ტალღები ფარავს — ვხედავ გზას, საბედისწერო ავტოკატასტროფას, საყვარელი ადამიანების დაღუპვას და ვხედავ თორმეტი წლის ბიჭს, რომელიც მე ვეღარ მხედავს, თუმცა ფიზიკურ არსებობას განაგრძობს... ცხოვრების სარკე თანდათან იწმინდება და მშვიდდება. ახლა მონიფული კაცის ანარეკლი ისახება მის ზედაპირზე.

— უყურე, — ჩამჩურჩულებს მეთევზე, — უყურე და ისწავლე. განა ცოტა გადაიტანა ამ ადამიანმა?! მაგრამ ცხოვრებას არ განდგომია. თვალისათვის უხილავი სულის მზერით მოიხილა და შეიმეცნა. დღეს იგი შემდგარი მწერალი და პოეტია, ლიტერატურული პრემიების ლაურეატი, შესანიშნავი ოჯახის თავკაცი... — ჩავცქერი წყალს და იმ კაცში მეთევზის ანარეკლს ვხედავ.

— გაგიმართლა, მეგობარო, — კვლავ მიღიმის მეთევზე — „დროის შუალედურ სივრცეში“ ყველა როდი ახერხებს შეღწევას! ეს ღირსეულთა ხვედრია. ახლა საკრალური დრო იწურება, მაგრამ, რაც მთავარია, საკუთარ თავთან დაბრუნება მოახერხე. ახლა, შეგიძლია, ნებისმიერ დროს მოხვიდე მდინარესთან და ოქროს თევზი გამოიხმო.

ამასობაში მართლაც თინდება. ბელურების ადაჟიო უფრო მკაფიოდ და მელოდიურად ჟღერს.

— გესმის? — დაყვავებით განაგრძობს მეთევზე, — „ისინი გრძნობენ თავიანთი ჩიტური ინსტინქტით, რომ თვითონ არსებობაშია ნეტარება და ამ სიხარულს ჟივჯივით გამოხატავენ“.

— „მაგრამ ის, რაც საკმარისია ჩიტისათვის, ძალიან ცოტაა ადამიანისათვის“, — ვპასუხობ მე.

**ბებრდები, ვატყობ —  
ალარ გაყვურებ შურით  
გაფრენილ ჩიტებს.**  
(„პოეკუ“)

საიდანღაც ყრუდ ჩამესმის საკუთარი ხმა, მაგრამ იმ წამსვე ვიცილებ ამ უსიამოვნო ფიქრებს.

— „ბედნიერება მხოლოდ ნეტარება არ არის, იგი მისი განცდისათვის მტანჯველი მზაობაა“. — კვლავ დინჯად მიხსნის მეთევზე. — ახლა კი, სჯობს, შინ წახვიდე. ყველაფერი, რაც აქ ნახე, ანონ-დანონო და ჩაინერო. მალე ისევ შევხვდებით. ზუსტად ვიცი...

ვუჯერებ მეთევზეს. ახლა ისევ ჩემს ოთახში ვზივარ და ვწერ და ვწერ... ასე შეიქმნა ჩემი კრებულები: „ბელურების ადაჟიო“ და „ნანვიმარი მოგონება“. სხვათა შორის, ამ უკანასკნელში ერთ მოთხრობად „სურვილდამშრალი კაცი“ შევიტანე. მაგრამ უკვე მტკიცედ მჯერა, რომ მალე კიდევ დავუბრუნდები ამ თემას. ჯერჯერობით კი, სჯობს, შევისვენო. „ნერტილის თავის დროზე დასმაც ნიჭია. შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც. რა არ წერო, იმის ცოდნა უფრო სასარგებლოა, ვიდრე იმისა, რა დაწერო“.

მე ვსვამ ნერტილს. ახალქალაქის ძველი სიმღერა კი გრძელდება. მთავარია, არ მოსწყდე ამ მელოდიას, თანმდევად გაიხადო, ყველგან და ყველაფერში ამოიცნო: მდინარის ხმაურშიც, ბელურების ადაჟიოშიც და მეთევზის ღიღინშიც. მაშინ შენი ანგელოზიც ნეტარ სიზმრებს მოგივლენს და ეს სიზმრები ცხადშიც დაუსრულებლად გაგრძელდება...



ინგა მილორავა  
**მეყვავილა  
და  
რუხი  
ქალაქი**

შუადღე ახალი გადასული იყო, როცა ყვავილებიანი ქოთნებით დატვირთული ფორანი რუხ ქალაქს მიადგა, ტაბატით შევიდა კარიბჭეში და წვრილი ქვით მოკირწყულ რუხ ქუჩებს გაუყვა. კოფოზე ახალგაზრდა, გამხდარი მეყვავილე იჯდა და ყურადღებით აკვირდებოდა გამვლელებს, სახლებს, ქუჩებს. მწვანე წვეტიანი ქუდი ეხურა, თხელი, მოძრავი სახე და წვეტიანი ცხვირი ჰქონდა და ისე იყურებოდა, გეგონებოდა, ილიმებო, თუმცა ახლა არ ილიმებოდა, დაძაბული და შეწუხებულიც კი ადევნებდა თვალს ადამიანებს, რომლებიც ნაცრისფერ ქუჩებში რუხი ლანდებივით უხმაუროდ დაფარფატებდნენ. მეყვავილემ თვალის ერთი შევლებითაც შენიშნა, რომ ქალაქში ფერები არ იყო, მხოლოდ რუხი... რუხი ტანსაცმელი ეცვათ ადამიანებს, რუხი ფერი ედოთ სახლებს, რუხ ფარდებს აფრიალებდა ქარი, რუხ ქუჩებში რუხი ჭუჭყიანი წყალი მიწაზე იწარებოდა და ალაგ-ალაგ რუხ გუბებზე გროვდებოდა, ნაცრისფერ სახურავებზე რუხი მანანნალა კატები დაძრწოდნენ და, რაც მთავარია, ადამიანებს სახეები ჰქონდათ რუხი, ჩამქრალი, მშვიერი, მიმჭკნარი და უსიხარულო.

მეყვავილემ მოედანს მიაღწია და სადავე მოზიდა. ბებრმა ნაბლისფერმა ცხენმა დაიჭიხვინა და ადგილზე შედგა. მეყვავილემ განზე მდგარი პატარა ცარიელი ფარდული დაინახა, იქვე მდგომ კაცს ჰკითხა, ვინ იყო პატრონი. კაცმაც მიახსნავლა. ცოტა ხნის ვაჭრობის შემდეგ მეყვავილე და ფარდულის პატრონი მორიდდნენ და მეყვავილემ თავისი ქოთნების გადმოზიდვა დაიწყო. საღამო ხანს ფარდული უკვე სავესე იყო ლამაზი თიხის ქოთნებით, რომლებშიც ნაირნაირი ყვავილები ხარობდა. მეყვავილემ პანანინა ფერადი ალმებითა და ოქროსფერი ზანზალაკებით მორთო ფარდული და რუხ ქალაქში ისე აელვარდა მისი საყვავილე, როგორც ნაცარში პანანინა ნაპერწკალი.

პირველად მოვიდა ღარიბი ქვრივი ქალი. ნაცრისფერ გამხდარ სახეზე ნალველს და დარდს თავისი დალი დაესვა, ჩამქრალი თვალებით უსიხარულოდ შესცქეროდა მეყვავილეს, რომელიც ისე უყურებდა, გეგონებოდა, ილიმებო, მაგრამ ამწუთას ნამდვილად არ ელიმებოდა. გული შეეკუმშა ქვრივის დანახვაზე.

— ყვავილი მინდა, მაგრამ თუ ძალიან ძვირია, ვერ გადავიხბი, — ჩუმად თქვა ქვრივმა.

— არა უშავს, როცა გექნება, მაშინ გადამიხადე, მთავარია, სწორად შევარჩიოთ ყვავილი. — ახლა მართლა გაუღიმა მეყვავილემ.

— განა რამე მნიშვნელობა აქვს რომელს წავიღებ? ყვავილი ყვავილია, — ქვრივს დაღლილი და გულგრილი სახე ჰქონდა.

— რა თქმა უნდა, აქვს. — მეყვავილემ ქვრივს ხელი გაუწოდა, — მოდი, ხელი დაადე, ნახე, ყველა ქოთანის თბილია და ფეთქავს, ეს ყვავილების გულისცემაა. რომელი ყვავილიც შენია, შეგიყვარებს და ბედნიერებას, სიხარულს მოგიტანს. შენი ყვავილი გიცნობს და შენც თვითონ უნდა იცნო ის.

ქალი სათითაოდ ეხებოდა ხელისგულით ქოთნებს, სახე ოდნავ გაუნათდა, ბოლოს რაღაც ღიმილისმაგვარიც კი გამოჩნდა წვრილი ტუჩების კუთხეებში. უცებ, როცა შეეხო ქოთანს, რომელშიც ყვითელი ვარდის კოკორი იყო ჩარგული, ქალმა შეჰყვირა:

— აი, ვიცანი, ესა ჩემი ყვავილი!

მეყვავილემ გაატანა ყვავილი ქვრივს და ახალ მყიდველს დაელოდა.

ქვრივმა წაიღო ქოთანი და რაფაზე შემოადგა, მის წინ ჩამოჯდა და ატირდა. პატარა სანოლში ფერმკრთალ გოგონას ეძინა. ქვრივი ტიროდა და ყვავილს უყვებოდა, როგორ ეშინია ხვალისდელი დღის გათენების, რადგან არ იცის, ექნება თუ არა ლუკმაპური მის გოგონას, სიცვიით დაიხოცებინან, თუ იშოვნინან ერთ შემის ნაჭერს და მუყუზალს მინც. უყვებოდა, რომ არც ძალა აქვს და ვერც ვერაფერი მოიფიქრა, რა ქნას. ხანდახან, როცა ქალაქის მრისხანე მმართველი ჩამოივლის ქუჩაში და ფულს გადაუყრის დამშეულ მოქალაქეებს, ისიც სხვებზე ვითარდება ხოლმე და ერთ მონეტას თუ იგდებს ხელთ, მაგრამ როდემდე ეყოფათ ეს... ტიროდა ქალი, რადგან არსად იყო არც იმედი, არც სინათლე, არც არანაირი შვება. ყვავილი უსმენდა და ძლივშესამჩნევად თრთოდა. როცა დაღამდა, ქალმა ტირილით გული იჯერა და დასაძინებლად დაწვა. ვიდრე ქვრივსა და მის შვილს ეძინათ, ყვითელი კოკორი გაიშალა და მზისფერ დიდ ვარდად იქცა. ოთახში საოცარი სურნელი დატრიალდა. ვარდის ფურცლებიდან გადმოღვრილმა სხივებმა გაანათეს და გაათბეს ქვრივის პატარა რუხი ოთახი და ის ახლა ათასფრად აელვარდა. როცა ქვრივმა და მისმა შვილმა გაიღვიძეს, გული სიმშვიდით და სიხარულით აევისოთ. ტკბებოდნენ ოქროსფერი ვარდის სურნელით, გათბნენ და ისინიც ყვავილებით გაიშალნენ. მერე დედას გაახსენდა, სხვენში ძველი ტილოს ნაჭერი რომ ჰქონდა შენახული, მოძებნა, პატარა ლამაზი პერანგები გამოჭრეს, შეკერეს და თავიანთი ვარდის მსგავსი ყვავილებით მოქარგეს. ქვრივმა გასაყიდად წაიღო, რუხ ქალაქში ყველას ძალიან მოეწონა ოქროსფერი ვარდებით მოქარგული პერანგები, დედებმა შვილებს უყიდეს, ბებრებმა შვილიშვილებს, დეიდებმა დისწულებს, ნათლიებმა ნათლულებს და სულ მალე ყველა გაიყიდა. შეკვეთებიც კი მიიღო. ქვრივმა გაიხარა. ამდენი ფული მას არასოდეს ჰქონია. ვიდრე შინ წავიდოდა, მოედანზე გაიარა, მეყვავილის ფარდულთან, უნდოდა გადაეხადა ყვავილის საფასური, მაგრამ მეყვავილემ არ გამოართვა, მერე იყოსო...

მეყვავილესთან კი ამ დროს ხელმოცარული მხატვარი მივიდა და ყვავილის შექენა მოინდომა. ხელმოცარული იქნებოდა, აბა რა, რუხ ქალაქში ხომ ფერები არ იყო.

— კარგი, — გაუღიმა მეყვავილემ. — ავარჩიოთ შენი ყვავილი.

დიდხანს არჩიეს და ბოლოს მხატვარმა იგრძნო, რომ მისი ყვავილები ღიმილები იყვნენ, რომლებიც მორცხვად იჭყიტებოდნენ მწვანე ქოთნიდან. წაიღო მხატვარმა შინ ქოთანი, დადგა მაგიდაზე, დიდხანს უყურა და უცებ მიხვდა, რომ ყვავილების ნაზმა სურნელმა და ცისფერმა შუქმა მისი გული სიხარულით აავსო. ყვავილები დატრიალდნენ, აცეკვდნენ და მათი ფურცლებიდან ათასი ფერი გადმოიღვარა. მხატვარმა დაინახა, იგრძნო ფერები და თავის პალიტრაზე გადაიტანა. მთელი ღამე ხატავდა და მშვენიერი პეიზაჟი შექმნა, ნათელი, ელვარე ფერებით და სიკეთით სავსე. ამ დღიდან მისმა ნახატები მთელმა ქალაქმა შეიყვარა.

თერძმაც იპოვა მეყვავილესთან თავისი ყვავილი, ქრიზანთემა, და როცა შინ მიიტანა, მისი ოთახიც აივსო სითბოთი, სინათლითა და სიხარულით. გაიხარეს თერძის შვილებმა, აკისკისდნენ, დარბოდნენ განათებულ, ათასფრად აელვარებულ ოთახებში, ეცემოდნენ, დგებოდნენ, დახტოდნენ და ამ არეულობაში შეკერა თერძმა ქრიზანთემის მსგავსი ლამაზი კაბები და ყველა მოხიბლა.

მუსიკოსმაც შეიძინა ტიტები და გაიგონა მათი ჩუმი შრიალი, მათი სიმღერა, საოცარი მელოდია, რომელიც ნოტებზე გადაიტანა. მალე მთელი ქალაქი მღეროდა ტიტების და მუსიკოსის გულის სიმღერას.

მჭედელს თავიდან გაუჭირდა თავისი ყვავილის პოვნა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მისი ყვავილი შრომანაა. ფრთხილად მოკიდა დიდი, უხეში ხელები ქოთანს, მკერდზე მიიკრა და შინ წაიღო. ყვავილები წკრივებდნენ მთელი დღეები და მჭედელმა ლამაზი და გამძლე ნალები გამოჭედა, შემდეგ კი ზარების მოხუც უსინათლო ოსტატთან ერთად მერცხლისხმიანი ვერცხლის ზარებიც ჩამოასხა.

თითქმის ყველამ იპოვა მეყვავილის ფარდულში თავისი ყვავილი, რომელმაც სითბო, იმედი, სიხარული და შვება მოუტანა. ქალაქი ათასი ფერით, მუსიკით, სიცილით და წკრივით ხმებით აივსო. ადამიანებს აღარ ჰქონდათ დაღლილი, მშვიდი, სევდიანი, რუხი სახეები. ქალაქი აღარ იყო რუხი.

ქალაქის მმართველმა მაშინ შენიშნა, რომ მისი რუხი ქალაქი ათასფერად გაბრწყინდა, როცა ამაღლის თანხლებით ქუჩებში ჩაიარა, ოქროს მონეტები აქეთ-იქით მიმოაპნია და ერთი კაციც კი ვერ დაინახა, რომელიც ასაკრეფად დაიჩოქებდა. სასახლეში დაბრუნებული მმართველი ცოფებს ჰყრიდა და მსახურებს ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ფეხსაცმელიც კი ესროლა:

— ეს როგორ მოხდა?! ეს როგორ გამოგეპარათ! მთელი ქალაქი გამთბარა, განათებულა, დაპურებულა! ყველა ბედნიერია, ნაირფერი კაბებით ცეკვავენ, მღერიან, იცინიან! მე კი არავინ არაფრად მაგდებს! ჩემს ფერხითი არავინ დაიჩოქა!!! არავინ!!! ჩემი ძალაუფლება მინასთან გაასწორა ვილაც მეყვავილემ თავისი ბალახბულახით. ჩქარა, აქ მომგვარეთ, თორემ ვერცერთი ვერ გადამირჩებით!!!

შეშინებული მსახურები მოედანზე მიცვივდნენ, დაავლეს ხელი მეყვავილეს და მრისხანე მმართველის სასახლეში წაიყვანეს.



მხატვარი ჯემალ ზენაიშვილი

— აბა, — თქვა მმართველმა. — რაკი ასეთი ჯადოსნური ყვავილე-  
ბის პატრონი ყოფილხარ, მეც ამარჩევინე ყვავილი, რომელიც განუ-  
ზომელ სიდიადეს და ძალას მომიტანს, რომელიც შემადლებინებს,  
რომ შიშის ზარი დავცე ყველას!

მეყვავილე ჩაფიქრდა, მერე შეხედა მმართველს, შეხედა ისე, თით-  
ქოს უღიმისო, თუმცა ახლა ნამდვილად არ ელიმებოდა, და მშვიდად  
უთხრა:

— ვერა, ბატონო, იმას, რაც შენ გინდა, ვერცერთი ყვავილი ვერ  
მოგცემს. ამიტომ არც არსებობს შენი ყვავილი.

ამის გაგონებაზე მრისხანე მმართველი სიმწრისგან განითლდა,  
გალურჯდა და ილრიალა:

— ნაიყვანეთ ქალაქის მთავარ მოედანზე და გაროზგეთ! მერე კი  
გააძვეთ ქალაქიდან!

ქალაქის მცხოვრებნი თავიანთი ფანჯრებიდან ხედავდნენ, რო-  
გორ მიჰყავდათ მეყვავილე გასაროზგად.

„ძალიან ცოდოა, მაგრამ რა ვქნა, რომ გავიდე და გამოვესარჩლო,  
მმართველის ჯარისკაცები მცემენ“, გაიფიქრა ქვრივმა, „თანაც ჩემი  
ოქროსფერი ვარდი უკვე მაქვს და მეყვავილეს რას უზამენ, აღარცა  
აქვს მნიშვნელობა, ან რა ჩემი საქმეა“. ადგა და ფანჯარას სქელი  
ფარდა ჩამოაფარა.

„ნესით, უნდა გავდიოდე და ვეხმარებოდე“, გაიფიქრა მხატვარმა,  
როცა ფანჯრიდან დაინახა მეყვავილე, რომელიც გასაროზგად მიჰ-  
ყავდათ, „მაგრამ სხვა არავინ გამოდის და მე მარტო ხომ არ გავალ?  
თანაც ჩემი ყვავილები მყავს და იმდენ საოცარ სახეს მკარნახობენ,  
იმდენი სამუშაო მაქვს. მეყვავილის ბედი კი, რას ვიზამთ, ეს ყოფილა“.

„არა, რომ გავიდე და გამოვესარჩლო, ჯარისკაცები მცემენ, ხელს  
მომტეხენ და ვეღარ დავუკრავ იმ მელოდიებს, ჩემი ყვავილები რომ  
წკრიალებენ. მე ჩემი ცხოვრება მაქვს, ჩემი წარმატება და ბედნიერე-  
ბა და სხვას ნამდვილად ვერ შევნირაავ“, ჩაიბურტყუნა მუსიკოსმა და  
ღარაბები დაკეტა.

„უნდა მივეშველო, ვიცი, მაგრამ ამხელა ოჯახი მყავს სარჩენი,  
მმართველი არ გამახარებს. რა ვქნა, დიდი მადლობელი ვარ, ასეთი  
ყვავილი რომ მაპოვნინა, მაგრამ ჩემს ოჯახს ვერ გავნირაავ სანყალი  
მეყვავილისთვის“, გაიფიქრა მკერავმა, ფარდებიც ჩამოხურა და ყო-  
ველი შემთხვევისთვის კარიც მაგრად ჩარაზა.

ისე ჩაატარეს მეყვავილე ქალაქის ფერად, განათებულ და ყვავი-  
ლების სურნელით სავსე ქუჩებში, რომ ერთ კაცსაც კი არ გამოუყვია  
ცხვირი გარეთ. მოედანზე კი დაუნდობლად გაროზგეს, დასცინეს,  
აბუჩად აიგდეს, მერე დასისხლიანებული თავის ფარდულთან დააგ-  
დეს და უბრძანეს, დაღამებამდე გასცლოდა ქალაქს.

დღახანს ეგდო მეყვავილე ფილაქანზე. მერე ვილაცის შეხება იგრ-  
ძნო, ფრუტუნიც გაიგონა, თავი ძლივძლივობით ასწია და დაინახა  
თავისი ბებერი ნაბლისფერი ცხენი. ცხენი დაეხმარა წამოდგომაში.  
გაჭირვებით დატვირთა მეყვავილემ ფორანი და ქალაქიდან წავიდა.  
ტაატით მიუყვებოდა ჩამავალი მზის სხივებში ათასფრად მოელვარე  
ქალაქის ქუჩებს, რომლებიც ტკბილი სურნელით და მშვენიერი მუსი-  
კით იყო სავსე, მაგრამ როგორც კი ფორანი გასცდა ქალაქის კარიბ-  
ჭეს და გზაზე გავიდა, ყველა სახლში ყველა ყვავილი უცებ დაჭჭნა,  
თავი ჩაქინდრეს, ფურცლები დასცვივდათ და გამხმარი ღეროები მი-  
წაზე გაერთხა. თვალის დახამხამებაში გაქრა სითბო, სინათლე და  
ტკბილი სურნელი, რომლებსაც ყვავილები აფრქვევდნენ, თვალსა და  
ხელს შუა დაიკარგა ყველა ფერი და ისევ რუხი გახდა მთელი ქალაქი.  
რუხ სახლებზე საღამოს რუხი ჩრდილები დაცოცავდნენ. რუხ ფილა-  
ქანზე მიწანწკარებდა ნაცრისფერი აშმორებული წყალი, რუხი ფარ-  
დების მიღმა კი ცივ და ბნელ ოთახებში ლანდებივით დაბორილებდ-  
ნენ ქალაქის მცხოვრებნი, რომელთა გულეშიც ისევ დაიბუდა სასო-  
წარკვეთილებამ, სიცარიელემ და შიშმა. რუხ ქალაქს თავზე სევდის  
რუხი ღრუბელი დაადგა.

მეყვავილის ფორანი კი მიირწეოდა მტვერში, გაშლილ გზაზე და  
მიდიოდა ისეთი ქალაქის მოსაძებნად, სადაც ცხოვრობენ ადამიანე-  
ბი, რომლებიც ღირსი არიან მშვენიერი ყვავილების და სიხარულის.

თქვენ როგორ ფიქრობთ, იპოვის?



ვაჟა  
ოთარაშვილი

**დედა და მტრედი**

ფანჯარაში შემოფრინდა მტრედი —  
თეთრზე-თეთრი, ვით ყვავილი ხეთა...  
იქნებ შენი სული იყო დედი,  
იქნებ ისევ დამიბრუნდა დედა...  
მიყურებს და მერე დინჯად კენკავს  
ხორბლის მარცვალს — ფრინველური სევდით...  
იქნებ შენი სული იყო დედა,  
იქნებ ასე დამიბრუნდი დედი...

\* \* \*

მზე ჩამავალი თეთრ ღრუბელს დაჰკლავს,  
მთათა კალთებზე სისხლი მოწვეთავს...  
ჩემი ცხოვრება რალაცით არ ჰგავს,  
თეთრი ღრუბლის თავის მოკვეთას...  
სისხლზე კრთებიან ლურჯი იები,  
მაგრამ ცრემლები ღამეში არ ჩანს...  
რაც იყო ალბათ უპატიები —  
ზეცაში არა, მინაზე დარჩა...  
ზეცაში ყველა ვიყავით ერთად —  
გამოქცეულნი მინის დილეგებს...  
თეთრ ღრუბლებს მაინც ნუ მოჰკლავ ღმერთო,  
ქარებო, აქეთ გამოირეკეთ...

\* \* \*

მთელი სიცოცხლე სიმართლე მშია,  
ორმოც დღესაც კი ვერ ვძლებთ უპუროდ...  
აქ ნებისყოფა რა შუაშია,  
ამდენ სიყალბეს როგორ ვუყურო...  
როგორ ვუსმინო ამდენ სიცრუეს  
და იუდეებით სავსე მთავრობას...  
ღმერთო მანიშნე: ვით მოვიცილო —  
ეს ცვედნები და გულისჯავრობა...

**მინყალა...**

ჰოი ბერსაბე, ბევრს აბნევ რისთვის —  
ნუთუ ეგ ცოდვა გიღირდა იმად,  
რომ გელალატა ერთგული ქმრისთვის  
და მეფურ ცრემლთა გეხილა წვიმა...  
ან მეფსალმუნე დავითის მკერდზე  
ეშხიან თვალებს როგორ ნაბავდო...

ფსალმუნის სიმთა ჯადოსნურ კენესას  
აღშობდა ღამე ვნების ნაბადი...  
უსჯულოების აღხოცვის წადილს  
ატარებს მოდგმა ადამის შვილთა...  
იქნება ღმერთო, ეს ცოდვა-მადლი  
სოლომონ ბრძენის გაჩენად ღირდა...

**დედაშვილობა**

შვილს ეძნელება, რომ უთხრას მშობელს,  
შვილს ეხატრება, რომ უთხრას მინდა...  
დედა ასწავლის, რომ „აი ია“ —  
არის ქართული ცასავით წმინდა...  
ველარ ყიდულობს (კვლავ ბავშვი იგებს!)  
ვერც ყველს, ვერც კარაქს და ვერც არაყანს...  
ბიბლიასავით უკითხავს წიგნებს,  
თუმც უფულობის ფონი არაჩანს...  
და ცარიელი საპურის იქით  
შიმშილი ლოლნის გამომხმარ ყუას...  
ტელევიზორზე ამაყი რიხით  
პოლიტიკოსი არიგებს ჭკუას...  
სილარიბეში გაზრდილა ბიჭი,  
დიდი კაცივით დინჯად საუბრობს...  
ღმერთო, მოჰმადლე მოთმენის ნიჭი  
და არ მოაკლო პური — საუფლო...

**ზურაბ ქაფიანიძის ხსოვნას**

აღმაშენებლის ჩამორჩი ჯარსა  
თუ თამარ მეფის რჩეულ ვაჟკაცებს...  
და არ წასულხარ მას მერე არსად —  
ქართული სული ააკაშკაშე...  
მზისკენ სავალზე შენი ონია,  
შენი რაჭა და შენი უნერა...  
დევივით დიდს და ეგრე ღონიანს  
პირფარეზი უნდა გადაგენერა...  
შუმერულ-ქართულ ასომთავრულით  
აღვსილი გქონდა გული ბავშვური...  
სხვა იყო შენი ხმაც და დავლურიც —  
თიხის ფიალაც, ყურძნის ნაყურიც...  
შენც სხვა იყავი — დარჩი ბალადად—  
აღბათ ჩამორჩი დავითის ჯარსა...  
ხან დიდგორზე ხარ, ხანაც მარაბდას  
და არ წასულხარ ბრძოლიდან არსად...

**მარადი ზამთარი**

შენთან ზამთარი ადრე იწყება,  
შენთან ზამთარი არ დაილია...  
გაზაფხულები დაგავიწყდება—  
დარდებით ლამის გადაირო...  
ალარ დაადგა საშველი ყინვას—  
სილარიბეში წლები გავიდა...  
როდემდე უნდა იკავო გმინვა—  
მიირთვა სხვისი ნასუფრალიდან...  
იქნება გერგო: ცოდვის ტანჯვებით  
გამოისყიდო სული ნაკვეთი...  
როგორ წვრილია ბავშვის მაჯები,  
და რა უთქმელი შვილის ბაგენი...  
ღმერთო, მოჰხედე მვედრებელთ შენსას  
და აღუდგინე ძალნი სულისა,

რომ ზიარების სასმელი შესვას  
და დაიშრიტოს გული ურვისგან...  
შეზხავის ქარი — ქუჩის აფთარი,  
ამ რეალობის მკაცრ იდილიას...  
ადრე იწყება შენთან ზამთარი,  
შენთან ზამთარი არ დაილია...

**ოკუპაციის ზოლთან**

რაც ჩვენი იყო — არ არი,  
იყო და არა იყო რა...  
ჰარალი, ჰარი, ჰარალი—  
გულს დარდით ამოვიყორავ...  
სხვილოს ციხეო, მაღალო,  
ბჭენი დაბზარა დუშმანმა...  
სულიც ნალველმა დალალა—  
თუმც ვამბობ: არაუშავრა...  
ტირიფონის ველს გავყურებ,  
ასალებია ეს ყანა...  
ბედაურები დახვრიტეს  
და ვირებს დარჩათ ქვეყანა...

**სევდის წვიმა**

—მენატრები...  
ვიცი არა გძინავს...  
—წვიმას მოვყევი?  
—რომ არა ჩანს წვიმა...  
—ერთად ვიყოთ მხოლოდ  
მე და შენ და...  
—სევდაც იყოს!..  
—კი ძვირფასო, სევდაც...  
გაიელვა  
ჩემი ფიქრი გდეცდა...  
სევდა წვიმდა,  
წვიმდა, წვიმდა სევდა...

\* \* \*

ღამე მანძილს მონატრება ამოკლებს—  
ფუჭად ვცდილობ,  
არ დაგტოვო მარტო...  
კვლავ დაკარგულ  
მანვილს ეძებს დამოკლე—  
მზე მოკვეთილ  
თავს უტოვებს ტატნობს...

**ღიალოგები**

— რამ შეგაყვარა?  
ცოდვას ტრფობა...  
— სიყვარულს მაინც უნდა ფერება...  
და მერე ათას ჭორს თუ ნაბოდვარს—  
ჰქვია მწუხარე ბედნიერება...  
— გაყიდე მინა! პაპების დედაც...  
კარგად იცხოვრებ სამაგიეროდ...  
ქართლის გადამწვარ კლდესა და ღრესა  
კვლავ ეფერები ერთგულ იერით...  
— სიცოცხლე წირავ? არა აქვს აზრი!  
— ჰო, უყოყმანოდ უნდა განირო...  
...და უკვდავებს დარეკავს ზარი —  
სულმა ზეცამიც რომ იარწივოს...

ქართველებს

ერთი პირი არა გვაქვსო ქართველებს —  
ერთმანეთის მტრობა გვაერთიანებს...  
როცა მოძმის სისხლს თავზე დაგვანთხევენ,  
მაინც მტერზე ვყიდით ველს თუ მთიანეთს...  
ჩოხასავით ჩაკეცილო მამულო,  
დაგლეჯილო ყუმბარით და მახვილით...  
გახვევია მუმლიც, ყვავიც, ლამურაც —  
ერთგულ ყმათა ნეტა გესმის ძახილი?

\* \* \*

დრო ყველგან ქრება:  
ცაშიც, საათზეც...  
მხოლოდ ქალღმერთ სიტყვა ღვთიური  
რჩება პოეტურ ტანჯვის ბარათებს —  
ბოლოს მუზის რომ ჰქვია დღიური...  
შობის ტკივილებს უძლებდა მინა,  
ყოჩივარდების კაბა ნამს ეცვა...  
მხოლოდ ფურცელზე იქცევა წამი —  
მარადისობის ღვთიურ ნამცეცადა

\* \* \*

სხვა საქართველო სად არის...  
გრიგოლ ორბელიანი

აქვე გვერდით — ივერია სლუკუნებს,  
ყველა თავის მუცელს ჩასცქერ - ჩაჰბღავის...  
ვეგუებით ჯოჯოხეთურ უკუნეთს,  
არ ვკითხულობთ: „საქართველო სად არის?!“  
ალარ გვახსოვს გარეჯი თუ ვარძია,  
მამულუკთა დაჩეხილი სხეული —  
მომაკვდავმა გულთან როგორ ასწია  
ხილაბანდში მინა გამოხვეული...  
გადავთელეთ თამარ მეფის გვირგვინიც,  
ქართლის დედას მართლაც დედა ვუტირეთ...  
სიბინძურე ზოგს ჩამოსდის ცინგლივით  
და ურჯულოს ვბაძავთ უღვთო-უტყვინოდ...  
ჩვენს გვერდით კი ივერია სლუკუნებს...  
ყველა თავის მუცელს ჩასცქერ-ჩაჰბღავის...  
შევეგუეთ ჯოჯოხეთურ უკუნეთს —  
დაგვაგინცდა: „საქართველო სად არის?!“

ქრისტეს მხედრები

წმინდა ძმებს  
ანდრია და პეტრე კარბელაშვილებს

ჯვარისტყის სერზე აატარეს დასახვრეტები —  
თვალი მოავლეს ქართლის ქედებს — დედამადლიანს...  
ჩამოკანრული ლოყით იდგნენ სოფლის დედები,  
ხალხს ამხნევებდა ხატით ხელში პეტრეც, ანდრიაც...  
კარბელაანთ ძმებს — სხვა ნათელი ადგათ ორივეს,  
საზვარაკე მრევლს ნუგეშს სცემდნენ ლოცვით და ჯვრითა...  
წმინდა გიორგი გადაეგლო ტირიფონის ველს  
და სხვილოს ციხის ქონგურებთან გამოჯირითდა...  
თოფთა გრიალი... სისხლი... კვნესა... გმინვა... დაცემა...  
და ათას ცხრაას ოცდაოთხის თვეი ენკენის...  
მაგრამ ვერ შესძლეს სჯულის მოკვლა არაკაცებმა  
და ქრისტეს მხედრებს კვლავ გვირგვინი  
შვენით ეკლების...

22-ე საუკუნე — საქართველო

საქართველო კვლავ სქესობრივ უმცირესობაში მოხვდა —  
აქ ისევ კაცებს ცოლად ქალები მოჰყავთ...  
ევროპაში გავასქელი კაცებია კოხტა  
და ბიჭებს ფერუმარილი უმშვენებს ლოყას...  
ჩვენ ძალზედ ჩამოვრჩით მსოფლიო ფერხულს,  
სადაც ქალებთან წვებიან ქალები და ძუძუებს კორტინან...  
იქ თუ წამალი არ მიეცი ძუ ისე ვერ ხურს,  
აქ კი — ქორწილებს იხდიან ორდლიანს...  
რა ვუშველოთ ტრადიციულ ქორწინებებს? —  
ბჭობენ ევროპაში...

პრეზერვატივებს გვიგზავნიან ორ შაურად...  
არაგველებს კი ისევ უყვართ ერბო - ხაში  
და ფანდურზე კაფიებით მოშაირე...  
აქ გლეხი ეფერება ვაზის ნერგებს  
და ქარვისფერ მტევნებს წურავს მადლიანს...  
და იშორებს შემოსეულ ჰამერბერგებს,  
რადგან მხოლოდ ქრისტე უზის ნათლიად...  
აქ ყოველ გაზაფხულზე სააღდგომო დიდმარხვას,  
მერე საფლავთა კურთხევას,  
სადაც მიცვალებულებთან ალავერდსაც გადადიან...  
უეკირს მსოფლიოს — სასაფლაოზე პურ-ღვინო გაგონილა?  
— რა უცნაური ადათია...  
მერე ნითელი კვერცხები და ჩაჭაფულში ალუჩა...  
ეჰ ჩამორჩა საქართველო, ეჰ ჩამორჩა  
და სხვებივით უკანალი არ უჩანს...

შემოდგომა

უნდა დატკბე საკუთარი სიმარტოვით,  
წვიმა ღამეს გადაუხდის პარაკლისს...  
და ფანჯრიდან ხედავ როგორ სცივთ რტოებს —  
განიცდიან ყვითელ ფოთლის დანაკლისს...  
შენც დაცვენილ დღეთა გტანჯავს აგონია,  
წვიმა ხატავს ლამპიონის მრევლსა და...  
ვის უყვარდი? ვის უყვარდი? რა გგონია —  
ელვის მახვილს შემოდგომა ლესავდა...

ბორჯომს

მარინე გელაშვილს

ომში ვართ... ომით ვითვრებით,  
გამოვუცხადოთ ომს ომი...  
რა ლამაზია ფიქრებით  
თოვლში ჩაფლული ბორჯომი...  
როცა არყისფერ ყინვაში  
გოგიას ციხეს გახედავ —  
პეტრე ძმის ცრემლის სიმლაშე,  
სუყველა ლალატს გახედნავს...  
თითქოს ხანძთელის ლოცვას გრძნობს  
კვირიკეს ძველი საყდარი...  
მთებზე თორელთა რემა ძოვს  
თუ ნისლის ყრია ფაფარი...  
თითქოს გიორგი მთანმინდელს,  
ტაძრისის გზაზე დალანდავ...  
გინდა კვლავ ამოარწივდეს  
მესხეთის ცაზე ბალანთა...  
რა სიყვარულით დამტორე —  
სულ ამერია დავთრები...  
ბორჯომო, ველარ დაგტოვე —  
წავალ და... დარდით დავთვრები...



პოეტი ირჩევს ენას თუ ენა ირჩევს პოეტს? ბანალური კითხვაა, მაგრამ ძნელი. ვერანაირი პასუხი ვერ იქნება იმაზე მეტი, რაც არის შეკითხვა. თუმცა რა საჭიროა პასუხი, როდესაც არსებობს შეკითხვა. პასუხი ხომ ახალ შეკითხვას წარმოშობს.

ბექა ახალაია არის ის პოეტი, რომლის ლექსებიც შეკითხვების გირლანდებს წნავს და სტრიქონებს ენიგმების ტალღებად უგზავნის მკითხველს, რომლის გონება იმდენად წაკითხვაზე არ მუშაობს, რამდენადაც მიხვედრასა და ამოცნობაზე, რომლის დროსაც ლექსი, ასე ვთქვათ, ახლიდან იწერება, ახლიდან იქმნება, როგორც აღქმის ობიექტი, რადგან ლექსი არის ის, რასაც ვგებულობთ, რაც ჩვენამდე მოდის.

დიდი ხანია წავიდა დრო, როდესაც ლექსს კანის დაბურძგვნივით სცნობდნენ. პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ყოველი პნკარი ქვეტექსტური შრეებით არის დატვირთული. ავტორის ჩანაფიქრიც მხოლოდ ერთ-ერთ შრეს წარმოადგენს ამ ეპისტემოლოგიურ სენდვიჩში. წაკითხვის დროს ცნობიერს თუ არაცნობიერიც არ მიაშველე, მეტაფიზიკურ წრეზე იტრიალებ და ტექსტის სიღრმეში ვერ შეაღწევ. კაცმა რომ თქვას, შეღწევაც პირობითი ცნებაა, რადგან ერთი ბარიერის გადალახვა არ ნიშნავს სიღრმეში შესვლას, რადგან სიღრმე ილუზიაა, მირაჟია, როგორც ოაზისი უდაბნოში დაკარგულისთვის.

ამიტომ რამდენჯერაც წაკითხვას თითოეულ ლექსს, იმდენ ახალ ლექსს მიიღებ და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად, რადგან ეს არის ენის არჩევანი. ენა ირჩევს თავის თავს. ავტორი უბრალოდ აფიქსირებს თავის ყოფნას ამ სტიქიაში.

**ბექა ახალაია**

**სიზმარი**

(რკალიდან „ვარიაციები ფოლკლორულ თემებზე“)

— წუხელის ვნახე უცნაური ერთი სიზმარი,  
დე, ნეტავ რაო?  
წუხელის ვნახე უცნაური ერთი სიზმარი:  
ნაქცეულიყო ჩვენი ალვის ხე.  
— შენი ტანია ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი,  
ვაჰ, შენს დედასა!  
შენი ტანია ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი.  
ყოვლად ძლიერო ღმერთო დაგვიხსენ!

— წუხელის ვნახე უცნაური ერთი სიზმარი,  
დე, ნეტავ რაო?  
წუხელის ვნახე უცნაური ერთი სიზმარი:  
ჩამომტვრეოდა ალვას ტოტები.  
— ეგ მკლავებია, ჩემო ბიჭო, ეს რა მითხარი,  
ვაჰ, შენს დედასა!  
ეგ მკლავებია, ჩემო ბიჭო, ეს რა მითხარი,  
ამბავი გულზე ცეცხლის მომდები.

— წუხელის ვნახე უცნაური ერთი სიზმარი,  
დე, ნეტავ რაო?  
წუხელის ვნახე უცნაური ერთი სიზმარი:  
ჩვენს ვაზს ფურცლები ისე ცვიოდა...  
— ეგ ქოჩორია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი,  
ვაჰ, შენს დედასა!  
ეგ ქოჩორია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი,  
ალბათ გიხმობენ საიქიოდან...

— წუხელის ვნახე უცნაური ერთი სიზმარი,  
დე, ნეტავ რაო?  
წუხელის ვნახე უცნაური ერთი სიზმარი:  
მოაცურებდა წყალი კიდობანს.  
— შენი კუბოა, ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი,  
ვაჰ, შენს დედასა!  
შენი კუბოა, ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი.  
შენი ცოლ-შვილის ხილვა მინდოდა...

— წუხელის ვნახე უცნაური ერთი სიზმარი,  
დე, ნეტავ რაო?  
წუხელის ვნახე უცნაური ერთი სიზმარი:  
ბლაოდა, ახლოს, ტყეში ირემი.

— მამაშენია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი,  
ვაჰ, შენს მამასა,  
მამაშენია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი,  
როგორ მეგონა დაიტყობდი...

— წუხელის ვნახე უცნაური ერთი სიზმარი,  
დე, ნეტავ რაო?  
წუხელის ვნახე უცნაური ერთი სიზმარი:  
ძროხის ბლავილი გასწვდა საძოვარს.  
— დედაშენია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი,  
დედა სამინე,  
დედაშენია, ჩემო ბიჭო, სწორედ ის არი,  
რძე უკვდავების ვინც ვერ განვოვა!

**მგლის ლაქვი არწივთა ნაბუღარში**

(რკალიდან „ვარიაციები ფოლკლორულ თემებზე“)

ამ ლაჟვარდ ცაში უფრენიათ ლალად არწივებს,  
ეს იყო ადრე,  
ამ ლაჟვარდ ცაში უფრენიათ ლალად არწივებს,  
ამ ციციქნა ქოხში დაფრთიანებულთ.  
ეს ციციქნა ქოხი მოსწრებია რამდენ ქარ-წვიმას,  
ვინ მოსთვლის, ღმერთო,  
ეს ციციქნა ქოხი მოსწრებია რამდენ ქარ-წვიმას  
და მზის რამდენჯერ აბრღვეიალებას.

ამ ფიცრულ ქოხში უბუღიათ ადრე არწივებს,  
ეს იყო მაშინ,  
ამ ფიცრულ ქოხში უბუღიათ ადრე არწივებს,  
გამოუზრდია ისინი მისანს,  
ჯაჭვის პერანგი, რკინის ხმალი ვერცხლის ყანიმით  
უტარებიათ,  
ჯაჭვის პერანგი, რკინის ხმალი ვერცხლის ყანიმით.  
ახლა იზრდება იქ ლომი მგლისა.

ლაჟვარდი ციდან როცა გაქრა ბოლო არწივი,  
არც ისე ადრე,  
ლაჟვარდი ციდან როცა გაქრა ბოლო არწივი,  
თურმე ორსული ჰყოლია ცოლი,  
და მერე უქმროდ ის ცხოვრობდა მარტოკაცივით,  
ჯერ კიდევ ბავშვი,  
და მერე უქმროდ ის შრომობდა მარტოკაცივით,  
სხვას რომ გვერდები სტკიოდა წოლით...



ასე იზრდება ფიცრულ ქოხში ახლა მგლის ლეკვი,  
 წინაპრებივით,  
 ასე იზრდება ფიცრულ ქოხში ახლა მგლის ლეკვი,  
 მეგობარი ჰყავს ცხრა (ძმანი ცხრავე),  
 დედა თითბრის ჯამს შემოიტანს თლილი თითებით  
 ყოველ ცისმარე  
 დედა თითბრის ჯამს შემოიტანს თლილი თითებით  
 და დათვის ქონით უპოხავს მკლავებს...

ერთხელაც ჰკითხავს: შემოსილი რათა ხარ თალხში,  
 მითხარი დედი?!  
 ხო, ასე ჰკითხავს: შემოსილი რათა ხარ თალხში?!  
 დედი, მითხარი, სად არის მამა?!  
 ქალის თვალები, რომ უგავდა დანაცრულ ნახშირს,  
 ქალის თვალები,  
 სულ ცოტა ხნის წინ რომ უგავდა დანაცრულ ნახშირს, —  
 ერთხელაც ჰკითხავს: შემოსილი რათა ხარ თალხში,  
 მითხარი დედი?!  
 ხო, ასე ჰკითხავს: შემოსილი რათა ხარ თალხში?!  
 სადღა არიან ბიძები ჩემი?!  
 ქალის თვალები, რომ უგავდა დანაცრულ ნახშირს,  
 ქალის თვალები,  
 სულ ცოტა ხნის წინ რომ უგავდა დანაცრულ ნახშირს, —  
 აელვარდება და გულისპირს ნამავს...  
 აელვარდება მდულარე ცრემლით...

როცა დრო მოვა, თვითონ ეტყვის: მამა-ბიძები,  
 ვაჟკაცო ჩემო,  
 მათ დაგიხოცეს უმონყალოდ მამა-ბიძები,  
 უთვალავი ჰყავს სამშობლოს მტერი,  
 წადი, იბრძოლე, საკმარისი არის მიზეზი,  
 მოგკლავენ, თუმცა,  
 თავგანწირვისთვის საკმარისი შენ გაქვს მიზეზი,  
 თან ნაიყოლე ოლონდაც ბევრი!

**ტრამვიანი სახელად „ცრემლი“**

(რკალიდან „ტრამვიანი სახელად...“)

ის (1<sup>2</sup>) ინვა ზურგზე და თავისთვის ჩუმად ტიროდა,  
 ნიავს მოჰქონდა ზღვის ხმაური სანაპიროდან,  
 სადაც ულევით ირეოდა ხალხი კვირა დღეს,  
 წინ იყო მთელი შემოდგომა ზამთრის პირამდე.  
 ის (1<sup>2</sup>) ინვა ზურგზე და თავისთვის ჩუმად ტიროდა.

და ეს დარდის და მწუხარების არ იყო ცრემლი,  
 არც სიხარულის, არც აპრილში ატმის და ტყემლის  
 სურნელისაგან მონოლილი, არ იყო ცემით  
 გამონადენი, არც სიგიჟის არ იყო ცრემლი.  
 ნიავს მოჰქონდა ზღვის ხმაური სანაპიროდან.

სულ ცოტა ხნის წინ ის (2) მოვიდა, მანქანა სახლთან  
 შემოაყენა, გადმოვიდა (ლაიკაც ახლდა),  
 ის (1<sup>2</sup>) ჩრდილში იჯდა, უცქეროდა პროდუქტის გარდა  
 მან (2) ყვავილებიც მოიტანა, აუვსო კალთა  
 (ხალხი ულევით ირეოდა ყოველ კვირა დღეს).

ის (1<sup>2</sup>) ზურგზე განვა, ის (2) კი ხელებს უსვამდა ნაზად  
 მის (1<sup>2</sup>) უსაშველოდ (მთელი რვა თვით) გაბერილ მუცელს,  
 მან (2) თქვა: „ეს კმარა, ბედნიერი რომ იყოს კაცი“,  
 მას (1<sup>2</sup>) კი, რატომღაც, აუვარდა ტირილი უცებ...  
 წინ იყო მთელი შემოდგომა ზამთრის პირამდე.

ის (1<sup>2</sup>) ინვა ზურგზე და თავისთვის ჩუმად ტიროდა.

**ტრამვიანი სახელად „წვიმა“**

(რკალიდან „ტრამვიანი სახელად...“)

გადააჭარბა დილის წვიმამ ყველა მოლოდინს...  
 ის (1) შავი „ბენტლით“ მოდიოდა მამის ვილადან,  
 ის (2) გადიოდა ქალაქგარეთ თეთრი „ვოლგოთი“,  
 მას (3) კი უნდოდა სიგარეტი, ერთი კოლოფი...  
 გადააჭარბა დილის წვიმამ ყველა მოლოდინს...

ის (3) იყო მთვრალი, მოსდიოდა პირიდან დორბლი,  
 როგორც ყოველთვის, იმ დილითაც გამოტყვრა კარგად,  
 ქუჩის გაღმითა მარკეტისკენ ათიოდ, — ალბათ, —  
 ნაბიჯი წადგა, ნაბარბაცდა, ჭრიალი ბორბლის  
 (ის (1) შავი „ბენტლით“ მოდიოდა მამის ვილადან).

არ გაუგია, დაჯახების არც მჭახე სხვა ხმა...  
 ცოტა ხნის შემდეგ შეკრებილმა ადგილზე ხალხმა  
 ის (-1) დაჭეჭყილი მანქანიდან, მწუხარე სახით,  
 გადმოსვენა, ხოლო ის (-2) კი ვილაჯის სახლთან  
 (თუმცა გადიოდა ქალაქგარეთ თეთრი „ვოლგოთი“).

პირადმა ეგდო... ხოლო დილით ის (3), როგორც სიზმრის  
 ნაფლეთებს, ისე იგონებდა ამ ამბავს... თითქმის  
 ათი წლის მერე წარსდგა ღმერთთან (ამბობენ — ფხიზლად)  
 შეკრული კუჭით და ბოლომდე დაშლილი ღვიძლით  
 (ვისაც უნდოდა სიგარეტი, ერთი კოლოფი)...

გადააჭარბა მამის წვიმამ ყველა მოლოდინს...

**იყო და აღარ არი მთავარი პროსპექტი**

(ხანძრის ბალადა)

დაიხ, ხანძარი ღამე ღამაზე სპექტაკლს წაგავს!  
 რ.ბ. („451<sup>0</sup> ფარენჰაიტით“)

მე წუხელ ავაფრინე წითელი მამალი,  
 არავინ ელოდა, ეს გავდა მონმენდილ  
 (მე წუხელ ავაფრინე წითელი მამალი)  
 თვალებში სიბრაზის გავარდნას. მოწმეთა  
 ჩვენებით ერთბაშად მოედო შენობებს.

მე წუხელ ავაფრინე წითელი მამალი,  
 ახლა იმ ყველაფრისგან რაც დარჩა, — ტონობით  
 (მე წუხელ ავაფრინე წითელი მამალი)  
 ლორღია, ზუსტად კი — ნახშირი, — გატანას  
 ალბათ დასჭირდება დიდი დრო.

მე წუხელ ავაფრინე წითელი მამალი,  
 დავგზავნე ჩემი ხალხი, თავიდან, სიდიდით  
 (მე წუხელ ავაფრინე წითელი მამალი)  
 პირველ შენობას, — სასტუმროს შევუნთეთ,  
 მერე კი — ქალაქის მერიას.

მე წუხელ ავაფრინე წითელი მამალი,  
 მერიას მივაყოლეთ ბატონი შერიფის  
 (მე წუხელ ავაფრინე წითელი მამალი)  
 სასახლე, გამოვარდა შერიფის შილიფად  
 ჩაცმული მეუღლე. შერიფი არ იყო.

(მე წუხელ ავაფრინე წითელი მამალი)  
 მერე კი სხვა შენობებს ერთბაშად მოედო

ერთხელ აფრენილი წითელი მამალი,  
და მთელ ამ ქაოსში,  
და მთელ ამ წივილში,  
და მთელ ამ კივილში,  
მე ერთი პოეტის  
(როგორ გეკადრებთ, არც ჩემი ნახევარძმა  
არ მომინამლავს და არც დედა მომიკლავს,  
არც ეს ქალაქია რომი და...),  
უბრალო პოეტის,  
უცნობი პოეტის  
პატარა ლექსის თქმა  
მომინდა!

**იანვრის შემდეგ**

როგორც ამბობენ, ჩამოთბება იანვრის შემდეგ,  
აქ ვერ იხსენებს ასეთ ზამთარს ბაბუა ტომი,  
თუმცა, სიცხვე რას დააკლებს ორ მოსულ ჯენტლმენს,  
ჯერ ხომ არავინ გაყინულა ბუხართან ჯდომით.

(როგორც ამბობენ, ჩამოთბება იანვრის შემდეგ).  
პატარა ვალსაც მაინც ვალი (დიახაც!) ჰქვია,  
თუმცა მევახშე რას დააკლებს ორ მოსულ ჯენტლმენს,  
ჯერ ხომ არავინ განუგმირავს მევახშის ტყვიას

(როგორც ამბობენ, ჩამოთბება იანვრის შემდეგ).  
დროის ხომ უნდა გასაყვანად აკეთონ რამე,  
თუმცა, ეს სკოჩი რას დააკლებს ორ მოსულ ჯენტლმენს,  
ასე განსაჯეთ, კიდევ ამდენს ყოველდღე სვამენ

(როგორც ამბობენ, ჩამოთბება იანვრის შემდეგ).  
ლოთობა ტოვებს მინის გემოს წინდანინ პირში,  
თუმცა სიკვდილი რას დააკლებს ორ მოსულ ჯენტლმენს,  
მათა აქვთ მხოლოდ თავიანთი ცოლების შიში.

როგორც ამბობენ, ჩამოთბება იანვრის შემდეგ.

**ეპრილის ქაღვა ღამე  
მუსღამდე აიკაცა**

(თევზის და ფეხსაცმლის ბალადა)

ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის,  
ჭრელჩანთიანი, სიფრიფანა, ერთი ბენო  
(ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის).  
ძროხები ხის ქვეშ მიწოლილან, ირიბად წვიმს,  
ლორი მინაში იჩიქნება, სარჩოს ეძებს.

ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის,  
მიდის, მალიმალ იყურება ფეხსაცმელზე  
(ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის),  
ცდილობს ყოველ წუთს არ დახედოს, თუმცა ვერ ძლებს,  
რადგან მისი პანანინა ფეხსაცმელი

(ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის)  
თითქოს თავისით მიბაკუნებს, ვარდისფერი  
(ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის),  
წინ ბაფთები აქვს და თეთრია. მთელი წელი  
მასზე ოცნებას შეეჩვია შიმშილივით

(ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის),  
მამა დაპირდა, ის ყველაფერს შეელებდა  
(ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის)  
მისი გულისთვის, მამამ უთხრა, სექტემბერში  
სკოლაში იმით, იმ ფეხსაცმლით გაგიშვებო.

(ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის)  
თუმცა მათ სახლში, არეული ნაბიჯებით  
(ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის),  
შემოხეტია სიღარიბე, გაგიჟებას  
ცოტა-ლა აკლდათ გოგოს მშობლებს. სწავლის დრომაც

(ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის)  
ამასობაში მოანია, ამიტომაც  
(ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის)  
მამა ცისმარე სახლიდან რომ გავიდოდა,  
გვიან ღამემდე გარე-გარე სიარულით

(ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის)  
თავს არიდებდა მას. ოდესღაც მხიარული  
(ქერა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის)  
კაცი ერთბაშად მოიღუმა. საამებლად,  
გოგო საღამოს მის ლოგინში ჩანებოდა.

მერე... სწავლამდე ორი დღე იყო დარჩენილი,  
წვიმდა, მდინარე სულ გაგიჟდა, არ ცხრებოდა,  
ცა ჩამოვიდა მხარაქცეული გამჩენივით...  
მამას სასროლი, ერთი სასროლი ბადე ჰქონდა,  
მამამ კალმახი, დიდი კალმახი, დაფჩენილი,  
სახლში ლაყუჩებდაფჩენილი მოიტანა.

მთელი სოფელი შეიკრიბა, — პირაქეთა,  
მთელი სოფელი შეიკრიბა, — პირიქითა,  
ვინ ჩუმად იდგა, ვინ ზომავდა, ვინ აქებდა...  
როგორც აღმოჩნდა, თურმე კალმახი ძვირი ღირდა...

ახლა გოგონა სკოლისაკენ მიიჩქარის,  
სინარულისგან ხან თავბრუ ესხმის, ხან გაუვლის,  
ფეხზე აცვია ბაფთებიანი... კი, ის არის,  
ფეხზე აცვია ბაფთებიანი სასწაული!


სამშაბათს, 11 მარტს  
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება

**თემურ ჩხეიძის**  
**მ ა ს ტ ე რ კ ლ ა ს ი**  
და წარდგინება

**ნინო ჩხიკვიშვილის**  
წიგნისა

**„თემურ ჩხეიძის ავტობიოგრაფია“**

დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის 41



ემზარ კვიციანიშვილის ლექსს თვალდათვალ ეტყობა ნაწრთობი, მდიდარი სულიერი გამოცდილების მქონე ოსტატის ხელი.

„ფანტასტიკური თანამგზავრი“ შთაგონებისა და ცხოვრებისეული ფილოსოფიის შერწყმის შედეგია. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ ნახევრად მისტიკურ ინტონაციებში სულაც არ იგრძნობა ეგზისტენციური დაეჭვება ან შიში შეუცნობლის წინაშე. მეტიც, მარტვილის გულუბრყვილობით ემორჩილება გარდუვალობის წესს:

„ვერ დავეხსენი უაზრო ლოდინს, დაბრეცილ კარის მინას გავცქერი... გამცვთარა გარსი და ვიცდი, როდის აფარფატდება შუქის ნაფცქვენი“.

მის ლექსში ბგერა ქნის მნიშვნელობას — ესეც გამოცდილების ნიშანი.

პირველი, რაც თვალში გეცემა — რითმა და რიტმი.

რიტმის ევფონია არ არსებობს თავისთვის, თავისთავად, სუფთა სახით. შინაარსს ატარებს, ანესრიგებს ლექსის სტრუქტურას, აძლიერებს სიტყვის მნიშვნელობას, აყალიბებს კონტექსტს და კრავს კომპოზიციურ კარკასს, რომლის ჯვარედინი „სამაგრები“ ყველა მიმართულებით იკავებს სიმძიმეს:

„მობერებული მე ვარ პროსპერო, შუშაში ვხედავ სხივებს, არეკლილს; ნათურის ნამჯა, მოოქროსფერო — ჩხვლეტს თვალებს, მჩხიბავს, წვეტი ნარეკლის“.

აქ საგანი უღიმის თავის ნიშანს.

რიტმი მოძრაობს, მიდის, მიედინება, ლივლივებს თავის ჰარმონიაში და უცებ ჩნდება სიგნალი — მეტაფორა, როგორც სემაფორი ზღვაზე — ნიშანი, რათა შეეჩერდეთ და გავიაზროთ, თუ როგორ გარდაიქმნება გამოთავისუფლებული ემოცია შინაარსობრივ ენერგიად.

ემზარ კვიციანიშვილი

ფანტასტიკური თანამგზავრი

(ბალადა შუქზე)

შორიდან ვუმზერ,  
ნეტა რას მიმხელს —  
სუსტად მბჟუტავი მაგიდის ლამპა...  
შემონახული, მეყოფა სიმხნე —  
თუ მოვინდომე, ივარგებს ამბად.

მობერებული, მე ვარ პროსპერო,  
შუშაში ვხედავ სხივებს, არეკლილს;  
ნათურის ნამჯა, მოოქროსფერო —  
ჩხვლეტს თვალებს, მჩხიბავს, წვეტი ნარეკლის.

ვიგემე თაფლი, ქცეული შხამად,  
რა სიმწრით ნაგროვები, ნაკრები...  
დამახსოვრებაც არ უნდა ამას —  
როგორც მოხვედი, ისე გაქრები.

შლეგს, მუხლმოუღლეღს, სად არ მხლებია,  
ზღვებს, ჩვენს გადავლილს,  
ვერავინ დათვლის;  
რაინდებს თაყვანს ვცემდით, ხმლებიანს,  
მთვარეს ჯაბნიდნენ სატრფონი მათნი,  
ყელს მოწყვეტილი, ვისი ხმებია,  
გულო, იმ ცეცხლში, რამდენჯერ დადნი!

მწყემსებს, რჩეულებს, მრავლად ჰყავთ მრევლი,  
მოვინახულეთ მექა-მედინა...  
არ შემშრობია კამკამა ცრემლი,  
უფლის საფლავთან რომ დამედინა.

განგების ძალა — სანთელთა კრთომა...  
ტალღებს, განგისა ისიც მინებდა,  
წასულთ სულები გვეხვია ბლომად,  
მივირწნოდით ბედუინებთან.

აღესილს, მივეალერსეთ მწვერვალს,  
მღვიმიდან, ჩემთან ერთად, გამორბის...  
ძალგვიდს უფსკრულთა მოხილვა, ზვერვა,  
მიხვდებით, ხდება ეს ლამლამობით.

სანათის რგოლი, მეტალის ბრწყინვა —  
თავ-პირზე ყვითელ ფარვანებს მასვეს...  
ლმუის ქარბუქი.  
ლამეა, შინ ვარ.  
გათენებამდე ვიქნები ასე.

თოკნაჭერილიც, გავძლებ ხვალამდი,  
აღგადამდინარს, ვგავარ ალადინს;  
ეს არც ბორგვაა,  
არც მოლანდება,  
გამოჩინდება, რასაც ვმალავდი.

ვერ დავეხსენი უაზრო ლოდინს,  
დაბრეცილ კარის მინას გავცქერი...  
გამცვთარა გარსი და ვიცდი, როდის  
აფარფატდება შუქის ნაფცქვენი.

ვეცლები სხეულს,  
რიალი ფერთა...  
სხვად გაგჩნდებოდი, ბედი მქონოდა;  
სუნთქვას, შეწყეტილს, ცის უბეს შევერთავ,  
გავიზიარებ ხვედრს უწონოთა.

სიჩუმეს შემაჩვიეს ბინდებმა,  
დაშლილა სხივი ათას ატომად...  
მინდორი. მალლა აჭრა მინდება.  
ეს ლამე მომდის, ვიცი, რატომაც.

მეტყვით, გერევა სიზმარ-ცხადიო,  
რა მიძებნია ან რას ვიშოვნი?!  
თავხედს, ერთხელაც, გთხოვთ, მაპატიოთ —  
ბოდვები ჩემი, საბოდიშონი.



მხატვარი ინა ჭელიძე

# თავბანდირვა მარტოხელა კაცისა

(მარინა რაჰვიშვილს  
ქადაგება  
მაია ყიასაშვილი)

„ულისე“ — ასი წლის წინანდელი დუბლინის ცხოვრების ერთი დღე მთელ მსოფლიოში 16 ივნისს აღინიშნება, როგორც ბლუმის დღე — ალბათ ერთადერთი საერთაშორისო დღესასწაული, რომელიც ლიტერატურულ ნაწარმოებს ეძღვნება. შთამბეჭდავად აღწერილი პერსონაჟებითა და ადგილებით, ჯოისმა 1904 წელს დუბლინი მსოფლიოს გააცნო. ამავდროულად თავისი სტილით დაამტკიცა, რომ ისეთი ტრადიციული იმიჯის ქვეყანას, როგორცაა ირლანდია, ხელეწიფება ეს ლიტერატურული ინოვაცია თანამედროვე მსოფლიოს შესთავაზოს — ეს სიტყვები ჯოისისადმი მიძღვნილ გამოფენაზე ამოვიკითხე, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში შედგა. გამოფენას ერქვა „ინტერნაციონალური ჯოისი“ და წარმოდგენილი იყო ყველანაირი ინფორმაცია XX საუკუნის ამ ერთ-ერთ უდიდეს ხელოვანზე: ოჯახი, დუბლინი, სკოლა, ულისე, როგორც გამირი, პოლიტიკა და დამოუკიდებლობა, იბსენი და ევროპული გავლენა, ნორა ბარნაკლი, ტრისტეტი, რომი და „ულისეს“ დასაბამი, რატომ არის „ულისე“ მნიშვნელოვანი? „ფინგანის ქელები“, ჯოისის მემკვიდრეობა, ცენზურა, მფარველები, ჯოისი და მოდერნიზმი, ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში, მისი დაქვეითებული მხედველობა — ერთი სიტყვით, არცერთი მისი ცხოვრებისეული ფაქტი არ იყო გამოტოვებული.

— მაია, ვიცი, რომ ეს უნიკალური გამოფენა შენი თანადგომით განხორციელდა.

— ეს არის მზა, მოძრავი გამოფენა, ინგლისელებსაც აქვთ, ირლანდიელებსაც — თავისი კულტურა სტენდებზე, ძალიან პროფესიულად, ლამაზად.

ირლანდიის ელჩი დამიკავშირდა მოსკოვიდან და მითხრა, სადაც კი ვიკითხე, ჯოისზე ვინ მუშაობს, ყველამ ნიკო ყიასაშვილისკენ გაიშვირა ხელი. მამას რუსი დისერტატები ჰყავდა, მათ შორის ეკატერინა გენიევა, ვინც არის ახლა ერთ-ერთი წამყვანი ჯოისოლოგი, ერთხანს მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის დირექტორიც, ძალიან საინტერესო ქალია. იმანაც, რა თქმა უნდა, მამა დაუსახელა.

ერთი სიტყვით, დამიკავშირდა ეს ელჩი და ჩემი წვლილი ამ გამოფენაში ისაა, რომ ჩვენი საოჯახო ბიბლიოთეკიდან ნაწილად სხვადასხვა ენაზე თარგმნილი „ულისე“ და სხვა ნაწარმოებები — ფრანგული, გერმანული, იტალიური, იაპონური თარგმანიც არსებობს. თავის დროზე მამა აგროვებდა ყველაფერს, რაც „ულისესთან“ იყო დაკავშირებული და ამიტომაც გამოფენა ბევრად საინტერესო გამოვიდა, ვიდრე სტენდური იქნებოდა.

— მართლაც, ჯოისისა და ბატონი ნიკოს სახელები ბუნებრივად გადაეჯახვა ერთმანეთს. გამოფენაც საბოლოოდ ბატონი ნიკოს მოსაგონარ საღამოდ გადაიქცა. შეუძლებელია ახსენო ჯოისი და იქვე არ ახსენო ნიკო ყიასაშვილი, გამორჩეული მეცნიერი, ლიტერატორი, თაობების აღმზრდელი და შესანიშნავი პიროვნება. ამ გამოფენას თუ მოჰყვა რაიმე გაგრძელება ან კონტაქტების გაღრმავება?

— მაინცდამაინც არაფერი. ირლანდიელები ძალიან მონადინებულნი იყვნენ დამხმარებოდნენ, გამოეცათ ჯოისი, მაგ-



რამ არ გამოვიდა. მოჰყვა ერთი რამ, რომ ქუთაისში არის ჯოისის მოყვარულთა საზოგადოება, რომელსაც ხელმძღვანელობს გია ბერიძე. მან თარგმნა „ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტი“ და მთხოვა ერთი პიესა (გამოფენაზე ნახა), რომელსაც ჰქვია „დევილები“, თარგმნა და ალბათ გამოსცემს კიდევ. როცა ვხედავ ასეთ ენთუზიაზმს, არ შემიძლია ხელი არ გავუშვარო. ამიტომ ნაწილი ჩვენი წიგნებისა გადავიცი მას. ათოდან სტუდენტიც თუ ჩაიხედავს ამ წიგნებში და ეცოდინება, რომ ეს ნიკო ყიასაშვილის ბიბლიოთეკიდანაა, უკვე კარგია, იმიტომ, რომ ესეც მემკვიდრეობის გაგრძელებაა, წიგნმაც უნდა იმუშაოს და სახელმაც.

— როგორია „ულისეს“ თარგმნის ისტორია, როგორ და რა გარემოში დაინტერესდა ბატონი ნიკო ჯოისით?

— 30-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში „ულისე“ შერისხული გახლდათ. მხოლოდ სამი ეპიზოდი დაიბეჭდა რუსულად თარგმნილი და აქ შეწყდა. მამა დაინტერესდა ჯოისით გასული საუკუნის 60-იან წლებში, მანამდე მხოლოდ თავისი პედაგოგის, ბ-ნი ერეკლე ტატიშვილისაგან სმენოდა ჯოისის არსებობა. აქვე ვიტყვი, რომ ერეკლე ტატიშვილმა თავის დროზე ევროპული აზროვნების ლიტერატორთა მთელი სკოლა შექმნა თბილისის უნივერსიტეტში. ინგლისში მუშაობისას მამამ კარგად გაიცნო ჯოისის შემოქმედება და თავიდანვე თავის მწერლად ჩათვალა. ათი ეპიზოდი თარგმნა და 70-იანი წლებიდან გაგრძელებით დაიწყო „საუფჯეში“ გამოქვეყნება. ცოტა გაინტერესდა რომში, საბოლოოდ გამოიცა წიგნად ეს ათი ეპიზოდი, მისივე წინასიტყვაობითა და კომენტარებით.

ეს იყო პირველი გამოცემა საბჭოთა ხანაში, რაც ძალიან კარგად აღიქმებოდა დასავლეთში, მაგრამ ყოველთვის აღიზიანებდა რუსებს. ისინი ჯოისის „უინტერესო“ მწერლად თვლიდნენ.

პირველი გამოცემა მოცულობით იყო ნახევარი რომანისა ანუ როგორც ვთქვი, ათი თვრამეტი ეპიზოდიდან. შემდეგ მიზეზთა გამო შეჩერდა გამოქვეყნება, თუმცა მამა აგრძელებდა მუშაობას და ორი ეპიზოდი ნაიკითხა უნივერსიტეტში, თავისსავე განყოფილებაში. საბოლოოდ ასე გამოვიდა — თან თარგმნიდა, თან დაბეჭდილ ეპიზოდებს უკეთებდა რედაქტირებას.

შემიძლია ვთქვა, რომ ბოლო 25 წელი თავისი ცხოვრებისა მან „ულისეს“ შესწირა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. „ულისეს“ თარგმნა კარგ გარემოშიც ძნელი საქმეა, თუნდაც იმიტომ, რომ სქელტანიანია და ძალიან ცოტას ესმის რა წერია. მიუთმეტეს, ჩვენს სინამდვილეში მამას დიდ სიძნელეთა გადალახვა მოუხდა.

პირველად რომ გამოვიდა, საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ქართველი მწერლების მხრიდან. ბევრმა ეს ტექსტი შეურაცხყოფად აღიქვა, იმიტომ, რომ როცა გადაშალეს, ვე-

რაფერი გაიგეს — რაღაცას გვატყუებს ნიკო ყიასაშვილი. დაიბეჭდა უარყოფითი რეცენზიები.

საბედნიეროდ, იყო თითო-ორი მწერალიც, რომელთაც იცოდნენ ჯოისის მნიშვნელობა. მათ შორის ძმები ჭილაძეები ბოლომდე გვერდში გვედგნენ და ახლაც თამაზ ჭილაძე განსაკუთრებით დიდ დახმარებას მიწევს.

„ულისე“ შედის მსოფლიო ლიტერატურის 10 საუკეთესო ნაწარმოების რიცხვში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისი თარგმანა ეროვნული ღირსების საქმეა. თუ პრეტენზია გაქვს კულტურულ ერად ინოვებოდე, ჯოისს გვერდს ვერ აუვლი.

— **ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „ულისე“ XX საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნია. ბევრმა იცის ეს, მაგრამ გაცილებით ნაკლები ადამიანი კითხულობს. ძნელად წასაკითხი წიგნის სახელი აქვს. „ულისე“ მართლაც უჩვეულოა: ჯოისს ამსხვრევს ტრადიციული რომანის პირობითობებს...**

— „ულისეს“ სხვანაირი ნაკითხვა სჭირდება, აუჩქარებელი, ჩაღრმავებული. ჯოისი გაბედულ ექსპერიმენტებს გვთავაზობს და მკითხველსაც სთხოვს დაიძაბოს სიუჟეტისა და თხრობის სულ მცირედი დეტალების გასარკვევად. არსებითად „ულისე“ წარმოადგენს წიგნს ყოველდღიური ცხოვრების გმირობის შესახებ. რომანის ზოგიერთი ადგილი ბუნდოვანია იმის გამო, რომ ცხოვრებისეული ჩვეული მოვლენები ნაჩვენებია და აღწერილია უჩვეულო გამომსახველობითა და პირდაპირობით.

რასაკვირველია, აქ ყველაფერია: შინაარსიც, პერსონაჟებიც, სიუჟეტიც, მაგრამ სხვანაირადაა დაწერილი, ჩვენთვის უცხო. მინდა გითხრა, ასევე უცხოა ირლანდიელისთვისაც, ამერიკელისთვისაც და ყველასთვისაც.

— **ამ „უცხოობაზე“ უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ, ახლა კი „ულისეს“ თარგმნის ისტორიასა და ბატონ ნიკოს ღვანლს დავუბრუნდეთ. მან 25 წელი შესწირა. შენ რამდენი მოანდომე თარგმანის გასრულებას?**

— მე — 15 წელი. მამას გარდაცვალების შემდეგ გადავწყვიტე საუბრნალო ვარიანტი ანუ ის რვა ეპიზოდი გამომეჩვენებინა, ოდნავ შემოკლებული, ვიდრე ორიგინალია. მეჩქარებოდა მისი გამოცემა, თუნდაც ასეთი სახით. და აი, თამაზ ჭილაძემ შემომთავაზა სხვა ეპიზოდებიც ბოლომდე გვეთარგმნა. რომ არა ასეთი მოთხოვნა — ყოველ თვეში უნდა მიმეტანა რედაქციაში თარგმანი — ალბათ, დიდხანს ვერ მოვაბამდი თავს. და ახლა ქართველ მკითხველს უკვე ხელთ აქვს ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ სხვა ქართული თარგმანი.

— **წინასიტყვაობა ან რომელიმე რეცენზია, თუნდაც ნელი საყვარელიძისა, რატომ არ დაურთე?**

— არ მივიჩნეოდა საჭიროდ. ადრინდელ გამოცემას ახლავს. ამჯერად ეს ინფორმაცია კომენტარებში გავიტანე. ნელი საყვარელიძემ მართლაც ძალიან კარგი რეცენზია დაწერა, როცა პირველ გამოცემას გამოეხმაურა.

— **პირველი გამოცემის ტირაჟი 75 000 იყო და დღეს ეს წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა...**

— მართლაც დაუჯერებელია, ჩვენს დღევანდელობაში ასტრონომიული ციფრია, მიუხედავად ამისა, ოჯახებში თუ იპოვე მხოლოდ. ჩვენც გვაქვს ათიოდე შემორჩენილი.

„ულისეს“ ცოტა მკითხველი ჰყავს, მაგრამ ინტერესი მისადმი ნამდვილად არ განუღებულა. ძალიან ბევრი ადამიანი მხვდებოდა და მეკითხებოდა, როდის დავამთავრებდი, როდის გამოვცემდი...

თუმცა ჯოისის მნიშვნელობა, როგორც მწერლისა, უნდა გაიზომოს იმ ავტორთა რაოდენობით, რომელთათვისაც მისი შემოქმედება შთაგონების წყარო გახდა, და არა მისი გაყიდული წიგნების რაოდენობით.

ჯოისი აიძულებს მკითხველს, კითხვის ქვეშ დააყენოს ის სტერეოტიპები, რომლითაც ისინი მხატვრულ ნაწარმოებს უდგებიან.

ისეთი ერთმანეთისგან განსხვავებული მწერლები, როგორებიცაა სალმან რუშდი, ტომას პინჩონი, რალფ ელისონი, მარგარეტ ეტუელი და მარიოს ვარგას ლოსა, ჯოისის გავლენას განიცდიან.

მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები იქმნება ან „ულისეს“ ტრადიციებში ან როგორც რეაქცია მასზე...

— **ისევე, როგორც თანამედროვე ექსპერიმენტული პროზის ფესვები „ფინეგანის ქვლებშია“ საგულისხმო.**

— „ფინეგანის ქვლები“ დღემდე აღიარებულია ყველაზე რადიკალურ ლიტერატურულ ნაწარმოებად. „ულისე“ მოგვითხრობს ერთი კონკრეტული დღის მრავალ ამბავს, „ფინეგანის ქვლები“ კი ღამის ამბავია, დუბლინური ოჯახის საჩვენებლად მწერალი მიმართავს სიზმრების ლოგიკას, მრავალი ენებიდან აღებული სიტყვების თამაშზე დაფუძნებულ ურთულეს მხატვრულ ხერხს, ალუზიებსა და მითებს... ჯოისი არ ელოდა იმ კრიტიკასა და დაბნეულობას, რომელიც წიგნის გამოცემას მოჰყვა 1939 წელს. ფიქრობდა, რაზეც ვწერ, ყველასთვის ნაცნობია...

როგორც ვთქვი, ჯოისის სამყაროც ღრმა და რთულია და არა მხოლოდ ენობრივად. ჯოისის სტილი აბნევს და აბრაზებს ბევრს. მამას სულ ჰქონდა ამის გამო კამათი და მეც ვაგრძელებ ამ დავას...

არსებობს მოსაზრება, რომ თარგმანში შევიტანოთ პუნქტუაცია. ვერ შევიტანო! ერთი იმიტომ, რომ რაც არსებობს ინგლისურში, არის მეოთხედი იმისა, რასაც ქართველები იყენებენ. სულ სხვა სისტემაა, სადაც ჩვენ ვსვამთ მძიმეს, ისინი არ სვამენ...

ისე, რაღაც დათმობითი ხასიათის ცვლილებანი მაინც შევიტანე, რათა უფრო საკითხავი გამხდარიყო — თუნდაც ფრაზის დაბოლოება შემდეგზე რომ გადადის. არის ეპიზოდები, მაგალითად ბოლო, მე-18 (ცნობილი, ქრესტომათიული ნიმუში ცნობიერების ნაკადისა — მოლი ბლუმი ძილის წინ ფიქრობს თავის ცხოვრებაზე), რომელშიც არცერთი სასვენი ნიშანი არ არის. მთელ ამ უზარმაზარ ეპიზოდში არის შვიდი წინადადება, პირობითად ვამბობ, უფრო აბზაცებადაა დაყოფილი, ერთი აბზაცი — ერთი წინადადებაა.

ეს, რასაკვირველია, კითხვას ართულებს. კითხვას ართულებს მოულოდნელი ლიტერატურული ალუზიები, სიტყვა, რომელიც ჯოისისთვის რაღაც დაფარულ, ღრმა შრეებს უკავშირდება და რაც ზედაპირზე არ ჩანს — კომენტარში ჩახედვა ზოგჯერ საქმეს ვერ შევლის.

გარდა ამისა, „ულისეში“ არის უამრავი კულტუროლოგიური რეალია, ირლანდიური ყოფითი, პოლიტიკური, სოციალური ალუზიები, ირლანდიასა და ინგლისს შორის ურთიერთობა, რომელიც გასაოცრად ჰგავს ქართულ-რუსულ ურთიერთობას, ძალიან ბევრი პარალელი დაიძებნება — პოლიტიკური, ენობრივი, კულტურული ექსპანსიის მომენტები. ამდენად ქართული ჯოისისთვის ეს ყველაფერი კიდევ უფრო ახლობელს ხდის ჯოისის ამ ქმნილებას.

ერთი სიტყვით, ყველაზე დიდი სირთულე ნაწარმოებისა იმ ქვეტექსტთა ამოკითხვაა, რაც სიღრმეში ძევს.

და კიდევ: აქ არის კათოლიკურ-ებრაულ-ირლანდიურ-პროტესტანტული აზროვნების ნაზავი — ოთხი განსხვავებული კულტურა, აზროვნება, ერთმანეთს ეჯახება, ერწყმის. მიუხედავად შინაგანი ანტაგონიზმისა, ეს „კულტურები“ ერთ ენაზე საუბრობენ, თავის თვისებას, განსხვავებულობას ინარჩუნებენ და ესეც იკვეთება ტექსტში, ზოგჯერ ფართოდ, ზოგჯერ ნიუანსებში — ესეც აუცილებლად უნდა ავუხსნათ მკითხველს!

ამასთან ჯოისი ძალზე თავისუფლად ექცეოდა ინგლისურ ენას. ინგლისური პრაქტიკულად მისი მშობლიური ენაა, მიუხედავად ამისა, მისი ინგლისური განსხვავებული და თავისებურია. ის თხზავს სიტყვებს ან სრულიად მოულოდნელ ატრიბუციას ხმარობს, იგონებს ფერებს ჰომეროსივით (ხომ გახსოვს: „ღვინო მუქი ზღვა“...), ვფიქრობ, ევროპულ ლიტერატურაში აქედან წამოვიდა ეს ტრადიცია, ქართულშიც გვხვდება (გამსახურდიას ხობხისყელისფერი, თავთუხისფერი და ა.შ.).

და კიდევ უამრავი ასეთი ნიუანსი. ბუნებრივია, მთარგმნელის წინაშე დგება ამოცანა, რომ ეს აზრობრივი თუ ენობრივი თავისებურება შეინარჩუნოს და ბუნებრივად აამეტყველოს მშობლიურ ენაზე.

თარგმანშიც უნდა აისახოს სიახლე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ღირებული თარგმანი საკუთარი ენის, კულტურის გამდიდრების გზაა. მაგალითად XIX საუკუნეში რუსული ენა უსაზღვროდ გამდიდრდა ფრანგული და სხვა ენებიდან თარგმნილი ლიტერატურით.

— იგივე შეიძლება ითქვას ქართულ ლიტერატურაზეც, ოღონდ XX საუკუნეში. უმაღლესი დონის თარგმანები „ჩვენ მწერლობაშიც“ ხშირად იბეჭდება. თუნდაც დავით წერეთლის, ბაჩანა ბრეგვაძისა და სხვათა. ღირებული თარგმანი მართლაც საკუთარი კულტურის ორგანულ ნაწილად იქცევა ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ბატონი ნიკოსა და შენი „ულისეც“ ამ საგანძურში, შედეგთა ჩამონათვალში დაიკავენ ღირსეულ ადგილს.

— ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ რომელიმე ჩემი თარგმანი გახდება ქრესტომათიული ნიმუში. არ არსებობს ასეთი რამ. იმედს ვიტოვებ, რომ ოდესმე სხვაც მოკიდებს ხელს „ულისეს“ თარგმნას. ხომ არსებობს ასეთი მაგალითები? თუნდაც ედგარ პოს „ჟორანი“ — ყველა თავმოყვარე პოეტი ამ ლექსის თარგმნით იწყებს და ეს არის არაჩვეულებრივი ნიმუში იმისა, თუ როგორ არ ჰგავს ერთმანეთს თარგმანები და როგორ პოულობს ყველა რაღაც თავისას. სრულყოფა მუდმივად უნდა ხდებოდეს, თარგმანი უნდა იხვეწებოდეს, თუმცა „ულისეც“ დღესდღეობით ამ ფორმით რომ უნდა გამოსულიყო, როგორც ახლა აქვს, ჩემთვის სრულიად ნათელია!

სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვი, ამასწინათ გადავანყდი რუსულ გამოცემას, რომელშიც შედიოდა ათი ეპიზოდი — ოღონდ ათივე სხვადასხვა მთარგმნელის მიერ იყო შესრულებული და სხვადასხვა სტილით: ერთი ეპიზოდი მთლიანად დრამატურგია, მეორე — კატეხიზმის ფორმით, კიდევ სხვა — ქუჩური ჟარგონით, ყოველდღიური ენით — ანუ სრულიად კონტრასტულ-სტილისტიკით იყო მოწოდებული და სწორედ ამით იყო საინტერესო!

— განსაკუთრებული სირთულე ახლდა მე-14 ეპიზოდის თარგმანს, როგორც ამბობდი წელან.

— მე-14 ეპიზოდი, რომელიც არის იმიტაცია ინგლისური ენის განვითარებისა, ანუ იწყება „ბეოვულფიდან“ (VII ს.) და მოდის XX საუკუნემდე. ამბავი ერთია — ბავშვი იბადება, მამის მეგობრები იკრიბებიან, ლუდს სვამენ, საუბრობენ — სიუჟეტურად არაფერი განსაკუთრებული. მიბაძვა ხდება იმისა, თუ სხვადასხვა ეპოქის რომელი მწერალი როგორ დაწერდა. ვთქვით, იქ არის რელიგიური ტრაქტატების ენა, ანგლო-საქსური ლიტერატურის ნიმუშები და ყველა საეტაპო მწერლის საკოლის იმიტაცია, მათ შორის სვიფტი, დიკენსი და მრავალი სხვა.

ქართულ მწერლობაში ზუსტად ასეთივე ეტაპები, ბუნებრივია, ვერ გამოიკვეთებოდა. ამიტომ მამამ ამოკრიბა ყველაზე გამოკვეთილი სტილური მაგალითები ძველი პერიოდის მწერლებისა, იაკობ ხუცესი, გიორგი მერჩულე, სულხან-საბა, უფრო აქეთ ჯავახიშვილი, შემდეგ ნელ-ნელა სტილობრივად თანადროვდება და ცალკეული ლიტერატურული ძეგლების ენა მიუხედავად (ამირანდარეჯანიანი). ერთ-ერთი რთული ეპიზოდი ნასაკითხადაც და სათარგმნელადაც.

— „ვეფხისტყაოსანი“ თუ აქვს გამოყენებული?

— „ვეფხისტყაოსანი“ ცალკე, როგორც ასეთი, არა. რადგან პროზაული თარგმანია, უფრო პოემის ლექსიკას ვხვდებით.

— როგორ ფიქრობ, მოეწონებოდა ბატონ ნიკოს შენეული „ულისეც“.

— სხვათაშორის სულ მქონდა შინაგანი დიალოგი მასთან, მისი თარგმანის ჩასწორებისას სულ ვეკითხებოდი თავს: დამეთანხმებოდა თუ არა. ზოგჯერ ვეკამათებოდი კიდევ... როცა ადამიანს კარგად იცნობ, სულიერ სიახლოვეს განიცდი, ზუსტად იცი რას გეტყოდა, რაზე შეგედავებოდა ან როგორ

დავარწმუნებდი რამეში... ახლობელი ადამიანი ფიზიკურად მიდის, თორემ სულიერად მუდამ ჩვენთანაა.

— თუ იყო ისეთი რამე — ან თარგმანში ან ყოფაში, რომ ვერ თანხმდებოდით შენ და ბატონი ნიკო?

— ასეთი მხოლოდ ერთი რამ იყო. ის 6 საათზე დგებოდა და იწყებდა მუშაობას, მე კი სულ არა ვარ დილის ადამიანი. უფრო ღამ-ღამობით ვმუშაობ. დილით ვერ ვაზროვნებ.

როცა რამეს მიაგნებდა, მაშინვე ჩემთან უნდა დაერეკა, ენახა, როგორი რეაქცია მექნებოდა, მომეწონებოდა თუ არ მომეწონებოდა. დილაადრიან მირეკავდა და მთელ მონაკვეთებს მიკითხავდა ტელეფონში — ვეღარ ითმენდა. მე კი ამ დროს ჩახლენილი ხმით: „მამა, ჯერ მძინავს“ — აი, ეს იყო ერთადერთი, რაშიც ვერ ვთანხმდებოდით. რაღაც ასაკიდან უკვე არა მხოლოდ შვილი ვიყავი, არამედ მისი თანამოაზრეც. ერთია, რომ მამა მამა ბიოლოგიურად, მეორეა, როცა ერთ ენაზე ლაპარაკობ, მეგობრობთ და ნებისმიერ თემაზე შეგიძლია დაელაპარაკო. მათ შორის „ულისეც“ ან თუნდაც იმაზე — გავყარო თუ არა ქმარს... დედსთანაც ვმეგობრობდი, მაგრამ მამასთან უფრო ახლოს ვიყავი.

მამა ჯოისის თავის მწერლად მიიჩნევდა. საოცრად ბედნიერი იყო სულ პატარა მიგნებითაც, ვთქვათ, როცა თვითონ ქმნიდა ქართულად ახალ სიტყვებს, ინტონაციებს — ეს ჭიდილია, გამონევევა, ბევრი რამეა შემოქმედისთვის — ეს სირთულე ქმნის თარგმანის მიმზიდველობას.

ჩემი წვლილი ბევრად ნაკლებია, მაგრამ ის, რომ თარგმანი ორიგინალს ბევრად დაუახლოვდა, შემძლია თამამად ვთქვა.

რედაქტორობაც ჩემ თავზე ავიღე, იმიტომ, რომ ინგლისური ტექსტი მე უკეთესად მესმის, ვიდრე ვინმე მონვეული გაიგებდა.

შინაგანადაც ისეთი გრძნობა მაქვს, რადგან მე ვიყავი „ულისეც“ პირველი მკითხველი — ორი წინადადება იყო თუ მთელი ეპიზოდი — ჩემზე ცდიდა, მე მიკითხავდა პირველს, ან მაძლევდა ნასაკითხად და აზრი უნდა გამომეთქვა.

მეც გამათამამა ასეთმა დამოკიდებულებამ. ვფიქრობ, მასაც ჰქონდა იმის განცდა, რომ „ულისეც“ უპატრონოდ არ დარჩებოდა. რა სახითაც წიგნი გამოვიდა, მანამდე არავის უნახავს.

— კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ, რით განსხვავდება პირველი გამოცემისგან?

— პირველი გამოცემა, 80-იანი წლების ვარიანტი, მთლიანად რედაქტირებული და ჩასწორებულია, შევსებულია გამოტოვებული მონაკვეთებითა და ეპიზოდებით. ანუ 18-ვე ეპიზოდი სახეზეა! ახალი და სრული თარგმანია. კომენტარები შევცვალე — შინაარსობრივადაც და ვიზუალურადაც, და შევამოკლე, ვისაც დაინტერესებს, წიგნის ბოლოში იხილავს.

— ასეთი ნაწარმოების კომენტარებს დამოუკიდებელი ღირებულება აქვთ. მე პირადად, ვიდრე წიგნის კითხვას დავინწყებდი, კომენტარებს, როგორც ტექსტს, ცალკე ვკითხულობ!



ნიკო ყიასაშვილი

— რასაკვირველია, ნამდვილად საინტერესოა. აქ არის ირ-  
ლანდიის ისტორია, ინგლისის ისტორია — XX საუკუნის დამ-  
დეგი, აქ არის შუასაუკუნეების ფილოსოფია... უამრავი მინიშ-  
ნებაა გაშიფრული. აქ არის ბევრი რამ, რაც „ულისეში“ ამო-  
ტივტივდება... მეც ძალიან მიყვარს კომენტარების კითხვა,  
ამიტომ ბოლომდე ვერ შეველიე.

— ერთი რამ მინდა მოვიგონო. დამეთანხმები, 70-იან  
წლებში ნიგენსადმი ინტერესი დიდი იყო, სხვანაირი ხალი-  
სით ვკითხულობდით ყველაფერ ახალს... ქართულს, უცხო-  
ურს. „ულისე“ მართლაც ვერ გავიგეთ და მამაჩემს, შოთა  
რევიშვილს, მივადექით მე და ჩემი მეგობარი, მან კი ასეთი  
რჩევა მოგვცა: უბრალოდ ხმამაღლა წაუკითხეთ ერთმა-  
ნეთს. გავა წლები და თუ ინტერესი გექნებათ, აუცილებლად  
გაიგებთო! მართლაც, ამის შემდეგ ხმამაღლა ვუკითხავ-  
დი ერთმანეთს ბევრ რამეს, რასაც ვერ ვიგებდით (ამ მე-  
თოდს ჩემს მონაფეთთანაც ხშირად ვიყენებ და ვაკვირდებ  
მათ რეაქციას), ნამდვილ ლიტერატურას, დიდ ლიტერა-  
ტურას, ისევე, როგორც მუსიკას, აქვს რაღაც აუხსნელი,  
ირაციონალური — სიტყვის ფლერადობა, წინადადების მი-  
მობვრა, ემოციური ველი — რაც ქვეშეცნულად მოქმე-  
დებს ადამიანზე (განსაკუთრებით მოზარდზე, რომელიც  
ინსტინქტურად და არა ცოდნით არჩევს ნამდვილსა და სუ-  
როგატს ერთმანეთისგან!).

— სხვათა შორის, მამაც იყო კარგი მკითხველი, პოეზიი-  
საც და პროზისაც. მის მიერ გახმოვანებული, ხმამაღლა წა-  
კითხული „ულისე“ სულ სხვაგვარად ფლერდა. ბევრს მოსმენა  
ერჩივნა, რადგან ხმამაღლა კითხვის დროს სხვანაირი აქცენ-  
ტები კეთდება.

ვიდრე შეხვედრები, საღამოები ოფიციალურ სახეს მიი-  
ღებდა და გადაინაცვლებდა უნივერსიტეტის ერთ-ერთ კაბი-  
ნეტში, რომელსაც მერე ნიკო ყიასაშვილის სახელი დაერქვა,  
ჩვენს სახლში, პავლოვის ქუჩაზე, იმართებოდა ე.წ. სამშაბათ-  
ობები. იყვნენ ახალგაზრდები, დედა, მამა, იყო ჩაი, იყო კა-  
მათი და ძალიან საინტერესო საუბრები. შემდგომ ეს კამერუ-  
ლი საღამოები საფუძვლად დაედო კვლევით ლაბორატორიას.  
იმართებოდა კონფერენციები, გამოდიოდა კრებულები, 90-  
იან წლებამდე არსებობდა, ვიდრე აირეოდა ჩვენი ცხოვრება.

— ახლა თუ ხდება რამე ამგვარი უნივერსიტეტში?

— ახლა მინდა გითხრა, რომ უცნაური რამ ხდება. დამირე-  
კეს უნივერსიტეტის ახალგაზრდა თანამშრომლებმა, გამეცვენ-  
ენ როგორც დოქტორანტები. ეს ის თაობაა, რომელთაც მამა  
თვალთ არ უნახავთ, მაგრამ იციან მის შესახებ მამის მონა-  
ფეებისგან. ვთქვათ, მანანა გელაშვილი მათთან აუცილებ-  
ლად ახსენებდა მამას, მიხეილ კვესელავას, ოთარ ჯინორიას  
— იმ თაობას, რომელიც ჩვენ გვზრდიდა. მათ დიდი ენთუზი-  
აზში გამოიჩინეს, მოუარეს, გაარემონტეს, გაალამაზეს კაბი-  
ნეტი. ვაპირებ მათაც გადავცე მამის ბიბლიოთეკის ნაწილი.  
რახან არსებობენ ასეთი ახალგაზრდები, ეს მაფიქრებინებს,  
რომ ყველაფერი არ დაკარგულა. 90-იან წლებში წყვეტა მოხ-  
და, მაგრამ ჩანს, ინერციას დიდი ძალა აქვს და ერთხელ დაძ-  
რული კარგი საქმე ასე ადვილად არ დაიკარგება!

— „ულისეს“ გამოსვლა მათთვის, მათი საქმიანობისთ-  
ვის კიდევ ერთი დიდი სტიმული იქნება.

— იმედი მაქვს, ასე იქნება. ამის რომ არ მჯეროდეს, ვერც  
შევძლებდი ამხელა შრომა გამეწია.

— თავის დროზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კრებუ-  
ლი „ქართული შექსპირიანა“, რომელიც რამდენიმე წიგ-  
ნად გამოიცა. ხომ არ არის ჩაფიქრებული მისი აღდგენა, იმ  
მრავალმხრივ მნიშვნელოვანი გამოცემის გაგრძელება?

— არა, ვფიქრობ, რომ მან ამონურა თავისი თავი, მამაც ასე  
ფიქრობდა. მამა არ იყო ისეთი ტიპის შექსპირის მკვლევარი,  
როგორც ვთქვათ, ინგლისურენოვან სამყაროშია, როდესაც  
ტექსტში ღრმად შედიან... მამა იყო უფრო კონცეფტის ადამიან-  
ი, უფრო ზოგადობის მომხრე, ვიდრე ტექსტთან კირკიტა მუ-  
შაობის. ამ თვალსაზრისით არ აინტერესებდა. მაგრამ რაც გა-

კეთდა ამ შექსპირიანათი, რაღაცნაირად ამოიწურა. ახლა არც  
მეგულება არავინ, ვინც შექსპირზე გააგრძელებს მუშაობას.

მამას ინტერესი გადაერთო რობერტ სტურუას დადგმე-  
ზე. „ლირი“ იყო თუ „რიჩარდი“, ესაა ზუსტად ის თანამედრო-  
ვე ადაპტაციის მაგალითი და ბევრად საინტერესო, ვიდრე  
უშუალოდ ტექსტის კითხვა. მამას, როგორც უაღრესად თანა-  
მედროვე ადამიანს, მიაჩნდა, რომ ასეთი რამეები არსებობს  
არა იმიტომ, რომ თაროზე შემოდო, არამედ — ახალი სი-  
ცოცხლე მიანიჭო. რობიკო სტურუა სწორედ ახალ ცხოვრე-  
ბას აძლევდა შექსპირსაც, ბრეხტსაც და ბევრ სხვა რამესაც.

შექსპირზე მუშაობა — ეს იყო რაღაც ეტაპი, თავისთავად  
საინტერესო. ვთქვათ, იმავე საბჭოთა სივრცეში არსებობდა  
შექსპირული საზოგადოება. ჯერ იყო ცნობილი მკვლევარი  
ანიკსტი, მისი თავმჯდომარე, მერე მამა გახდა, რაც აძლევდა  
საშუალებას, უცხოეთში კარგი კონტაქტები ჰქონოდა. ჯოი-  
სის ხაზით ვერასოდეს ვერსად მოხვდებოდა. შექსპირი იყო ის  
მწერალი, რომლითაც შეიძლებოდა სამეცნიერო კონფერენ-  
ციაზე წასვლა და მერე კონფერენციას მოჰყვებოდა გადახვე-  
ვა ჯოისისკენ. ასე რომ, მამა ეშმაკობდა, როდესაც შექსპირის  
კონფერენციებს იყენებდა ჯოისისთვის, რადგან მისი სული  
მთლიანად დატყვევებული იყო ჯოისით.

მამას სადოქტორო დისერტაციის დიდი ნაწილი იყო შექს-  
პირული ალუზიები ჯოისთან. ეს ის ნაწილია, რომელმაც დი-  
დი პრობლემები შეუქმნა ე.წ. „ვაკში“, მოსკოვში. იმიტომ, რომ  
მათი აზრით, ეს არ იყო დისერტატელური თემა. გამოიძახეს  
და იქ ხელახლა მოუხდა დაცვა.

ჯოისს უსაზღვრო რაოდენობის ალუზია აქვს და ერთი  
თავი საერთოდ ეძღვნება შექსპირს, მის ცხოვრებას, მის ნა-  
წარმოებს. ბუნებრივია, ეს ყველაფერი ჯოისურადაა გადა-  
ხარშული, მაგრამ გამჭვირვალე მინიშნებებია.

— როგორი იყო მისი ბოლო დღეები?

— არ ვიცი, შეიძლება მისტიკაცაა, სულ იმეორებდა,  
„ულისე“ უნდა მოვასწროო. 1996 წლის თებერვალში, როცა  
დაამთავრა თარგმნა ბოლო ეპიზოდისა, კაბინეტიდან გამო-  
ვიდა, თქვა, მოვრჩიო, და ამის შემდეგ აღარც შესულა. ორი  
კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

— შენი ძირეული სპეციალობა ლინგვისტიკაა, საკვა-  
ლიფიკაციო თემაც ამ სფეროში დაცავი და სახელმწიფო  
უნივერსიტეტშიც კითხულობდი კურსს.

— წარმოშობით მართლაც ლინგვისტი ვარ, მაგრამ ამ  
სფეროში დიდხანია აღარ მიმუშავია. გადავერთე პრაქტი-  
კულ წნავლებზე. არც ის ადამიანი ვარ, რომელიც მუდმივად  
აქვეყნებს რაღაც-რაღაცებს, როგორც ჩანს, სხვანაირი პრაქ-  
ტიკოსი აღმოვჩნდი.

— უნივერსიტეტიდან რამდენიმე წლის წინათ წამოხვედი...

— ასეა. სტუდენტებთან მუშაობა გამიჭირდა. ვკითხუ-  
ლობდი საგნებს, რომლებიც გულისხმობს ტექსტის ინტერპ-  
რეტაციას, ანალიზს, მისი ყველა მახასიათებლით — არამარ-  
ტო ლინგვისტური, არამედ სილრმისეული, რასაც ჰქვია ქვე-  
ტექსტთა კითხვა. მხატვრულ ხატს გახსნა უნდა, ჩაძიება, თო-  
რემ ის მხოლოდ სიტყვად დარჩება.

და აი, აქ შევეჩვენე, რომ ბოლო წლების სტუდენტებმა არ იცი-  
ან მითოლოგია, ისტორია, კინო, მხატვრობა... ეს იყო 90-იანი  
წლების სკოლის შედეგი. ბევრი წელი ვიბრძოდი, რომ ასე არ ყო-  
ფილიყო, მაგრამ მხოლოდ ტექსტის ხმამაღალი კითხვა გამოგ-  
ვიდა, შინაარსის დონეს ვერ ვცილებოდი, რასაც მასწავლე-  
ბელი სულაც არ სჭირდება. არავითარ ხატებსა და ქვეტექსტებ-  
ზე არ შეიძლებოდა ლაპარაკი. ამის გამო მქონდა შინაგანი კონფ-  
ლიქტი, ჩემი ურთიერთობა სტუდენტებთან ფორმალური იყო.

ერთხანს მაგისტრებს ვუკითხავდი ქვეყანათმცოდნეობის  
კურსს. ვერ გეტყვი, კიდევ მიმიწვევენ თუ არა, ერთი ვიცი,  
ოფიციალურ სტრუქტურებში აღარ შემიძლია მუშაობა.

თუმცა გარკვეული ტიპის თავისუფლებას გაძლევს უნი-  
ვერსიტეტი, ვთქვათ, პროგრამა შენ თვითონ შეგიძლია შეად-

გინო, შენებურად წარმართო კურსი... მაგრამ სტუდენტთა ჩართულობის ხარისხი არ მაკმაყოფილებს, რასაც ველოდები, იმას ვერ ვიღებ, უამისოდ პედაგოგიური საქმიანობა ჩემთვის წარმოუდგენელია.

— გარდა იმისა, რომ ინგლისური ენის ცენტრს ხელმძღვანელობ, პარალელურად კიდევ ბევრი რამით ხარ დაკავებული. როგორია შენი ყოველდღიური საქმიანობა?

— აქ, ცენტრში, ვასწავლი პრაქტიკულ ინგლისურს, ვარ საერთაშორისო გამოცდელი (კემბრიჯის გამოცდების გამო ვხელმძღვანელობ გამოცდელთა ჯგუფს, ანუ ხარისხი საერთაშორისო გამოცდებისა მათარია მე, რაც ძალიან საპასუხისმგებლოა, რადგან ყოველწლიურად მეტი და მეტი ადამიანი აბარებს საერთაშორისო გამოცდას).

თავისთავად ეს ძალიან კარგი ფაქტია, იმიტომ, რომ ეს სერტიფიკატი აღარ არის ფარატინა ქალაქი. ესაა სერიოზული გამოცდა, რომლის ჩაბარების შემდეგ ახალგაზრდამ იცის, რა დონეს შეესაბამება მისი ცოდნა ენისა, ან უარეს შემთხვევაში, იცის, რა პრობლემა აქვს.

პირადად მე მომიხდა უამრავი გამოცდის ჩაბარება, სერტიფიცირების გავლა, ტრენინგებზე დასწრება, ვიდრე ამ სტატუსს — საერთაშორისო გამოცდელისას — მომანიჭებდნენ. ამჟამად დროდადრო მიწვევენ სომხეთშიც, აზერბაიჯანშიც, სპექტრი გამოცდებისა, რომელსაც ვიბარებ, საკმაოდ დიდია.

— პირადად შენ მოგწონს ეს სისტემა თუ რამე ხარვეზი აქვს?

— ბრიტანული გამოცდები მომწონს, რადგანაც არ არის ჩაჭრისკენ მიმართული. პირიქით, ორიენტირებულია, რათა მსმენელმა, სტუდენტმა სრულყოფილად გამოავლინოს ცოდნა, თავისი შესაძლებლობანი.

— კომპიუტერულად ბარდება?

— არა, კომპიუტერულად არ ბარდება. ეს არის ფურცელი და ქალაქი. თუ ზეპირი გამოცდაა, ინერება ფირზე და იგზავნება ინგლისში, რაც ობიექტურობის გარანტიას იძლევა. კარგად ვიცი ეს „სამზარეულო“ და შემიძლია ვთქვა, რომ გამოცდები სანდოა. ადამიანებიც მოდიან იმ განწყობით, რომ მათ არაფერს დაჩაგრავს, როგორც ეს ხდებოდა სხვა ვითარებაში. თუნდაც სკოლებში, „შპარგალკების“ პრაქტიკა კარგად გვახსოვს.


ფიქრობ, დამთავრდა ეს დრო და ქართველებიც მიხვდნენ, გამოცდის ჩაბარება სხვის დასანახად კი არ ხდება, არამედ საკუთარი თავისთვის, რათა იცოდნენ, რა ცოდნის მფლობელია.

— სხვათა შორის, ჩვენი სოციალური ფსიქოლოგია ამ თვალსაზრისით ეროვნულმა გამოცდებმაც შეცვალა.

— ნამდვილად შეცვალა. თუმცა რეპეტიტორობის ინსტიტუტი არ მოისპო, რადგან სკოლა არ არის იმ დონეზე, როგორზეც უნდა იყოს, მაგრამ ის მახინჯი მოვლენა, რასაც ერქვა ჩანცობა, მინიმუმამდეა შემცირებული.

ელემენტარულ მაგალითს გეტყვი.

პირველ წელიწადს ეროვნული გამოცდების საპროტესტო ჯგუფში მიმიწვიეს და მაშინ შემოვიდა უამრავი საპროტესტო განცხადება, მეორე წელს იმის ნახევარი, შემდეგ წლებში კი ძალიან ცოტა, ანუ ნდობის ფაქტორმა იმუშავა. ესეც ცვლის საზოგადოების მიმართებას განათლების სისტემისადმი, თუმცა ბევრია კიდევ საკეთებელი და ყველაფერში ვერ ვეთანხმები იმას, რაც ჩვენს სკოლებში ხდება. მომზადების ხარისხი ძალზე დაბალია, რადაც გაგებით ადამიანის უფლებებიც ირღვევა, იმიტომ, რომ მოსწავლეები, რომელთა მშობლებს არა აქვთ საშუალება ოთხ-ხუთ საგანში მოემზადონ რეპეტიტორთან, ამკარად იჩაგრებიან. ვინც ამთავრებს ელიტარულ სკოლას და რეპეტიტორთანაც ემზადება, იმას უკეთესი



შედეგები აქვს. ასე არ უნდა ხდებოდეს. რეპეტიტორები საბჭოთა კავშირის გარდა სადმე თუ არსებობს, არც გამიგია. კერძო მასწავლებლები არსებობენ, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა ბავშვს ნიჭი აქვს და მის ცოდნას გაღრმავება სჭირდება. რაც შეეხება სკოლის პროგრამას, რომელიც გათვლილია საშუალო შესაძლებლობის მონაფეხე, ბავშვმა დამოუკიდებლად უნდა დაძლიოს.

— აკადემიური ინგლისური მთლიანად ჩაანაცვლა პრაქტიკული ინგლისურის სწავლებამ. რამდენად მისაღებია ეს მიდგომა?

— ბუნებრივი პროცესია, ასეთია დღევანდელი მოთხოვნა. ოღონდ აქაც ერთ რამეს ვერ დავეთანხმები, იმას, რომ ინგლისური ენის შესწავლა ხუთი წლის ბავშვმა უნდა დაიწყოს. ადამიანმა აზროვნება თავის მშობლიურ ენაზე უნდა ისწავლოს, რათა შემდეგ შეძლოს თუნდაც ხუთ ენაზე აზროვნება.

რამდენიმე სკოლაში ფიზიკას, ქიმიას და სხვა საგნებსაც ინგლისურად ასწავლიან. რა საჭიროა? ვერაფერს დამიმტკიცებს, რომ ეს კარგია და ამ ბავშვებს ენა უკეთესად ეცოდინებათ.

ადამიანმა თუ ინგლისური ენის სტრუქტურა იცის — როგორ აავოს წინადადება, შეკითხვა როგორ დასვას, რომელიც ძალიან განსხვავდება ქართული შეკითხვისაგან — ელემენტარული საფუძველი თუ აქვს ენის ცოდნისა, ის ამაზე ადვილად ააშენებს თავის დანარჩენ ცოდნას.

ერთი სიტყვით, ხუთი წლის ბავშვს არა აქვს ჩამოყალიბებული სააზროვნო სტრუქტურები და ჩვევები. იმას, რასაც რვა-ცხრა წლისა სწრაფად და უპრობლემოდ სწავლობს, ხუთი წლის ასაკში მისი გონებისთვის დაუძლეველია. საბოლოო შედეგი კი ისაა, რომ რაიგანად არც მშობლიური ენა იციან და აღარც უცხო. ათიდან ერთი ადამიანი თუ მეტყველებს სწორად.

— საერთო ტენდენციად ასეთი: სწორი და გამართული მეტყველება ძველმოდურად, ჩამორჩენილობად ითვლება. ყარგონები და ბარბარისტები ყურს აღარ ჭრით არც ახალგაზრდებს, არც ასაკოვანთ და, რაც ყველაზე საგანგაშოა, არც ყურნალისტებს.

— ცუდზე ცუდი ტენდენციაა. ის, რაც რუსეთის იმპერიამ ვერ მოახერხა ორი საუკუნის მანძილზე — რუსულით ჩაენაცვლებინა ქართული, ჩვენ ჩვენივე ნებით, ენერგიულად, დიდი წარმატებით ვახორციელებთ. ამჯერად ინგლისური ჩაენაცვლა რუსულს.

უამრავი ადამიანი ყოველდღიურად მიდის ევროპაში — მითხრან ან მაჩვენონ ერთი ქალაქი თუ არის სადმე, სადაც ყველა წარწერა ინგლისურადაა. თუნდაც იაპონიაში, სახელით უნდა ეძებო! ვერც საბერძნეთში, სადაც მესამე დღეს უკვე ბერძნულად კითხულობ წარწერებს ისტორიულ ძეგლებზე.

— ეს ხომ ჩვენი ხასიათის ნაკლია. ყველაფერს უცხოურს ვაფეტიშებთ, ვეთაყვანებთ. უცხოა ე.ი. კარგია! უკრიტიკოდ გადმოგვაქვს ჩვენს ყოფაში, ცხოვრების სტილი, მოდა და რა ვიცი, რა აღარ...

— გეთანხმებით, ისტორიულად მოგვედგამს. იმის მაგივრად, რომ მართლა საჭირო და კარგი რამ ვისწავლოთ მათგან — მაგალითად გერმანული პუნქტუალობა, წესრიგის სიყვარული, სისუფთავის კულტურა — გადმოგვაქვს რაღაც ზედაპირული და ყოვლად მიუღებელი.

ერთი სიტყვით, ინგლისურს რომ დავუბრუნდეთ, ვიტყვი: ინგლისური კარგია, ინგლისურის გარეშე დღეს ვერ გავძლებთ, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს და ხუთი წლის ბავშვს ამ ენის სწავლა წერა-კითხვით არ უნდა დავანწყებინოთ. თუ მანინცდამანინც უნდა ვასწავლოთ, მხოლოდ თამაშით. ამის ბევრნაირი მეთოდი არსებობს, ოღონდ რამდენად იყენებენ სკოლებში, ვერ გეტყვი.



— თქვენს სკოლაში რა ასაკიდან იწყებენ ბავშვები სიარულს?

— ჩვენ აგვყავს ათი წლიდან და ზუსტად ერთ წელიწადში ვაღწევთ შედეგს, რომლის მიღწევასაც სხვა პირობებში ოთხი-ხუთი წელი სჭირდება!

— გენეტიკურ ფაქტორს თუ აქვს მნიშვნელობა ენის შესწავლისას?

— არ ვიცი, ალბათ, ეს ფაქტორი ქვეცნობიერად მუშაობს. მაგრამ ერთი კია, როდესაც ენობრივ გარემოში იზრდები, ადამიანებთან, რომლებსთვისაც სიტყვას აქვს განსაკუთრებული დატვირთვა, ეს ძალაუნებურად გადამდები ხდება.

მამა არაჩვეულებრივი, დახვეწილი ქართულით მეტყველებდა. რა თემაზეც უნდა ესაუბრა, პროფესიულ პრობლემებზე, ყოფით თემებზე თუ საზღვარგარეთ მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე, მხოლოდ ქართულად და თან შეუდარებელი მთხრობელიც იყო.

ამდენად, ასეთ გარემოში რომ იზრდები, შენც სხვანაირი მოთხოვნებს უყენებ საკუთარ თავს. მე პირადად ძალიან კრიტიკული ვარ საკუთარი თავისადმი, იმიტომ, რომ, იმედია სწორად გამიგებთ, მამარჩემი იყო ჩემთვის სტანდარტი. სტანდარტი იყო ჩემთვის ბატონი გრიგოლ კიკნაძე, რომლის სტუდენტიც არ ვყოფილვარ, მაგრამ კარგად ვიცნობდი. მისი ქართული რაღაც განსაკუთრებული იყო, სრულიად სხვა... ასეთს ყველგან ვერ გაიგონებდი. ჩემთვის სტანდარტი იყო ჩემი უსაყვარლესი თინა კოპლატაძე — ან ენის როგორი გრძნობა ჰქონდა ან როგორ მეტყველებდა.

ჩემს თავს რომ ვადრი მათ, მრცხენია, მეჩვენება, რომ ჩემი ქართული ძალიან შეზღუდულია მათ ქართულთან შედარებით.

— ამაში პრინციპულად ვერ დაგეთანხმებით, თქვენ იმ უმცირესთაგანი ხართ უცხოურ ენათა სპეციალისტებს შორის, რომელთაც ქართული ენა ღრმად და საფუძვლიანად იციან და ეს ბუნებრივად მიაჩნიათ. იმის თქმა მინდა, რომ უმეტესობამ თავისი მშობლიური ენა არ იცის და არც მიიჩნევენ საჭიროდ. ბევრს ვიცნობ ასეთს, მშობლიურ ენაზე საუბარს რუსულად ან ინგლისურად საუბარი რომ ურჩევნია და ამით თავიც მოაქვს! ეს გარემოება ადამიანის უნიგურობაზეც მეტყველებს.

— რაც უფრო იზრდები, ენის გრძნობაც გიღრმავდება, მითუმეტეს, თუ იმ გარემოში ცხოვრობ, სადაც ნიგნი მთავარი ფასეულობაა. როდესაც კითხულობ სულ ცოტა სამ ენაზე, მშობლიური ენის განცდაც უფრო ღრმავდება და მისი დაფასება-გაფართილებების კულტურაც მეტია.

— მთარგმნელობას როგორ უთავსებ შენს ყოველდღიურ საქმიანობას?

— ეს არის ის, რაც ძალიან მიყვარს და მახალისებს. ძირითადად ვთარგმნი ქართულიდან ინგლისურად — პიესებს, მოთხრობებს, რამდენიმე რომანიც მაქვს ნათარგმნი, ვთანამშრომლობდი ჟურნალთან „XXI საუკუნე“, რომელიც გამოდიოდა ქართულად და ინგლისურად. აქ დაიბეჭდა ჩემ მიერ თარგმნილი ილია, დავით კლდიაშვილი და გასული საუკუნის 50-იანი წლების მწერლები.

ახლა ვთანამშრომლობ კინოსამყაროსთან, ვთარგმნი სცენარებს, ფილმის სინოფსისი იქმნება, რომლებსაც აგზავნიან სხვადასხვა უცხოურ ორგანიზაციაში, ფონდებში ფინანსთა მოსაძიებლად. სინოფსისი ფაქტობრივად მოკლე შინაარსია, მონახაზი ფილმისა, რომლის გადაღებაც უნდა ქართველ რეჟისორს.

ძალიან მსიამოვნებს დრამატურგებთან მუშაობა. ვთარგმნი პიესებს, რომლებიც იგზავნება სხვადასხვა კონკურსზე. პოეზიას ვერიდები, მხოლოდ ქალბატონ ლია სტურუას რამდენიმე თეორი ლექსი ვთარგმნი მისივე თხოვნით. პროზა და დრამატურგია — კი ბატონო, ეს მომწონს.

— ჟურნალ „ომეგასთან“ თქვენი თანამშრომლობა მახსენდება. ჟურნალს დართული ჰქონდა სტატიების შემოკ-

ლებული ვერსიები, თქვენ მიერ ნათარგმნი. თქვენ არა მხოლოდ თარგმნიდით პატარა სტატიებს, რედაქტირებაც უკეთებდით, რაც სულაც არ მოგეთხოვებოდათ, მაგრამ სხვანაირად ვერ წარმოგედგინათ. თქვენი პროფესიონალიზმი სანიმუშოა და მისაბაძი.

— პროფესიული თავმოყვარეობა ცოტა გაზვიადებული მაქვს. ამიტომ ყველას და ყველაფერს ვებრძვი. მაგალითად, ვებრძვი ავტორს, რომელმაც რაღაცა არ შეამონმა და ისე რა, ჰაიპარად ჩანს. ამიტომაც, გვარია თუ თარიღი, ყველაფერს შემომნება სჭირდება და ასეც ვიქცევი. ძალიან ხშირად მწერალი რაღაცას გულისხმობს, რასაც პუნქტუაციით ან გადასაბმელი სიტყვებით გამოხატავს, მაგრამ შენ, როგორც მკითხველი, ხედავ, რომ ამაში ლოგიკა არ არის, ამიტომ მიწევს გადაკეთება. შენც კარგი მკითხველი უნდა იყო, რომ გაიგო, რა იგულისხმა ავტორმა. უნდა შეხვიდე მის სამყაროში და აქედან იწყება სწორედ შემოქმედებითი თანაავტორობაც.

პიესის თარგმნას სხვა სპეციფიკა აქვს. დილოგი უნდა ითარგმნოს ისე, რომ ცოცხალი იყოს. როდესაც რამე ვწერ, მე უნდა წარმოვიდგინო, ეს წარმოითქმის თუ არა სცენაზე, როგორ დაინახავს ამას რეჟისორი. იყო ასეთი შემთხვევა, ოლბის პიესა „რა მოხდა ზოოპარკში“ სანდრო მრეველიშვილს უნდა დაედგა. სანდრომ კითხვა მოაწყო თეატრში, როგორც ხდება ხოლმე როლზე მუშაობისას. მეც მიიწვია. და ვიყავი გაოცებული, როცა მან თქვა: სიტყვა „ურჩხულს“ სცენიდან ვერ ვიტყვითო. ეს სიტყვა სხვა სიტყვებს ვერ ებმოდა წმინდა არტიკულაციურად ანუ მსახიობს შეეჭმნებოდა სიძნელე. ისე ჩამრჩა ეს გონებაში, რომ როცა ვთარგმნი, ყოველთვის ვცდილობ ხმამაღლა წარმოვთქვა სიტყვა, ფრაზა... მაშინ „მონსტრი“ არჩიეს, თუმცა ჩემთვის „ურჩხული“ უფრო უკეთესი სიტყვაა, უფრო ქართულია, უფრო ემოციურია.

მედია კუჭხინძემ დადგა მარჯანიშვილში ტენესი უილიამსის პიესა „იგუანას ღამე“.

— ოთარ ჩხეიძის რომანის თარგმანზე თუ გიფიქრია?

— მიფიქრია, მაგრამ ეს რთული იქნება და ამჟამად უფრო ისეთ თარგმანს ვკიდებ ხელს, რასაც ვიცი, რომ სწრაფად გავაკეთებ.

ბატონი ოთარის თარგმნა არ იქნება იოლი. ქართულიდან ინგლისურად თარგმანში არის ერთი პრობლემა, ის, რომ ჩვენი ზმნა არის სრულიად უნიკალური. ზმნას, რომელსაც შეუძლია ძალიან ბევრი რამე გადმოსცეს, მოქმედების, ქცევის უამრავი ნიუანსი შეიძლება ჩაიდოს მასში, ასეთი ზმნის მხატვრულობა თარგმნის დროს იკარგება. ამიტომ, შენ როგორც მთარგმნელს, გჭირდება აქცენტების გადაადგილება, და მხატვრული შთაბეჭდაობა რომ შექმნა. აქ ლაპარაკია ორ — სრულიად სხვადასხვა — ენაზე. რუსულში ზმნაც ძალიან ძლიერია და შეიძლება სათქმელის ადეკვატურად გადატანა. ინგლისური ენა კი ამის საშუალებას არ იძლევა. თარგმნის დროს გული მტკივა, რომ რაღაცა უნდა დავკარგო, რაღაცას, რაც ქართულად ლამაზია, უნდა შეველიო, უნდა შევწირო. მეორე მხრივ, თარგმანის მომხიბლობაც ეგ არის, სადაც რაღაცა დაკარგო, სადაც მოარგო და აღადგინო — სირთულეც არის და მომხიბლობაც.

ამის მაგალითი „ულისცეაა“. გარკვეული ადგილები არ ითარგმნება და მამაც სხვაგან ცდილობდა ამ დანაკარგის შევსებას.

— ოთარ ჩხეიძეს ესეიში „სამშობლო ჯეიმზ ჯოისისა“ ლაკონიურად, ოღონდ ძალზე ტევადად და სახიერად აქვს შეფასებული ბატონი ნიკოს ეს ღვანლი და მინდა ჩვენი საუბარი იმ სტრიქონების გახსენებით დავასრულო: „ნიკო ყიასაშვილის მრავალი წლის შრომა ჯოისის ქართული თარგმანისათვისა თავგანწირვას უდრის მარტოხელა კაცისა, როცა არავინ უდგას მხარშია, არავინ ეხმარება და არავინ ამხნევეს თუნდაც შეძახილითა... უყურადღებობაა შემზარავი ესოდენ თავგანწირულ შრომაში...“

ჟულიენ ბისონი

# ბელგიური ცხოვრება

ბრუსელის სამხრეთით, პატარა მშვიდ ქუჩაზე ისმის ზარის წკრიალი და ქვემეხივით გამაყრუებელი ძაღლების ყეფა. სახლის კართან მიჩნდება კითხვა — ვინ დაგვიცავს ამ მოდარაჯე ძაღლებისგან? მათი ცნობა არც ისე ძნელია — დაფნა, ლილუ და მათი დედა ფუკი, **ერიკ-ემანუელ შმიტი**ს სამი ძაღლი. სამი შიბა ინუ ფაფუკი ბენჯითა და მომძლავრებული სიყვარულით, პატრონის დანახვაზე მაშინვე წყნარდებიან.

ელეგანტური შავ-თეთრ კუბოკრულ ქურთუკში გამოწყობილი ერიკ-ემანუელ შმიტი გვიღებს თავისი „ლამაზი ეპოქის“ კარს.

11 წელია, რაც მწერალმა საფრანგეთი დატოვა და ბრუგმანის შუაგულში, იქსელის კოხტა და მშვიდ კუთხეში გადასახლდა. პატარა, დახვეწილ უბანში, სადაც ცხოვრების საუკეთესო დროს ატარებს. მაშინ, როცა შარლელუასთან ახლოს, თავის XVII საუკუნის სასახლეში არ ისვენებს.


„მომწონს ის ილუზია, ვიცხოვრო ომამდელ პარიზში. ნამდვილი პარიზული ცხოვრება — თითოეული მეზობელი ახლობელია და უცნობიც კი არაა მტრულად განწყობილი“ — ჩაის მომზადებისას გვანდობს მწერალი.

გულით ბრუსელელმა, 2008 წლიდან დრო დაუთმო თავის მეორე ქალაქს, რათა გამოენვია თავის ტექსტებში. თუ აქამდე უკვე მოსინჯა ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროები (ოსტენდელი მეოცნებე) და შარლელუას მშფოთვარე ქუჩები (ოდეტ ტულმონდი), გასულ შემოდგომას გამოსულ კრებულში „ორი ბატონი ბრუსელიდან“ შემართებით შეებდა ბელგიის დედაქალაქის ქუჩებს.

ამჯერად მისი ახალი ლიტერატურული მოგზაურობა შეჩერდა ქალაქ არეზოს გარშემო, რომლის ცნობილ თუთიყუშთა სახელიც ეწოდა რომანს. „ბრაზილიელი დიპლომატი, რომელიც ცხოვრობს იქ, ერთ-ერთ უღიმღამო დღეს თავის ქვეყანაში დაბრუნებამდე დროდადრო ხედავს ფერად ფრინველებს, როგორ იკენებებიან ბაღში, ისინი გვთავაზობენ კონტრასტს ჩრდილო ევროპის ტიპურ მხარესა და მათ ეგზოტიკურ გალობას შორის“ — გვიხსნის ავტორი.

ლამაზი მეტაფორა — ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება კოჰაბიტაცია ცივილიზაციასა და სიველურეს შორის — 700-გვერდიანი რომანის ორი მთავარი ცნება, რომანისა, რომელიც გვიამბობს თხუთმეტიოდე ადამიანის სასიყვარულო და სექსუალურ ცხოვრებას. ყველაფერი ეს დაიწყო მათ საფოსტო ყუთში ჩადებული ანონიმური წერილით: „მხოლოდ ერთი სიტყვით მინდა გაცნობოთ — მე შენ მიყვარხარ. მინაწერით: იცი ვინც“. ეს მოულოდნელი აღიარება არ აყოვნებს გულების აფორიაქებას, ვნებათა მიშვებასა და სურვილთა ანთებას. დიდროს დიდი სპეციალისტი გვთავაზობს „სიყვარულის შესანიშნავ ენციკლოპედიას“, სადაც თითოეული პოულობის თავის ადგილს — ახალგაზრდა, მოზრდილი, მომოსექსუალი თუ ჰეტერო. „ბრუსელი გრძნობათა ქალაქია, მაგრამ არაა პარიზივით მომავალდებული“, — ამბობს ჰედონისტი ქრისტიანი.

გრძელი დერეფნის გავლით ვხვდებით ბაღში და კიბით ავდივართ სახლის ყველაზე მშვიდ და სასიამოვნო ოთახში, სადაც სახლის პატრონი ყოველ დღით როიალზე უკრავს და გაბრიელ ფორეს პავანის პარტიტურით გვიდასტურებს. „ეს არის ბუდე, სადაც თავს ვაფარებ, როცა არ ვწერ“. ოთახი სავესა მდიდარი ბიბლიოთეკით. ერთმანეთის მიყოლებით უწესრიგოდ ჩამწკრივებულია ფილიან ფლინი, მორის ჟენევეა, სომერსეტ მოემი, ედგარ ალან პო და ჟაკ ატალი. „უარვეყოფ ყველანაირ სნობიზმს



ერიკ-ემანუელ შმიტი

ჩემს ლიტერატურულ გამოვებაში! ნავიკითხე პრუსტი, მარკ ლევი და, არ გეტყვი, ამ ორიდან რომელი მირჩევნია!“ ამბობს მსოფლიოში ყველაზე კითხვადი ფრანგი მწერალი.

ნიგნებს არ ჩამორჩებიან სახლის სხვადასხვა სართულზე მიმოფანტული დისკები, სადაც ძირითადად კლასიკა ჭარბობს, მაგრამ არის ჯაზიც და ფრანგული შანსონებიც. ამავე დროს ამბობს, რომ წერისას არ უსმენს მუსიკას.

„მე უნდა დავრჩე მარტო ჩემს პერსონაჟებთან ინტერფერენციის გარეშე. მათ ვერ ვხედავ, მაგრამ მელაპარაკებიან“.

მისი სამუშაო ოთახი სხვენშია, სადაც საშინაოდ ჩაცმული დილიდან საღამომდე სიამოვნებით წერს. ტექსტები, რომლებიც დროდადრო იბადებიან. დიდ ცისფერ სავარძელში ხშირად ჩასძინებია ძაღლებთან ერთად. დიდი ხანია აღიარებს, რომ „ძილი არის საშუალება წარმოსახვის დაბადებისა“.

მის სამუშაო მაგიდაზე მიმოფანტულ ფურცლებზე, ტექსტის მონახაზებში აუცილებლად შეიმჩნევა სინონიმთა ლექსიკონი **Henri Bertaud du Charaud** — რასაც მხოლოდ რჩევისთვის იყენებს. ასევე ქაღალდების გროვა წარწერით „ერიკ-ემანუელ შმიტი, ბელგიის სამეფო აკადემია“ — რომელიც — მსგავსად კოლეტისა და ჟან კოკტოსი — შარშან მოიპოვა.

მწერლის ეკლექტურ გამოვებას მისი ოთახის კედლებიც ადასტურებს. თვალშისაცემია მიროსა და მორის უტრილოს ტილოები. „ამ ფორმით გამოვკვეთ ჩემს შინაგან დაძაბულობას აბსტრაქციასა და წარმოსახვას შორის“ — ამბობს მწერალი. ოთახი მდიდარია ხელოვნების ნიმუშებით, ძირითადად მეგობართა საჩუქრებით: დიანე დე ვურთემბერგის ქანდაკება, აფრიკული ნილაბი, მექსიკელი ექიმბაში, XVI საუკუნის სამი ჩინური ლარნაკი. მწერალს აქვს სხვა ძვირფასეულობაც — უფრო პირადი — 2004 წელს მიღებული პრიზი თხზულებისთვის „ბატონი იბრაჰიმი და ყურანის ყვაილები“. გუნდურ გრასის მიერ შესრულებული ქანდაკება, რომელიც 16 კილოგრამს იწონის. „პრიზის გადმოცემის საღამოს ვიყავი ბედნიერი მისი ხელში ჭერით. შედეგად: სამი თვე მყესის დაჭიმვით ვიტანჯებოდი“ — მხიარულად იხსენებს მწერალი.

შეიძლება ითქვას, საყოველთაოობა, რაც ადვილად ჟონგლიორობის საშუალებას აძლევს სხვადასხვა საქმიანობაში და რაც ავალდებულებს ხშირად დაბრუნდეს პარიზში, რათა თვალყური ადევნოს **Rive Gauche**-ის თეატრის მართვას, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელიცაა.

სეზონის დასაწყისს ორი ახალი სპექტაკლით ხვდება, ერთი მარიან ჯეიმსთან ერთად, რომელიც მან დადგა და მეორე საშა გიტრის შესახებ, რომლის ავტორიც თვითონვეა. გიტრი, რომელიც გამოუსწორებელი გაუმაძღარია, ქმნის მის დევიზს: „რაც არ მიტაცებს და არ მხიბლავს, თავს მამზებრებს.“

ფრანგულიდან თარგმნა  
ინ ჯავახიანი

მანანა ტურიაშვილი

## სმაურიანი „მაკბეტის“ სისასტიკე

თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე გრიბოდოვის თეატრი მაცურებელს ვერ იტევდა. იან კოხანოვსკის სახელობის თეატრმა დიდი ინტერესი გამოიწვია და ამის მიზეზი პოლონელი რეჟისორის მაია კლეჩევსკას, როგორც თამამი ექსპერიმენტატორის, სახელია. მისი შემოქმედება და თუნდაც „მაკბეტი“ ენინალმდევება იმ სკეპტიკოსთა მოსაზრებას, რომ რეჟისურა მამაკაცის პროფესიაა და არა ქალის. იგი გააზრებულად ანგრევს შტამებს და არ დაიდევეთ მეცნიერ-შექსპიროლოგთა მოსალოდნელ მკაცრ შეფასებებს. თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე სპექტაკლ „მაკბეტის“ შემდეგ დაინტერესებული პირები რეჟისორს შევხვდით. ჩვენ ვიხილეთ გულწრფელი, თვითკრიტიკული და ამავე დროს თავის შემოქმედებით ძალებში დარწმუნებული რეჟისორი. სპექტაკლით ცოტა უკმაყოფილო იყო, თქვა, რომ „მაკბეტი“ კარგა ხნის წინათ დადგა (თეატრის საინფორმაციო წყაროებით: 2004 წელს) და ახლა მას, როგორც წარსულს ისე უყურებს.

შექსპირის აღიარებული პიესების იმდენი სცენური ვერსია არსებობს, რომ ძნელია მიაგნო რაიმე ახალს, მაგრამ მაია კლეჩევსკას ეს არ გაუჭირდა. მან „მაკბეტის“ მოქმედება გადაიტანა გარემოში, რომელიც ერთი შეხედვით სარდაფს მოგაგონებთ, ან განგსტერთა ბუნავს, ან ლამის კლუბს, სადაც ნარკოტიკთა დაგემოვნებას უპრობლემოდ შეძლებთ. დახვეწილი გარემოს შესაქმნელად აქ არავის უზრუნია. ამგვარი ადგილი უზვადაა ასახული კინემატოგრაფში. პოლონელი რეჟისორის პერსონაჟები: ბოროტმოქმედები, მეძაგები, განგსტერები, ლოთები, დაქირავებული მკვლელები, ტრანსვესტიტები — სწორედ აქ გაითამაშებენ შექსპირის „მაკბეტის“ ტრაგედიას. ტრიალი და უდაბური მინდორიც სწორედ ეს ადგილია, სადაც მაკბეტსა და ბანქოს ალქაჯებთან მნიშვნელოვანი შეხვედრა ელით.

მოქმედ გმირთა საომარ შემართებას ირონიულად მიუთითებს დოლბანდით გადახვეული სხეულის ნაწილები: მაკბეტს თავი აქვს გადახვეული, ბანქოს — ხელი. ტანთ სპორტული ტანსაცმელი აცვიათ. თანამედროვე, ცოტაოდენ განძარცულ საგარდებში ჩამსხდარნი ტელევიზორს შესცქერაინ. რეჟისორი მაცურებლის ფანტაზიაზე მოქმედებს და ვხვდებით, რომ ალბათ საინფორმაციო გამოშვებას უყურებდნენ, რომელიც მათ გმირობას აშუქებდა. შეტაკების შედეგად გადატვირთული გონების განმუხტვის ნიშნად იქვე ალკოჰოლის ბოთლებიც დგას. სწორედ მორიგი გამარჯვების შემდეგ ადამიანის ფსიქიკაში უცნაური ფიქრები აიშლებიან. ამიტომ იწყება მაკბეტისა და ბანქოს ეპიზოდი დუმილით და ვიდრე მაცურებელი შექსპირისათვის უცხო, არაბანალური გარემოს თვალღერებით თავს ირთობს, გმირები კუდიანებს ელიან.

პიესაში კუდიანთა სიმახინჯე ცხოვრების საშინელებათა ამსახველი სიმბოლოა. ზოგი შექსპიროლოგის აზრით ეს უცნაური, შემზარავი არსებები ადამიანთა წარმოსახვანი არიან, რომლებიც სასტიკ ფიქრებს აღძრავენ და ამ ფიქრების განხორციელებისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ელიან. ამ გზაზე ადამიანის ფსიქიკა მრუმე ვენებათა სათამაშო არენას ემსგავსება. მორიგმა გამარჯვებამ მამაც მაკბეტში კაცისკვლის შემადრწუნებელი სურვილი დაბადა, ხოლო ბანქო გრძნეული დების გამოცხადებას შემდეგი ტექსტით ახასიათებს: „მინაც წყალივით ზოგჯერ ბუშტებს აისვრის ხოლმე და ესეც ბუშტნი უნ-

და იყვენ. ნეტა სად გაქრნენ?“ (თარგმანი ივანე მაჩაბლისა). მაკბეტს კუდიანებთან ურთიერთობის გახანგრძლივება უნდა და მათ გაქრობას სინანულით აღნიშნავს: „...ნეტა კიდევ პატარა ხანს დარჩენილიყვენ!“ ბანქო კი ამბობს: „იყვენ კი მართლა, თუ ბალახის მავნე რამ ძირი ვჭამეთ და იმან დაგვიტყვევა გრძნობა-გონება?“ სპექტაკლის გმირებისათვის ბალახის მავნე ძირის დაგემოვნება უცხო ხილი არ უნდა ყოფილიყო.

გრძნეული დები — კუდიანები თუ ალქაჯები — ამ სარდაფის მუდმივი კლიენტები, ქართველი მაცურებლისათვის კინოერანის ცნობილი პერსონაჟები არიან, რადგან საქართველოში ასეთი ჩაცმულობის ტრანსვესტიტებს დღის სინათლეზე ვერ იხილავთ. მამაკაცს ტანთ შემოსალტული ქალის ტანსაცმელი და ბუმბულის მჭახე ფერის შარფი მოუხვევია, მაღალ ქუსლებზე მშვენივრად მოძრაობს; ხანშიშესულ ქალს, ბებერ მეძავს ფეხები მოშიშველებული აქვს და უცნაური ფერის ხვეული თმით შემოკობილი პარიკი ახურავს; ის „მარადიული ახალგაზრდობის“ გამოშხატეულია, რომელიც პენსიაზე გასვლას არ ეშუება. მესამე დაც ასეთივე არაორდინარული ტანსაცმლით გამოირჩევა. მათ სახეზე, თანამედროვე კოსმეტიკური მიღწევებისა და მაკიაჟის უხვ ფერთა გამა ასაკის დამალვას ცდილობს, ხოლო უზარმაზარ ხელოვნურ ნაწნამთა ჩრდილი გრძნეული დების თვალთა სხივის გამოშხატელობას ბუნდოვანს ხდის. ეს სამი არსება, ერთი შეხედვით, ახალი სახის კლოუნებად შეიძლება ჩავთვალოთ, რადგან მათ ყოველ გამოჩენასა და მსახიობთა მიერ ჩამატებულ ტექსტში უხვად იგრძნობთ თვითირონიას, კომიკურ ელემენტებს, რაც მაცურებელში იუმორს ბადებს. მათი ანცობა მკვლელობათა კასკადს ამზადებს, რომელიც სასტიკი და ამავე დროს ბინიერ განცდათა ქაოსურ სამყაროს ქმნის, რაზეც პრინციპში დგას კლერესკას სპექტაკლი. რეჟისორი კუდიანთა ამგვარი წარმოსახვით შექსპირს ეყრდნობა. პიესაში ბანქო მიმართავს ამ ქალებს: „ეს ვინ არიან სახე-მჭკნარნი და შესაზარნი?.. დედაკაცები უნდა იყოთ, მაგრამ ეგ წვერი თითქოს სხვას მოწმობს“. ერთ-ერთი კუდიანი ამბობს: „ხელი ხელს მივცეთ, გრძნეულო დებო... ფერხულს ჩავებათ, დავპრონიალდეთ...“ გრძნეული დების ე. წ. ფერხული, თანამედროვე, პოპულარული სიმღერების ფონზე, ხშირად გაისმის სპექტაკლში, რომლის მხიარული ელფერიც სცენაზე მიმდინარე ბინიერებისა და სისასტიკის განმუხტვასც ემსახურება.

რეჟისორს ნაკლებად იზიდავს მაკბეტში მკვლელობის იდეის ჩასახვის მოტივაციების დადგენა, მისი განვითარება, ძალაუფლების მისაღწევად ზნეობრივ კანონთა უგულვებლყოფის გამო წარმატებული, მამაცი მეზობლის პიროვნების დაშლისა და განადგურების პროცესი. მას აინტერესებს ის გარემო, სადაც იზადება დანაშაული და სადაც დუნკანის დაკვლა „სიბრალულის გათამაშებასაც“ კი არ იწვევს. გავიხსენოთ სცენა, სადაც საცურაო ბიკინში ჩაცმული მამაკაცები (პიესის მიხედვით, დიდებულნი) თითქოს ლია ვერანდაზე ან აუზის წინ სხედან და კოქტეილს შექცევიან. დილის გაზეთები დუნკანის მკვლელობას აუწყებენ. და მაშინ, როცა მაცურებელი ამ არაორდინარული სცენით მიღებულ შოკს აცნობიერებს, სპექტაკლის გმირები უდრტინველად ღებულობენ პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას. კლერესკას შექმნილ ამ ატმოსფეროში ადამიანებს მართავს მხოლოდ და მხოლოდ ვნება, ბინიერება, ალტკინება, სექსი და ავხორცობა. იქ დღე არასოდეს დგება, იქ ბნელეთის ღვთაების, ჰეკატას საუფლოა. სწორედ ამ ატმოსფეროს შექმნას შეეცადნენ რეჟისორი და მსახიობები და მიზანსაც მიაღწიეს. თუმცე ამ პროცესით გატაცებამ ვერ ამოავსო „მარტო“, პირისპირ დარჩენილი ავბედითი ცოლ-ქმრის დუეტის შინაგანი ურთიერთობის დეფიციტი. მაკბეტების ურთიერთობა ძირითადად აგებული იყო სექსუალურ ლტოლვაზე და სწორედ ამიტომ ცოლ-ქმრის ბჭობის შემდეგ დაწყებული ვნებიანი ტანგო, ამ ცეკვის ილეთების შესრულების მკრთალი მონახაზით გამოხატული, ავხორცულ დუეტად გადაიქცევა.

სპექტაკლის დასაწყისში სწორედ ამგვარი კუდიანები უწინასწარმეტყველებენ ბანქოსა და მაკბეტს მომავალს. უნდა აღვნიშოთ, რომ კუდიანთა — ამ გაურკვეველი სქესის ადამიანების

— წარმოსახვანი პიესაში უკავშირდება ადამიანებში ჩაბუდებული ბნელ ფანტაზიებს, ძალაუფლების მოსაპოვებლად ნებისმიერი ხერხის გამოყენებას, რაც ყველა ეპოქას ახასიათებდა. შექსპიროლოგთა აზრით, ნაწარმოებში მაკბეტს ამარცხებს საკუთარი ვნებები და ბოლოს და ბოლოს მის წინააღმდეგ ამხედრებული მთელი ქვეყანა, რომელიც ადამიანურობის პრინციპების დასაცავად იბრძვის. სპექტაკლში ეს „მთელი ქვეყანა“ პოტენციური ბოროტმოქმედია, რომელიც შესაძლო გარემოებათა დროს მაკბეტის მოიქცევა. დედოფლობის სურვილით შეპყრობილი ლედი მაკბეტი ზნეობრივ კანონთაგან თავისუფალია. იგი ყველა საკითხს მარტივად აგვარებს. გავიხსენოთ სცენა, სადაც ქერათმიანი, რომანტიკული ფერადი კაბით შემოსილი ჯუდიტა პარაძინსკა უშფოთველად და საქმიანად ხდის ქმარს სისხლიან პერანგს, ქვედა საცვლის ამარა ტოვებს და მაკბეტის სხეულიდან სისხლის ჩამოხანას რიტუალივით ატარებს. ლედი მაკბეტი ბოროტმოქმედების კვალის გაქრობაზე ფიქრობს, მაშინ როცა მაკბეტს ჩადენილის სისასტიკე ამძიმებს. ნადიმის სცენაში, სადაც პიესის მიხედვით მაკბეტს მოჩვენებები ეცხადება, თანამონადიმეებს უცნაურ ცხოველთა ფანტასმაგორიული ნიღბები უკეთიათ. სახელდახელოდ შერჩეულ საღამოს ტანსაცმელში ჩაცმული ე. წ. დიდებულნი ჩუმად იცინიან. ეს ჩაცნება საკმაო ხანს გრძელდება, რომელიც ზოგჯერ გაუბედავ ქირქილადაც მოგჩვენებათ. ლედი მაკბეტი გაუშვებს მოწმეებს, ხოლო მაკბეტი თვალს დაადგამს ბებერ კუდიანს და ეკითხება: „გვიყვარვარ?“ ქალი ხვდება, რომ ბინიერი ეროტიკის შემოტევით მაკბეტს თავისი ბნელ წარმოსახვათა ჩაცხრობა სურს და შესაბამის, არატრადიციულ სექსუალურ საქმიანობასაც შეუდგება. ამ ეპიზოდში გაილევებს ლედი მაკბეტის ეჭვიანი მზერა, რომლის გამომსახველობასაც უყურადღებოდ ვერ დატოვებთ.

სპექტაკლში ლედი მაკბეტის სიგიჟის ეპიზოდი მის შვედრებათა სრულ დაჩლუნგებაში გამოიხატება. მაკბეტისაგან განსხვავებით, ის ვერ აცნობიერებს ჩადენილ სისასტიკეს, სწორედ ამან მიიყვანა უგრძობელობამდე, რაც სიკვდილის ტოლფასად შეიძლება ჩაითვალოს. კლერვესკას სპექტაკლში მაკბეტი დიდხანს დაატარებს ლედი მაკბეტის მოდუნებულ სხეულს, სადაც ყველა ნერვი განყვეტილია. ჩვენ, მაყურებელი, საკმაო ხანს ვფიქრობდით: მოკვდა თუ ცოცხალია? ლედი მაკბეტი ცოცხალ ლეშს დაემსგავსება, რაც მაკბეტისათვის ტრაგედიაა, ალბათ სწორედ ამიტომ ხვდება მის სიკვდილს ხავილით. ვინაიდან ხელიდან ეცლება თანამზრახველი, სექსუალური ტანგოს შემსრულებელი იდეალური პარტნიორი. მარადიული მარტოობა მაკბეტისათვის გაუსაძლისია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ძლიერი ნება მაკბეტს არ ტოვებს და ბოლომდე იბრძვის.

თეთრ პიჯაკსა და მარვალში გამოწყობილი დუნკანი, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, მაფიის ნათლიმამა ან განგსტერთა მეთაური. ძალაუფლების მწვერვალზე მდგომი, მინდობილმინებებული ადამიანის მოძრაობით, ინფანტილური გამოსხომებით და ბოლოს გაზულუქებულის ცნობიერებით, რეალობას ვეღარ აფასებს, ამიტომ ვერც შესაძლო მტერს ხედავს.

ამგვარ საშიშ სამყაროში, ქვეშევრდომთა სავარაუდო სვლების გათვლა უნდა შეგეძლოს. მაკბეტის სახლში, ანუ ამ გზააღდენილ და ბინიერებაში ჩართულ ადამიანთა სამყოფელში ის შინაურად გრძნობს თავს. მას თან ახლავს ბავშვები, დაცვა, გოგონები, მაკბეტის კუდიანებიც მისი თანმხლებნი არიან. თავის ტექსტს მიკროფონთან წარმოთქვამს. გაისმის სიმღერები, მათ შორის ქართული: „გოგოვ შენი გულისთვინა...“ რჩეული საზოგადოება სამახსოვრო ფოტოებს იღებს. დუნკანი ლედი მაკბეტსაც შინაურულად გაუცეკვებს და ბოლოს მაიკლ ჯეკსონის სიმღერის რიტმსაც აყვება, პერანგის გახდასაც არ თაკილობს და როცა ნელზევით შიშველი, დონდლო სხეულს აჩენს, ვახანა-ლიის მეფე ხდება. რამდენიმე წუთით ლედი მაკბეტი და მაკბეტი მარტო რჩებიან: „ცხოვრობ მხდალივით“ — ეუბნება ცოლი ქმარს და ამის შემდეგ სიკვდილის მანქანა ამუშავდება, მაკბეტის გადაწყვეტილება დუნკანის მკვლელობისა და მისი ადგილის დაკავების შესახებ მომნიშვნეულია.



სცენა სპექტაკლიდან „მაკბეტი“

სცენაზე შემოდის დუნკანი. მას შეზარხოშებული აღარ ჰქვია, ნელზევით შიშველი, ალკოჰოლით თავანყვეტილ მებრუნებთან ერთად მოლხენამია ჩაბმული. ზოგიერთებს იატაკი აღარ ჰყოფნით სასაპარეზოდ, მაგიდაზე ადიან საცეკვაოდ. ამ ეპიზოდის საფუძველს შექსპირთან ვკითხულობთ. ბანქო მიმართავს მაკბეტს: „მეფემ კიდევაც მოისვენა. დღეს მეტის მეტად მზიარულადა ბრძანდებოდა.“ ლედი მაკბეტი: „რამაც ისინი გამათრო, მე მომიმატა გაბედულობა.“ მეკარე: „ხურუშიც მოსდევს სმას და არც მოსდევს; სურვილს ჰბადებს და კაცს ღონეს ართმევს“. ტყვიასავით გაისმის ფრაზა: „მაკბეტმა ძილი მოკლაო“. მაკბეტი დუნკანს კლავს, ლედი მაკბეტი სისხლიან ხელებს იბანს, ღრუბლით წმენდს ქმარს და განბანილი მაკბეტი მკვლელობის ტვირთით ჩაკეცილი ტირის. პიესის მიხედვით მაკბეტმა დაარღვია ვაჟკაცობის, მოვალეობის, ღირსების წეს-კანონი და უპატიოსნო ბრძოლა აირჩია. მას ზნეობრივი ფასეულობანი აღარ გააჩნია — დაცარიელდა. თუმცა კლერვესკას შექმნილ სამყაროში ბანდის წევრის ჩადენილი დანაშაული უჩვეულოდ არ უნდა გახმინებულყოფი, მაგრამ რეჟისორი ვერ გაეცლა შექსპირის ლოგიკას და მაკბეტის განცდების გამომხატვით სინანულის ნაპერწკალი აანთო. დუნკანის მკვლელობით მსახიობ მიხალ მაჟინცის მაკბეტი სულის სიმშვიდეს სამუდამოდ დაემშვიდობა და ამიერიდან მარადიული მარტოობის ცივ ლაბირინთებში მას ერთადერთი თანამზრახველი ჰყავს, ზნეობრივი კვლევი ლედი მაკბეტი.

როცა შექსპირის ეპოქის ელემენტებით შთაგონებული ლედი მაკბეტის მენამული კაბა სცენის ზედა ნაწილში, ე. წ. მეორე სართულზე, უკანა კედელზე მიბჯენილ ხიდზე კრთება და მაყურებელი პირველი ქალბატონის მსვლელობას აღიქვამს, ამ დროს სცენაზე ჭავჭავი მუქით განათდება ლაქის პრიალა ფეხსაცმელები, რომელსაც მაკბეტი უახლოვდება და იცვამს. მაკბეტი საკმაო ხანს ათვალეირებს ფეხსაცმელებს, რომლის პრიალა ზედაპირზეც არეკლილი მუქი კიდე უფრო მეტ ბრწყინვალეებს ანიჭებს.

მაია კლერვესკას სპექტაკლში, მთავარმა გმირებმა სწორედ ამგვარად დაიდგეს გვირგვინი. გვირგვინი, როგორც ძალაუფლების სიმბოლო, დღეს უკვე ბანალურად მოჩანს, თანაც ამ გათანამედროვეებულ „მაკბეტში“ გვირგვინი უადგილოდ აჟღერდებოდა. სწორედ ამიტომ რეჟისორმა არაორდინარულ სვლას მიმართა - გვირგვინს ფეხსაცმელზე არჩია. ფინალურ სცენაში, როცა იმავე სარდაფში შემოვლენ ხაკისფერ, თანამედროვე სამხედრო ტანსაცმელში ჩაცმული მეომრები და „ბირნამის ტყის“ ეპიზოდის შესრულება დაიწყება, მაკბეტი ბოლომდე იბრძვის, მაგრამ მას კლავენ, ფეხსაცმელებს ხდიან და ტახტის, ამ შემთხვევაში მაფიის, უსუსურ მემკვიდრეს აძლევენ. ის ხელებში ატრიალებს ფეხსაცმელებს და გამარჯვებულის ჟესტით ტოვებს სცენას. მაფიის მკვლელობათა ახალი ჯაჭვის აწყობა დაიწყო და ასე იქნება მარად, ვიდრე ამ სამყაროში კაცის კვლა არ დასრულდება.

ჩვენ ცალკე გამოვყოფთ ლედი მაკდუფისა და მისი შვილების მკვლელობის სცენას, რომელიც ამ სპექტაკლში ყველაზე ძლიერ და შემადრწუნებელ ზეგავლენას ახდენს. პიესაში ლედი მაკდუფი გამწარებული იხახის: „ცოლი, შვილი, სახლი, დიდება ყველა დატოვა და თვით სადღაც გადაიხვეწა.“ სპექტაკლში ლედი მაკდუფი ტახტზე ზის, გვერდით დაცვა უზის თითქოს, პიესის მიხედვით შოტლანდიის ერთ-ერთი დიდებული. კლერეესკასთან მაკდუფის ციხე-დარბაზი ირონიულად აჟღერდება კორპუსის ბინის კედელზე გაკრული იაფფასიანი შპალერის სახით. ლედი მაკდუფი, ქერა თმის ფერით და კარგი ტანადობით, ლედი მაკბეტს ნააგავს. იგი გაალმასებულია, შავი, სექსუალური მოკლე სამოსი ვნებიან ტანს ვერ უმაღლავს. მსახიობი არც ერიდება ბინიერ მოძრაობებს და ქმარზე გაალმასებული გვერდით მჯდომი მამაკაცის ეროტიკულ აღლევებას და ხელების მოძრაობას უჩვეულოდ არ ლეზულობს. მაკბეტების სისასტიკე ყველაზე მეტად ლედი მაკდუფის მკვლელობის ნატურალისტურ სცენაში ვლინდება. ამ ეპიზოდის ყურებისას ძრწოლა აგიტანთ. ქალის გაუპატიურების სცენა, სიკვდილის წინ პატივის აყრის ამაზრუნეი სისასტიკე ძალადობის სახეს ნათლად ხატავს. მსახიობი ქალის ურცხვად დაგდებული, თითქმის შიშველი სხეული არაესთეტიკურ ხასიათს არ ატარებს, პირიქით, კლერეესკას ამ ეპიზოდით მივხვდით ნატურალისტური სცენის დიდი ზეგავლენის ძალას. მიკი მაუსის ნიღბებით აღჭურვილი ორი კაციმკვლელი პატარა ბავშვებს აიტატებს და გარბის. ურცხვად დაგდებული, ყელგამოჭრილი ლედი მაკდუფის თითქმის შიშველი სხეული მაკბეტების სისასტიკის აპოთეოზია. ხოლო მკვლელის მიერ აკვარიუმში სისხლით დასვრილი ხელის გადაბანისას ხვდებით, რომ მაკბეტისაგან განსხვავებით, კაციმკვლელის ფსიქიკა ყველა პრობლემას პროფესიონალის ცივი გონებით აგვარებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სპექტაკლის მიმდინარეობისას ხშირად გაისმის კომედიური პასაჟებით გამონვეული მაყურებლის სიცილი, ხშირად გეუფლებათ კლერეესკას მიერ შექმნილი არაორდინარული სცენებით გაკვირვების გრძნობა და რეჟისორის თეატრალურ შტამებთან მამაცურ ჭიდილს ინტერესით ადევნებთ თვალს. თუმცა კომედიური პასაჟებით მოთხრობილ ტრავმებში არ ჩანს მაკბეტის, როგორც დიდებული რაინდის დაცემისა და პიროვნების გაუფასურების შედეგად გამონვეული ტრაგედია, რადგანაც პოლონელი რეჟისორის მონათხრობი XXI საუკუნის კაცობრიობის ტრაგედიაა, სადაც განგსტერთა მაფია მეფობს. რეჟისორს ამ სამყაროში სინათლის გამომჩენის არ სჯერა და მის სასტიკ განაჩენს აგვირგვინებს კუდიანთა სცენა, სადაც გაისმის სიმღერა: „I will survive“ („მე გადავრჩები“). ეს სიმღერა ხშირად გამოიყენება ფემინისტური მოძრაობებისა და გეი-თანასაზოგადოების ჰიმნად, სადაც შეყვარებულს დაშორებული ადამიანი ახალი ცხოვრების დასაწყებად ძალეებს იკრებს. პოლონელი რეჟისორი ამ ნომრით ამთავრებს სპექტაკლს, მოცინარ მაყურებელს ემშვიდობება და სისასტიკის შერბილებით თავდამშვიდებული, იუმორით გვეუბნება: მაკბეტთა სამყარო არ დასრულებულა, ამგვარი ადამიანები გადარჩებიან. და თუ სიმღერის ტექსტს გავითვალისწინებთ, რომელიც შემთხვევით არ არის შერჩეული, კუდიანთა დაშორება მაკბეტთან შეყვარებულთან დაშორებას მიაგავს, მაგრამ ისინი კვლავ შეხვდებიან მომავალ მაკბეტებს, მათ ძალაუფლების წყურვილს მოუკლავენ, ხანმოკლე სიცოცხლის ტრაგიზმს დაუმალავენ და, როგორც რეჟისორი გვინიანსარმეტყველებს: მომავალში შექსპირის მაკბეტისეული მოდელი ისევ და ისევ გათამაშდება.

რას გვასწავლის ეს სპექტაკლი? გადანყევტილების სითამამეს, ხელოვანის ხულიგნობის ძალას და შექსპირის პიესის არაორდინარულ გააზრებას, რადგან ქმედება, ძიება და გაუკვალავი ბილიკების მამაცური დალაშქერა არის ჭეშმარიტ ხელოვნებასთან მიახლოების გზა. თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორთა მიერ შერჩეული პოლონური „მაკბეტი“ გვასწავლის თეატრალური შტამების ნგრევის სურვილით გამონვეულ თავისუფლებას, სადაც რეჟისორისა და დასის მიერ ტექსტის პირველადი აღქმის ძალას ვგრძნობთ.

ნინო დეკანოიძე

# ლექსეპი პიარის ბარეში

(შახვედრა  
მურმან ჯგუზურიასთან)

ტრადიციული „სამშაბათობა“ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში დაეთმო მურმან ჯგუზურიას — პოეტს, ესეისტს, კრიტიკოსს და ნამდვილი ლიტერატურის ნაყალბევისგან გამორჩევის შეუმცდარ ექსპერტს. ნებისმიერ შემთხვევაში მას მაინც ამგვარად დაახასიათებენ.

ლონისძიების თაოსანი როსტომ ჩხეიძე შესავალ სიტყვას უწყინარ, მაგრამ ერთ დროს ხმაურიან მოგონებაზე ააგებს, კერძოდ, გაიხსენებს მურმან ჯგუზურიას მიერ შერჩეულ პოეტურ ხუთეულს და ამის გამო ატეხილ აჟიოტაჟს.

დღის სტუმრის სანაქებოდ კი აღნიშნავს: მურმან ჯგუზურია არის ის მწერალი, ყველაზე და ყველაფერზე საკუთარ პრინციპულ აზრს რომ გამოხატავს და შესაბამისად ხუთეულიც ამ თვალსაზრისით შეადგინაო. ხუთეულში ვიქტორ გაბესკირიას მოხსენიება ყოფილა საბაბი სწორედაც დიდი აჟიოტაჟისა. რადგანაც სწობების გემოვნებით ამ პოეტის ადგილი არც ასეულში აღმოჩნდებოდა. მითუმეტეს, იქ, სადაც ანგარიშს მხოლოდ ერთხელ მიღებულ აზრს უწევენ, ამის შესაბამისად დანესებულ იერარქიას, დადგენილ გემოვნებას — დააკონკრეტა რა მასპინძელმა, მიუთითა ისიც, რომ რაკილა მურმან ჯგუზურიას მიაჩნია, პოეტი საკუთარი მსოფლმხედველობით უნდა ხასიათდებოდესო, ვიქტორ გაბესკირია ამ თვალსაზრისითაც იქნა გამორჩეულიო.

— რატომ ვახსენე ეს ყველაფერი — განმარტავს მასპინძელი — თუნდაც იმიტომ, რომ მურმან ჯგუზურია არის ჩინებული მკითხველიც და არამარტო ძალიან კარგი პოეტი და პროზაიკოსი. სხვათა შორის, რომანიც აქვს გამოქვეყნებული; ავტორია მრავალი ჩინებული ესეის, რეცენზიის... და გონების თვალთ რომ შეხვდავ ამ ყველაფერს, ერთი ვრცელი ნიგინიც ვერ დაიტევს, სამი თუ ოთხი ტომი მოუნდება.

და კიდევ: მურმან ჯგუზურიას უყვარს ლიტერატურა და არა საკუთარი თავი ლიტერატურაში. არასოდეს გარჯილა თავისი შემოქმედების წარმოსაჩენად, განდიდებისთვის არ დამაშვრალა. ამიტომაც ვსაუბრობთ დღეს მასზე, როგორც პოეტზე, ესეისტზე და ლიტერატურის კრიტიკოსზე. გამხარება ბევრჯერ და, ცხადია, არ გამკვირვებია, როცა ბევრითად დაუმონებიათ ამა თუ იმ ლიტერატურულ საკითხზე საუბრისას: მურმან ჯგუზურიაც ამავეს ფიქრობსო.

...არა მხოლოდ ამ ერთი პოეტის, ზოგადად, ქართულ მწერლობაზე სასაუბროდ განაწყო აუდიტორია როსტომ ჩხეიძემ და პირველი სიტყვა იოსებ ჭუმბურიძეს სთხოვა, ამ შემთხვევაში, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსს და ამ თავყრილობის თავგამოდებულ მონადინეს. და შესახებულული ვიდრე თავის აზრს გაახმაურებს, მწერლისა და სცენარისტის რეაზ კვსელავას ესეის დაანინაურებს. ავტორს, მისივე თხოვნით, ამ შესვედრისთვის რომ დაუნერია საგანგებოდ და დიდთავლობით შექმნილი უგზოობის მიუხედავად, მარტივიდან მაინც მოუხერხებია გამოგზავნა.

„გამიხარდა, მურმან ჯგუზურია თბილისში რომ გამოჩნდა. რამდენჯერ დავურეკე მარტივიდან ემზარ კვიტაიშვილს, რათა გაეგო, სად იმყოფებოდა მურმანი, რას საქმიანობდა, როგორი იყო მისი ჯანმრთელობის საქმე...“

ბატონმა მურმან ჯგუბურიამ ძნელი ცხოვრება გამოიარა. ერთხელ ანზორ სალუქვაძემ მითხრა, მურმანი მოუწყობელიაო. გულისხმობდა მის ერთგვარ მიუსაფრობას, იმას, რომ მინიერი კეთილდღეობის ფორტუნა მას მაინცდამაინც არ წყალობდა. სამაგიეროდ, მისი ნიჭიერება და ლიტერატურული გემოვნება საეჭვო არავისთვის ყოფილა. მაგალითად კმარა აკაკი განერელია, რომელიც მურმანთან მეგობრობდა. მასსოვს მურმანის გამოცოცხლება, როდესაც რედაქტორის საქმიანობას შეუდგა. მისი ლიტერატურული გაზეთი „სიტყვა“ (სულ რამდენიმე ნომერი გამოვიდა) მაშინდელ დაძაბულ და ორაზროვან პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ. ყველა ნომერს დღემდე დიდი სიფრთხილით ვინახავ. ორაზროვნება დღემდე გრძელდება და მწამს, რომ მურმანი ყოველთვის სიმართლის მხარეს დაიჭერს.

მურმანმა ერთხელ დაწერა: არ არსებობს ისეთი წარმატებული პოეტი, რომელმაც ტერენტი გრანელოვა ერთხელ მაინც არ მოისურვოსო. თითქოს განგების ძალით, მურმანი ტერენტის ბიოგრაფიის გზას აგრძელებდა — თანამდებობა არასოდეს ჰქონია! ამიტომაც უჭირდა. მასსოვს, ძნელბედობის ჟამს როგორ მივაშურეთ „თბილისის“ რედაქციას, რომელსაც მაშინ გულკეთილი ადამიანები: იოსებ ჭუმბურიძე და მარინე მაისურაძე — ხელმძღვანელობდნენ. საარსებო ფულს, წოდებულს ჰონორარად, მათთან ვმოულობდით.

აკაკი განერელიამაც გაზეთ „თბილისის“ რედაქციას მიაშურა... და ბევრმა სხვა ცნობილმა მოღვაწემაც. მარტო ამ სიკეთისთვის არ უნდა დაეხურათ ეს გაზეთი!

ცხოვრების სიძნელეები მურმანს ზოგჯერ აიძულებდა აღმატების სტრიქონები ეწერა ამა თუ იმ გამოჩენილ პერსონაზე, და ამის გამო ერთხელ მას პლევაკო ვუნოდე, რამდენადაც პლევაკო ახერხებდა უიმიდლო მდგომარეობაში მყოფი მსჯავრდებულის გამართლებას. მურმანმა ჩემი „ხუმრობა“ არ მიიღო. ბევრი რამ მახსენდება. ერთხელ პარლამენტის წინ ჩავიარეთ, სადაც დაუსრულებელი მიტინგები ტარდებოდა. მიტინგის ხმა გარეუბნებს სწვდებოდა. ვნახეთ ნაცნობები, ვნახეთ დაღლილი, უძინარი, ტროტუარზე ჩამომსხდარი ახალგაზრდები. მომიტინგეები მიკროფონს ერთმანეთს სტაცებდნენ ხელიდან. ყველა საჭირობოროტო საკითხი უკვე მოგვარებული ჰქონდათ, მათ შორის, საქართველოს ბრწყინვალე პერსპექტივა უახლოეს თვეებში...

ერთხანს დავრჩით; მურმანმა იცოდა ამა თუ იმ ხმაურიანი მოვლენის მოულოდნელი კუთხით დახასიათება, მომიახლოვდა და მითხრა, — შენი არ ვიცი, მაგრამ მე რაღაც სიცარიელის გრძნობა მიპყრობსო. მერე ოთარ ჩხეიძის რომანებშიც გამოვლინდა ეს გრძნობა!

მურმანის მოღვაწეობის ერთ-ერთ ღირსეულ აქტად პოეტ ვიქტორ გაბესკირიას დაცვა მიმაჩნია და მან არა მარტო დაცვა სულმდაბლურ ხელყოფისაგან, არამედ ნათლად დაამტკიცა მივიწყებული პოეტის ლექსების მომხიბლაობა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო მურმანის შესანიშნავი მეუღლის ქ-ნ მაკას ღვაწლი ოჯახისა და მურმანის წინაშე. როცა ვუსმენდი ამ ქალბატონს, გადასახლებულ დეკაბრისტთა მეუღლეების ერთგულება მახსენდებოდა.

ძალიან ვწუხვარ, რომ მურმან ჯგუბურიას საღამოს ვერ ვესწრები, ვერა ვარ კარგად, ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფები. ერთს კი ვთხოვ მურმანს, თავისი ნაწარები, ადრინდელიც და ახალიც, ბატონ როსტომთან დატოვოს ჩემთვის!

ვსარგებლობ შემთხვევით და მურმანს სიამოვნებით ვუბრუნებ გალაკტიონის ცნობილ სტროფს: „თითქოს ბერდები? არაფერია, ათასი წლისაც არ დაბერდები“.

**იოსებ ჭუმბურიძემ** გამოსვლა „ესეისტურად“ დაიწყო: — ერთხელ მეუფემ მითხრა, ბაჩანა ბრეგვაძეს შევეხმინათო და ბატონი აკაკი განერელია ვინახულოთ, ნეტარი ავ-

გუსტინეს „აღსარებანი“ უნდა ვუსახსოვროთო, — მოიგონა ამას წინათ მურმან ჯგუბურიამ მიტროპოლიტ თადეოზისადმი მიძღვნილ ესეიში.

ამ მცირე ფრაგმენტით თითქმის ყველაფერია თქმული თვითონ მურმან ჯგუბურიაზე.

მიტროპოლიტი თადეოზი, ბაჩანა ბრეგვაძე და პოეტი ერთად მიდიან აკაკი განერელიასთან, რათა ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანი“ აჩუქონ.

აკაკი განერელიას ამაზე უფრო ხომ ვერაფრით გაახარებდი.

ასეთი კაცი და ასეთი პოეტი მურმან ჯგუბურიაა.



მურმან ჯგუბურია

**გაკვირვებული დგას ფერდობზე ობოლი ცაცხვი, გარდაიცვალა შემოდგომა, ზამთარი მოდის...**

— ამის დამწერი, რა თქმა უნდა, პოეტია. ერთხელ „თბილისის“ რედაქციაში გულნატკენი მოვიდა ბატონი მურმანი.

მიზეზიც მურმანი იყო, ოღონდ ლებანიძე. უთქვამს, კარგი პოეტი ხარ, მაგრამ პოპულარული არ ხარო. ეს როგორ მითხრაო?!

ანა კალანდაძისთვის უთქვამს მირანდა ფალავანდიშვილს: „აღუქსეი ტოლსტოი ხშირად უმეორებდა კოტეს: „Вот вы не умеете организовать вашу славу“.

არ ვიცი, რამდენად ითქმოდა ეს კონსტანტინე გამსახურდიაზე, მაგრამ მურმან ჯგუბურიაზე ზედგამოჭრილია.

ერთ ლექსში, რომელიც იზა ორჯონიკიძეს მიუძღვნა, თვითონვე წერს:

**მერამდენედ მიკითხავ,  
მერამდენედ გაკვეთილს,  
— როგორ გინდა იცხოვრო,  
— მეუბნები, — ურისკოდ.**

ყველა აღიარებს მის ნიჭიერებას, გემოვნებას, დიდ განათლებას, მაგრამ როგორ უნდა იცხოვროს, ის არ იცის...

ამიტომაც უყვარს გამორჩევით ფიროსმანი და ტერენტი გრანელი...

ახლახან გამოქვეყნებულ ბრწყინვალე ესეის მურმან ჯგუბურია ასე იწყებს:

„დაო დე-ძინი გვეკითხება: რა უფრო იოლი ასატანია, გამარჯვება თუ დამარცხება?“

ამ შეკითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად მე მზად არ ვარ“. — წერს იგი.

კარგია, რომ მზად არ არის.

ეს კითხვა, სჯობს, მუდამ უპასუხოდ დარჩეს... თუმცა არსებობს იმედი და ნუგეში. ბ-ნო მურმან, ეს არის ჩვენი სიყვარულის გამოსატყა, ურომლისოდაც ეს შეხვედრაც არ შედგებოდა...“

როცა მურმან ჯგუბურიას სთხოვეს თავისი რომელიმე ლექსი წაეკითხა, წიგნებში დაბინავებულებს ამჯობინა ერთი ბოლო ნიმუში, გამოქვეყნებული „ჩვენ მწერლობაში“:

„გუბერნატორად გამწესების წინ დონ კიხოტმა სანჩო პანსას ჭკუა დაარიგა“. ეს არის პოემა-შეგონება, თანაც, სევდიან იუმორსა და გროტესკს თანაბრად ითავსებს. მიგნებულია არა მხოლოდ მსგავსება, რაღაც საერთოც რუსთველსა და სერვანტესს შორის...

მოსალოდნელიც იყო და პოეტის მიერ საკუთარი ლექსის წაკითხვამ სათანადო მოწონებაც დაიმსახურა...

როსტომ ჩხეიძემ დასძინა: მისი პოეტური კრედაო ამ ლექსში გაცხადებული, მითუმეტეს, ადვილი არ არის და ძალიან დიდი გაბედულებაც უნდა, უკვდავი პერსონაჟი აამეტყველო შენი ენით. შენი განცდა-ფიქრი გამოახვიო მის ფიქრსა და განცდაში.

ხოლო პასაჟზე, დონ კიხოტი რუსთაველს რომ იხმობს მონმედ — შოთა როგორც ამბობდაო... — გაიხსენა, რევაზ გაბაშვილი თავის დროზე როგორი დარწმუნებით გამოთქვამდა მოსაზრება-ვარაუდს „ვეფხისტყაოსნისა“ და „დონ კიხოტის“ ავტორთა ერთი და იმავეობის შესახებ...

დიახ, ასე იყო, იმდღევანდელმა პოეტურმა საღამომ ნამდვილი ლიტერატურის თვისება — მშვენიერი მრავალფეროვნება — კიდევ ერთხელ დადასტურა.

**დალილა ზედინიძე** აუდიტორიას სხვა სამყაროში გადაყვანას დაპირდება, როცა ასე დაასათაურებს თავის გამოკვლევას — „ზეპირსიტყვიერების კვალი მურმან ჯგუზურიას ლექსებში“. პოეტი-მეცნიერის ეს ახალი ნაშრომიც საინტერესო აღმოჩნდა მოსასმენადაც, თუმცა ამჯერად მხოლოდ შემცირებულ ვარიანტს შემოგთავაზებთ:

„მურმან ჯგუზურიას სახელი კარგად არის ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. იგი ავტორია არაერთი პოეტური თუ პროზაული კრებულისა. მისი შემოქმედება მეტად ვრცელი და მრავალმხრივია და გულდასმით შესწავლას საჭიროებს, რადგან არაერთი მასაზრდოებელი წყარო აქვს. ამ წყაროთა შორის გამოირჩევა ქართული (შედარებით ნაკლებად — ანტიკური) ფოლკლორი, რაც მის ნამოღვაწარში ქმნის ქართულ კოლორიტს, სიღრმეს და სიღამაზეს სძენს მას. ამ თვალსაზრისით ჩვენ შევისწავლეთ მურმან ჯგუზურიას ორი პოეტური კრებული: „შენ იყურები სარკმიდან ახლა“ (1983) და „შინაური გარემო“ (1986), სადაც ოსტატურად არის გამოყენებული ფოლკლორი, რომელიც ქართულ სინამდვილესთან, ჩვენს თანამედროვეობასთან არის შეჯვარებული. ორივე კრებული უპირატესად ასახავს მეგრული სოფლების ყოველდღიურ ცხოვრებას, მათ საზრუნავს და დღევანდელიობას და განმსჭვალულია საქართველოს სიყვარულით, ქართული სინამდვილით.

რიგ ლექსებში გამოყენებულია ქართული ხალხური ზღაპრების მოტივები, რომლებიც მოხდენილად ერწყმის ლექსების მხატვრულ ქსოვილს („ნაცარქექია“, „ნიქარა“, ფასკუნჯი, უჩინმაჩინი და სხვა). რიგ ლექსებში გვხვდება მითოსური ალუზიები (ოქროს სანმისი და მისთანანი — მაგ. მდინარე ლეთა), რიგ ლექსებში კი ათვისებულ-გათავისებულია ქართული იდიომური გამოთქმები (მაგ. „ობლის კვერი ცხვაო, გვიან გამოცხვაო“).

ერთ უსათაურო პატარა ლექსში, რომელიც მურმან ჯგუზურიას პოეტური სამყაროს გასაღებად გამოდგება, ჩვენი ფოლკლორია სათანადოდ შეჯერებულ-აღწერილი:

**ჩვენი ხალხური ცეკვა და  
ჩვენი ხალხური ლექსი,  
ჩვენი ხალხური სიმღერა,  
ჩვენი ძირი და ფესვი.  
ჩვენი ხალხური ჭირი და  
ჩვენი ხალხური ლხინი,  
ჩვენი ხალხური ხმალი და  
ჩვენი ხალხური ძილი!**

იდიომური გამოთქმა „კაცი კაცითაო“ არის მთელი ციკლის სათაური, რომელიც ეძღვნება ქართველთა ურთიერთსიყვარულს, ურთიერთგატანას. აქ, ამავე დროს, პოეტი აღწერს ქართულ ხალხურ საახალწლო წეს-ჩვეულებას ჩიჩილაკით ხელში სიმღერისა.

ჭიკოკონობის, ჭეჭეთობა ღამის უძველესი ქართული ტრადიციის გამოძახილით არის აღბეჭდილი რიგი ლექსები („შემოდგომა“, „დღეს ჭეჭეთობა ღამეა“ და სხვა).

ფოლკლორი და მითოსი, არაერთგზის გამოყენებული ქართული კოლორიტის შესაქმნელად, ამდიდრებს მურმან ჯგუზურიას ლექსებს, პოეტის ერუდიციაზეც მეტყველებს და საკვლევად საინტერესოს ხდის.

თავის ემოციურ გამოსვლაში **მაკა ჯოხაძემ** ზოგადად პოეტური სიტყვის ესთეტიკისადმი თანამედროვე მკითხველის დამოკიდებულებაც ახსნა და მურმან ჯგუზურიას პოეზია გადამდები დაგემოვნებით მიმოიხილა:

„სანამ ჩანშვებებს გაგაცნობდეთ, ორიოდე სიტყვით მინდა გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილება იმ არაჩვეულებრივ პოემაზე, ახლა რომ გვიკითხავდა მურმანი. ამ მოკლე პოემაში თუ ვრცელ ლექსში მთელი ცხოვრების გზაა ნაჩვენები. მხატვრული ტექსტის ყოველი მოსახვეობა, აბზაცი, ფრაგმენტი სისადავით, სიმშვიდით, იუმორის სიბრძნითა და ჭეშმარიტებითაა სავსე. ვისმენდი და ჩემთვის ვფიქრობდი, რა კარგი იქნება ეს პოემა ესპანურად, იტალიურად, საერთოდ, მრავალ ენაზე რომ ითარგმნოს. მისი მოსმენისას, რა თქმა უნდა, სანჩო-სავით ჩაძინებული „მზვრინავი“ ადამიანებიც აღმოჩნდებიან, მაგრამ უამრავი ჩვენსავით სიამოვნებასა და ნუგეშს მიიღებს.

ახლა კი სახელდახელოდ გაგაცნობთ რამდენიმე ჩანაწერს, მურმანის ერთი პატარა ნიგნის კითხვამ რომ გააჩინა.

მურმან ჯგუზურიას მისი თაობიდან ე.წ. 70-80-იანელებიდან, პირადად ჩემთვის, ყოველთვის ამოვარდნილი იყო. ახლაც, ამ გადასახედიდანაც ასეა. მან საოცარი ერთგულება გამოიჩინა ტრადიციული ლექსწყობისადმი, მაშინ, როცა ერთი შეხედვით, სწორედ მისმა თაობამ დაარღვია კონვენციური ლექსის სტრუქტურა. გახსოვთ ალბათ ის განხაურებული პოლემიკა ე.წ. თაობათა შორის, რომელიც იმდენად აგრესიული აღმოჩნდა, რომ დაპირისპირებამ დაკარგა კიდევ ინტელექტუალური დონე და ლიტერატურული ხარისხი. ეს იყო უფრო პიროვნული ანგარიშსწორება და არა საუბარი ლიტერატურაზე. თითქოს მოდიოდა რაღაც ახალი, სრულიად უჩვეულო, ავანგარდული, ფორმის თვალსაზრისით დარღვეული, დესტრუქციულიც კი. თუმცა პირადად მე მგონია, რომ პოეზიის ერთგვარი მუსიკალურობა, პოეტურობა, ე.წ. თეთრი ლექსის შინაგანი რიტმულობის მოძიება ჯერ კიდევ ჩვენს ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაშია შესაძლებელი, რომ აღარაფერი ვთქვათ ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებებზე. მაგრამ ახლა ეს არაა მთავარი. მთავარია, რომ მურმან ჯგუზურიამ გაუძლო ამ ვერსიფიკაციულ ცდუნებებს. ნურავინ იტყვის, რომ ეს ადვილია, მაშინ, როდესაც მთელი თაობა ამ ფორმალური ძიებებითაა შეპყრობილი. საბოლოოდ ჩვენ ვნახეთ, თითო-ორიოლა გამონაკლისის გარდა, ე.წ. ვერლიბრი უნიჭობის თავშესაფარს უფრო დამსგავსა, ვიდრე ორგანულ შინ ყოფნას.

თუ თავდაპირველად ასე თუ ისე ხდებოდა ამ ფორმით შინაგანი განწყობილებების, ფიქრების გადმოცემა და აქა-იქ ემოციური სინკოპებიც გამოანათებდა მკითხველის საწუგეშოდ, მეჩვენება, რომ წლებთან ერთად ხელოვნურად გართულდა, გამოშრა, გამოიფიტა, ერთგვარი ინტელექტუალური ლაბირინთის სახე მიიღო. არ ვიზიარებ იმ შეხედულებას, რომ თუკი ცხოვრება იშლება („სოფელი მოსწრაფებით ირღვევა“), ურთიერთობები, დამოკიდებულებები კნინდება, ლექსმაც ეს დაშლილი, მორღვეული სახე უნდა მიიღოს აუცილებლად.

მართალია ხელოვნება „მაღალი რანგის სიზუსტეა“, მაგრამ ამ სიზუსტის გადმოსაცემად ასევე მაღალი რანგის ესთეტიზმია საჭირო.

დღევანდელი მკითხველის ინტერესიც უფრო დამკვირვებლის ინტერესს ემსგავსება, ვიდრე თანამონაწილისას, თანამემოქმედისას, რომელსაც თითქოს აინტერესებს, ამ ინტელექტუალური ლაბირინთიდან ბოლოს და ბოლოს როგორ დააღწევს ავტორი თავს.

მგონია, რომ სათქმელის ამ ფორმით გამოხატვა — ბუნებრივი, თავისთავადი, თბილი — ბოლომდე არავისთვის დარჩა ისეთი ორგანული, როგორც **ესმა ონიანისათვის**, რომელმაც სხვათა შორის სწორედ სამყაროს ჰარმონიული მთლიანობის, სიჯანსაღის, სინათლისა და ადამიანად ყოფნის მადლიერებისა და ბედნიერების ხელახალი აღმოჩენები, ფორმის თვალსაზრისით, თვისობრივად სხვა ხარისხში აიყვანა. ვფიქრობ, გარდა ტალანტისა, ამ შემთხვევაში მისმა უშურველმა ბუნებამ, პიროვნულმა თვისებებმა, რწმენამ, უანგარობამ, თავმდაბლობამ და საერთოდ, ადამიანის უსაზღვრო ნდობამ და სიყვარულმაც განაპირობა მისი შემოქმედებითი გამარჯვებები.

მურმან ჯგუზურიას ხსენებული ერთგულება ტრადიციული ფორმისადმი აიხსნება არა მისი კონსერვატიზმით, არამედ პროფესიონალიზმით, ალღოთი. მიხვდეთ, სად, რომელ ფორმებში ხარ შენ მართალი და ბუნებრივი. მე მგონია, რომ მას, როგორც შემოქმედს, არაჩვეულებრივი გემოვნება აქვს და, რაც მთავარია, მისი ლექსის დახვეწილი სისადავე, ერთგვარი სიმშვიდეც კი ბუნებითი თვისებაა.

ეფექტურობასა და სინამდვილეს შორის კამათი მარადიული, განუწყვეტელი საკითხია და ვინც ეფექტურობა აირჩია, ერთთავად სინამდვილის ნოსტალგიით ცხოვრობს. ჟან-პოლ სარტრზე დაწერილი ეს სიტყვები გამახსენდა, როცა მურმანის ლექსებს ამდენი ხნის პაუზის მერე ვკითხულობდი. ეგზისტენციალისტებთან მართლაც ასეა, სინამდვილის ნოსტალგია მათთან ღრმად შეიგრძნობა. მურმანის პოეზია ამ სინამდვილეთაა გაუღწევთილი, რადგან იგი არც ეგზისტენციალისტია და არც პესესეული გაგებით „მოთამაშე“. მთელი მისი გრძნობითი თუ გონებითი ხედვა და ძალა მიმართულია სამყაროს სევდის, სოფლის, როგორც ნუთისოფლის, მშვენიერების, სილამაზის, ცვალებადობის დანახვისაკენ, „აღუხსნისაკენ“ და მკითხველიც თავისთავად, ბუნებრივად, მასთან ერთად ეზიარება ამ პროცესს.

აღლო და გემოვნება ერთგვარი კამერტონია ბუნებისა და ისეთივე ზუსტი ტონალობითა და ფერით ირეკლავს სამყაროს, როგორც დღელამურ ციკლში სხვადასხვაგვარად განათებული პეიზაჟის მონაცვლეობა და მისი შუქ-ჩრდილები. მურმან ჯგუზურიას ლექსის სისადავე მატყუარა სისადავეა, ოღონდ არა ისე მატყუარა, რომ ეს სისადავე სიმარტივეში აგერიოთ. იგი ისე ესთეტიურად გამოხატავს უღრმეს შეგრძნებებს, რომ თითქოს ამ თვალსაზრისით ესთეტიური ტკბობა უფრო გამოდის წინა პლანზე, ვიდრე თვით აზრის სიღრმე. საოცრად ყოფით ენაზე, მშვიდად, დამაჯერებლად ყვება თუ ხატავს (ზღვრის დადგენა ძნელია) სამყაროს სქესად დაყოფის სურათს. საოცარი უშუალოდ გადმოსცემს, რომ არავის და არაფერს ამქვეყნად მარტოობა არ შეუძლია, თუ თავისი ცალი, თავისი სიყვარული არა ჰყავს გვერდით.

**ჩვენ მეზობლისგან გვეყოფდა ღობე და ღობის გასწვრივ სულ ორი ძირი გვედგა მსხალი, რაც თავი მახსოვს...**

ასე იწყება ბავშვობისეული შთაბეჭდილება, დიდობაში კი აღმოაჩინეს, რომ „დედა“ მსხლის მოჭრის მერე „მამა“ მსხალმა დაიხანს ველარ იცოცხლა და ზეზეულად ჩამოხმა.

„მსხლები“ ისეთი ღრმა, სუფთა და ჭკვიანი ლექსია, თავისუფლად ნაუკითხავთ ბავშვებსაც, სიბრალული რომ ასწავლოთ. ამბობენ, შიში არასოდეს ქარწყლდებაო. მეტიც, პავიჩი შიშს მთელი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების მასტიმუ-

ლირებელ ძალად მიიჩნევდა და ამბობდა: ჩემი შიში არასოდეს დაბრუნდებაო. მურმანს აქვს ერთი ორსტროფიანი ლექსი, რომელშიც მოკლე ფილოსოფიური ნიაღვრითაა გახსნილი ბავშვობაში კარის ჩარახვა-გადაკეტვისა და დიდობაში ღიად დატოვებული კარის მაგალითზე შიშის ფენომენი, ამ ლექსით კი გახსნილია ჭეშმარიტების არსი. ქართული ანდაზების მთელი ჯარი გაგახსენდებათ ამ დროს, მაგრამ ყველაზე მეტად ალბათ მაინც — კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდებაო.

აქაც ასეა, როგორცაა ოჯახი, ისეთივეა ქალაქიც, ქვეყანაც. ამიტომ რაც ხდება შიგნით, ის ხდება გარეთაც, ესენი ერთმანეთს ისე აირეკლავენ, როგორც ფილოსოფიურ სენტენციაშია ტბისა და ვარსკვლავიანი ცის შესახებ.

**ძველ ოდას ახლავს თავისი შიში და მე გულდაგულ ვკეტავდი კარებს, ნკვარამი იყო კოლხური ღამე და მე პატარა ვიყავი ბიჭი.**

ერთხელ თემო ჯაფარიძის მიერ დახატულ მამაკაცებზე დავწერე, რომ მათ ძალიან ცოტა რამ უნდათ და მინიმალური რამ ჰყოფნით საარსებოდ. ამას მეტყველებს მათი გამოხედვა, ჩაცმულობა, სახის ფერი, მათი ინტერიერი, მათი მაგიდა — ერთი ჭიქა ლიმონიანი ჩაით, პურის ნატეხითა და წიგნებით. სწორედ ეს ყოფის მინიმალური მოთხოვნა გამახსენა მურმანის უჩვეულო სიმყუდროვითა და შინაგანი სიმშვიდით დაწერილმა ლექსმა:

**კვლავ მიიტანე შენს ოჯახში შაქარი, პური...**

ამ სტრიქონებმა იმპრესიონისტთა ერთი სურათი „კაფე არლეში“ დამიყენა თვალწინ, სადაც ფიზიკურად მოჩანს დროის დინება. მურმანს ახასიათებს დროის იმპრესიონისტული აღქმა. დრო, რომელსაც ვერ დაიჭერ, ვერ გაუხსნებ, ვერ ჩამორჩები, რადგან დრო მდინარეა და ადამიანიც მიმდინარეა, ამ დროსთან ერთად მოედინება.

რამდენი რამ გვინახავს და ნაგვიკითხავს ომის შესახებ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ თავად გავიარეთ ეს ომები, მახინჯი ომები, მაგრამ ასეთი ძუნწი და, ვიტყვოდი, ერთგვარი თავშეკავებული ტკივილითა და სიფაქიზით იშვიათად შეგვხვდებოდა ხელოვანის მიერ დახატული ომი:

**დიდი ღომი და პატარა ყველი ორმოცდაერთი გავიდა წელი...**

საერთოდ საოცარია მურმან ჯგუზურიას უნარი, მინიმალური სიტყვებით დახატოს არა მხოლოდ სურათი, განწყობა, არამედ აზრი, დახატოს პროცესის სიღრმე:

**სუვენირების მალაზია სავსეა ხალხით...**

ველარ გავყვები, როგორც მოგახსენეთ, ისედაც თქვენი მოთმინებით ვისარგებლე, და ბოლოს მინდა ერთი ლექსიც ნაკვიკითხოთ. „საახალწლოდ სახვენარი“.

**მე მონა ღვთისა მ. ჯგუზურია შენთვის აღვავლენ ლოცვას, მიეცი გლახაკს ის, რაც სწყურია და მეც მომხედვე ოდნავ. სხვისთვის მარადი გაზაფხულია, ჩემთვის კვლავ ქვათა კოდვა, მიეცი მსუნავს ის, რაც სწყურია და მეც მომხედვე ოდნავ.**



**ღმერთო, შენს აჩრდილს ვენაცვალე,  
შემიმსუბუქე ცოდვა.  
მიაგე ყველას შენ მონყალე,  
და მეც მომხედე ცოტა.**

ამ მარადიული ჭეშმარიტების მძებნელი და მპოვნელი ქართული ლექსის კეთილზმომადგენელი ნუ მოუშალოს სამყაროს ღმერთმა“.

რახან უფრო უკეთ, უფრო ზედმინეწით არაფერი მისადაგებულა, კვლავ ამ აპრობირებული მეტაფორის ავტორს დავესესებები — **ქართული კრიტიკის სოხუმური ფრთა**; და მისი ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, პროფესორი **სალომე კაპანაძე** იტყვის:

„მწერლის ბიოგრაფიის ათვლა მაშინვე იწყება, როცა იგი პირველ სტრიქონებს უსახსოვრებს მკითხველს და ამის შემდგომ ყოველთვის ცდილობს, მართალი იყოს საკუთარ თავთან და ღმერთთან, როცა თავისი სულიერი გამოცდილებით არ ფარავს წმინდა ადამიანურ სანყისებს და ეგზისტენციური ძიებებითა და ბუნდოვანი ქვეტექსტებით არ გარბის მათგან. მურმან ჯგუზურია ერთ-ერთია, ვინც მოდური „იზმების“ გარეშე შეძლო შეენარჩუნებინა შემოქმედებითი ავტორიტეტი. მარინა ცვეტაევა პოეტებს ყოფს განვითარებად პოეტებად და პოეტებად განვითარების გარეშე, ისტორიის პოეტებად და უისტორიო პოეტებად. მურმან ჯგუზურია არის ისტორიის პოეტი და ამისათვის საკმარისია მის პოეზიას თვალი მივაღვენოთ 70-იანი წლებიდან. „ლექსის წერა გმირობაა მახარია, თუკი ქვეყნად დროებაა მკაცრი“ — ამბობს ერთგან. მურმან ჯგუზურია ამ მკაცრი დროების შვილია, თუმცა არახლოდეს უცდია გაქცევა „მკაცრი დროების“ ტყვე სამშობლოდან და არც ამ დროებაში ჩაუკარგავს ის მთავარი, რაც ასეთ ბუნებრიობას ანიჭებს მის პოეზიას. სამეგრელოს „შინა სახის“ ასეთი ცხადი, კონკრეტული წარმოჩენა, მისი მისტიკური სისადავე, ბავშვობიდან გამოყოლილი კოლხური მიწის სურნელი და ჯიხაშკარის აღმართის მოგონებები ფიქრის სხეულად — სიტყვებად იღვრება მის პოეზიაში.

1976 წელს დაწერილ მის ერთ-ერთ ლექსს ჰქვია „სიტყვა“. ამ სიტყვის მიღმა შორეთში მიმავალი დედის ხატება ირეკლება. მისი ამოუთქმელი სიტყვა, რომელიც იდუმალბების მეტაფორასავით ირეკლება და ორგანულად ერწყმის მურმან ჯგუზურისასათქმელის პოეტურად გამოსატყვის სურვილს. მთელი მისი პოეზია დანაღმულია ამ მოგონებებით. მამის სიკვდილის დღეს პეპელას გამოდევნებული ყრმაც ხსოვნის ნამსხვრევია და ერთობ სიმბოლური. პეპელა ხომ რეინკარნაციის სიმბოლოა.

მურმან ჯგუზურისას მიძღვნილი ხასიათის ლექსებიც მოგონებათა რკალში ექცევა. მის პოეზიაში ჩვენი უახლესი წარსულის კოლორიტული სახეები ჩნდებიან — **ვერიკო ანჯაფარიძე, ფიქრია ლებანიძე** და სხვები. **ოთარ ჩხეიძის** დიდებულ უბრალოებაზე მიგვანიშნებს ავტორი ერთ-ერთ ლექსში. მწერალი, რომელიც „სიტყვას უთევს თეთრად ღამეებს“, „გვიხატავს ეტიუდებს, ვით ფრესკის ნაჭერს ძველი ტაძრისას“, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით შრომობს, დაფუსფუსებს მშობლიურ სოფელში. მურმან ჯგუზურისას ყოველთვის შესწევს ძალა დიდი ადამიანები იმ რაკურსიდან დაგვანახოს, საიდანაც კარგად მოჩანს მათი ნამდვილი სახე. შეუძლია სწორედ ის შტრიხი დაიჭიროს, რომელსაც ადამიანის ღირებულებათა სისტემაში ვერაფერს ჩაუნაცვლებ“.

გულწრფელ აღტაცებას მურმან ჯგუზურისას პოეზიისადმი **გურამ პეტრიაშვილმა** „მკვანე შეძახილიც“ მიაპნ-მოაპნია, ოღონდ ჩვენი რეალობის სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხებთან დაკავშირებით. ისე, როგორც სჩვევია და რაც იმდღევანდელ მსმენელს არ უუცხოვებია. ამჯერად სიტყვით გამომსვლელის შთაბეჭდილება-შეხედულებათა მხოლოდ „გაფილტრულ“ ვარიანტს შემოგთავაზებთ. ჯერ თქმული

მურმან ჯგუზურისას პოეზიაზე; უფრო ზუსტად იმ პოეტურ ქმნილებაზე, ლექსისა და პოემის შესაყარზე რომ დგას: „პოემის პირველ წამკითხველთაგან მე ვარ ერთ-ერთი. ვუთხარი კიდევ მურმანს, რომ მეგონა, ვკითხულობდი სერვანტისის რომანის დაკარგულ ფრაგმენტს. და უნდა გითხრათ, სერვანტისი იმიტომ კი არ არის ჩვენთვის ძვირფასი, თავს რომ გვაკითხებს; არა, ბატონო, სერვანტისი მეტად ცხოვრებაგამობრძმედილი კაცია. მან ხელი დაკარგა ბრძოლაში. ბევრი მწერალი ვერ დაიტრახებებს ომში ყოფილიყოს. მე კი შემძლია განვაცხადო, ჩემთვისაც უსროლიათ ტყვია და, მადლობა ღმერთს, ამცდა.“

სერიოზულია სერვანტისი და ამნაირ მწერალს შეეჭიდა ჩვენი პოეტი და დადო ხვითო. საიდანაც გინდათ, დაუგდეთ ყური, რომელ სიმალეზეც უნდა ბრძანდებოდეთ...

აქ ლაპარაკობდნენ დიდების ორგანიზებაზე. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ შეგახედებთ ამას მეორე კუთხიდან: მოგესხენებათ, უამრავი ტელეარხია ჩვენში, გახმაურებული შოუების ცნობადი წამყვანებით, ცნობადი სტუმრებითა და ათასნაირი ზიზილ-პიპილოებით... (აქ ისეთებსაც გამოურევს, დაფარვა რომ შეეფერება). მოაფიქრდებთ კი მათ, ვისაც ხელენიფებათ, მიიწვიონ ნამდვილი პოეტი და ლექსები ნაკითხონ — ვთქვათ, მურმან ჯგუზურია — და გააცნონ და მოასმენინონ საქართველოს. ეცოდინება ხალხს, სიტყვა ისევ რომ ცოცხლობს, და ეს მათ ნამდვილ სიხარულს აზიარებთ...”

თავყრილობაზე გურამ პეტრიაშვილმა **პოლიტიკურ-პოეტური რეზოლუციის** მიღებაც კი მოინდომა, ნამდვილი ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის ხელსაწყობად. მდაბიური ელიტარიზმით, „სვეცკობით“ გაჯერებულ ჩვენს სინამდვილეში ამ მოქალაქეობრივ მონდომებას გულთან მიიტანენ ან გაუნევენ კი ანგარიშს? რალა უნდა ვთქვათ და ფიზიკის პროფესორის **თემურ ნადარეიშვილის** გამოვლასაც დავუგდოთ ყური, „ღონ კიხობის დარიგებას“ მორალური პოსტულატების კრებული ხომ უნდა. მერე დარწმუნებით განაცხადა, ველის კვანტური თეორიების ლექციები ლაო ძიდან იწყება; კერძოდ, რომ არაფერი არის ყველაფერი; ხოლო რასაც ჩვენ ფიზიკურ სიცარიელეს ვუნოდებთ, პოპულარულად განმარტავს; საგანგებოდ მომზადებული ჩანაწერებით კი შეეცადა აესხნა, რომ ერთ დროს ცოდნა ყოფილა ერთიანი, მთლიანი, ეს მერე დანაწილდა ჰუმანიტარული, სამართლის, სამედიცინო, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებად.

ცნობილი ექიმი და ჩვენი დარბაზის საპატიო წევრი **ლევან ქურციკაშვილი** შეხვედრის მიწურულს ასეთ სურვილსაც გაახმაურებს; რომ მურმან ჯგუზურისას შემოქმედებიდანაც შეირჩეს ნიმუშები საჯარო სკოლების სხვადასხვა კლასებში საპროგრამო ლიტერატურისათვის. განათლების სამინისტროს დაინტერესება ამ კუთხით ურიგო არ იქნებაო, — დასძინა.

დარბაზისავე თხოვნით, მურმან ჯგუზურიამ წაიკითხა ლექსები, ბოლოდროინდელნიც და ისინიც, ნახევარ საუკუნესაც რომ ითვლიან და დროისდინებას კი ოსტატობით, ცხოველმყოფელობით არ ჩამორჩენ. იმაზეც ითქვა, მისი პოეტური კრებულები ბოლო 20-30 წლის განმავლობაში რომ აღარ დაუბეჭდავთ. უამრავი გამომცემლობიდან ერთის დაინტერესებაც სასურველი იქნებაო.

მერე კი ზეპირი ესკიზებით შემოხაზა მურმან ჯგუზურიამ ფიქრები ქართული სიტყვის კლასიკოსებზე — **ოთარ ჩხეიძე** და **აკაკი განაშვილი** განსაკუთრებული მონივნებით გაიხსენა. არც უახლესი რუსული პოეზია დაუტოვებია მიმოხილვის გარეშე. როგორც თვითონ უყვარს თქმა, იქაური „შინამო“, მოსკოვური წლების წყალობით, გაშინაურებულის თვალთახედვით წარმოადგინა.

დაბოლოს, არის თუ არა „მოუწყობელი პოეტის“ ილბალი თუ უილბლობა მისივე ლექსებისთვის გადამწყვეტი, დაე პირუთენელმა მკითხველმა განსაჯოს.

იოსებ ჭუმბურიძე

# ჩანაწერები

## სივარტელისავე დაუნდობელი

არსებობენ ვერლიბრისტები, რომელთაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ „ჩემი პოეტები“ არ არიან.

ჩემთვის, არსებობენ ვერლიბრისტი კინორეჟისორებიც.

**ალექსანდრე (საშა) რეხვიაშვილიც** ასეთი მეგობარია — ვიდრე მის დოკუმენტურ ფილმს ვნახავდი.

ფილმს „უკანასკნელნი“ ჰქვია.

მთიანი რაჭის ორი მივიწყებული სოფლის — ღებისა და ჭიორას — მცხოვრებნი იგულისხმებებიან.

რა თქმა უნდა, ხანდაზმულები.

ისინი ამ ფილმის პერსონაჟები არიან.

თამაშობენ დიდ მსახიობებზე უკეთ, რადგან... არ თამაშობენ. ცხოვრობენ ფილმში.

ეს ფილმი საქართველოზეა.

გვინახავს არაერთი დოკუმენტური ფილმი, სადაც მზამზარეული საარქივო ფოტო თუ კინოკადრებია გამოყენებული.

აქ კი ყველაფერი რეჟისორის მოფიქრებულია (სცენარიც მისია), დადგმულია, ოღონდ ისე, რომ გამოგონილი და დადგმული არაფერია.

პერსონაჟები თითქმის არ ლაპარაკობენ. როცა საუბრობენ, მათი ხმა მაშინაც არ გვესმის.

შეიძნაწილიან ფილმში სულ რამდენიმე ფრაზა ისმის, მაგრამ ყველაფერი აბსოლუტურად გასაგებია.

პერსონაჟები არ ლაპარაკობენ. მოქმედებენ, ანუ შრომობენ: თოვლიანი მთიდან თივის ზვინი ჩამოაქვთ, მიწას ნაკელით ანაყოფიერებენ, ღორს ზრდიან და საშობაოდ კლავენ, წისქვილში სიმინდს ფქვავენ...

მათთან ერთად არიან შინაური ცხოველებიც.

მთავარი მოქმედი გმირი კი (მათ გარდა) ხარია.

უმისოდ, ცხადია, ვერ გაძლებდნენ.

ცხოვრების ჭაპანს ვერ გასწევდნენ...

აქ ყველაფერი თითქოს ისეა, როგორც სხვა სოფლებში.

აქ ისევე კვდებიან, როგორც სხვაგან (დაკრძალვასაც ვესწრებით), მაგრამ აქ არ არის ქორწილი, ვერ ვხედავთ ბავშვებს.

ამაზე სიტყვასაც არ ამბობენ.

მაგრამ ვხედავთ და განვიცდით.

ფილმი საოცრად პოეტურია, სევდიანი, ტკივილიანი.

ყოველი კადრი დახვეწილი და ბუნებასავით სრულყოფილია. პოეტურობას, სევდას, ტკივილს აძლიერებს ზუსტად მისადაგებული მუსიკა.

ბოლოს, ტიტრებში, ფილმის შემქმნელები ცოტა უჩვეულო თანამიმდევრობით არიან ჩამოთვლილი, მაგრამ ლოგიკას ადვილად ხვდები — თითოეულის წვლილი და მნიშვნელობა გათვალისწინებული. სცენარი და რეჟისურა — **ალექსანდრე რეხვიაშვილი**, რატი რეხვიაშვილი; მუსიკა და შესრულება — **ნიაზ დიასამიძე**; მონტაჟი — **საბა ამირეჯიბი**; ოპერატორი — **პაატა კერესელიძე**; ხმის რეჟისორი — **ლევან კიკვიძე**; პროდიუსერი — **ინგა ქარაია**...

ხომ დოკუმენტური ფილმია, ბოლოს მაინც იძალა მხატვრული კინოს რეჟისორმა და ფინალი მხატვრული გამოვიდა — დადგმული, ოღონდ იმავე ხალხით, ისეთივე ბუნებრივობით. მივიწყებული სოფლის ხანდაზმული მცხოვრებნი თავდავინყებთ აცეკვდებიან. შარაზე კი გამოჩნდება თეთრი, ლამაზი, ძლიერი ხარი, რომელიც მობრუნდება და აცეკვებულ ხალხს გასაოცრად ჭკვიანი თვალებით შეხედავს. ამ აცეკვებაში, ამ გამოხედვაში დიდი იმედი მოჩანს.

რა „რითმიანი“ კინორეჟისორი ყოფილა რეხვიაშვილი!.. მართალია, სასტიკი და დაუნდობელიც, მაგრამ ყველა ჭეშმარიტი ხელოვანი ხომ ასეთია.

სიმართლის ერთგული.

სიმართლე კი თვითონ არის სასტიკი და დაუნდობელი.

და მაინც: მჯერა, ეს ფილმი იმიტომ გადაიღო და ასე სასტიკად იმიტომ დაასათაურა, რომ ეს პერსონაჟები მართლა უკანასკნელნი არ აღმოჩნდნენ...

**პ.ს.** ჩემს თეკლას (8 წლისაა) ვაჩვენე და მას შემდეგ სულ გაიძახის, რაჭაში ცხოვრება მინდაო. უკეთესი რეცენზია, ალბათ, არც დანერვილა...

## მაცოდინა ნეტავ...

ფეისბუქში **ნიკა რურუას** სტატია ნავიკითხე.

**ოთარ იოსელიანი**ზე.

მართალი ყოფილა ქალბატონი **ლეილა კაჭარავა** (53-ე სკოლაში რუსულს ასწავლიდა) — მეუბნებოდა, ბევრს კითხულობდაო.

დათა თუთაშხია გამახსენდა, მუშინზე რომ ამბობს, ასეთები (ანუ ჭკვიანები) ხელმწიფის სამსახურში რატომ მიდიან, მაცოდინა ნეტავ.

ფეისბუქში დავწერე კიდევ, ამ კაცს სააკაშვილთან რა უნდოდა-მეთქი.

მაინც რით მომხიბლა მისმა ნაწერმა?

ორი დეტალით.

პირველი: „გიორგობისთვეში“ ლვინიან კასრში ნებოს რომ ჩაასხამდე, ანუ უვარგისად აქცევდე, იმ კასრს ნომრად „49“ აწერია. ფილმის გადაღების მომენტში ზუსტად ამდენი წელი იყო გასული ოქტომბრის რევოლუციიდან, რაც საბჭოთა „КГБ“-ს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

წლების შემდეგ თურმე ნიკა რურუამ ჰკითხა ოთარ იოსელიანს, ეს შეგნებულად გააკეთეთო?

რეჟისორმა იუარა — შემთხვევით დაემთხვაო.

„მახსოვს, — წერს ნიკა რურუა, — როგორ არ მინდოდა ამის დაჯერება“.

მეორე: ერთხელ უთქვამს რეჟისორისთვის, თქვენი ფილმები ანტისაბჭოთა ფილმებიაო.

არაო, — მიუგო თურმე ოთარ იოსელიანმა, — ანტისაბჭოთა კი არა, არასაბჭოთა ფილმებიაო.

ჩვენთვის ეს სულერთი იყოო, — დასძენს ნიკა რურუა.

...და ასეთები სააკაშვილის სამსახურში როგორ მიდიოდნენ, მაცოდინა ნეტავ...

მხედრიონშიც?!

## მაც პოეტი ვარ და „ის“ მანვალეხს (?!)

**გალაკტიონის** შემდეგ ვინც დაბადებულა და ლექსი დაუწერია, გალაკტიონი ყველას აწვალებს.

თითქოს ეთაყვანებოდნენ, ექლამაგებოდნენ კიდევ, მაგრამ შინაგანად მაინც რალაც აწვალებთ. ხან რას იტყვიან და ხან — რას.

ერთნი იტყვიან, ჩვენ გალაკტიონის მხრებზე შევდევით და უფრო შორს გავიხედეთო.

ოღონდ, იმას ვეღარ გეტყვიან, რა დაინახეს ისეთი, გალაკტიონი რომ ვერ ხედავდა („მე ვხედავ სიზმრებს არათქვანებურს“).

ისევ როსტომი თუ იხუმრებს, მაშინ ყველაზე შორს ირაკული აბაშიძეს უნდა გაეხედა, მას ეს გამოთქმა პირდაპირი მნიშვნელობით ეხებაო.

მეორენი განაცხადებენ, ქართული ლირიკის ყველა სიახლე, მანამდელიც და მერმინდელიც, გალაკტიონს აკვიდეთო.

ოღონდ იმას არ იტყვიან, „მერმინდელ სიახლედ“ რა უნდა ვალიაოთ („მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“)...

მოკლედ, **ლადო ასათიანის** ცნობილი სტრიქონი, შეგვიძლია, ამ შემთხვევას, ასე სახეცვლილი მივუსადაგოთ:

მეც პოეტი ვარ და „ის“ მანვალებს.  
„ის“, რა თქმა უნდა, გალაკტიონია...

**ბოგბი**

„112“-ზე დარეკეს, პარლამენტში ბომბიაო. არ დადასტურდა. ცრუ ზარის ავტორი დაიჭირეს.

მეორე დღეს ქუთაისში ვართ. **ლია კუხიანიძე** გვიამბობს, რომ იმ დღეს პარლამენტში იყო. შემდეგ სხვები გვეტყვიან, რომ ლიას მისთვის ჩვეული მძაფრი გამოსვლა ჰქონდა — ნაცებს ხომ შეუტია, კრიტიკა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებსაც არ დააკლოო...

რა ტყუილად დაუჭირიათ დამრეკავი. ეტყობა, ის პატიოსანი კაციც ლიას იქ ყოფნას გულისხმობდა. — სინანულით იტყვის როსტომი.

**99 ლექსი!**

„ინტელექტის“ განთქმული სერიით **მუხრან მაჭავარიანის** 100 ლექსი უნდა გამოვიდეს.

შედგენის პატივი მე მერგო წილად.  
ჩვენი სატელეფონო საუბარი:

— ბატონო მუხრან, როცა შევარჩევ, აუცილებლად გაჩვენებთ.

— რატომ უნდა მაჩვენოთ. ამქვეყნად რომ აღარ ვიქნები, ჩემი ლექსები ხომ უნდა გამოიცეს. მაშინ ვინ შემითანხმებს? თანაც თქვენ აბსოლუტურად გენდობით.

ნიგნი გამოვიდა.

აღმოჩნდა, რომ ერთი ლექსი ორჯერ იყო დაბეჭდილი.

წარდგინება გამომცემლობის ოფისში.

დიდი მადლობა, კარგი ლექსები შეგიჩვენია, — მეუბნება ბატონი მუხრანი.

ჯერ არ შეუნიშნავს.

უკვე ვიცი წინასიტყვაობა, რომ მოსწონს — მისმა ქალიშვილმა შემამტყობინა.

მაგრამ...

სჯობს, ისევ თვითონ ვუთხრა.

ვეუბნები, — საჯაროდ, წარდგინებაზე.

— რომელია ეს ლექსი?

— „ფართო ნაბიჯით“.

— ეგ ისეთი ლექსია, სამჯერ უნდა დაგებეჭდათ!..

გადავრჩი...

კიდევ უფრო შემეყვარდა მუხრანი.

ეს ლექსიც:

**ფართო ნაბიჯით მივდივარ გზაზე,  
ქუჩაში დიდი ხეები დგანან.  
სივრცე იმხელა გასაქანს მაძლევს!  
იმხელა მთვარე დაჰყურებს ქალაქს!  
ისე კარგია მაისის ღამე!  
ქუჩაც ისეთი კარგია ახლა! —  
ასე მგონია, ვაბიჯებ ჰაერს  
და ნელა-ნელა ავდივარ მალღა.**

**საქმი მადლიანი**

ერთმა კარგმა პოეტმა (მართალმა, კეთილმა, გულიანმა...) გადანყვიტა, პატივი მიეგო გარდაცვლილი მეგობრებისთვის — შეეკრიბა მათი ნაწერები და ერთ ტომად გამოეცა. როცა იდგა სხვებსაც გაანდო, ურჩიეს, მხოლოდ მეგობრებით არ შემოფარგლულიყო...

რჩევა ჭკუაში დაუჯდა და ფარგალი გულუხვად გაშალა — მოიცვა თითქმის ყველა, ვისთანაც კი რაიმე შეხება ჰქონია, ისეთებიც კი, რომლებთანაც პირადი ნაცნობობა არ აკავშირებდა, მაგრამ მათ შვილებთან ან შვილიშვილებთან მეგობრობს...

და ჩაფიქრებული ერთი ტომი სამ ტომად იქცა. ფინანსური მხარდამჭერიც მოიძებნა (კულტურის საქალაქო სამსახური) და იდეაც განხორციელდა.

ის პოეტი **ელგუჯა მარღიაა**.

სამტომეულს კი „**სსოვნის ნათელი**“ ჰქვია.

ყოველ ტომს **ესმა ონიანის** ფერწერული (ღვინისფერი) ტილო ამშვენებს და პოლიგრაფიული დონეც მისი საკადრისი აქვს.

შინაარსი? შედგენილობა?

ნიგნში 226 ავტორია. უმეტესად, მწერლები, ასევე შემდგენლის ყოფილი ლექტორები, სხვებიც...

ძნელი სათქმელია, ვინ რა კვალი დატოვა მის ცხოვრებაში, ან, საერთოდ, დატოვა თუ არა.

ამ საკითხს შეიძლება ყველამ თავისებურად შეხედოს.

თავდაპირველი ჩანაფიქრი რომ დარჩენილიყო და კრებულს (ვთქვათ, პირობითად) „ჩემი ნასული მეგობრები“ ანდა „ღრუბლებს გაყოლილი მეგობრები“ რქმეოდა, მაშინ შედგენის პრინციპი, ცხადია, უფრო გასაგები იქნებოდა.

ანთოლოგიაც არ არის, შემდგენელს შესაბამისი პრეტენზია რომ წაუყენო, ანდა, გაამართლო — სხვაგვარად ვერ მოიქცეოდაო...

შემდგენელმა საკუთარ თავს თავისუფლებაც თვითონ მიანიჭა და შეზღუდვებიც თვითონვე დაუნესა.

ნება მისია: **პავლე ინგოროყვასაც** შეიყვანს და სერგი ჭილაიასაც, **აკაკი შანიძესაც** და ჯაბა იოსელიანსაც...

ცხადია, ჩვენც ვერავინ დაგვიშლის, ზოგი მოვიწინოთ, ზოგი დავინუნოთ.

და, მაინც, დანუნება ადვილია.

ის უფრო გვეძნელება ხოლმე, განუული შრომა, რაც მთავარია, მადლიანი საქმე რომ დაეფასოსო.

არტურ ლაისტი წერს, ილია სიცოცხლის ბოლო დღეებში ყველაზე ხშირად სიტყვა „უმაღურობას“ ახსენებდაო. ამბობდა, ქართველებს უმაღურობა დაგვლუპავსო.

ნუ ვიქნებით უმაღურნი.

დავუფასოთ მადლიან კაცს მადლიანი საქმე...

მით უფრო, რომ სამტომეულში ბევრი ისეთი თხზულებაა შეტანილი, უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად რომ ქცეულა, მათ გამოცემაზე კი არავინ ფიქრობს და ზრუნავს.

არა მგონია, ყველა ოჯახში იდოს, მაგალითად, **აკაკი განერე-ლიას** თხზულება „იმამის ერთი დღე“ ან **გივი მალულარიას** რეცენზია **ბაჩანა ბრეგვაძის** თარგმნილ ფსევდო-ლონგინეს ტრაქტატზე „ამაღლებულისათვის“, ანდა, **ოტია პაჭკორიას** ესე **გურამ რჩეულიშვილზე**...

ალარაფერს ვიტყვი აკაკი შანიძის ლექსზე — „ქართული ეროვნული ჰიმნი ალიფაშას ხმაზე“. მარტო ეს სტრიქონები რად ღირს:

**გვიმღერნია, კვლავაც ვიმღერთ  
ჩვენს ტკბილ მრავალ-ჟამიერსა...**

სხვისი არ ვიცი და მე ხშირად მივაკითხავ ამ სამტომეულს. და, მაინც, მგონია, რომ ის პირვანდელი ჩანაფიქრიც, უნდა ასრულდეს: „ჩემი მეგობრები“, ანდა „ჩემი ნასული მეგობრები“...

მაია ჯალიაშვილი

# „რა საოცარი დასრულდა წლები...“

(XIX საუკუნე ნინო ვახანიას თვალთ)

ეპოქის სახესა და ზნეობას გამორჩეული ადამიანები ქმნიან. ისინი არიან „მარილი ამა სოფლისანი“, რომელთა გარეშე დაცარიელდებოდა ქვეყანა. მათი ნააზრევი თუ ნამოქმედარი აყალიბებს თაობების მსოფლმხედველობას, საფუძველს უყრის სხვადასხვა პოლიტიკურ-სოციალურსა თუ კულტურულ სისტემას, „საუკუნო საგზაოს“ აძლევს საზოგადოებას, რათა გაუძლოს ათასგვარ კატაკლიზმს და გადარჩეს, ტანჯვითა და წვლებით, მაგრამ მაინც დაუჩოქებლად გადალახოს სულის უდაბნოები და მიაღწიოს „ალტემულ ქვეყანას“.

„ალტემული ქვეყანა“ კი თავისუფლებაა, კაცთა სულის ნაფასუდარი, მადლისა და სიყვარულის წყარო. სწორედ ამ წყაროს ძიების სულიწკვეთებითაა გაფლენილი ეს წიგნი, რომელიც სხვადასხვა მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს შემოკრებს სიტყვაში „ჩვენი“.

ნინო ვახანიას ამ წიგნისთვის „ჩემი მეცხრამეტე საუკუნე“ შეიძლება ეწოდებინა, იმდენად გამოკვეთილია მისეული ხედვა, დაკვირვება, ანალიზი, შეფასება, მაგრამ „ჩემი“ თითქოს არ შეესაბამება XIX საუკუნეს, რადგან სწორედ ეს „ჩემობა“ ლუპავდა ბევრ სასიკეთო საქმეს. ილია ჭავჭავაძე ტკივილით წერდა: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა. ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვი სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თითოეული ყველასთვის არ ჰფიქრობს, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი“ („ზოგიერთი რამ“).

წიგნი XIX საუკუნის მაჯისცემას შეიგრძნობს მკითხველი. ეს ის ღონიერი ფესვებია, რომლებიც დღემდე უშურველად კვებავენ ქართველთა აზროვნებას. წიგნი ყველა იმ მწერლის ზედმინევი წარმოჩენილი პორტრეტი, რომლებიც განაპირობებდნენ ახალი აზრის დაბადებასა და თაობათა სულისკვეთებას.

ეს წიგნი შესანიშნავი გზამკვლევი, სახელმძღვანელო იქნება ყველასთვის, ვისაც ქართველი კულტურა აინტერესებს, რადგან მასში თანმიმდევრულადაა წარმოჩენილი XIX საუკუნის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. აქ თავმოყრილი წერილები დიდი ხნის განმავლობაში იქმნებოდა, იცებოდა, მდიდრდებოდა საარქივო მასალით და მრავალფეროვნდებოდა, დიდი გარჯის ნაყოფი კი, მართლაც, მშვენიერი წიგნია, მამის — ვახტანგ ვახანიას ლექციებით შთაგონებული და ნასაზრდოები, ქართული გონიერი ანდაზის გამამართლებელი: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო.

„ქართველნო, ხართ სადმე თუ არა?“ — ეს სასონარკვეთილი კითხვა სოლომონ დოდაშვილმა დასვა. ამ კითხვაზე პასუხი 1832 წლის შეთქმულებას უნდა გაეცა. ნარკვევში „1832 წლის შეთქმულება, პერიოდული გამოცემები“ დანვრილებით, ექსპრესიულად და ცოცხლად არის მოთხრობილი, როგორ მზადდებოდა აჯანყება, რა გეგმები ჰქონდათ მონაწილეებს. ამ ამბების გადმოცემას ამძაფრებს იმგვარი დეტალები, რასაც ავტორი საგანგებოდ ჩართავს, მაგალითად, როგორ კერავენ ქართველი ქალები ბაირალებს, რომლებზეც ღვთისმშობელი და



წმინდა ნინო არიან გამოსახულნი, როგორ აგულიანებენ კაცებს ბრძოლისათვის. „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“ — სწორედ მათით შთაგონებულმა დაწერა ბარათაშვილმა.

„მაშა, რაისთვის ვცოცხალვართ?!“ — სოლომონ დოდაშვილის ამ რიტორიკულ კითხვას გამოეპასუხა საზოგადოება და გაიბრძოლა, თუმცა შთამომავლობაში „ფერმკრთალი შეთქმულების“ (გალაკტიონი) სახელით აღიბეჭდა, მაგრამ დიდი კვალი დააჩნია ქართველთა ცხოვრებას. წიგნი ამ კვალს გვიხატავს ნინო ვახანია ზედმინევი და ნიუანსებით.

ნარკვევში, როგორც აღვნიშნეთ, ყველა ის საგულისხმო მოვლენაა წარმოჩენილ-გაანალიზებული, რომელთა გარეშე წარმოდგენილია XIX საუკუნის სიღრმისეული გააზრება.

წერილში „სოლომონ დოდაშვილი“ ქართველი ფილოსოფოსის, პოლიტიკური მოაზროვნის პორტრეტი თვალსაჩინოა დახატული, მისი ცხოვრებისეული გზისთვის თვალა მიდევნებული, გამოკვეთილია მისი სამეცნიერო, ფილოსოფიური თუ სალიტერატურო ნაშრომთა ღირებულება. მის პოლიტიკურ შეხედულებათა რაობა. მკითხველი რწმუნდება, რა მნიშვნელოვანი იყო მის მოძღვრობა ბარათაშვილისათვის.

ყურადღებამისაქცევია, რომ ავტორი საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მსოფლიო კონტექსტში გაიზრებს. ამგვარ ფონზე გაჩნდებიან-გაანალიზებული ლიტერატურული მიმდინარეობანი: კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი, რომანტიზმი, რომელთაც, ვიდრე საქართველოში შემოაღწევდნენ, საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის, იტალიის,

ესპანეთის გზები უკვე გაეთელათ. ამიტომაც, ბუნებრივია, ამ თემაზე საუბრისას მოხმობილია თვალსაჩინო მაგალიტები ევროპული ლიტერატურიდან და ამ გზით დაიძლევა თხრობის ის სიმშრალე, რომელიც ამგვარ განსჯას ახლავს ხოლმე.

ნიკოლო ბუალოს „პოეტური ხელოვნება“, შეიძლება ვთქვათ, კლასიციზმის „კონსტიტუცია“, 1674 წელს გამოიცა. ამას დიდი გამოძახილი მოჰყვა ევროპულ ლიტერატურაში. როგორც ცნობილია, იდეები ხშირად „ატმოსფერულად“ ვრცელდება და გასაკვირი არაა, რომ მოგვიანებით, მაგრამ საქართველოშიც შემოაღწია. ავტორი აღიარებს, რომ ქართულ ლიტერატურაში კლასიციზმი, გარკვეულწილად, გამოვლინდა. ამის ნიმუშებია ანტონ კათალიკოსის, დავით რექტორის, ამბროსი ნეკრესელის სახტობო იამბიკოები, ბესიკის „ასპინძის ომი“, „რუხის ბრძოლა“. თუმცა მის ფაქტობრივ არსებობას მაინც უარყოფს. ვფიქრობთ, შეიძლება კლასიციზტური მიმდინარეობის არა „დოგმატურ“, არამედ ერთგვარ თავისუფალ გამოვლენას ვხვდებით ზემოთაღნიშნულ ნაწარმოებებში. ამგვარად, ქართული ლიტერატურის მრავალფეროვნება წარმოჩნდება.

სენტიმენტალიზმი ხშირად იწოდება „პერეომატიზმად“. ინგლისში დაბადებულმა ამ მიმდინარეობამ სახელწოდება ლოურენს სტერნის რომანიდან „სენტიმენტალური მოგზაურობა“ რომ მიიღო, რაიმე კვალი დააჩნია თუ არა ქართულ ლიტერატურას? ავტორის აზრით, სენტიმენტალიზმის ესთეტიკით ქართველებმაც შექმნეს ნაწარმოებები, მათ შორის, გიორგი ერისთავმა, გრიგოლ რჩეულიშვილმა, ივანე კერესელიძემ... ნინო ვახანიას, ამ თვალსაზრისით, გამოკვეთილად რჩეულიშვილის შემოქმედება მიაჩნია, რომლის ისტორიულ-ფსიქოლოგიურ რომანებს ვასილ ბარნოვის ერთგვარ „წინამორბედად“ სახავს. თანვე მისი სტილის უბრალოება, სისადავე, ხალხურობა მიაჩნია კლასიციზტოვან უმთავრეს განმასხვავებლად. თუმცა 60-იანებში, ილიას მეთაურობით, უარყვეს „ღრუბლების ცურვა“, „ოხვრის კვამლი“, „უგემური ღმეჭა და თვალების სრესა, ეგებ ცრემლი მომივიდესო“ და სანყა-

ლი რევამ ერისთავი უშეღავათოდ გააკიცხეს სენტიმენტალური „შეშლილის“ თარგმნის გამო.

ნიგნში რომანტიზმი ფუნდამენტურადაა წარმოჩენილი. ზღვა სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს ამ თემაზე და ავტორს მართებს გათვალისწინება ყოველივე იმისა, რაც უკვე შექმნილია და გააანალიზებულია. ამჯერადაც ჩანს ნინო ვახანიას ფართო თვალსაზრისი და იგი მკითხველს გამოწვევით წარმოუჩენს რომანტიზმის ესთეტიკურ-ფილოსოფიურ საფუძვლებს, იმ კულტურულ ღირებულებებს, რომელთაც ეს მიმდინარეობა დაეფუძნა. თხრობაში ბუნებრივად შემოიჭრება გერმანულ და ფრანგ რომანტიკოსთა სახელები, განსაკუთრებული ყურადღება კი ნოვალისის შემოქმედებას ეთმობა.

საგულისხმოა, რომ ავტორი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ხედავს და აანალიზებს სინთეზს — ტრადიციულისას და სიახლისას. ტრადიციის, უპირველეს ყოვლისა, რუსთველის ესთეტიკას მოიაზრებს.

საყურადღებოა მისი მსჯელობა ქართული რომანტიზმის თავისებურებათა შესახებ. მისი განზოგადებული დასკვნები მოწმობს, რა დიდი კვლევა-ძიება ჩაუტარებია ავტორს, რა პასუხისმგებლობით მოჰკიდებია ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა თვალსაზრისებს.

1832 წლის შეთქმულება თუ გაიმარჯვებდა, თავისუფალ, მონარქიულ ან კონსტიტუციურ-მონარქიულ (ძირითადად ამ ორ სახელმწიფო წყობაზე იყო დავა) საქართველოში ის უნდა ყოფილიყო სამხედრო საქმეთა მინისტრი. მამამისი — გარსევან ჭავჭავაძე ყველას როდი ესიმაბათურებოდა, ალექსანდრე ორბელიანი მას რუსეთის აგენტად მოაღივებდაც მოიხსენიებდა. როცა შვილი ტამბოვში გადაუსახლეს, მთავრობას ეფიცებოდა ერთგულებას: ალექსანდრე ფარნაოზ ბატონიშვილმა შეაცდინა, აჯანყებაში მან ჩაითრია ძალით. თვითონ ალექსანდრემაც გადააფსაა წარსული. მოგვიანებით, 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში მონაწილეობას „გზაბნეული ახალგაზრდობის“ გავლენას მიაწერდა... მეერ, ნუხდა, მაგრამ ტკბილი სიტყვით რომ ვერა გააწყობა, აჯანყებულ კახელებს იარაღით დაუპირისპირდა და დაიჭრა კიდევაც. ამ და სხვა საინტერესო დეტალებს მრავლად ნახავს მკითხველი ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ ნარკვევში, ხოლო იმისათვის, რომ მისი მთავარი მემკვიდრეობა, მხატვრული შემოქმედება, ძირფესვიანად გაჩხრიკოს და გააანალიზოს, ავტორი ცალკეულ თავში თავს მოუყრის განსხვავებული თემატიკის ნაწარმოებებს. მაგალითად: სიყვარული, ანაკრონოსტული ლირიკა, თარგმანები. ამ პრინციპს იგი სხვა მწერალთა შემოქმედების ანალიზისასაც წარმატებით იყენებს.

ავტორი საგანგებო ყურადღებას აქცევს ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახს, მშვენიერი ეკატერინეს სამიჯნურო ამბებს. მკითხველისთვის შედარებით უცხო იქნება ის მასალა, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მიხაილ ლერმონტოვის მეგობრობას წარმოაჩენს.

**დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ დაემხო ჩემი სამშობლო, გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ მწუხარე.**

ასე მოთქვამდა გრიგოლ ორბელიანი, რომლისთანა „გონიერი ქართველი“ იშვიათად შეგხვდებოდათ, თუ იონა მეუნარეისა და ვუჯერეთ. დაჯერება მოგვინევს, რადგან ილიაც ამგვარადვე შეაფასებს ადრე „გამოცანებში“ დაწუნებულ და გაქილიკებულ „მამას“ — ძველსა და ახალ თაობას შორის შემაერთებელ ხიდად რომ წარმოიდგენს, მაგრამ არ ინდობს — „ამ კარგსაც ზოგჯერ ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიაო“, თუმცა მის სამარესთან მდგომი ამასაც იტყვის: „იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო „მეუფე“ ჩვენის სიტყვიერების ძალ-ლონისა და სიმდიდრისა“. ილიას დიდი პატივისცემა მის მიმართ ჩანს არაერთგზის დამონებულ ციტატებსა თუ აპკარად მისი შთაგონებით დაწერილ არაერთ სტრიქონში.

გრიგოლ ორბელიანი მისთვის, უპირველეს ყოვლისა, იყო მცველი ქართული ენისა, რომელიც, მამულსა და სარწმუნოებასთან ერთად, ილიას „ღვთაებრივ საუნჯედ“ მიაჩნდა.

ავტორი დრამატულად წარმოაჩენს პოეტის გარეგანსა თუ შინაგან ცხოვრებას. რუსეთის არმიის გენერალი რუსული იმპერიის საზღვრებს ხმლით აფართოებდა და თანვე კალმით — იმავე იმპერიის წინააღმდეგ — საპროტესტო სულისკვეთებას ალვივებდა ქართველში. გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალი ნაცნობი თუ უცნობი დეტალი შესანიშნავადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და შექმნილია ფერადებით საოცრად სავსე პორტრეტი პოეტისა, დარიალის ხეობაში, პეიზაჟით ალტაცებული ეტლიდან რომ გადმოდის და ხელაპყრობილი მხურვალედ ლოცულობს. საგულისხმოა მკვლევარის მიერ დაძინილი პარალელები „ჩემს დას ეფემიას“ და ბაირონის პოემას „შილიონის ტყვეს“ შორის. ზედმინეწითაა გაანალიზებულიც გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების გამორჩეული ციკლი აშულურ-ყარაჩოხული „მუხამაზები“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტს ავტორი მისი გენეალოგიის გახსენებით იწყებს, ეს სახარებისეული ტრადიცია ესმარება, რათა მკითხველი დაარწმუნოს, რომ თაობები სჭირდება, რათა რომელიმე შთამომავალში ამგვარად იფეთქოს საუკუნეებში დაგროვილი სასიცოცხლო შემოქმედებითა ენერჯიამ. ამ წერილის მიხედვით, ჩვენ თვალწინ იზრდება ტატოჯერ მშობელთა, შემდეგ მასწავლებელთა გარემოცვაში და უყალიბდება პოლიტიკურ-ესთეტიკური იდეალები. ამ ვრცელ ნარკვევში მისი ხანმოკლე ცხოვრების ყველა დეტალი წარმოჩენილია და, თქმა უნდა, მისი შემოქმედების მხატვრული სისტემის ყველა ნიშანი გაანალიზებული. მისი ბიოგრაფიის გადმოცემისას ავტორი მარჯვედ იყენებს ბარათაშვილის პირად წერილებს და თვალწინ წარმოგვიდგენს ამ ობოლ მარგალიტს ქართული ლიტერატურისას, რომელსაც არც წინაპარი ჰყოლია და არც თანმიმდევში, როგორც ილია იტყობდა.

ალექსანდრე ორბელიანზე ნინო ვახანიას დაწერილი არაერთი შესანიშნავი ესეი თუ გამოკვლევა წავიკითხავს, ეს წერილიც გამორჩეულია მწერლის ცხოვრებისეულ დეტალთა სიუხვითა თუ შემოქმედების მრავალმხრივი ანალიზით. ერეკლეს უსაყვარლესი ქალიშვილის, თეკლა ბატონიშვილის, ვაჟი ალექსანდრე ყველასგან გამორჩეულა სიღარბისლით, განათლებითა და გარდასულის გამოხმობის საოცარი ნიჭით. საგულისხმოა, რომ ის ერთადერთი იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთაგან, ვისაც არ შეუცვლია მრწამსი და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულებდა თავისუფლების იდეას.

„რას ნიშნავს ქართველობა?“ — ამ კითხვაზე ფიქრი მიაჩნია ავტორს ალექსანდრე ორბელიანის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედად. მისი დაკვირვებით, მწერლის შემოქმედებაში ბევრი, ქართული ლიტერატურისთვის შედარებით უცხო საკითხი დამუშავდა და გაანალიზდა. ავტორი უხვად იყენებს საარქივო მასალას, რომელზე დაყრდნობითაც წარმოჩნდება ამ მწერლის შემოქმედებითი სამყაროს მრავალფეროვნება და აქტუალურობა. მისი გამბედაობა და მამხილებელი სულისკვეთება XIX საუკუნის მწერლობას დამდორებაში უშლიდა ხელს და ამოძრავებდა.

ეს არის ალექსანდრე ორბელიანზე შექმნილი ფუნდამენტური გამოკვლევა, როსტომ ჩხეიძის ცნობილ მონოგრაფიასთან ერთად თამამად სახსენებელი და მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკურ-სოციალური თუ საზოგადოებრივი ცხოვრების კვლევისას გასათვალისწინებელი

„ისე სულით და გულით არავინ მისცემია წარსულის ნატვრასა და სიყვარულს, როგორც ვახტანგ ორბელიანი. ამისთანა ერთგული მოყვარე წარსულისა სჭიროა იქ, საცა იგი დაინწყებულა, იმიტომ, რომ ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა“ (ილია). ნინო ვახანია დაწვრილებით და სიყვარულით წარმოაჩენს ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების ძირითად ასპექტებს, თუ როგორ გაემიჯნა იგი აღმოსავლურ-მუხამაზურ ფორმას და აშულურ-ყარაჩოხულ თემატიკას:

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,  
კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა.

XIX საუკუნემ გლეხის შვილებსაც მისცა ფართო სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის გასაქანი. 1832 წლის შეთქმულებაში სწორედ ასეთი გლეხური წარმოშობის, სულიერად არისტოკრატი სოლომონ რაზმაძეც მონაწილეობდა. საგულისხმოა, რომ სასამართლომ განსაკუთრებით მკაცრად სწორედ შეთქმულთა ეს ფენა დასაჯა, რესპუბლიკური იდეების მალიარებელ-მქადაგებელნი ფილადელფოს კიკნაძე, „აქტი გონიურის“ ავტორი, ციხეში გარდაიცვალა, ხოლო სოლომონ რაზმაძე და სოლომონ დოდაშვილი — გადასახლებაში.

„მან ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან და რომელიც ზოგჯერ გამოსაკეთებლად აწყლულებს ხოლმე“, — წერდა ილია გიორგი ერისთავზე, რომლის ღვაწლსა და შემოქმედების ანალიზსაც წარმოაჩენს ავტორი. გიორგი ერისთავმა უწრნალი „ცისკარი“ შექმნა და ქართველთა „აზრის დენა“ შინიდან გარეთ გაიყვანა, მან დააფუძნა ქართული თეატრი — ეს ყოველივე საკმარისია იმისთვის, რომ შთამომავლობამ მადლიერებით გაიხსენოს, რასაც ავტორი შესანიშნავად ართმევს თავს.

ყურადღებებს იქცევს პორტრეტი ზურაბ ანტონოვისა, რომელმაც ოსტატად (გიორგი ერისთავს) გაასწრო, „მის ვინრო მოედანს ღობეები შორს გაუდგა, სარბიელი გაუდიდა“ (ილია).

ჰუმანისტური იდეალებით გამორჩეულმა რაფიელ ერისთავმა „პირველმა დასძრა ენა ადამიანის ღირსებისთვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევებულ უფლების დასახსნელად“ (ილია). თუმცა საზოგადოებას მაინც ერთი სულისშემძვრელი ლექსით დაამახსოვრდა — „სამშობლო ხეყსურისა“: „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. ასევე, ერთი ნაწარმოებმა არ გაუფერმკრთალა სახელი ლავრენტი არდაზიანს, რომლის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ დღემდე არ კარგავს მკითხველს.

ნიგნში მათი შესანიშნავი პორტრეტებიცაა.

რა თქმა უნდა, XIX საუკუნეს ვერ გამოაკლებ ისეთ მწერლებს, როგორებიც არიან მიხეილ თუმანიშვილი და გრიგოლ რჩეულიშვილი. მათაც ბევრი რამ სასიკეთო და საგულისხმო იღონეს, რომ ქართული ლიტერატურის დენა არ შეწყვეტილიყო. ამიტომაც მათი შემოქმედებაც ავტორს გულდასმით აქვს გაჩხრეკილ-გაანალიზებული.

ილია წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“ წერს: „წინა საუკუნენი სთესდნენ და სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა“.

ამ უხვი მოსავლის შეფასება-გაანალიზებაა ეს ნიგნი, რომელშიც მეცხრამეტე საუკუნის თავგადასავალი შთამბეჭდავადა მოთხრობილი.

მიუხედავად იმისა, რომ ნიგნი სამეცნიერო ნარკვევების კრებულია, ის კარგი რომანივით, შეუნელებელი ინტერესით იკითხება, მკითხველის ცნობის-მოყვარეობა არ ნელდება ბოლომდე, რადგან სცენაზე მუდმივად ახალი პერსონაჟები ჩნდებიან თავიანთი ფიქრით, გამოცდლებით, ნაღვანით, ზნეობით, ყველას აკავშირებს „ჩვენი“ XIX საუკუნე, საოცრად დრამატული დრო, რომელიც ამ ნიგნის მთავარი გმირია.

ამ ნიგნით ნინო ვახანიამ საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო მკვლევარად წარმოგვიდგება, რომლის ნაშრომები მომავალ თაობას ახალი სამეცნიერო ძიებებისას ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს.

## ეს ნიგნი სასკოლო პროგრამაში უნდა შეესატანი

**მწერალთა სახლში** გაიმართა ექიმისა და მწერლის **ტარიელ ნამორაძის** მესამე ნიგნის „**გატეხილი გული**“ წარდგინება „ტარიელ ნამორაძე პროფესიონალი ექიმი და ლიტერატურა მისი სერიოზული გატაცებაა, წერს, თარგმნის ფრანგული და რუსული ლიტერატურიდან. მისი ნაწარმოებები წარმატებით მონაწილეობს ლიტერატურულ კონკურსებში. იგი ლიტერატურულ კონკურსის „**წერო**“ ერთ-ერთი გამარჯვებულია. „გატეხილი გული“ რამდენიმე ორიგინალურ და თარგმნილ მოთხრობას აერთიანებს. თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის არცთუ ისე ახლობელი თემით — ცხოველთა და ადამიანთა ურთიერთობა“ — აღნიშნა საღამოს წამყვანმა, მწერალმა **მარიამ ნიკლაურმა** და დასძინა, ბატონი ტარიელი რეზო ინანიშვილის **სახელობის კონკურსის** გამარჯვებულიც არისო.

**თეიმურაზ ნიქორიძემ** — შშ ცხოველთა დაცვისა და უსაფრთხოების საზოგადოების ხელმძღვანელმა — და **თემურ ლაჭყვიანი** — ცხოველთა დაცვის კავშირის წარმომადგენელმა — ისაუბრეს საქართველოში არსებულ ძაღლების თავშესაფართა შესახებ და ისურვეს, რომ ამ ცხოველებს ისეთი ქომაგი ბევრი ჰყავდეს, როგორც ბატონი ტარიელია.

მსახიობმა **ელდინო საღარაძემ** ჩვეული მხატვრული ოსტატობით წაიკითხა ამონარიდები ახალი ნიგნიდან ვაკის პარკის ბინადარი ვაჟაკის ძაღლის ჩორნასა და პატრონიანი კეკელის ძაღლების ჩარასა და ვაკის უიმედო სიყვარულის ამბები. სიტყვით გამოვიდნენ ტარიელ ნამორაძის მეგობრები, მისი შემოქმედების თაყვანისცემელები. ექიმები — **სამსონ აბრამიძე, გია სულაქველიძე, მაკა ჭიჭიშვილი**, მწერლები: **ნინო ზედელაშვილი, მანანა ნებიერიძე**. მთარგმნელმა **ირაკლი კაკაბაძემ** იაპონური პოეზიიდან წაიკითხა რამდენიმე ტანკა და აღნიშნა, რომ უცხოეთში შინაურ ცხოველებს, კერძოდ, ძაღლებს დიდ პატივს სცემენ. იაპონიის რამდენიმე რკინიგზის სადგურზე პატრონის ერთგული ძაღლის ქანდაკებაც კი დგას. ამ ძაღლზე ფილმიც არის შექმნილი. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა **ხათუნა ლორთქიფანიძემ** ისაუბრა ნიგნის ლიტერატურული ენის შესახებ. კრიტიკოსმა **ოთარ ჯირკვალიშვილმა** აღნიშნა ნიგნის მხატვრული ღირებულება და სურვილი გამოთქვა სასკოლო პროგრამაში მისი შეტანისა, რათა ბავშვებმა ცხოველთა სიყვარული ისწავლონ. თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვეს ეკონომისტებმა **თემურ ბრელიძემ** და **მერი ჩიქოვანი**.

ნიგნის რედაქტორმა, ჟურნალისტიმა **დავით ჭელიძემ** ისაუბრა სკოლის მერხის მეგობარზე: მეადვილება და თან მიჭირს მის შესახებ რამის თქმა, მიჭირს, ვინაიდან მასზე, როგორც მკურნალზე, არ მიწევს ლაპარაკი. იგი ჩვენი სამეგობროს ოჯახის ექიმი, არაჩვეულებრივი კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ომის ვეტერანთა პოსპიტლის თერაპიული განყოფილების ხელმძღვანელი, მე, როგორც მის პაციენტს, მის პროფესიაზე შემძლია უფრო ვილაპარაკო, მაგრამ „სიბერეში“ ახალმა საქმემ გაიტაცა, მეორე სუნთქვა გაეხსნა, წერს მშვენიერი ქართულით და მისი მოთხრობა „**კალია**“ ლიტერატურული კონკურსის მეორე ადგილის პრიზიორიც გახდა.

**ტარიელ ნამორაძემ** წაიკითხა ამონარიდები ნიგნიდან, ისაუბრა თითოეული მოთხრობისა და თარგმანის შესახებ. აღნიშნა, რომ ერთი დიდი პრიზი აქვს მიღებული — და მოჰყვა ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ მიანოდა თანამშრომელს დაგვიანებული ნიგნი, რომელიც მას უკვე გადაქსეროქსებული და ნაკითხული ჰქონია. „ამაზე მეტი ჯილდო რა უნდა იყოსო“, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, მწერალთა ნიგნის სახლის რედაქტორს **ნატა ლომოურს**, დავით ჭელიძეს, დიზაინერ **თეა აკობიას**, გამომცემლობა „**საუნჯეს**“, მის თავკაცს **ვაჟა ნონკოლაურს**, რომელმაც ნიგნი მაღალ პროფესიულ დონეზე გამოსცა.



ნანა კუცია

# ლექსი-მისტერია

□

## დავით ნარედიანის „თრიმლები“

არაფერია, ალბათ, ჩემი წუხილია, დაეძებს ყალიბს,  
არაფერია, უფურცლებო სათავისკენ მიიწევს წყალი.  
დავით ნარედიანი, „ფოთოლცვენა.“

მდინარის აქეთ ანმყო დროა.  
დავით ნარედიანი, „ათინათი.“

„თრიმლები“ ერთი ულამაზეს ლექსთაგანია დავით ნარედიანის კრებული „ორიონი“ (რედაქტორი — როსტომ ჩხეიძე, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, 2010).

„ოცდაცხრა ლექსი და ერთი ფრაგმენტი პოემისათვის“ „ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში გამორჩეული ნიშანსვეტის აღმართვად“ გაუაზრებია რედაქტორს და ეს შეფასება უზუსტესად ირეკლავს „ორიონის“ არსსა და მნიშვნელობას.

საოცარია პოეტის მიკროკოსმოსი — ამ სამყაროს „უამთუნინარის“ სუნთქვა მოაქვამამდის დაუმარხავს ისეთი ტკბილი ქართულით, როგორც ალარავინ მეტყველებს უკვე. სტილის არქაულობას როდი ვგულისხმობთ, სულაც პირიქით — ეს მარადქართული ენაა, დროის ჰიპოსტასებში სასწაულებრივად განფენილი, ძველიც, ახალიც, მოსალოდნელიც — „ბროლი ბროლი“, ენგადიდან გამოყოფილი სიანკარით, ვერც სხვათა დიდებული ეპოსების თარგმანებამ რომ ვერ აამღვრია („ფრაგმენტში პოემისათვის“ გაცხადდება საიდუმლო, როცა თავის „ზრუნებს“ და „გვრინებს“ გაენდობა დავით ნარედიანი:

„ვინძლო, ხელახლა მომაგუნებოთ კორძნუფრიანი სიტყვები ვლოპრო...“

მეყო, რაც სხვათა კედლებში გკირეთ, უცხო თარგებზე გფატრეთ და გჭერით“).

ყოველი საიდუმლოს დამმარხველი ქართულის ნარედიანისეული „გვრინები“ და „ზრუნები“ ლიტურგიის იდუმალ ველში შეუძღვებიან მადლიერ მკითხველს, ძველი და ახალი აღთქმის მისტიკურ სივრცეებში.

„თრიმლები“ ციდა ლექსია — დავით ნარედიანის ლირიკა იმდენად სახეობრივია, სახისმეტყველებითი, გამჭვირვალედ იგაფური, ეპოსის გრძელ დისტანციებს არც საჭიროებს.

ელვასავით წამიერია ეს ინიციაციური ხილვები, მოკლედ თქმული გრძელი სიტყვის ხიბლით გაბრწყინებული.

„ორიონიდან“ ვისტუმრებთ „თრიმლებს“ — ვარსკვლავთხომლიდან — ვარსკვლავს.

სათაური თავისი ამაღლებელი მუსიკით — „თრიმლები“ იმ მითოლოგიურ სუნთქვას, სულს იმარხავდეს თითქოს, უფალი რომ შთაბერავს ჯერაც ედემის მკვიდრ ადამს.

„თრიმლები“ ლექსი-ვიზიონია — არსისა და დგრიტის მწვდომი ბრძენკაცისმიერი გააზრება სოფლისა და ზესთასოფლის საიდუმლოსი, სინანულის ტკბილ-მწარე სურნელსაც რომ დაიკრავს და ყოფიერების სიზმარ-ცხადის „გამჭვირვალე ბლონდებსაც“ სამუდამოდ დაიმასსოვრებს — მადლიერ.

იქნებ აბსოლუტურად ხელოვნური, სრულიად შეუსაბამო პარალელიც იყოს, მაგრამ „თრიმლების“ ველი უცნაურად გვაგონებს ბორხესის დამოკიდებულებას ფერისადმი — ჩინდაკარგული პოეტის მადლიერებას ოქროსფრის ხსოვნის გამო.

„თრიმლები“ სივრცე ორი ასაკითაა დასაზღვრული, გზა — სიცოცხლის ხანგრძლივობის, ლირიკული გმირის სიყრმიდან — „კეთილ მოხუცებულებამდის“ არა მხოლოდ გონებისა, წარმავალი სხეულისაც.

ასაკის პირობითობა, ძიება, სიყვარული, სიბრძნე, სინანული, მონანიება, მადლიერება და ნეტარება — „თრიმლების“ აკორდები — ინიციაციური გზის ანამცვრევებია, „მე იგივე ვარ მარად და მარად“-ის ქრესტომათიული ციტატის ბრწყინვალე გააზრება-ვარიანტი, ლექსი-ამბავი, ლექსი-იგავი, ოლონდ — არა შემანუხებლად დახლართული, არამედ — ფსალმუნით ნათელი და „ნელსევიანი“.

„თრიმლები“ ყოფიერების მარადი იგავია — ქართულად (როგორც ყოველთვის) არა ფილოსოფიურ ტრაქტატად, „ზაუმად“ ნათხზი, არამედ — ლირიკულ ლექსად დაწურული. რობაქიძისეული მოგვაგონდება, ერთი ნვეთი ვარდის ზეთისთვის საჭიროა ათი ათასი ვარდი, მაგრამ შირაზი ვარდნარია მთლადო.

საქართველოც.

დავით ნარედიანს ქართული თუ უცხო „ვარდნარები“ იმად თუ მოუხილავს, ვარდის უნაზეს სურნელად დაეწურა მარადი სიბრძნე, ყველგან და ყველაფერში ნაქარამგვე-გაცხადებული გულის თვალთ მზირალთათვის.

არა მხოლოდ შინაარსით (არსით), ფორმითაც ორიგინალურია ოთხსტროფიანი ლექსის ექსპოზიციაცია:

**ოდინდელ ყაანვილს, შორაულს და,  
რულადებით სავსეა ყელი,  
ასა ახლობაღს, თვალთა ფსკერზე საზიარო  
თრიმლები თრთიან,  
შევიხიზნაბი, გული დავდოთ, საყუყურები  
მოვკრიბოთ ძველი,  
ქანაობს თრიმლი, ნელი თალხი მათვარია,  
თენდება გვიან.**

პირველივე სტროფი თითქოს ორი ამბის ერთურთს შეღვრავს. ოთხსტრიქონედის არქიტექტონიკაში სავანებობდ ვამუქებთ „ამბავთაგან“ მთავარს: „ოდინდელ ყაანვილს, შორაულს და ასე ახლობაღს, შევიხიზნაბი...“

ეს „შეხიზნა“ წუთისოფლის გზის, ყოფიერების საზრისის გაცნობიერება, ინიციაციაცია — გააზრება მარადი ველი-სა, სადაც „ყველაფერი იმისთვის შეემთხვევა კაცს, თავის ღმერთს მიაგნოს ბოლოს“ (კონსტანტინე გამსახურდია) — სიყრმიდან — უკანასკნელ მიჯნამდის. გზა-მოდელი „ეკლესიასტეშია“ მონიშნული: „გარემოვალს სული და სიმრგველესა თვისსა მიიქცევს“.

გამჭვირვალე, ნათელი ნაღველით მოჰყვება ავტორი (თუ მისი ლირიკული ორანი) მარადის გზაზე, გრძნობაზე, ფიქრზე, განსაცდელზე — ყველაფერზე — რაც სულს წვრთნის და აწრთობს, მარადისობისათვის ამზადებს უხრწნელს, რადგან ხრწნილება, „გამოუხურებელი“ მატერია ვერ დაიმკვიდრებს სასუფეველს.

ამბავთაგან ერთ-ერთი (სულის მისტიკურ სიღრმეთა წვდომის ისტორია) დროებით წყდება, რათა დრო-სივრცე შეიცვალოს, მესხიერება წარსულს ჩაუღრმავდეს.

დრო თან მდინარებს და „მეორე მე“ ყოფას ანმყოშიც აგრძელებს, პირველი სტროფის „მეორე (პარალელურ) რეალობაში“ (ფორმალურად — „მარჯვენა“ ნაწილში), სადაც

„რულადებით სავსეა ყელი, თვალთა ფსკერზე საზიარო თრიმლები თრთიან... ქანაობს თრიმლი, ნელი თალხი მავარია, თენდება გვიან.“

„რულადებით სავსე ყელი“ შემოქმედის სულიერებაზე მიანიშნება, „მოკრებილი საყურები“, „თვალთა ფსკერი“ — ერთდროულად, მეხსიერების, ხსოვნის სიღრმეების მეტაფორაც, სარკის პარადიგმისაკენაც რომ მიგვახედებს (მომდევნო სტროფში, პირდაპირი სახელდებით, „ორლესურ სარკედ“ მოიხსენიება), სტეფან მალარმეს, ვალერიან გაფრინდაშვილის, ხორხე ლუის ბორხესის საყვარელი პარადიგმის „ორგემაცე“ ბუნება „ორლესურობით“, გარდასულის ხსოვნა კი „ნელი თალხის“ სინტაგმით აქცენტირდება.

ხსოვნა გააზრების საძირკველია.

„ნელი თალხის“ სურნელი და მელოდია გალაკტიონისეულს ამოიყოლებს, ქართული ანბანისადმი მოკრძალებულ მიმართვას: „შენ სიძველის გმოსავს ნელი ხავსი...“

ხსოვნის ფერი „ნელი თალხისაა“, სურნელი — „ნელი ხავსისა“...

სტროფის (და მთელი ლექსისაც) მთავარი სახე მოქანავე, მთრთოლარე თრიმლია („ქანაობს თრიმლი“, „თრიმლები თრთიან“). რხევა, „ქანაობა“, „თრთოლა“ ერთდროულად წარმავლობა-მონყვლადობისა და წარუვალობის (სულიწმინდის „მონაბერობის“ — „სული, ზეციით მონაბერი“) დინამიკასაც იმარხავს.

სტროფში აქცენტირებული, მეტიც, ლექსის სათაურადაც გატანილი თრიმლი, უბრალო მცენარე, პარადიგმად ტრანსფორმირდება, იდუმალ (იდუმალის) ნიშნად.

ალექსანდრე მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ თრიმლის სახელები სხვადასხვა ენაზეცაა დამონმებული (რუს. желтинник, кожевниое дерево, венецианский сумах, ლათ. Cotinus coggygria).

რუსულიდან «сумах» ითარგმნება როგორც „თუთუბო“, „თუთუბოსებრნი.“

ენციკლოპედიაში თუთუბოსებრთა სამი სახეობაა მოხსენიებული: საკმლის (საკმევის) ხე, თუთუბო და თრიმლი.

ნელადმზარდი და ხანმრავალი „საკმლის ხის დასერილი ქერქიდან მდინარე ფისისაგან მზადდება საკმეველი, გუნდრუკი, რომელსაც ღვთისმსახურებისას საცეცხლურით აკმევენ, რაც სიმბოლურად გამოხატავს ლოცვა-ვედრების უფლისადმი აღვლინებას და ზეციდან მადლის გარდამოსვლას“.

„ბიბლიურ ენციკლოპედიაში“ საკმევის შესახებ ვკითხულობთ: „В древние времена ладан считался одним из ценных даров, которые обычно подносились царям, вельможам и другим важным лицам в знак особенного благоговения (Быт. 37, 25; 43, 11; Мт. 2, 11)“

ამოვნერთ ბიბლიურ ენციკლოპედიაში დამონმებულ ეპიზოდებს, სადაც საკმეველი, გუნდრუკია მოხსენიებული:

**შესაქმე 37, 25:** „აჰა-ესერა, მოგზაურნი ისმაელიტელნი ვაჭარნი მოვიდოდის გალაადით და აქლემნი მათნი სავსე იყვნეს საკუმეველითა, შტახსითა და მკურის კევითა და მივიდოდეს შთასლვად ეგვიპტედ“.

**შესაქმე 43, 11:** „და ჰრქუა მათ ისრაელ: ვინაითგან ეგრე არს, ესე ყავთ: მიიღეთ ნაყოფისაგან ამის ქუყანისა ჭურჭელთა შინა თქუენთა და შთაართუთ ძღვენი კაცსა მას ღმრთისასა: რეტიწე და თაფლი და საკუმეველი და შტახსი და ბელეკონი და ნიგოზი“;

**მათე 2, 11:** „და ვითარცა შევიდეს სახლსა მას, იხილეს ყრმაი იგი მარიამის თანა, დედისა თვისისა, და დავარდეს და თაყუანის-სცეს მას და აღაღეს საუნჯეთა მათთა და შენირეს მისა ძღუენი: ოქრო, გუნდრუკი და მური“.



დავით ნერვდიანი

ძველი აღთქმისეულ „საკუმეველს“ (პირველ ციტატაში ეგვიპტელ დიდებულთათვის, მეორეში — ღმრთის კაცის) — იაკობ-ისრაელისათვის მირთმეულ ძღვენს) ახალ აღთქმაში ენაცვლება „გუნდრუკი“ — საღმრთო, საუფლო საკმეველი.

საბას ლექსიკონში, ქართული „სიტყვის საბალახეში“ (შოთა ბოსტანაშვილი) ეს ცნებები ასეა განმარტებული:

„გუნდრუკი — ესე არს საკმეველი სუნნელი, კვალად გუნდრუკად იწოდების საკმეველი თეთრი, რომელ მოგვთა შესწირეს მაცხოვრისა შობასა“.

„საკუმეველი — ყოველი დასაკმეველი, რაიც სუნნელი დაიკმევა“.

თავად „თრიმლი“ საბასთან, უბრალოდ, „ხედ“ არის განმარტებული, ყოველგვარი ხატოვანების, პარადიგმული დატვირთვის გარეშე.

სულხან-საბას ეპოქა, ქართული სიტყვის მესაიდუმლის თანამედროვეთა ლიტურგიული ცნობიერება იმთავითვე გულისხმობდა მთავარ ცოდნას: „კეთილისა და ბოროტის ცოდნის ხე — ესაა მრავალსახოვანი მჭვრეტელობითი შემეცნებლობა, საკუთარი ბუნების შემცნობლობა, საქვეყნოდ გამაცხადებელი შემოქმედის დიდი საქმისა, რაც, ერთი მხრივ, კარგია სრულთათვის, რომლებიც საღმრთო მჭვრეტელობაში ცხოვრობენდა, მეორე მხრივ, კარგი არ არის მათთვის, რომლებიც ჯერ კიდევ ყრმები არიან, არა აქვთ სიმტკიცე იმისა, უმჯობესში მკვიდრობდნენ და მყარად იყვნენ დასაყდრებულნი მშვენიერის სიახლოვეს...“

ყოველი ხე შეიძლება გავიზროთ, როგორც ქმნილების გზით აღსრულებული შემეცნება საღვთო ძალისა. ამასვე ამბობს მოციქული: „[უფლის] უხილავი ძალა და ღმრთეება სამყაროს დაბადების შემდეგ ქმნილებათა შორის შესაცნობი ჩანს“ (რომ. 1, 20)... ღმერთმა თქვა: „ყოველი ხისაგან, რაც სამოთხეშია, ჭამით ჭამო“. ამით იგი, ვფიქრობ, გვეუბნება: „ყოველი ქმნილების გზით ჩემამდე, შემოქმედამდე, ამოდი და ყოველივესგან ერთი ნაყოფი მოინაყოფე — მე, ჭეშმარიტი სიცოცხლე. ყოველივემ სიცოცხლე გინაყოფოს და ჩემთან წილმქონეობა“ [იოვანე დამასკელი, გარდამოცემა].

მსგავსია ბასილი დიდის მრწამსიც, ჰომილიებში განმარტებული: „მსურს მტკიცედ ჩაგინერგო დაბადებულთი გაკვირვება, რათა, სადაც არ უნდა იყო და რომელი ჯიმის მცენარეც არ უნდა შეგხვდეს, ცხადად გაიხსენო დამბადებელი მისი“ [ბასილი დიდი, ჰომილიები ექვსი დღისათვის].

გაიხსენო და მადლი შესწირო, გუნდრუკი უკმით შემოქმედს.



„გუნდრუკის“ ბიბლიური ციტირებისათვის საბაძე მათეს სახარების მეორე თავის მეთერთმეტე მუხლს მოიხმობს, „საკმეველისა“ კი — 140-ე ფსალმუნის მეორეს: „წარემართენ ლოცვაი ჩემი, ვითარცა საკუმეველი შენ წინაშე.“

„ძირს გაშლილს ლამაზ ველსა ყვავილნი მოჰყვენენ, ვითა ტაბლას წმიდასა და, ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენ-და აღკმევენ სუნნელებასა“, — მთანმინდას გაენდობა ქრესტომათიულ ლექსში ბარათაშვილი. აქაც გუნდრუკის უარსებობის ეპითეტი — „სამადლობელია“ ხაზგასმული.

იოანე ოქროპირი ასე „ათარგმანებს“ მათეს სახარების პასაჟს (მათე 2, 11): „[მოვლთა] იხილეს მიუთხრობელი იგი მადლი და დიდებაი შობილისა მის განაკვირვებდა სულთა მათთა. ამისთვისცა არათუ თაყვანის-სცეს ოდენ, არამედ აღაღესცა საუნჯეთა მათთა და მოართუეს ძლუნნი: ოქრო, გუნდრუკი და მური, რამეთუ არა კაცსა ლიტონსა ხედვიდეს, არამედ ღმერთსა ხორცმესხმულსა და მეუფესა ყოველთა არსთაცა. ამისთვისცა მოართუეს გუნდრუკი, ვითარცა ღმერთსა, ოქროი — ვითარცა მეუფესა, მური — ვითარცა ჩვენთვის განკაცებულსა... შესწირეს ძლუნნი არა მიმსგავსებული სიზრქესა მას ჰურიათისა — მსხუერულები ცხორათა და ზურაკთაი, არამედ მახლობელი გონიერებასა მას ეკლესიისასა: ოქროი, მური და გუნდრუკი სახედ გულისხმის-ყოფისა, მორჩილებისა და სიყუარულისა“ [იოანე ოქროპირი, თარგმანებაი მათეს სახარებისაი].

მოგვთა ძღვნის ოქროპირისეული განმარტებით, გუნდრუკი სიყვარულის „სახეა.“

იქნებ თრიმლის დავით წერედიანისეული ვიზიონიც სიყვარულის საკმეველია, გუნდრუკია — უფლისათვის სიყვარულითვე შეწირულ-აღვლენილი?

რასაკვირველია, ზემოთქმული მხოლოდ ესეისტური ინტერპრეტაციაა მთრთოლარე თრიმლით აღძრული შთაბეჭდილებებისა.

თავად ავტორმა თუ უწყის, რატომ იჭრება ტექსტის მხატვრულ ქსოვილში ეს უნაზესი, ულამაზესი მცენარე, როგორც რეალურის რამ მოგონება („ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“), თუ ტევადი, მეტყველი პარადიგმა.

ოთარ ჩხეიძის ულამაზესი „ოდოჟლერისადმი“ მიძღვნილ ულამაზესსავე ესეიში „ოდოჟლერი“ — წარმავლობის საკმეველი“ (აქაც მცენარე („ოდოჟი — დაუჟამებელი და სიმაგრენაკლები“) და საკმეველი! — ნ.კ.) მაკა ჯოხაძე წერს:

„დარწმუნებული ვარ, მწერალმა ოდესღაც მართლაც იხილა ახალდამნიფებული ყანის ტალღებში შეცურებული სამი გოგონას ხატება. ესაა და ეს.

ვინ იცის, რამდენი ასეთი მშვენიერი, უცნაური თუ აუხსნელი სურათი ჩარჩენილა თითოეული ჩვენგანის მეხსიერებაში!

ოთარ ჩხეიძემ ამ პატარა შედეგში, წარმავლობის ამ უჩვეულო ჰიმნში, სევდის წვეთში რომ მოათავსა ჩვენ ირგვლივ არსებული ლანდშაფტი, ადამიანის სულიერი სამყარო, ემოციები, ბიოლოგიური ზრდისა თუ წინსვლის წუთობრივი აღნუსხვა, საუკუნეებში გამოტარებული ერთი „აგარაული“ სიტყვის როგორც შინაარსობრივი, ისე მელოდიური დატვირთვაც, გვიჩვენა, რომ ვერაფერი გადაურჩება ბებერი ყაჩაღის — დრო-ჟამის მსახვრალი ხელით განძარცვას: ვერც ბუნება, ვერც კაცი, ვერც სიტყვა...

მხოლოდ მწერლის მოაზროვნე გული ახერხებს სამყაროში გაფანტული, ერთი შეხედვით, სრულიად დანაწევრებულიად, დამოუკიდებლად არსებული საგნების, ფიქრების, დინებების, განცდების თავმოყრას, დაკავშირებას და მათთვის აზრის მინიჭებას...

„ოდოჟლერი“ წარმავლობის წამიერი მოხელთების ბრწყინვალე ნიმუშია, რომლის სურნელიც საკმეველივით

ეზიდება ჩვენკენ სოფლის ტკბილ-მწარე კვამლს და კიდევ ერთხელ გვაზიარებს მხატვრული სიტყვის სასწაულგებრივ ძალას“ [„ჩვენი მწერლობა“ 2006, №1].

„მწერლის მოაზროვნე გული“ ენიგმებად გარდაქმნის რუტინულ-ბანალურს, უბრალო თრიმლებს — პარადიგმებად.

ვინ ახსნის, „რამ, რამ აქცია კელაპტრად კვარი, უბრალო ქუჩი — მართლა ყვავილად?“ (მურმან ლებანიძე).

რად აქვთ ოთხი (და მირიადი) სიცოცხლე, ჩინელთა წარმოდგენით, მტირალა ტირიფებს (შან სა, „მტირალა ტირიფის ოთხი სიცოცხლე“) — ხსოვნის პარადიგმებს?

ვის შეუძლია განმარტოს, რატომ წერს ცვეტაევა:

**Тоска по Родине – давно разоблаченная морока... но если по дороге куст встает, особенно р я б и н а...**

ან რად აგონდება პასტერნაკსაც „ექიმ ჟივავოს“ ტრაგიკული პასაჟების თხზვისას ცირცელის ბუჩქი: «У выхода из лагеря и из леса, который был сейчас по-осеннему гол и весь виден насквозь, росла одинокая, красивая, единственная из всех деревьев сохранившая неопавшую листву ржавая рыжелистая рябина. Зимние пичужки с ярким, как морозные зори, оперением, снегири и синицы садились на рябину, медленно, с выбором клевали крупные ягоды.. Какая-то живая близость заводилась между птицами и деревом, точно рябина все это видела, долго упрямылась, а потом сдавалась, и сжалившись над птичками, уступала, расстегивалась и давала им грудь, как мамка - младенцу...

...Она была наполовину в снегу, наполовину в обмерзших листьях и ягодах и простирала две заснеженные ветки вперед навстречу ему. Он вспомнил большие белые руки Лары, круглые, щедрые и, ухватившись за ветки, притянул дерево к себе. Словно сознательным ответным движением, рябина осыпала его снегом с ног до головы. Он бормотал, не понимая, что говорит и сам себя не помня: Я увижу тебя, красота моя писаная, княгиня моя рябинушка, родная кровинушка».

პასტერნაკთან მინიშნება მაინც გაკრთება — ცირცელი ლარას აგონებს (საცნაურია ისიც, რომ ცირცელი „ლაგერის“ გამოსასვლელთან ხარობს (შეგნებულად არ ვთარგმნით „ლაგერს“ — ტარკოვსკის „ზონასავით“ ესეც სიტყვა-პარადიგმა).

საინტერესოა, რომ ანა ახმატოვა „ექიმ ჟივავოში“ „ყველაზე მეტად პეიზაჟებს, განსაკუთრებით კი ცირცელის ბუჩქის აღწერას მოუხიბლავს“ [ი. სუხიხის ბოლოსიტყვაობა], როგორც, სხვათა შორის, თავად ახმატოვას პოეზიაში მარინა ცვეტაევა — ნეკერჩხლის წითელ ფოთოლს სტრიქონში „В Библии красный кленовый лист заложен на Песни Песней»: «Лучшее в «Песни Песней» - это стих Ахматовой».

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი და „თრიმლების“ მხატვრულ ქსოვილში მოგონებათა სარკეებში აიმღვრევა ძველი ხილვები:

აღისფერ ნაწნავს, სარკვევ, სარკვევ ორლესულო,  
ელევა ბრწყინვა,  
თუ დარი დამყვა, გამოლოცვით დავიბრუნებ,  
გამონატრებით,  
მაგრამ გზად, სანამ ჯადო-სიტყვას დავეძებდი,  
დავკარგე, ვინ ვარ,  
თვე გამიხდება, კოლხეთისკენ მოცურავენ არგონავტები.

პიროვნული ტრადიციის ანასხლეტი — გამკრთალებული, ბრწყინვალეცუდებული ალისფერი ნაწნავი, თუ მარადი ეროვნული ტკივილი — კოლხეთისაკენ მომცურავი არგონავტები (შემადრწუნებლად მეტყველია ზმნა სინტაგმაში: „თვე გამიხდება“ — არგონავტები მუდამ მოცურავენ ყოველი ჩვენგანის (ყამიერის) მარადიული კოლხეთისაკენ, რათა მთავარს დაეღირონ) სახმილია ამსოფლიურ გზაზე, ინიციაციის გზანვრილზე, სადაც, მსგავსებისა და ხატების ძიებისას, „თავის გათავისწინებისას“ განსაცდელიც (იქნებ სასონარკვეთაც) გარდუვალა: „სანამ ჯადო-სიტყვას დავეძებდი, დავკარგე, ვინ ვარ.“

ლოგოსის ძიებისას უზენაესის ნების მორჩილება ეგების — პიროვნული ნების დაკარგვა, რათა უფლისმიერი ვიპოვოთ, უკეთ, უფლისმიერს შევეუსაბამოთ საკუთარი, „განსაცდელთა მიერ ცოდვათა განმწმენდელი, მწუხარებათა მიერ უძღურებათა ჩვენთა მკურნალი“ — უფალი მოვინატროთ.

იოანე დამასკელის „გარდამოცემაში“ ანგელოზებრივი ცხოვრების არსის განმარტებისას აქცენტირებულია: „ანგელოზნი მორჩილებითა საღმრთოთა ნებათა უზეშთაეს კაცთა არიან“ [გარდამოცემა].

ჯადო-სიტყვის მაცდურ ხიბლს განრიდებული, სიტყვალოგოსს მონატრული „მორჩილებითა საღმრთოთა ნებათა“ ანგელოზს უნდა მიემსგავსოს. ინიციაციის არსიც ეს არის. „გამოლოცვის“ არქეტიპი ძველ აღთქმაშია, ოღონდ მინიშნებით: „თუ შეულოცველს უკბინა გველმა, შემლოცველი ვეღარ უშველის“ [ეკლესიასტე, 10, 11].

სანუთროს გზაზე იმდენი ხილვაა, იმდენი მაცთუნებელი ვიზიონი:

**ანდა ლამდალამ დედოფლები, დედოფლები,  
ცხენთა თქარუნი,  
ლელში, ლერწმებში გავიღვიძე, სახელი არ მაქვს,  
სიყრმის ნაღველი — არც ნაღველი,  
სიყვარული — არც სიყვარული,  
არამედ ქარი, ტანი შენი ლერწამია, არამედ ქარმა...**

ხან წყვეტილი, სახელდებითი, ხან სრული წინადადებაების ცვალებადი მელიოდიები დროის ჰიპოსტასებში ბრუნავს, მთხრობელი ხან ყრმაა, ხანაც — დროული, „ლალი და უკადრი“ სული ლახავს ჟამის სამანებს და ხან შთაბეჭდილებებით თვრება (მესამე სტროფის პირველი და მეოთხე სტრიქონი), ხანაც ცივი გონებით იაზრებს გარდასულს (II და III).

პირველი სტრიქონის მედიდური მუსიკა თითქოს იგორ სევერიანინის ფრაზის მელიოდის მოისთავს, გალაკტიონის საყვარელ ტაყსს, ხშირად რომ იმეორებდა თურმე: «Повороты влево королева, королева» [ნოდარ ტაბიძე, გალაკტიონი, „ლიტერატურული საქართველო“, 1982, 3 დეკემბერი], გალაკტიონისავე თუ ბარათაშვილის მარადი ლურჯა ცხენების თუ მერანის „განწირულის სულის-კვეთებას“ ამოამზევებს (ყმანვილის „სულის-კვეთება“ ხომ მუდამ „განწირულია“, ყმანვილის „სარწმუნოება“ — მუდამ „ბრმა“).

„ლელში, ლერწმებში“ უფლისწულად გაღვიძებული, მოსეს ენიგმურ სახედაც გაიაზრება ლირიკული გმირი ლექსისა და, ასოციაციურად, ბორხესის „ნანგრევთა წრის“ პერსონაჟსაც მოგვაგონებს — უფლის სიზმრად თავის გამაზრებელ ბრძენკაცს: „აჩრდილი იყო, სხვის მიერ სიზმრად ნანახი“ [„ჩვენი მწერლობა“, 2003, 7 ნოემბერი, ].

უფლის სიზმარში (ისტორიაში, იმავე ბორხესისეული განსაზღვრებით) ყველაფერი კარგავს კონტურებს — „სიყრმის ნაღველი — არც ნაღველი, სიყვარული — არც სიყვარული.“ ლამისაა, სასო წარგეკვეთოს, თუ „ყოველივე ქარია“, წარმავალია მშვენიერი ტანი-ლერწამიც (ქრესტომა-

თიული „ნა რხეული“, თუ ასევე (და მეტადაც!) ქრესტომათიული — „ქარისაგან რხეული ლერწამი“ და „პატრუქი მბდვინვარე“ (ორივე მეტაფორა ადამიანთაგან უკეთესს — იოანე ნათლისმცემელს მიემართება) — სხეულის მოწყვლადობის სახარებისმიერი პარადიგმები).

ინიციაციის გზანვრილზე სასონარკვეთის მელოდია გაიჟღერებს, ყველაფრის გაარაფრების, „სიზმრისა უფრო სიზმრისობის“ მწკლარტე გემოც გაკრთება, პოს აშერთა სახლივით დაირღვევა ნალოლიავები წონასწორობაც, ბახის ფუტეების შემზარავად დიადი, გამსრესი რიტმიც სასტიკ სტრიქონებად ჩაიღვრება „თრიმლების“ ფინალურ აკორდებში:

**მშვიდობით, თვალნი მიმერინდნენ, უსურვაზი  
გასხლტა მკლავიდან,  
ალიონისკენ ბილიკ-ბილიკ მიიშლება სრა-სახლი ნისლის  
[კვლავ ჩნდება ხილვა აშერთა სახლის სივრციდან —  
უსურვაზიან-ხავსიანი კედლების ჩამოქცევა — ნ.კ.]  
ვინ უთხრას ყმანვილს, არაფერი არ ამხდარა,  
ისე წავიდა,  
თრიმლის ტოტია, მოლაღურის ძახილია,  
ამინდებს იცვლის.**

ვინ არის „ოდინდელი ყმანვილი“, დროული რომ შეხიზნებია და თრიმლები (თუ თრიმლების მოგონება), მოლაღურის ძახილი ამღვრევს? ვისი გზანვრილი მოხაზა „თრიმლებში“ გზა-პარადიგმის ტრაგიკულ (და მშვენიერ) კონტურად დავით წერედიანმა?

არქეტიპი (როგორც ყოველთვის, როგორც ყველაფრის) კვლავაც წიგნთა წიგნის ანალებშია: „ვიხილვე: ყოველ მკვიდრს მზისქვეშეთში ყ მ ა ნ ვ ი ლ ი ახლავს.

ეს მ ი ს ი ს ხ ვ ა ა. მის ნაცვლად დადგება“ [ეკლესიასტე 4, 15].

ერთხელ კიდევ ამოვიწერო ტექსტის მხატვრული ქსოვილიდან „ყმანვილის“ ყოფის მწირ, განგებ გაიდუმალბულ კონსპექტს: „ოდინდელ ყმანვილს, შორეულს და ასე ახლობელს, შევეხიზნები... სიყრმის ნაღველი — არც ნაღველი, სიყვარული — არც სიყვარული... ვინ უთხრას ყმანვილს, არაფერი არ ამხდარა, ისე წავიდა...“

ძალიან რომ დაწურო და ბოლომდის გაიაზრო, გაიცნობიერო ყოფა, განსაცდელებით

დაყურსული წუთისოფლის კონსპექტიც ესაა, ადამიანის — მარადისობის უკიდევანო სიღრმეების, უნაპირო სივრცეების წინაშე მარადი ყმანვილის ტრაგიკული ოდისეის (ინიციაციურისაც კი!) აბრისიც, მაგრამ სოფელი მხოლოდ განსაცდელისა ხომ არაა, შთაბეჭდილებებიც ამავე სივრცეში გვეწყალობება, შუქიც, სიყვარულიც, აღმაფრენაც, ინიციაციაც — „განათების წამიც“, და ამადაც, სტრიქონს შევებრუნებთ (მოგვიტევენს, ალბათ, დიდებული პოეტი), თუმც „ბილიკ-ბილიკ მიიშლება სრა-სახლი ნისლის“ — მიიშლება ა ლ ი ო ნ ი ს კ ე ნ...

სხვა ყმანვილიც (ისიც „ოდინდელი“) მოგვაგონდება, ვის ტრაგიკულ ყოფაშიც „არაფერი არ ამხდარა, ისე წავიდა“, ყმანვილი — „თრიმლების“ ლირიკული გმირივით ალიონის მომლოდინე: „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდას ის განანათლებს“, „დღისით და ღამით მზისა ელვათა კრთომათა“ ჭვრეტის ღირსი...

დავით წერედიანის ლექსი-მისტერია „თრიმლები“ ისევე, როგორც სხვა შედეგები („ორიონის“ ყველა ლექსი შედეგურია. უზუსტესი დეფინიცია მოუძებნა როსტომ ჩხეიძემ წერედიანის პოეზიას — „ელვარებიდან ელვარებამდე“) ოდინდელ იგავს ჰყვება — ოდინდელ ყმანვილსა და ოდინდელ გზაზე — ჟამთუწინარი ალიონისკენ.

# როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უიკრანოდ

ერთ ნომარში თუ მოთავსდებოდნენ

(შეხვედრები)

„ლიტერატურული პალიტრის“ რედაქციასთან

მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „დანუნებული მოთხრობები“ 1966 წელს გამოცემულ, უაღრესად ორიგინალურ ჩანაფიქრზე აგებულ კრებულზე დაინერგებოდა, „ხელეური“ რომ ერქვა და აერთიანებდა იმ ბელეტრისტულ ქმნილებებს, რედაქციებს უკანვე რომ დაებრუნებინათ ავტორებისათვის, ოღონდ არა მხატვრული სისუსტის, არამედ... პოლიტიკური მოსაზრებით, გადამეტებული შიშითა თუ კრთომით.

ოთარ ჩხეიძეს მიაჩნდა, რომ რედაქტორები კიდევ უფრო სცოდავდნენ, ვიდრე თვით ცენზურა, თავისთავად საკმაოდ უღმობელი; და თავს მოუყრიდა ყველა ასეთ ნიმუშს და აქცევდა კრებულად, რომელიც თავისებურ და კოლორიტულ ნიშანს ეკუთვნის, ოღონდ სალიტერატურო ცხოვრების ისტორიაში.

„ხელეურს“ შესაფერისი გამოხმაურებაც მოჰყვებოდა თავის დროზე — მკითხველი აღტაცებული დარჩებოდა ერთად თავმოყრილი მრავალმხრივ საგულისხმო ნოველებითა და მოთხრობებით და ოთარ ჩხეიძეს იმედი გაუჩნდებოდა, ეგებ ეს წამოწყება გაგრძელდეს და რედაქტორებისაგან დანუნებულმა ბელეტრისტულმა ნიმუშებმა ამ სერისა შეაფარონ თავი.

მის ავტობიოგრაფიულ რომანში „დროდადრო“ არაერთი ჩანაწერი აღმოჩნდებოდა გაბნეული ამ კრებულისა და მისი შესაძლო გაგრძელების თაობაზე, და თუმცა ეს სასიკეთო წამოწყება იქვე შეწყდებოდა, იმჟამინდელი სამწერლო კულუარების განწყობილებათა აღდგენისა და დამბარკოლებელ მიზეზთა გაცხადებისათვის დღევანდელი იმ ფრაგმენტებს უთუოდ ენიჭებოდა თავისი მნიშვნელობა.

ამ ჩანიშვნებსაც გამოვიყენებდი, კრებულის შინაარსსაც მიმოვაგლებდი თვალს, ერთიანობაშიც გავიანზრებდი და... „დანუნებული მოთხრობებიც“ ასე შეიქმნებოდა, მოცულობით ლამის სამ თაბახამდე რომ მიაღწევდა.

და „ლიტერატურული პალიტრის“ რედაქციას რომ გავუზავნიდი, ჩემთვის გუნებაში გავივლებდი: კარგი იქნება, თუ ორ ნომერში გადაიხაზილებენ და სამად არ დააქუცმაცებენ, რათა მკითხველმა უფრო ადვილად მიადევნოს ყურადღება და შთაბეჭდილებაც უფრო სრული იყოს-მეთქი. თქმით, ცხადია, არაფერი მითქვამს და გადაწყვეტილება მთლიანად რედაქციას მივანდე.

და აი გადავშლიდი 2013 წლის მე-6 ნომერს და... „დანუნებული მოთხრობები“ თავიდან ბოლომდე დამხვდებოდა — ორდაც კი არ გაეყოთ.

არც კი ვიჯერებდი, მაგრამ სტრიქონგამოუტოვებლად მიდიოდა თხრობა უკანასკნელ ნერთილამდე და... ნუ ირწმუნებდი, თუ გინდა.

„ნუთუ „ლიტერატურული პალიტრის“ რედაქცია უფრო პატივისცემით მეპყრობა, ვიდრე მე თვითონ საკუთარ თავს?“ — ძალაუნებურად ამეკვიპებოდა ფიქრი.

ასე კი გამოდიოდა და...

ისე ვისაც ეგონება, რომ ეს მხოლოდ სამადლობელი ჩანაწერია, ჩემი ნაწერების საკითხავად მაინცდამაინც ნულა მოცდება.

თუმცა ეგებ ერთი კაციც არ აღმოჩნდეს ისეთი, ვინც ასე ზედაპირულად აღიქვამდეს ნაკითხულს.

აქა ამავე უიკრანოდ „ნასესხობისა“

უნიკალური შემთხვევა პლაგიატიზმის ხანგრძლივსა და მრავალფეროვნებით აღბეჭდილი ისტორიაში:

ჯერ ის პირნიდან დადანიერი ფურცლები შეიძინდა ნიგნის სახეს და მხოლოდ შემდეგ — დედანი.

ასე რომ, გულუბრყვილო მკითხველი შესაძლოა ძალზე ადვილად შეცდეს და დედანი მიიჩნიოს „ნასესხებად“, ის პირნიდან დადანიერი ფურცლები კი — ორიგინალად.

როგორია — კიდევ გაგაძრცვონ და... შენი ნაშრომ-ნადაგი ჯერაც ხელში გეჭიროს რაღაც სასიკეთოს გამოჩენისა და სამზეოზე გამოლწვევის მოლოდინში.

თამაზ ჯოლოგუა მეტად თავშეკავებულად აღნიშნავდა „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის (XIX საუკუნე)“ შესავლისათვის დართულ სქოლიოში:

— ნინამდებარე სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით მოხდა ერთი, რბილად რომ ვთქვათ, ძნელად ასახსნელი ფაქტი...

რბილად რომ ვთქვათ...

არადა, ფაქტი ისაა, სასაცილოცა და სატირალიც ერთსა და იმავე დროს, რომ სახელმძღვანელოს I ნაკვეთის უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებამდე უცვლელად (სკრუპულოზური სახით) აღმოჩნდებოდა ისტორიკოს მაია მაჭავარიანის ნიგნში „ჟურნალისტიკის ისტორია“ (საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009).

ამის გამჟღავნებას ხმაური რომ მოჰყვებოდა, „ავტორი“ სასწრაფოდ დაბეჭდვად განმარტებას „საქართველოს რესპუბლიკის“ 2010 წლის 25 მაისის ნომერში. დაადასტურებდა თამაზ ჯოლოგუას მიერ შედგენილი და ჯერაც გამოუცემელი სალექციო კურსიდან მონაკვეთთა უცვლელი სახით გადართვას (თვითონ „გამოყენებად“, ასე მორიდებულად, მონათლავდა თავის საქციელს!) და ამ აქციას ასეთ ახსნას მოუძებნიდა:

— ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მოესწრებოდა თ. ჯოლოგუას ნიგნის გამოცემა, მაგრამ მოხდა წინსწრება — ჯერ გამოვიდა ჩვენი სახელმძღვანელო. მოხდა სამწუხარო ფაქტი — თ. ჯოლოგუას სახელმძღვანელოს გამოყენება ავტორის ნებართვის გარეშე, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ბატონ თამაზს.

ვითომ ეს საჯავი ვითარება ამ „წინსწრებამ“ შექმნა და სხვა არავითარი უხერხულობა არ შეინიშნება?

ჯერ თამაზ ჯოლოგუას სახელმძღვანელო რომ გამოქვეყნებულიყო და მერე მისი „გამომყენებისა“, ვითომ ყველაფერი რიგზე იქნებოდა?

სად არის „ისტორიკოსის“ ნიგნში რაიმე მითითება, რომ მისი მეხუთე ნაწილის მეორე თავი (გვერდები: 255-303 და 316-324) პირნიდან დადანიებულია — და კიდევ უფრო მეტადაც — სულ სხვა სალექციო კურსიდან?

მაშინ საბოდიშოც არაფერი იქნებოდა, თუმცა... უცვლელად ამხელა მონაკვეთის განმეორება თავისთავადაც საჩოთიროა, გინდ აღნიშნე და გინდ არა...

არადა, თამაზ ჯოლოგუა დაინტერესებული რომ არ იყოს ყველა იმ ნაშრომით, დიდით თუ მცირეთი, რაც XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას ეხება, და ცნობისნადილით არ გადაეშალა მაია მაჭავარიანის „ჟურნალისტიკის ისტორიაც“, ხომ შერჩებოდა (ხახვივით,



— ასეც ამბობენ ხოლმე) მისი სალექციო კურსის გამომყენებელს ეს მალული ქმედება?

გავიდოდა ხანი და რომელიმე დამწყებ მკვლევარს ძალიან დაწყებოდა გული, ჩემთვის ასერიგად პატივსაცემ კაცს ეს რა დამართნია, რომ სხვისი ნაშრომი ნამუსიანად კი გადაუნერია, სიტყვაც რომ არ გადაუადგილებია, მაგრამ ნამდვილი ავტორის ვინაობის აღნიშვნა დავინწყნია თუ „დავინწყნიაო“.

როგორ გინდა დაგეგვრებინა, რომ უნიკალური შემთხვევის შემსწრე გამხდარიყო პლაგიატიზმის, მითვისების, სხვისი ნაშრომის თავისად გასაღების ისტორიაში.

უნიკალურის იმიტომ, რომ ასეთი შემთხვევა — ჯერ მისაკუთრებული ფურცლების გამომზეურება და მხოლოდ ამის შემდეგ ორიგინალისა — დიდი იშვიათობაა, თორემ მთლად ერთადერთი სულაც არა.

გაგიკვირდათ?

ნუ გაგიკვირდებათ.

სული გისწრებთ შეიტყუოთ სხვა „გამომყენებლისა“ და დაზარალებულის ვინაობაც?

რა გვეჩქარება, თავის დროზე ყველაფრის დაზუსტებას მოვესწრებით.

ჯერ კი დაე სხვისი ნაშრომის იმ ასევე ნამუსიანად გადამწერს ეგონოს, რომ ის „უწყინარი“ ხელმწიფობა შერჩა.

ამისთანები შერჩენია თუ რა!..

\*\*\*

თამაზ ჯოლოგუას „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიას“ კი, თუ შეფასებაზე მიდგება საქმე, თუნდ მხოლოდ საუკეთესო გზამკვლევად მოვიხსენიებ და ასე ლაკონიურად გამოვხატავ ჩემს აპოლოგეტურ დამოკიდებულებას არამართო ამ ფუნდამენტური წიგნის, არამედ ამ პიროვნების ხელიდან გამოსული ყოველი მეცნიერული ნაშრომისადმი.

### კერუაკული ოღისა

„დიოგენეს ბიბლიოთეკის“ სერიას უთუოდ ამშვენებს ჯეკ კერუაკის რომანის გამოცემაც. ჩვენში აქამდე მხოლოდ მწერლის გვარ-სახელი გაისმოდა, თუმც ისეთ კონტექსტში, უთუოდ აღვივებდა მკითხველის ცნობისწადილს — ჯერომ სელინჯერის გვერდით, როგორც მასთან ერთად ახალი ტალღის მეთაური, ბიტ-მოძრაობის იდეოლოგი.

სელინჯერი საქართველოშიც ისევე პოპულარული შექმნილიყო, როგორც დასავლეთში, განსაკუთრებით რომანით „თამაში ჭვავის ყანაში“, ვახტანგ ჭელიძის მთარგმნელობითი ხელოვნება ჩვენი ლიტერატურის განუყრელ ნაწილად რომ აქცევდა. აი, კერუაკს კი უგვიანდებოდა და უგვიანდებოდა გამოჩენა. ვერ ვიტყვი, რომ ეს დიდად საზიანო ყოფილიყოს ჩვენი სამწერლო მდინარებისათვის, მაგრამ აუცილებელი რომ გახლდათ კერუაკის გაქართველება, ესეც აშკარაა.

ეს აუცილებლობა თამარ ჭილაძემ ითავა და წარმატებითაც. „გზაზე“ სრულფასოვანი თარგმანია, მარჯვედ მიგნებულ შინაგანი რიტმი ლალსა და ძალდაუტანებელს რომ ხდის თხრობას, ავტობიოგრაფიით უხვად ნასაზრდოებს, ახალი დროის ოდისეად რომ გამოიღია მხატვრულ ქარგაში.

ქარგას რა ქმნის?

ახალგაზრდების ბორიალი და მიმოწყდომა აქეთ-იქით რალაცის საპოვნელად. რისი?

თვითონაც ვერ გაურკვევიათ, მაგრამ დაუცხრომლად რომ უნდა ეძიონ, ეს კი იციან და, ცოდნის გარდა, უცნაური წყურვილიც მიერეკებათ წინ და წინ — ერთ ადგილას რომ ვერ ჩერდებიან.

ასევე დაბორილობდნენ და დაენონებოდნენ ერნესტ ჰემინგუეის პერსონაჟებიც... თავიანთ შემოქმედიაანად.

ასევე დაბორილობდნენ და დაენონებოდნენ უილიამ ფოლკნერის პერსონაჟებიც... თავიანთ შემოქმედიაანად.

ისინი ამერიკის კონტინენტზეც ვერ იოკებდნენ მოგზაურობის წყურვილს და ევროპასაც მოედებოდნენ.

მაინც რა იზიდავდათ ახალი დროის ოდისევსობისაკენ?!

იქნებ შემეცნების წყურვილი?

იქნებ თავგადასავლების უინი?

იქნებ მწერლური ინტერესი?

იქნებ...!

მე თვითონაც არ ვიციო, — პასუხობდა ფოლკნერი, როდესაც ამ შეკითხვებით ჩააცვივებოდნენ.

არც ჯეკ კერუაკის პერსონაჟებმა იციან, მაგრამ ხომ მაინც აწყდებიან აქეთ-იქით, ხომ მაინც არ ჩერდებიან, ხომ მაინც ოდისევსობენ?

— ახლა, ჩემო სალ, ყველაფერს უკან ვიტოვებთ და ახალ, უცნობ ფაზაში გადავდივართ. წლები, პრობლემები, კაიფი დავივიწყეთ — და ახლა ეს! იმიტომ, რომ შეგვეძლოს, არაფერზე ვიფიქროთ, მარტო ვიაროთ და ასე გავიშვიროთ სახე, ხედავ? და გავიგოთ, როგორია სამყარო.

და სურვილი ებადებათ იყვირონ:

— ეს ხომ მთელი სამყაროა! ღმერთო ჩემო! ეს მთელი სამყაროა!

სწორედ ეს განსაზღვრავს ამ რომანის ხიბლსაც და ღირსებასაც და მის საჭიროებასაც ჩვენი ახალგაზრდებისათვის.


### შვილი — დასაპარავი?!

(ნინო ხარატიშვილის გერმანული წარმატებანი)

მიკერძობებას არ უნდა ვიჩინდე — არც შეგნებულსა და არც ქვეშეცნულს — თუ „თანამედროვე გერმანულენოვანი დრამატურგიის“ კრებულში საუკეთესოდ ნინო ხარატიშვილის პიესას მივიჩნევ — „ლივ შტაინი“, ოჯახურ დრამადაც რომ წარმოგვიადგება და ხელოვნებისა და ყოფითი ცხოვრების შეჯახების ანარეკლადაც. ისე აშკარად აღემატება ფოლკერ შმიდტის, ლუკას ბერფუსისა თუ მარიუს ფონ მაიერბურგის დრამატურგიულ ცდებს, გასაკვირი ის იქნებოდა, თუკი არ გამოვარჩევდით.

„არტანუჯის“ ეს წამოწყება (პროექტის ავტორები: თამარ კიკნაველიძე და მაია კუდავა) მართლაც სარისკოა, რადგანაც მეტად მცირერიცხოვანი მკითხველისთვისაა ნავარაუდები და იმთავითვე განწირულია საჩუქრებად დასარიგებლად. ასეთი სარისკო ცალკეული გამოცემები შეიძლება იყოს, მაგრამ... მთელი პროექტი?!. თუმც ქართულ საგამომცემლო სივრცეს ძალიან ესაჭიროებოდა ამგვარი განზრახვის აღსრულება და კულტურული სივრცის ამ იდუმალ კარნახს ვინ შეიძლება გამოხმავებოდა, თუ არა „არტანუჯისთან“ გამომცემლობა და, რასაკვირველია, პროფესიონალ მთარგმნელთა იმედად: ოთარ ყარალაშვილი, შორენა შამანაძე და მაია ფალავანიძევილი.

ვერ ვიტყვი, რომ რალაც განსაკუთრებული ნიმუშები გავიცანით.





უკეთესი პიესები ჩვენ- ში ანაერტი მოიძებნება ამავე თაობის წრეში, გერმანელი დრამატურ- გები რომ წარმოადგენენ. თუმც ძალიან საინტერე- სოა, რა თემები აღელ- ვებთ იქაურ ავტორებს, რა პრობლემებს ეჭიდე- ბიან, რა რანგის პიესებს ქმნიან; მითუმეტეს, რომ — ჩვენი რეალობისაგან განსხვავებით — ისინი სრულიადაც არა გრძნო- ბენ თავს მიტოვებულად რეჟისორებისაგან და ეს ყოველივე, რასაც ლიტე- რატურულ ნიმუშებად ვეცნობთ, სცენაზეა

ხორცშესხმული.

მთავარი კი მაინც ისაა, რომ ნინო ხარატიშვილს წარმატე- ბით გაუკვლევივა გზა გერმანიის კულტურულ ცხოვრებაში, და ეს — მშობლიური ენის განირვის ხარჯზე.

მართლაც ვინ მისცა საქართველოს დასაკარგავი შვილი, პოეტურ ფორმულაში გამხვეული საყოველთაო ტკივილისა არ იყოს?!

გაემტყუნება ასეთი ნაბიჯი? არ გაემტყუნება?

არამარტო შეცთომილი ძეები უბრუნდებიან საკუთარ კე- რას, არამედ შეცთომილი ასულნიც, და მითუფრო გასაკვირი და დასაფიქრებელია ახალგაზრდა ქალისაგან თავისი ქვეყნი- სათვის ზურგის შექცევა, მითუმეტეს, რომ თეატრს — გერმა- ნიაში სახელმძღვანელო ბელგიელი რეჟისორის ლუკ პერსივა- ლის კვლობაზე — ქვიშაში წერას უიცივებს.

— ფაქტობრივად თეატრი „ქვიშაში წერის“ მეტი არც არა- ფერია. ბევრ ფულს ამ დარგში ვერ იშოვი, სახელი და წარმა- ტება, რომელზეც ბევრი ოცნებობს, მოკლევადიანია. პიესებ- სა და თემებს, რომლებიც იდგმება და რომლებზეც ვსჯე- ლობთ, არ ძალუძს კაცობრიობა ან სამყარო შეცვალოს.

რაო, კიდევ რას გვიმტკიცებს ლუკ პერსივალის?

ფხიზლად თუ შევხედავთ ამ სფეროს, თეატრი სრულიად უაზრო საქმიანობაა, მაგრამ სწორედ ეს აღმოჩენა შეიცავს პასუხს 2500-წლიანი უაზრო თეატრის აზრის შესახებო.

მის მიერ დადგმული „ოტელო“ დიდ შთაბეჭდილებას მოახ- დენდა ნინო ხარატიშვილზეც და, რაც ყველაზე მნიშვნელოვან- ნია, თეატრს დაანახებდა სხვა თვალთ, იმ თეატრს, რომელიც გერმანიაში — სახელმწიფო დაფინანსების უნიკალური სისტე- მის მიუხედავად — დიდ კრიზისში ჩავარდნილი დახვდებოდა. ემოცია ხელოვნების ყველა დარგიდან რომ განდევნილიყო, თეატრიდან მაინც განსაკუთრებულად, შინაარსი ფორმას და- ეთრგუნა, პათოსის შიში მხოლოდ და მხოლოდ კიჩის წარმოშო- ბას უწყობდა ხელს და თეატრალური ფესვების — ანუ ამბის მოყოლის — ტრადიციაც დავიწყებდას მისცემოდა.

— ეს კი მხოლოდ და მხოლოდ დაშლას, შინაარსის გაუქმე- ბას, თეატრის შიგთავსის გაშიშვლებას და პოსტმოდერნის- ტულ, რაციონალურ, ცივ და ცინიკურ სიამოვნებას ნიშნავს.

და შეფიქრებულად, არავის ეგონოს, თეატრში რეალიზ- მისა და, მითუმეტეს, ნატურალიზმის მომხრე ვიყო, და გულსავე მალერის სიტყვებით გამოხატავდა თავის განცდასაც და ესთე- ტიკურ მრწამსსაც: ტრადიცია ჩემთვის ნიშნავს არა ფერფლის თაყვანისცემას, არამედ ცეცხლის გადაცემას ხელიდან ხელშიო.

და როდესაც ლექტორი ეტყოდა: შენი ნამუშევრები ზედ- მეტად ემოციურია, დროა ცოტა ირონიასაც მიხედო, — ეს უმაღლეს შეაგებება პასუხს: ეს თქვენთვის კრიტიკაა, ჩემთ- ვის კი კომპლიმენტიაო.

თბილისიდან გასართობ-მუსიკალურ-საცეკვაო-კლოუნა- დად გადაქცეულ თეატრს რომ გაექცეოდა და მოსკოვშიც მოტ- კო ვოდვეილები და მელოდრამები, დამტვირთო კოსტუმებში გამხვეული კლასიკოსები, პათოსური გამოსვლები, ყალბი, გა- დამეტებული, თეატრალური თამაშის მეთოდიკა დახვდებოდა, ისევ გერმანული თეატრის ნიაღში შეეცდებოდა საკუთარი თავის პოვნას და... კიდევ გაარღვევდა იმ შემოზღუდულ სივრცეს, რომელში ამოსახრჩობადაც არ ემეტებოდა საკუთარი ნიჭი — როგორც მწერლისა და როგორც რეჟისორისა.

სამ წელიწადში გერმანიის დიდ თეატრალურ სცენებზე მის რვა ინსცენირებას რომ შეესხმოდა ხორცი და, გარდა სა- ქეპარი რეცენზიებისა, ჯილდოც ჯილდოს რომ მოჰყვებოდა, რომანისტიკაშიც მოსინჯავდა ბედს და... აქაც არანაკლები წარმატებით — მის პირველ ეპიკურ თხზულებასაც „უჟუჟ“ დიდი მოწონებით შეეგებებოდნენ.

ნეტა სამუდამოდაც დაიტოვებს გერმანული ენის ნიაღში? გივი მარგველაშვილის გერმანულენოვნებას მისი ბიოგ- რაფიის ტრაგიზმი განსაზღვრავდა, ნინო ხარატიშვილი კი ამ ტრაგიზმს საკუთარი ნებით შეიქმნიდა. ისე გამოდის, რომ მი- სი შემოქმედების ლაიტმოტივად გადაქცეული თემა — ადამი- ანის გაუცხოება საკუთარ თავთან, გარემოსა და ცხოვრებას- თან — პირად ბიოგრაფიას გამოხატავს — მხოლოდ გარედან კი აღარ შეჰყურებს ამ უმწევეს პრობლემას, არამედ მის შუ- აგულშივე გახვეულია და ღრმად დაფარულ ტრაგიზმი მხატვ- რულ სინამდვილედ გარდაუხსახავს.

საქართველოც, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავიო...

მაგრამ... თუკი ვერა ვერ მოვისვენია მშობლიურ გარემო- ში და საკუთარი თავისგანაც დასხლტომას ლამობ?!

თავისი თეატრის შექმნას რომ ესწრაფის — ჯერ წარმო- სახვაში, შემდგომ კი ყოფით რეალობაშიც — და მთავარ იდე- ოლოგიად სურათები, პოეტური ვიზუალიზაცია და ფანტაზია ესახება, და შექსპირული მეტაფორაც მძაფრად უფორიაქებს გონებას, ცხოვრებას მასხარის მიერ მოყოლილ ზღაპართან რომ აიგივებდა დიდებული ხელოვანი, ხმაურითა და მძვინვარ- ებით აღსავსესთან, ნინო ხარატიშვილისათვის ხელოვნება 1000 პასუხგაუცემელ კითხვას გაემგვანებოდა, დაუმთავრე- ბელ ძიებას, უკეთესობისკენ ლტოლვას, სრულყოფილების არარსებობის ცოდნას, მაგრამ მაინც მისკენ სწრაფვასა და საკუთარ უნარში მუდმივად დაეჭვებას.

ნამდვილი მწერლის მიერ გამოთქმული განცდა და შეხე- დულებაა, ღირსეული ეთიკური და ესთეტიკური მრწამსი, და მითუფრო გვენანება ამ სულით განმსჭვალული პიროვნება უცხო ენობრივ სამყაროში ჩასატოვებლად...

არა, მართლაც ვინ მისცა საქართველოს დასაკარგავი შვილი?!


\*\*\*

თითი, რომელსაც მთვარისკენ იშვერ, მთვარე არააო, — შეგონებით კი შეგაგონებდნენ, მაგრამ იმის დაზუსტებას აღარ ცდილობდნენ, მთვარე თუ არა, მაინც რა შეიძლება ყო- ფილიყო ეს თითი.

თეატრიო, — თავისი მტკიცე პასუხი მოეძებნება ნინო ხა- რატიშვილს.

სიცოცხლე ჩვენი — ჰაიკუსავით ნარმოსათქმელი

ირაკლი კაკაბაძე იაპონური სულით რომ განიმსჭვალებო- და, იაკი კაბეს ნიღაბსაც მოირგებდა წარმატებული მისტიფი- კაციისას და პოეტურ კრებულს ზოგადად დასასათაურებდა: „ასი ჰაიკუ“, — გულს რაღაც დამაკლდებოდა და ჩემს მოსაზ- რებას გაუზიარებდი, რომ ამ ზოგადობას სჯობდა რომელი- მე სტრიქონი შეერჩია საერთო სახელწოდებად — მათ შორის: „პოეტი — სახელმწიფო სახრჩობელასთან“. ჯერ საპატრიარ- ქოს ეკრანიდანაც, დილის გადაცემაში „განთიადი“, ნიგნების



მიმოხილვისას, და „ჩვენს მწერლობაში“ გამოქვეყნებულ საეკრანო გამოსვლებშიც გავიმეორებდი.

ვიგულისხმობდი, რომ ეს ლირიკული ნიღაბი შესაძლოა კვლავ გამოჩენილიყო ასპარეზზე „ასი ჰაიკუს“ ხელახალი — ანდა სულაც შევსებული — გამოცემით.

და მაშინ მიეცემოდა არჩევანის საშუალებაც.

მაგრამ პოეტმა აღარ გადასდო და ახალ პოეტურ კრებულს, საკუთარი გვარსახელით რომ გამოჩნდებოდა „ინტელექტის“ გამო-

ცემებს შორის, მაშინ შეთავაზებულ იმ სათაურს დაარქმევდა.

კი მაგრამ, როგორ გაამართლებდა ასეთ სახელწოდებას ნიგნში, სადაც ეს სტრიქონი აღარ მეორდებოდა არც უშუალოდ იმ სახით და არც თავისებური ვარიაციით?

თავისი იაპონელი ორეულის იმ ჰაიკუს ნაუმძღვარებდა ეპიგრაფად და... უკეთესი გაამართლებაც რა უნდა ყოფილიყო?!

მითუმეტეს, რომ ამ სტრიქონის სულისკვეთება ისედაც მსჭვალავს ყველა ნამდვილი პოეტის ლირიკულ ხილვებს, და ირაკლი კაკაბაძე კვლავაც ამ ტკივილით რომ სუნთქავს, თუნდ ანოტაციაში მარჯვედ მოხსმობილი რამდენიმე სტრიქონიც ადასტურებს: „იძინე მშვიდად, მხედრიონის მშობელო ერო...“, ან: „ცარიელი და განძარცვული, მაგრამ დუმილით საესე, ცივი დუმილით საესე“, ან კიდევ: „სად გიპოვო, რაში ხარ მეტად არეკილი, ჩემო სამშობლო? პეიზაჟებში, სიმღერებში თუ ადამიანებში?..“

კიდევ უფრო მეტად კი, ცხადია, მთელი კრებული, იაკი კაბეს ლექსის ფორმაც რომ გამოსდევს და განწყობილებანიც (განსაკუთრებით ამ პოეტურ მინიატურას გამოვარჩევდი: „რა ხანმოკლეა სიცოცხლე ჩვენი — ჰაიკუსავით სამ სტრიქონად წარმოსათქმელი...“) და მოხდენილად ერწყმის ახალ კომპოზიციურ ქარგას, საიდანაც არაერთი ლექსისა თუ სტრიქონის მოხმობა შეიძლება, მაგრამ ამჯერად „სარკის ნატეხების“ ფინალური მონაკვეთის გადაკითხვა ვიკმაროთ:

**საკუთარი ყველაფერი დავადუმეთ,  
მოვკალით,  
დავმარხეთ,  
განვიძარცვთ საკუთარი სინათლისგან.  
სულ მივიჩქარით,  
სულ გავრბივართ,  
სულ ვიპარებთ და  
ერთხელაც ჩაქრი, ჩადი, ჩავსვენე მზესავით —  
სარკის ნატეხების ყველაზე მართალო ანარეკლო,  
ყველაზე ბოროტო სინათლევ!**

...და დგას გულუშისრად კიდევ ერთი შემოქმედი სახელმწიფო სახრჩობელასთან.

**ჯუსტი — რეალური,  
ჯუსტი — შეთხზული**

ილია ჭავჭავაძის „ბედნიერი ერი“ პირველად რომ გამოქვეყნდებოდა, და ეს მოხდებოდა ნიკო ნიკოლაძის ჟურნალში „კრებული“ (1871, 5), სათაურის ქვეშ ლექსს ასე წაენერებოდა: — იტალიანელი პოეტის ჯუსტის მიბაძვა.

როდესაც პავლე ინგოროყვა და ალექსანდრე აბაშელი გამოსაცემად მოამზადებდნენ ილიას ნაწერების სრული კრებულის პირველ ტომს 1925 წელს, შენიშვნაში აღნიშნებოდა, რომ:

— რასაკვირველია არაა საჭირო „ჯუსტის“ სახელი ვეძებოთ იტალიური ლიტერატურის ლექსიკონებში; ისედაც ცხადია, რომ ეს შენიშვნა დამატებულია ცენზურის თვალის ასახვევად, თითქო ამ მწვავე სატირას არაფერი აქვს საერთო საქართველოსთან და უბრალო თარგმანს წარმოადგენდეს.

ამ მოსაზრებას გაიზიარებდა იოსებ გრიშაშვილიც და „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“ გაიმეორებდა, რომ: საცენზურო პირობებს აეძულებინა ილია ჭავჭავაძე, რომ თავისი „ბედნიერი ერი“ იტალიელი მწერლისთვის — ჯუსტისათვის — მიეკუთვნებინა, და ეს მაშინ, როდესაც ასეთი იტალიელი მწერალი არ არსებობდა.

მაგრამ ილია ჭავჭავაძის ოცტომეულის პირველი ტომისათვის (1987 წელი) დართულ შენიშვნებში რუსუდან კუსრამვილი აღნიშნავდა, რომ ეს თვალსაზრისი არსებით კორექტივს საჭიროებდა.

და საჭიროებდა იმიტომ, რომ არსებობდა იტალიელი პოეტი ჯუზეპე ჯუსტი (1809-1850), რომელიც მხურვალედ თანაუგრძნობდა იტალიელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას და პოპულარობით სარგებლობდა არა მხოლოდ თავის სამშობლოში, არამედ XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ საზოგადოებაშიც, რომელსაც უკვე 50-იანი წლების დამლევებიდან შეეძლო თარგმანების მეოხებით გასცნობოდა ჯუსტის პოეტურ ქმნილებებს.

მამ საესებო ბუნებრივი ყოფილა, რომ ჯუსტის პოეზიას ილია ჭავჭავაძეც დაეინტერესებინა, ხოლო იტალიელი პოეტის შესანიშნავ სატირულ ლექსებს (კერძოდ კი „ლოკოკინას“, რომელშიც პოეტი მწვავედ დასცინოდა საკუთარ ნიჟარაში შეყუყულ და თავიანთი საეალალო ხვედრით კმაყოფილ თანამემამულეებს), გამორიცხული არ არის, მართლაც მიეცათ ილიასათვის გარკვეული სტიმული „ბედნიერი ერის“ შესაქმნელად.

ამის მტკიცებისათვის მკვლევარისთვის საფუძველი შეექმნა ზაირა სტურუას სტატიას „ილია ჭავჭავაძის ერთი ლექსის ისტორიისათვის“ („ლიტერატურული საქართველო“, 1987, 24 ივლისი), რომელშიც მსჯელობა ტრიალებდა ჯუსტისა და ილიას პოეტურ ნაწარმოებთა ტიპოლოგიური მსგავსების ირგვლივ.

იტალიელი პოეტის ჯუსტის მიბაძვაო და... აგერ, ჯუზეპე ჯუსტიც არსებობდა და მისი სატირული თემატიკაც — სხვა სატიკვიართა გამოხატვასთან ერთად — თვისტომთა შერცხვენასა და დამუნათებასაც გულისხმობდა, ხმას რატომ არ ამოიღებთ დაკარგული თავისუფლების დასაბრუნებლად.

„თარგმანიო“ — ხომ არ ირწმუნებოდა ილია, „მიბაძვაო“ — გვამცნობდა, მიბაძვისა და შთაგონებისათვის კი საესებით კმაროდა ის მსგავსებანი, რაც „ბედნიერ ერსა“ და „ლოკოკინას“ შორის შეიმჩნეოდა.

მამ გამოსარკვევი და დასაზუსტებელიც აღარაფერი უნდა იყოს.

თუმც... ამ თავისთავად ლოგიკურად აგებულ დასაბუთებას ერთბაშად დააყენებს ეჭვქვეშ რუსუდან ნიკოლაძის მეჭუარული ყაიდის ჩანაწერები „თერგდალეულთა შინაური ცხოვრება“, რომელიც სხვა ფასდაუდებელ ცნობებთან ერთად გვატყობინებს „ბედნიერი ერის“ გამოქვეყნების ისტორიასაც.

ნიკო ნიკოლაძეს ეს ლექსი რომ მოსწონებოდა და ავტორისათვის შეეთავაზებინა მისი დაბეჭდვა თავის ჟურნალში, იმას გაკვირვებოდა: მერე ცენზორი ნებას მოგვცემსო?

და ნიკო გონებაამახვილურ რჩევას შესთავაზებდა, როგორც ფანდს ცენზურისათვის თვალის ასახვევად:

— ზედ დაანერე „იტალიანელი პოეტის ჯუსტის მიბაძვა“ და ყველაფერი რიგზე იქნება.

ნინო ქუთათელაძე

# სივრცე კედელში, ანუ სივრცე გამოუვალში...

— ვინ არის ჯუსტი? — დაინტერესდებოდა ილია.  
— არც მე ვიცი. **Juste** ფრანგული სიტყვაა, ქართულად „მართალს“ ნიშნავს, შენც ხომ მართალს წერ? მორჩა და გათავდა. შენ რა გენალვლება? ცენზორმა იმტერიოს თავი, თუ ვინ არის იტალიელი პოეტი ჯუსტი.

ნიკო ნიკოლაძე ცენზორს რომ წაულებდა ამ ლექსს, კიდეც დაარწმუნებდა, „ბედნიერი ერი“ გულისხმობს მსუბუქი ჭკუის ნეაპოლელ იტალიელებსო.

შოთა რუსთაველს თუ ინდოეთსა და არაბეთში გადაეტანა ეპოსის მოქმედება, ვითომ ილიას რატომღა არ შეეძლო, ლირიკული ლექსის მოქმედების გადატანა იტალიაში?

რუსუდან ნიკოლაძის ამ მოგონებიდან უშუალოდ ეს ეპიზოდი მოხმობილია ივანე ლოლაშვილის მხატვრულ-დოკუმენტურ ნიგნში „ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან“ (1980) და სავსებით გაზიარებულიც, როგორც უტყუარი დასტური ლექსზე ამგვარი მინანქრის მოტივისა და მიზეზისა.

„ჯუსტი“ ფრანგულად მართალს რომ ნიშნავს, თურმე ამ გამჭვირვალე მინიშნებას გამოენვია არარსებული პოეტის გამოგონება.

კი მაგრამ, რომ არსებობს ასეთი პოეტი?

შემთხვევითი დამთხვევა ყოფილა და ეგაა, ხოლო „ლოკოკინასა“ და „ბედნიერ ერს“ შორის მსგავსება რომ შეიმჩნევა, ამგვარი ტიპოლოგიური მსგავსებანი ისეთ ლექსებთან შეიძლება აღმოაჩნდეს ჯერ მარტო ილიას ამ სატირულ ქმნილებას, რომელთა არსებობაც არ უწყობდა.

ისე მაინც რა არის, არა, ჯუზეპე ჯუსტი სატირიკოსი რომ გამოდგა და თანაც თვისტომთა მძრახველი და ეროვნული ბრძოლისაკენ მომწოდებელი?!

ყოვლად შეუძლებელია რუსუდან ნიკოლაძე ყვებოდეს იმას, რაც სინამდვილეში არ მომხდარიყოს.

ვითომ რისთვის სჭირდებოდა ამის გამოგონება — მართლაც ჯუზეპე ჯუსტის „ლოკოკინას“ შთაგონებით რომ შეთხზულიყოს „ბედნიერი ერი“, ან ილიას აკლდება რაიმე ამით და ან ნიკო ნიკოლაძის გაბედულებას?

გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ ჟუკოვსკის „ლხინის“ მიბაძვითა და შთაგონებით რომ არის შექმნილი, ვითომ ამ პოემის სრულფასოვნება რაიმეთი კნინდება?

მაგრამ თუკი პოეტი და გენერალი ცენზურის გასაცურებლად მოისაბაბებდა „სადღეგრძელოს“ ვითომდა პირველწყაროს არსებობას, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენც გვეძებნა და გვეზუსტებინა არარსებული შთამაგონებლის ვინაობა?..

საგულისხმო ისაა, რომ რასაც რუსუდან ნიკოლაძის „თერგადლეულთა შინაური ცხოვრება“ გვამცნობს, „ბედნიერი ერის“ იმ პირველ კომენტარში უკვე მინიშნებულია, თუმც ბოლომდე გაშიფრული არ არის.

არც პავლე ინგოროყვას და არც ალექსანდრე აბაშელს არ გაუძნელდებოდათ იტალიური ლიტერატურის ცნობარში ჩახედვა და იქ ჯუზეპე ჯუსტის სახელის პოვნა. მაგრამ ამას ზედმეტად მიიჩნევენ, რაკილა უსათუოდ მოეხსენებათ და უშუალოდ ნიკო ნიკოლაძისაგან — ვინც იმ გამომცემლობა „ქართული ნიგნის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია, სადაც ილიას ტომები მზადდება გამოსაცემად — ლექსის დაბეჭდვის გარემოებანი და მკითხველს სთავაზობენ დასკვნას ისე, რომ დეტალებს აღარ უღრმავდებიან — დაე ნიკომ თვითონ მოუთხროს მკითხველს თავის შემუშავებში ის ამბავი, რომლის გახსენებითაც უსათუოდ აცინებდა თავის ამ უმცროს მეგობრებს და თვითონ ხომ იხალისებდა და იტრაბახებდა: რა კარგად მოვიფიქრე და მზის სინათლეზე გამოვიტანე ლექსი, რომლის გამოქვეყნების იმედიც ილიას გადანურული ჰქონდაო.

რა, არ ექნებოდა სატრაბახო თუ?!

ისედაც ცხადია, რომ ეს შენიშვნა დამატებულია ცენზურის თვალის ასახვევადო, — დაბეჯითებით უდასტურებდნენ უმცროსი თანამოკალმენი ილიას პირველი ტომის შენიშვნებიდან.

საერთოდ, ვერდიები ხოლმე იმის თქმას, რასაც ახლა გეტყვით. თანამედროვე ქართველი ქალი პოეტების მიმართ, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად ვარ განწყობილი და არა იმ მიზეზით, რა მიზეზითაც მამაკაცები არიან ხოლმე. ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ქალ პოეტთა სამოცდაათი პროცენტი მედია კაბიძეს ჰგავს, თუმცა მათ შორის ორიოდე საუკეთესოა და მე მათ სიამოვნებით ვკითხულობ; ხოლო დანარჩენი ოცდაათი პროცენტი ლია სტურუას ბაძავს, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ისეთი ლექსის დაწერას, ქალბატონი ლია რომ წერს, სულ მცირე, ინტელექტი მაინც სჭირდება, ნიჭზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მაპატიეთ და, ისინი ამაზე ცოტა უკაცრავად არიან.

როცა ნუციკო დეკანოზიშვილის ნიგნი დავხურე, სულ სხვა განწყობა მქონდა... დიახ, ის არავის ჰგავს, რასაც წერს, ყველაფერი მისია, უკლებლივ ყველაფერი. ხანდახან გაკრთება ხოლმე ჩვენი გაძალღებული ცხოვრების შესაფერისი ტერმინი, მაგრამ სხვანაირად როგორ? — ისიც ხომ ჩვენი დროის შვილია.

როცა ნიგნი დავხურე, სათაურითაც აღფრთოვანდი. აქ ხომ ნუციკოს სულის, ცხოვრების ნამსხვრევებია და მაინც როგორი მთლიანია ყველაფერი. სული თუ არ დაგემსხვრა, შენსავე ვერ მიაგნებ. ორი ლექსი, თავსა და ბოლოში, რიტმულად ორგანიზებული ვერლიბრია და ზუსტად გამოხატავს სათქმელს. აი, იმას ჰგავს, ფეხი რომ აგერევა და აღარ იცი, საით მიდიხარ. მიდიხარ და მორჩა! ასეც მთავრდება პირველი ლექსი:

**როცა მაფრთხილებ, — თავს ვუშველო, —  
ვამბობ —  
არსაით.**

ან სად უნდა წავიდეს პოეტი საკუთარი სამყაროდან?! — გაიქეცი, თუნდაც ავსტრალიაში, თუნდაც არქტიკაზე, ის მაინც თან მოგყვება. ეს იმიტომ ხდება, რომ ყველგან კედელია, საკუთარი ჭურჭელია და თავიც რომ შეანყვიტო, არაფერი გამოვა აქედან. სწორედ ამიტომ კედელიც მისი ლექსის თემია. პოეტი პირდაპირ გვეუბნება, კედლებში, რომლებიც მის დამსხვრეულ სულს საზღვრავს, სივრცეა ჩატეული. კედელში სივრცე — უცნაურია, არა?! — ანუ სივრცე გამოუვალში და მაინც სივრცე. მაგრამ ეს კედელი ხომ უბრალო კედელი არ არის, ეს მისი წარსულია, მისი სამშობლოა — ძველიც და თანამედროვეც — **„ვდგავარ, აქ ვარ და გაბზარული შევყურებ კედლებს“**. დიახ, კედლები კი არ დაიბზარა, კი არ ჩამოიქცა, თვითონ პოეტი გაიბზარა მისი მარადიულობის წნეხისგან.

რაკი სამშობლოზე დავიწყე საუბარი, აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ ნუციკოს ლექსებში სამშობლო განყენებული, ტრაფარეტული კი არ არის, არამედ მისი თანაზიარია, მასთან შეერთებული, ერთი მთლიანი. თვით ის ლექსიც კი, რომელსაც „სიზმარი სამშობლოზე“ ჰქვია, მისი სულის ნამსხვრევია. სამშობლო მისთვის ანმყო არ არის, სამშობლო წარსულია და უსაზღვრო მოლოდინი. ბოლოსდაბოლოს, არც ერთი ლექსი არ გახლავთ პატრიოტული, საერთო გაგებით... ის, რაც სამშობლოს ეკუთვნის, მისიცაა. **„ქვეყანა, რომელსაც წლებია, ვუხსნი სიყვარულს და არ ესმის“**. — გვეუბნება ის

ლექსში „თოვლი“. მინდა გითხრა, ნუციკო, რომ ის კარგა ხანს ვერც გაიგებს ამას, რადგან ქვეყანამ ზურგი აქცია სიყვარულს და, ამდენად, პოეზიასაც. აი, ეს არის ყველაზე დიდი საწუხარი და არა მხოლოდ შენთვის, ყველა ქართველი შემოქმედისთვის. აქვე არ შემოიძლია არ ვახსენო „წყლიანი ლექსი“, აბსოლუტურად პოეტური და სრულყოფილი (თუმცა ერთი ფრაზის გამოკლებით):

**დამშვიდობებით, მოსვლით, შეხვედრით, გაცემული ზღვებით წყალსაცხე, აფხაზეთივით გამდინარე, სამშობლოსავით დაგუბებული, შენსავით მღვრივ, ბნელი, მკვლელი ზღვა მოგიტანე — არ დამიღვარო.**

რა თქმა უნდა, ყველა მეტაფორისა და ქვეტექსტის ახსნას არ შევუდგები, მაგრამ აუცილებლად უნდა გითხრა იმ ექსპრესიისა და ტემპერამენტის შესახებ, რომელიც მართლაც „დაგუბებულია“ და ნაპირებიდან გადმოდის. და კიდევ ერთი ლექსი, რომელმაც გამოაცა სწორედ თავისი ექსპრესიით... ეს გახლავთ „მკვდრები“ და ის ასე მთავრდება:

**ჩემად უთხარი მკვდრებს, რომ გაჩუმდნენ! უთხარით, ცაში სიყვარულს ვმკიდი... ჩვენც აღარ დაგვრჩა სიცოცხლის კვნიტი, პოდა, უთხარი მაგ მკვდრებს — გაჩუმდნენ!**

ის კიდევ საკითხავია, რეალურ მკვდრებს ეხება ეს ლექსი თუ ცოცხალს. აქ ეს ორი რამ ერთმანეთშია გადახლართული: მისტიკური და არსებული.

მართლაც... მისტიკა ბევრია ამ წიგნში. ვერ გეტყვით, ეს პოეტის ინტუიტიური, ქვეცნობიერი სამყაროა ასეთი თუ შეგნებული, გააზრებული. თუმცა ფაქტი ჯიუტია! ამ მხრივ საინტერესოა ლექსი „მზეო!“ საერთოდ, მზე სხვადასხვაგვარია ჩრდილოურსა და სამხრეთის თუ აღმოსავლეთის პოეზიაში. მაგრამ აქ სწორედ სხვა რამესთან გვაქვს საქმე:

**შინ შემოდი, მზე გარეთავ, მზე გარეთავ, მოეფინე, შინ შემოდი, მზეო, დედის ჩამქრალ ათინათებს, ცისკრის წირვის იყავ მნათე... და ა.შ.**

აქ თითქოს ყველაფერი გასაგებია, მზე — ღვთისმშობელია, როგორც გალაკტიონი იტყოდა — „მზე მარიამი“, მაგრამ უცებ უცნაური:

**ელის, მზეო, ქალთამზეო, შენს შინ მოსვლას „სადამდეო?“ — ერი გნატრობს, ელის...**

სიტყვა „სადამდეო“ ხომ ცალკე თემაა, მაგრამ რატომ — „ელის“ და არა „ელოდება“ (თუმცა ესეც იგივეა)? აი, სადამდე შეიძლება მიგიყვანოს ქართულმა ენამ, რომელიც თავისთავადაც მისტიკაა! „ელი“ ხომ ქალღმერთა მზის ღვთაებაა!



მარიამიც მზეა! სიცოცხლის საწყისია ორივე! ლექსი თითქოს უტევს მზეს, დაიწყე, დაიწყე, ამონათვე ახალი სამყარო, ახალი სიცოცხლე! ერთი პოეტი ქალი შენს გვერდითაა! მეც შენს გვერდით ვარ, ჩემო ნუციკო!

მისტიკაა გაყურებული ლექსებში: „წყლიანი ლექსი“ და „თევზაობიდან“... თევზი, მოგეხსენებათ, უფლის ჰიპოსტასია, წყალი — სამყარო... ამჯერადაც ვერ გეტყვით, ეს ქვეცნობიერია თუ გააზრებული, მაგრამ მშვენიერი კია:

**თქვი, რომ, რომ არ გვეთევზავა, ხახამშრალებიც არ დავრჩებოდით, მაგრამ რომ არ გვეთევზავა, წყალი მაინც აიძვრეოდა.**

რატომ უნდა აიძვრეს სამყარო, თუ ყველაფერი სწორად მიედინება, რატომ ვერ უნდა მოახერხო უფლის დანახვა, თუ ყოველდღე ლოცულობ და ის შენთან არის? — მე კითხვები დავსვი, დანარჩენი თქვენთვის მომინდა.

აბსოლუტურად ვეთანხმები ქალბატონ მაია ჯალიაშვილს, რომელმაც წინასიტყვაობა წარუშმდგარა „ნამსხვერვებს“, რომ „მე და შენ — ეს ნუციკოს ლექსების თანმდევი ოპოზიციაა“. ვეთანხმები ბატონ გივი ალხაზიშვილსაც, რომელიც ამბობს, რომ „ნუციკო დეკანოზივილი მერყეობს უმძლავრეს მათორულ იმპულსებსა და ამოებებს შორის, რაც მკვეთრად აისახება მის ლექსებში“. და აქვე მინდა დავამატო, რომ ნუციკო ზედაპირული, იოლად გასაგები პოეტი არ გახლავთ და სწორედ ეს მხიბლავს მის პოეზიაში. ამავე დროს — მეტისმეტად ქალურია... თუმცა, როგორც ქალია რთული, ასევე რთულია ჭეშმარიტი პოეზიაც.

ბევრ რამეზე მინდოდა მესაუბრა და განსაკუთრებით — ფერზე იმიტომ, რომ დეპრესია ჩემთვისაც ყვითელია; იმიტომ, რომ „წითელ-თითებჩაბლუჯულია მისი სხეული“; იმიტომ, რომ „დილას მზეში შეეხსნება რუხი აზლუდი“ და კიდევ ვინ მოთვლის, რა?!.. მინდოდა მესაუბრა მელოდიაზე, პოეტურ სმენაზე, რომლის უქონლობაც პოეზიაში ძალიან მძაბავს. მუსიკალურ ენაზე თუ გადავიყვანო სათქმელს, ნუციკოს საოცარი კომპოზიციები აქვს, მუსიკისა და ფორმის თვალსაზრისით, საინტერესო. მეტაფორები, ერთი შეხედვით, ზედაპირულია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან თითოეულს იმდენი გაგება აქვს, შეიძლება დაიბნე კიდევ. გაგება კი ინტელექტუა და მყარებული. სიტყვათწარმოქმნა ხომ ისეთი უცაბედი და პოეტურია, პოეზიისთვის ნიშანდობლივი! მაგალითად:

**ყველა სიცოცხლისაქეთა ჯოჯოხეთებში მოვდივარ, ყველა ცრემლისიქითა ედემი უნდა დავისაკუთრო.**

ან:

**მექალაქიდან შენქალაქამდე გადავდივარ ტყეებს უსიერს...**

და კიდევ მრავალი ასეთი.

და ბოლოს, მინდა ეს წიგნი მივულოცო ნუციკოს და ვუთხრა, რომ თუ ინტენსიურად იმუშავებს პოეზიაში, ის აუცილებლად თავის კვალს დატოვებს ქართულ ლიტერატურაში... თუგინდ სრულ სიჩუმეში მოამწყვდიონ და არ აღიარონ ასალიარებელი.



მურმან ბულათურქია

# ბერლიოზის რეცეპტით

ამ სათაურს რომ დახედავთ, ვაითუ იფიქროთ, აქ გამოჩენილი ფრანგი კომპოზიტორი ჰექტორ ბერლიოზი იგულისხმებაო, ის ბერლიოზი, რომელმაც ხორცი შეასხა პოპულარულ რევოლუციურ მარშს, უნგრელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლის — ფერენც რაკოციის სახელი რომ ეწოდა. ბერლიოზს ეს ხუთწუთიანი მუსიკალური მარგალიტიც კი, ალბათ, ეყოფოდა უკვდავების მოსახვეჭად. რაკოცი-მარში გადმოგვცემს რევოლუციის სამზადისს, ხალისითა და მხნეობით არის აღვსილი, რაღაც საოცარს, ათასჯერ ნანატრსა და აგერ, ახლა მოახლოებული გვირგვინი, დარაზმულობასა და ერთსულოვნებას მეტყველებს, მოისმენ და უმალვე საბრძოლველად განენწყობი, თითქოსდა ყურში ჩაგვისის გულანთებული მონოდება — ბარიკადებზე, ბარიკადებზეო! აღარაფერს უფრთხი, აღარაფრის გეშინია. რევოლუცია მიძინებულ იმედს გიღვიძებს, ძალ-ღონეს ვითაკეცებს, ლამის საშვილიშვილოდ დაკანონებული სალორის დასანგრევად, მისალენ-მოსალენად გეძახის, დაჟინებით გიხმობს. გახსენდება ილიასეული — სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! და შიშის ბაცილებს დაუნდობლად თრგუნავ, აქარწყლებ.

რაკოცი-მარში წინ მიუძღოდა უნგრელებს ორივე რევოლუციის ჟამს: 1848 წელს, ავსტრია-უნგრეთის იმპერიასთან ჭიდილში და 1956 წელს, საბჭოთა იმპერიასთან სასონარკვეთილი, ყველასგან მიტოვებული და დასამარცხებლად განწირული შებრძოლებისას.

დიახ, რაკოცი-მარში მუდამ ამხნევებდა უნგრელებს — ევროპის ყველაზე გულად მეომრებს (ქართველი მემკვიდრე მათი მისამართით, ალბათ, არ დაიშურებდა მოხდენილ გამოქმამს: უშიშნი, ვითარცა უხორცონიო), შორეული აზიიდან ოდესღაც რომ გადმოზარგებულან შუაგულ ევროპაში, არავის არა ჰგვანან, ამხელა პლანეტაზე არც დედ-მამის შვილები ეგულვებთ სადმე და არც სხვა ნათესავი (ჩვენსავით ობლები და მიუსაფარნი არიან).

რაც შეეხება ქვემოთ მასალის სათაურად გამოტანილ ბერლიოზის რეცეპტს, ფრანგი კომპოზიტორი, თავისი რაკოცი-მარშითურთ, აქ არაფერ შუაშია. არა და არა, ეს სულ სხვა ჯიშის ბერლიოზი გახლავთ და ეშმაკმა უწყის, მიხეილ ბულგაკოვმა ამ ძვირფას გვარს რატომ გაუტეხა სახელი, რატომ დააკნინა და გააბითურა, ამ არარსული გვარით რატომ დააჯილდოვა რუსული ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი. ვითომ კონტრასტის შექმნა ენადა, რევოლუციური მარშის შემოქმედის გვარი რომ მიანება რეაქციული სულისკვეთების რედაქტორს? — ყველა ცენზორზე უცენზორეს ცერბერსა და ფრიად ოდიოზურ ფეგურას, რომელსაც მერე მოძრავი ტრამვაის ბორბლებქვეშ შეგდება და თავის მოჭრა (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) მიუსაჯა.

და მსოფლიო კულტურის ისტორიაში ჩაინერა ორი ბერლიოზი — ბრწყინვალე ფრანგი კომპოზიტორი, შემოქმედი რაკოცი-მარშისა და ბულგაკოვის სახელგანთქმული რომანის პერსონაჟი, საბჭოთა ეპოქის ღვიძლი შვილი, შარიანი რედაქტორი, ალაჰმა უწყის, რომელი ეთნოსისა, მამსასადამე — უგვარტომო კოსმოპოლიტი.

## იასო

თბილისური ზაფხული ხომ მშვენივრად მოგეხსენებათ — რავარია! გაუსადღისია, აუტანელი, სულშემზუთველი, შემადრწუნებელი, როცა მოგენატრება სუსხიანი ზამთარი, არნახული ქარბუქი, პოლარული ყინვა, მაგრამ პოლარულს ვინ გაღირსებს, განგებას ციმბირულიც კი არ ემეტება ჩვენთვის; დიახ, ციმბირიც კი მოგენატრება თავის მავთულხლართებიან-გულაგინად, მოგენატრება ყოფნა, არყოფნაზე უარესიც რომ არის, ოღონდ ალარა გნავადეს ეს დალოცვილი ქართული მზე და აღარ დაგნათოდეს ეს უღრუბლო ქართული ზეცა, ერთ საავდრო ნაფლეთსაც რომ ვერ აღმოაჩენ ვერც ტელესკოპით, ვერც მიკროსკოპით.

და გულუბრყვილოდ გვგონია, რომ იმ გულქვა მოსკოვში (Москва слезам не верит!) ახლა ისევე საშინელი ზამთარია, მიუხედავად ივლისობისა. ტანთ აცვიათ ბალახონისდარი დოხები, ფეხზე მოურგიათ უნტები, პირიდან ორთქლს აფრქვევენ, მოყინული ტროტუარები სარკესავით კრიალებენ, გამვლელ-გამომვლელნი ტყაპა-ტყუპით ეცემიან ძირს და ტრავმატოლოგიური კლინიკები გადაჭედლია ხელფეხტვინ-დალენილი მოსკოვიტებით, ხოლო წითელ მოედანზე თეთრი და მურა დათვები გუნდაობით ერთობიან.

სინამდვილეში, დღევანდელისა რა მოგახსენოთ, გასული საუკუნის 30-იან წლებში კი თურმე მასიც ივლისობდა ხოლმე და მოსკოვიტებსაც, რასაკვირველია, ენატრებოდათ ციმბირული სუსხი და პოლარული ქარბუქი. ასეა თუ ისე, ამას კატეგორიულად ამტკიცებს ისეთი სანდო მონმე და თვითმხილველი, როგორც გახლავთ თანამედროვე რუსული პროზის დიდოსტატად შერაცხული მიხეილ ბულგაკოვი. მისი რომანი „ოსტატი და მარგარიტა“ იწყება იმით, რომ მოსკოვის ერთ-ერთ პარკში, ივლისივით ცხელი მასის გაუგონრად მხურვალე დაისის დადგომისას, ერთმანეთს ხვდებიან სქელტანიანი ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი მიხეილ ალექსანდროვიჩ ბერლიოზი და ახალგაზრდა პოეტი ივან ნიკოლაევიჩ პონიროვი, ფსევდონიმად „ბეზდომნი“ რომ ჰქონდა (შეგახსენებთ, რომ ბეზდომნი ნიშნავს უსახლკაროს. სხვა ფსევდონიმებიც ამგვარი იყო: დემიან ბედნი — ლარიბ-ლატაკი, მაქსიმ გორკი — ბედკრული, ვიქტორ ვალოდნი — შშიერი და ა.შ. ეს მოდა საქართველოსაც გადმოედო. აბა, ჩხეიძის გვარის მატარებელი ქუჩიშვილს რომ დაირქმევ, ეს სადაური სამართალია?!).

როგორც ირკვევა, რედაქტორმა დაუკვეთა პოეტს, ჟურნალის მორიგი ნომრისათვის, მოზრდილი ანტირელიგიური პოემა. ივან ბეზდომნიმ ოპერატიულად შეასრულა დაკვეთა და მონინებით მიართვა ბერლიოზს, რომელიც ფრიად უკმაყოფილო დარჩა. მართალია, ბეზდომნიმ თავისი პოემის მთავარი გმირი, ანუ იესო ქრისტე, ძალზე შავი საღებავებით დახატა და ლამის ეშმაკის კერძს მიაშგავსა, მაგრამ ახირებული რედაქტორის აზრით, პოემა თურმე ხელახლა იყო დასაწერი. მასის დაისის სიციხით გათანგული პარკის ცაცხვებქვეშ გამოცდილი რედაქტორი გამოუცდელ პოეტს უკითხავს ლექციას იესოს შესახებ, რათა ხაზი გაუსვას ბეზდომნის არსებით შეცდომას.

რომანის ავტორი მსჯელობს, პოეტმა ისე ოსტატურად დახატა თავისი პოემის მთავარი გმირი (შავი საღებავებით!), რომ პირდაპირ ცოცხალი გეგონებო და ნეტა რამ უმუხთლა — მისი ნიჭის გამომსახველობითმა ძალამ თუ იმ საკითხის სრულმა უტოდინარობამ, რომელსაც პოემაში ეხებოდაო.

ბერლიოზი ცდილობს დაუმტკიცოს პოეტს, რომ მთავარი ის კი არაა, როგორი იყო იესო — ავი თუ კარგი, არამედ ის, რომ იესო, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობდა ამქვეყნად და მთელი მონათხრობი მასზე უბრალო მონაჩაბია, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მითი.

ბულგაკოვის სიტყვით, რედაქტორი ნაკითხი კაცი იყო და ძალზე მარჯვედ უთითებდა ძველ ისტორიკოსებს, მაგალითად, სახელმწიფო ფილონ ალექსანდრიელს, ბრწყინვალედ განათლებულ იოსებ ფლავიუსს, რომელთაც კრინტი არ დაუძრავთ იესოს არსებობის შესახებ. ბერლიოზი ამჟღავნებს სოლიდურ ერუდიციას და პოეტს აუწყებს, რომ ის ადგილი ტაციტუსის სახელგანთქმული „ანალების“ მე-15 წიგნის 44-ე თავში, სადაც ლაპარაკია იესოს სიკვდილით დასჯაზე — გვიანდელი ნაყალბევი ჩანართი არისო.

პოეტი, ვისთვისაც ყველაფერი, რასაც ბრძანებდა ღრმად პატივცემული რედაქტორი, სრული სიახლე იყო და ამიტომაც თვალმომტერებული, დაძაბული ყურადღებით უსმენდა ბერლიოზს.

— არ არის არც ერთი აღმოსავლური რელიგია, სადაც, როგორც წესი, უმანკო ქალწული რომ არ შობდეს ღმერთს.

და ქრისტიანებსაც ახალი არაფერი შეუთხზავთ, აიღეს და ზუსტად ისევე შექმნეს თავისი იესო, რომელიც სინამდვილეში არასოდეს ყოფილა ადამის ძეთა შორის. აი, სწორედ ამაზე უნდა გაკეთდეს ძირითადი აქცენტი შენს პოემაში, — ასე მოძღვრავდა რედაქტორი პოეტს.

უკაცრიელ ხევიანში მკაფიოდ ჟღერდა მაღალი ტენორი ბერლიოზისა, რომელიც შეიჭრა ისეთ უღრანებში, სადაც კისრის მოუტეხავად გზის გაგნებას მოახერხებდა მხოლოდ ძალზე განათლებული კაცი. პოეტმა უამრავი საინტერესო და სასარგებლო რამ შეიტყო ეგვიპტელ ოზირისზე, ფინიკიელ ღმერთ თამუზზე, მარდუქზეც და ნაკლებად ცნობილ ღმერთზე, ვიცლიპუცლი რომ ერქვა და ოდესღაც თაყვანს სცემდნენ აცტეკები მექსიკაში.

— შენ, ივან, ძალზე კარგად და სატირულად ასახე, მაგალითად, დაბადება იესოსი, ძისა ღვთისა, მაგრამ მთელი მარტილი იმაშია, რომ ჯერ კიდევ იესომდე დაიბადნენ სხვანი ძენი ღვთისანი, მაგალითად, ფრიგიელი ატისი, და მრავალნი სხვანი... ოღონდ, მოკლედ რომ მოვჭრათ, არც ერთი მათგანი არ დაბადებულა და არ ყოფილა ამქვეყნად, მათ შორის იესოც, და აუცილებელია, რომ შენ იესოს დაბადებისა და მოგვების მობრძანების მაგივრად აღწერო ჭორები ამ მოვლენათა შესახებ, თორემ შენი მონათხრობის მიხედვით, თითქოსდა ის მართლაც დაბადებულა!

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბერლიოზს ამერიკა არ აღმოუჩენია. იგი ათეიზმის ადვოკატთა ერთგული ეპიგონი ბრძანდება და მეტი არაფერი. სანიმუშოდ დავიმოწმოთ ამ წყეული მოძღვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო ტრუბადურის — ლეო ტაქსილის ლაილაი იესო ქრისტეს შესახებ.

ათეიზმის გვიანდელი ბაირახტარი გვამცნობს შემდეგს: ერთნი მიიჩნევენ, რომ იესო არის ღმერთი, რომელიც ვარკვეული ხნით ჩამოვიდა დედამიწაზე კაცის იერიით; მეორენი ფიქრობენ, რომ ის იყო ებრაელი ქადაგი, რომელიც სიცოცხლეში სასტიკ დევნას განიცდიდა თვისტომთაგან და სიკვდილის შემდეგ გაღმერთებულ იქნა მისი სოციალური იდეების მომხრეთა მიერ; მესამენი კი ამტკიცებენ, რომ არავითარი იესო არ არსებობდა, ისევე როგორც არ არსებობდნენ მისი მოციქულები და ქრისტიანული ლეგენდა შეთხზულია მრავალი სხვა რელიგიური ლეგენდების მსგავსად წარმართობის დაცემის ეპოქაში, როდესაც მარნეფათთან ადამიანებს, რომლებიც სარგებელს პოულობდნენ სხვა ადამიანთა სიბრძნისაგან, ახალი რელიგია დასჭირდათ.

ლეო ტაქსილს გულდასმით აუწონ-დაუწონია ყველა საბუთი (პრო თუ კონტრა) და მტკიცედ უჭერს მხარს მესამე ვერსიას.

იგი წერს თავისი თხზულების წინათქმაში: „ეს წიგნი დაწერილია არა საიმისოდ, რომ დავაკინოთ იესო-ღმერთი და ამგვარად განვადიდოთ იესო-ადამიანი. არც ერთისა და არც მეორის არსებობა ავტორს არა სჯერა. მისი მიზანია, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ გაჰყვეს ქრისტიანულ ლეგენდებს, გამოამჟღავნოს მთელი ის აბდაუბა, რასაც ისინი შეიცავენ და ჩვენოს, რომ მთელი ისტორია იესო ქრისტესი, გინდ ადამიანი იყოს და გინდაც ისეთაგან, რა მხრივაც არ უნდა განვიხილოთ, არის მხოლოდ და მხოლოდ უზნეო და სულელური მონაჩმანი“.

და რუსული ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორი, კეთილშობილი გვარი რომ უბოძა ბულგაკოვმა, კეთილსინდისიერად იზიარებს თავგამოდებული ფრანგი ათეისტის მტკიცებას.

საბრალო პოეტმა, ბუზდონის ფსევდონიმით რომ ემსახურებოდა საბჭოთა მწერლობას, რა თქმა უნდა, არც ტაქსილი იცის და არც ათეიზმის ანაბანა. ამიტომაც პირდაღებული უსმენს გამოცდილ-გამოწვრილ რედაქტორს და მორჩილებით გამსჭვალული თავს უკანტურებს, ამხანაგო ბერლიოზ, ცამდე მართალი ბრძანდებითო. გონებაში კი უკვე უმნიფდება ახალი სტრიქონები და მთელი სტროფებიც, მოხალისე ლექტორის მიერ ნაკითხული ათეისტური ლექციით რომ არის შთაგონებული.

ბერლიოზის რეცეპტი მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა სააფთიაქო ქსელში და ფხიზლად აკონტროლებდა არა მარტო ათეიზმის აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს, არამედ — მწერლებსაც და მხატვრებსაც, მუსიკოსებს და მსახიობებს, მუშებს და გლეხებს, ჯარისკაცებს და სტუდენტებს, ფეხბურთელებს და წყალბურთელებს... ერთი სიტყვით — ყველას, ყველას, ყველას...

რას იფიქრებდა ფრანგი კომპოზიტორი, რომ მის კეთილშობილ გვარს მიითვისებდა მოსკოველი რედაქტორი და რაკოცი-მარშე არანაკლებ გავლენას მოიხვეჭდა მისი უმარტივესი რეცეპტი, რომელიც წამლობის ნაცვლად წამლავდა სნეულსაც და ჯანსაღსაც.

ბერლიოზის რეცეპტით, თუკი უარყოფილ იქნა უკვდავი ღმერთის არსებობა, მაშინ უბრალო მოკვდავის გაქრობას წინ რაღა დაუდგება!



ფერენც პუშკაში

პუშკაში

საქვეყნოდ ცნობილი გულუხვობისა და მოყვასთა ჰიპერტროფიული სიყვარულის გამოისობით გაუგებარი ტრადიცია გაბატონდა ჩვენში. ზოგიერთი სიტყვა, მავანისა და მავანის გამორჩეულობას რომ აღნიშნავს, მზესუმზირა ჰგონიათ და უშურველად აკნატუნებენ. ხშირი ხმარებისგან ცვდება, ფერი დაუკარგავს და გაუფასურებულა. ამ სნეულების ნიშნები განსაკუთრებით დაეტყო იმ მომხილავ ცნებას, რომელსაც „ლეგენდარული“ ეწოდება და რომელიც ზოგ-ზოგებს ცნობილის, გამოჩენილის, სახელმოხვეჭილის სინონიმი ჰგონიათ. კაცი, შესაძლოა, „ძალიან დიდი მწერალი“ იყოს, მაგრამ ძნელია „ლეგენდარული“ შეარქვა. არა და არა, ყოველ სიტყვას, ოთარ ჭილაძისა არ იყოს, თავისი ფასი აქვს, ზომა და წონა, სუნი და ფერი... ლეგენდარულს იმდენად სპეციფიკური, განუმეორებელი იერი დაჰკრავს და იმდენად უჩვეულო ნიუანსები, რომ, ცოტა არ იყოს, საჩოთიროც კია, ვთქვათ, პატივსაცემ მოჭადრაკეს, ასი გროსმაისტერისგან ერთ-ერთს (ეს ცოტა როდი გახლავთ), ვისაც არც ფიშერი ჰქვია და არც ტალი, მაინცდამაინც „ლეგენდარული“ ვუნოდოთ ანდა იმავე ტიტულით შევამკოთ არანაკლებ პატივსაცემი ფეხბურთელი, რომელსაც ორიოდ მატჩი უთამაშია საბჭოთა თუ არასაბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში.

და თუკი ვინმე იმსახურებს ამ იშვიათად გასამეტებელ ეპითეტს, რჩეულთა შორის რჩეულად უნდა დავასახელოთ სახელოვანი უნგრელი ფეხბურთელი ფერენც პუშკაში.

თქვენ წარმოიდგინეთ, უნგრეთში გამოცემულ ერთ ბუკლეტში შავით თეთრზე წერია: „პუშკაში — XX საუკუნის ყველაზე პოპულარული უნგრელი“, ხოლო 2006 წლის 17 ნოემბერს ბუდაპეშტში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მან სული რომ განუტევა, საგაზეთო სათაურები იუნყებოდნენ „მთელს მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული უნგრელის“ გარდაცვალებას.

მაგრამ რატომ უნდა ვუნოდოთ პუშკაშს, ყველა უნგრელზე სახელგანთქმულსა და პოპულარულს, მაინცდამაინც „ლეგენდარული“?

ახლავე მოგახსენებთ, რატომაც...

1952 წელი. ჰელსინკი. XV ოლიმპიური თამაშები. ფეხბურთელთა ტურნირის ფინალი: იუგოსლავია-უნგრეთი. ფინალური მატჩის წინა საღამოს ჰელსინკში, უნგრეთის საელჩოში რეკავს უნგრეთის კომპარტიის ლიდერი მათიას რაკოში და უნგრეთის ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს გუსტავ შებემს, წინასწარ რომ დაიბარეს საელჩოში, მკაცრად აფრთხილებს: „იცოდეთ, ხვალინდელ წაგებას ჩვენ არ გაპატიებთ. კარგად დაიმახსოვრეთ: წაგებას კატეგორიულად გიკრძალებთ!“

მეტი რაღა უნდა ეთქვა?! წაგებას უკრძალებდა, მორჩა და გათავდა. რაკოშის პირით ამას ბრძანებდა პარტია და მოსკოვის კრემლიც ბანს აძლევდა. ღია ტექსტით ხომ არ დაემუქრებოდნენ, თუკი წააგებთ, ციბირი უკან დაგვრჩებათ!

და აი, ფინალური მატჩი დაიწყო. ორივე გუნდი თავდადებით იცავს საკუთარ კარს და არანაკლები თავდადებით უტევენ მეტოქისას, მაგრამ შედეგი არა და არ ჩანს. მსაჯის საფინანსო სასტვენამდე 20 წუთიღა რჩება, ანგარიში კი ისევ ნულით ნულია. და აი, ინგლისელი მსაჯი არტურ ელისი იუგოსლავიელთა კარში ნიშნავს 11-მეტრიან საჯარიმო დარტყმას ანუ პენალტს. როგორც ყოველთვის, მყისვე ერთი აურზაური ატყდება. იუგოსლავიის ნაკრების გუნდის კაპიტანი ზლატკო ჩაიკოვსკი გაცხარებით უმტკიცებს უნგრეთის ნაკრები გუნდის კაპიტანს ფერენც პუშკაშს, არავითარი წესების დარღვევა არა ყოფილა, მსაჯს რაღაც მოელანდა და ტყუილბურალოდ დაწინა პენალტი (თუნდაც არაობიექტურობა დაწინამოთ ინგლისელ მსაჯს, გამორიცხულია, რომ სოციალისტური ბანაკის წარმომადგენელს მიმხრობოდა და უკვე კაპიტალისტური სამყაროსკენ გადახრილი იუგოსლავია დაეჩაგრა).

კი მარა, ნეტა რას ითხოვდა და მოითხოვდა ჩაიკოვსკი პუშკაშისგან — მსაჯთან მიდი და მისი განაჩენი გააპროტესტე, პენალტი არა ყოფილა, შენ რაღაც მოგელანდაო? თქვენ როგორა გგონიათ, რას იფიქრებდა ინგლისელი მსაჯი? რას იფიქრებდა და იმას იფიქრებდა, უნგრეთის ნაკრების კაპიტანი ჭკუიდან შერყეულაო და, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ გადაეცემა მინდვრიდან. ეგებ იმას სთხოვდა და მოითხოვდა, ბურთი სიფათში თხლიმე მაგ ინგლისელ მსაჯს, უთხარი: ჩვენ მათხოვრები ხომ არა ვართო?! ერთი სიტყვით — „ან კიდევ რაღაც სხვა ამგვარი“, როგორც იტყოდა ქართველი პოეტი. უღმობელი „ფიფა“ და არანაკლებ უღმობელი კრემლი პუშკაშს ციხეში არ ამოაღობდნენ?

ახლა მოვეშვით იმას, რა შეიძლება მომხდარიყო და გავიხსენოთ, რა მოხდა სინამდვილეში.

რა მოხდა და ის მოხდა, რომ პუშკაშმა აუღელვებლად და ხმაამოუღებლივ მოისმინა ჩაიკოვსკის ალგუნებული მონოლოგი, დინჯად დადო ბურთი 11-მეტრიანის ნიშნულზე, გულდასმით გაასწორა, ერთ სანტიმეტრსაც არ ვიპარავო, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, მერე წყნარად, აუჩქარებლად მიუახლოვდა ბურთს და დაარტყა. ბურთი ცაში აფრინდა და მეტოქის კარს რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე გადააფრინდა.

პუშკაშმა, რომელსაც ზუსტი და ყუმბარისებრი დარტყმები სჩვეოდა, 11 მეტრიდან, ხელს რომ არავინ უშლიდა, ბურთი კარს გვარიანად ააცილა!

ბრმაც კი დანახავდა და გონებასუსტიც მიხვდებოდა, რომ უნგრელთა კაპიტანმა შეგნებულად გააფუჭა პენალტი. ჩაიკოვსკი არც ბრმა იყო და არც გონებასუსტი, მომხდარს რატომაც ვერ მიხვდებოდა. უმაღვე გადაეხვია პუშკაშს და გადააკოცა.

დარჩენილ დროში უნგრელებმა, პუშკაშის თამადაობით, ორი უპასუხო გოლი გაიტანეს და ოლიმპიური ოქროს მედალები მოიხვეჭეს.

გადარჩენენ გაციმბირებას!

მარტო ეს ამბავი — უპრეცედენტო, არნახული და არგაგონილი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში — საკმარისია

საიმისოდ, რომ ფერენც პუშკაშს ლეგენდარული ფეხბურთელი ვუნოდოთ. ამას არც გამოკითხვა სჭირდება და არც რე-ფერენდუმი. როგორც იტყვიან, წყალი არ გაუვაო.

უნგრული ფეხბურთის მშვენიერება და სიამაყე იუმორის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. უნგრელებს ამხანაგური მატჩი ჰქონდათ ბერნში შვეიცარიის ნაკრებთან. შებეშმა გააფრთხილა თავისი ბიჭები: ვიცი, მოგებით კი მოიგებთ, მაგრამ პრემიებზე — ბოდიშო; ამჯერად მხოლოდ და მხოლოდ უნგრული ფეხბურთის ღირსებისათვის უნდა იბრძოლოთო. კეთილი და პატიოსანიო, გაიფიქრეს ბიჭებმა. მე-15 წუთზე ანგარიში იყო 1:0 შვეიცარიელთა სასარგებლოდ. გადმოცემის თანახმად, პუშკაშმა მიიბრინა მინდვრის გვერდით ხაზთან და გუსტავ შებემს ჰკითხა: რაო, ბაჩი გუსტი („ბაჩი“ ნიშნავს ძიას, უნგრეთში ასე მიმართავენ ასაკით უფროსს), პრემიებზე ბოდიშო? დიახ, დიახო, დაუდასტურა შებემმა. შვეიცარიელებს მეორე გოლი გააქეთ. პუშკაში ისევ მიიბრუნეს მწვრთნელთან და ახლა რაღას იტყვიო? კაი, კაი, ვიშოვით ფულსაო. უნგრელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 4:2 და უნგრეთში პოპულარული გახდა ფრაზა, რომელსაც პუშკაში მიანერენ: „დიდი ფული დიდი ფეხბურთია, პატარა ფული — პატარა ფეხბურთი“.

ერთ მშვენიერ დღეს ფეხბურთის გამომგონებლებმა სტუმრად მიიწვიეს უნგრეთის ნაკრები.

ნასვლა-არნასვლის საკითხი წყდებოდა მათიას რაკოშის კაბინეტში, სადაც გამოიძახეს შებემი. ეკითხებინა: ინგლისს მოუგებთ თუ ვერაო? შებემს გაუჭირდა მტკიცე დაპირება. მოკრძალებით მოახსენა რაკოშის: არ შეგარცხვენთ, სამშობლოს ღირსებას არ შევბაღავებ, ყველა ღონეს ვიხმართ, რომ გავიმარჯვოთო.

და უნგრელი ხალხის ბელადმაც არ დააყოვნა: „ყოველმხრივ დაგიჭერთ მხარს, მაგრამ, ამხანაგო შებემ, შედეგზე პირადად თქვენ აგებთ პასუხს. ვიმედოვნებ, რომ სწორად გამოიგეთ“. „დიახ, რა თქმა უნდა, ვაგიგეთ, ამხანაგო რაკოში“.

1953 წლის 25 ნოემბერს ლონდონში „უემბლის“ სტადიონზე მოხდა ყველაზე დიდი სენსაცია მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. უნგრეთმა დაამარცხა ინგლისი ანგარიშით 6:3. რასაკვირველია, აქაც პუშკაში თამადაობდა.

ეს იყო ფეხბურთის მამამთავართა პირველი მარცხი საკუთარ სახლში. ინგლისელმა ჟურნალისტებმა უნგრეთის ნაკრებს „ოქროს გუნდი“ უწოდეს.

1954 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში უნგრელთა დამარცხება გერმანელებთან მიჩნეულია, როგორც „უდიდესი უსამართლობა ფეხბურთის ისტორიაში“.

1956 წლის შემოდგომაზე, როდესაც უნგრეთში ანტისაბჭოთა აჯანყებამ იფეთქა, ბუდაპეშტის „ჰონვედი“ — ბირთვი უნგრეთის ნაკრებისა — სამხრეთამერიკულ ტურნეში იმყოფებოდა. საბჭოთა ტანკებმა დაამარცხეს რევოლუცია. უნგრეთის სახალხო არმიის მაიორი („ჰონვედის“ გუნდი სამხედრო უწყებას ეკუთვნოდა) და უნგრეთის ნაკრების კაპიტანი ფერენც პუშკაში, რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად, დასავლეთში დარჩა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა.

„ფიფამ“, საბჭოთა კავშირის დიქტატით, პუშკაშს, „სამშობლოს მოღალატეს“, სამწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. იოლი მისახვედრია, თუ რას ნიშნავდა ესოდენ მკაცრი სასჯელი 30 წლის ფეხბურთელისათვის; მართალია, მსოფლიოში უძლიერეს და უმდიდრეს კლუბს — მადრიდის „რეალს“ შეეხიზნა და სახელმოსვენებელი ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშობდა, მაგრამ წვრთნა და თუნდაც ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობა, ცხადია, ვერ გაუტოლდებოდა მაყურებლებით გადაჭედულ სტადიონზე თამაშს. პუშკაშმა ვაჟკაცურად მოიხდა სასჯელი, ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და 1962 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთის ნაკრები გუნდი დაამშვენა.

მეოთხედფინალში ბრაზილიას ხვდებოდნენ. პუშკაშმა დაიფიცა, თუკი წააგებთ, ჩემს ქუდს შევჭამო. წააგეს და

ჟურნალისტები აქილიკებდნენ, ფიცი რად გატყუებო. დიას, ესპანელებმა წააგეს, მაგრამ თავისებურ ორთაბრძოლაში პუშკაშმა დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი — ბრაზილიელი დიდი. პუშკაშს ხუთიანი დაუნერეს, დიდის — ორიანი! (ორივე ინსაიდი იყო და ძნელი სათქმელია, რომელი რომელს „იჭერდა“).

ფერენც პუშკაში „ჰონვედის“ შემადგენლობაში უნგრეთის ხუთგზის ჩემპიონი გახდა, ხოლო „რეალის“ შემადგენლობაში — ასევე ხუთგზის ჩემპიონი ესპანეთისა და სამგზის ჩემპიონი ევროპისა.

1963 წლის 23 ოქტომბერს, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის 100 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის დროს, „უემბლის“ სტადიონზე ჩატარდა მატჩი ინგლისისა და „ფიფას“ ნაკრებ გუნდებს შორის, რომელშიც მონაწილეობდა 36 წლის პუშკაში. ხუმრობა საქმეა, ფეხბურთელისათვის საპენსიო ასაკში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა შორის ამოყო თავი?!

საკავშირო რადიო გადმოსცემდა ამ მატჩის რეპორტაჟს. ცნობილი საბჭოთა კომენტატორი ნიკ. ოზეროვი კეთილსინდისიერად მოგვითხრობდა მატჩის მსვლელობას, მაგრამ როცა ბურთი პუშკაშს ჰქონდა, გაესპანელებული უნგრელი ფეხბურთელის გვარს უწყინარი ეფემიზმი ენაცვლებოდა (ბურთი აქვს მსოფლიო ნაკრებს, კარში ურტყამს მსოფლიო ნაკრები, ინგლისელებმა წააქციეს მსოფლიო ნაკრები, მსოფლიო ნაკრებმა ფეხი იტყინა და ა.შ.).

ვისაც დიდი ყურები ჰქონდა და აკრძალულ ხილს ეტანებოდა, იმან საუცხოოდ იცოდა, რომ მსოფლიო ნაკრებში თამაშობდა უნგრული ფეხბურთის ოდინდელი მშვენიერა და სიამაყე — ფერენც პუშკაში, უნგრეთის ნაკრები გუნდის ყოფილი კაპიტანი და უნგრეთის სახალხო არმიის ყოფილი მაიორი.

ასე რომ, ოზეროვისეული ეფემიზმი სიმართლეს ვერ მიჩქმალავდა, ხოლო საფრანგეთის კომპარტიის გაზეთმა „ლუმანიტიმ“ და იტალიის კომპარტიის გაზეთმა „უნიტამ“ დაგვიდასტურეს, რომ „მსოფლიო ნაკრებად“ მონათლული ფეხბურთელი ნამდვილად პუშკაში ბრძანდებოდა.

ჩანს, ოზეროვს ნაბრძანები ჰქონდა, რომ ცხონებული ბერლიოზის რეცეპტის თანახმად, კი არ უნდა გაელანძლა პუშკაში უკანასკნელი სიტყვებით (უნიტო და უქნარა რენეგატიო, უტვირო და უნამუსო მოლალატეო), არამედ მთელი მსოფლიოს გასაგონად უხმოდ, უსიტყვოდ გამოეცხადებინა: პუშკაში ამქვეყნად არ არსებობსო.

და აი, ოზეროვის მიხედვით, „უემბლის“ სტადიონზე 11 ინგლისელს ეჯიბრებოდა 10 ფეხბურთელი მსოფლიო ნაკრებისა. ფერენც პუშკაში მინდვრიდან კი არა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცოცხალთა რიგებიდან გააძევეს.

ოზეროვი სამაგალითო შეგირდი გამოდგა ბერლიოზისა. მაგრამ ჯერ სადა ხართ!

ბერლიოზის რეცეპტი ოზეროვზე ათასჯერ უკეთესად გამოიყენა საბჭოთა სპორტულმა ჟურნალმა, „Спортивные игры“ რომ ერქვა. მან 1963 წლის მე-11 ნომერში, „საუკუნის მატჩის“ ცხელ კვალზე გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილი იყო მსოფლიო ფეხბურთის 15 ვარსკვლავი — „ფიფას“ ნაკრები გუნდის სრული შემადგენლობა (სათადარიგო მოთამაშეთა ჩათვლით).

მაგრამ თუკი კარგად დააკვირდებოდით ამ ფოტოსურათს და ოდნავ მაინც მოგეხსენებათ ნახევარი საუკუნის წინანდელი მსოფლიო ფეხბურთის ამბავ-ხაბარი, გაგიჩნდებოდათ ბუნებრივი შეკითხვა: გერმანელი მცველი კარლ-ჰეინც შნელინგერი რატომ მოკალათებულა თავდამხმელთა შორის და, ამასთან ერთად, პირდაპირ ობიექტივში არ იყურება, როგორც სხვები, თავი რატომღაც მარცხნივ მიუბრუნებია.

იმიტომ, ჩემო ბატონო, რომ ფეხზე მდგომ მცველთა შორის განაპირას მდგომი შნელინგერი გააქრეს ფოტოსურათიდან, მერე თავი მოაჭრეს და მისი მოჭრილი თავი მიაბეს სკამზე მჯდომი თავმოკვეთილი პუშკაშის ტანს. თავისებური კენტავრი შექმნეს. თავი — შნელინგერისა, ტან-ფეხი — პუშკაშისა. ფეხებით ვილა იცნობდა სახელოვან ფეხბურთელს!

ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორ ბერლიოზს (კომპოზიტორ ბერლიოზში არ აგერიოთ!) რომ ენახა მშობლიური სპორტული ჟურნალის თანამშრომელთა ეს ცელქობა, უსაზღვრო აღტაცება შეიპყრობდა და თავის სულიერ შთამომავალთა მაღალი ოსტატობა ფალსიფიკაციის ასპარეზზე თეთრი შურით შემურდებოდა.

## ამხ. ტროცკი და მისთანანი

იმავე ბერლიოზის რეცეპტით ხელმძღვანელობდნენ საბჭოთა ენციკლოპედიების შედგენისას, სულერთია, რუსულენაზე იქნებოდა თუ მოძმე რესპუბლიკათა ენებზე. ამხ. ტროცკი და მისთანანი ბუნებაში თითქოსდა არასოდეს არსებობდნენ. ეს ტენდენცია წარმატებით გრძელდებოდა პოსტსტალინურ ეპოქაშიც.

ავილოთ, მაგალითად, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“, გამოცემული გასული საუკუნის 70-იან წლებში. მის ფურცლებზე მყუდროდ მოყუჩებულა ვინმე ნოი აბრამოვიჩ ტროცკი — თურმე საბჭოთა არქიტექტორი ყოფილა, ჰაი-გიდი, ვისა სმენია მისი სახელი, სულ ასი კაცი თუ მოგროვდება, მაგრამ არსად არ ჭაჭანებს ლევ დავიდოვიჩ ტროცკი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მთავარი ორგანიზატორი, პირველი პოლიტბიუროს წევრი, ლენინის მექვიდრედ მიჩნეული ფიგურა, ვისი სახელიც კარგახანს ქუხდა მთელს მსოფლიოში.

დალოცვილო, დაწერე: საზიზარო, ნამუსგარეცხილი, სამშობლოსა და პარტიის მოლალატე, გამყიდველი და ა.შ. ოლონდ ნუ დამალავ, რომ მავანი და მავანი არსებობდა.

არა, განუკითხავად ბატონობს ბერლიოზის რეცეპტი.

აგერ, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მე-6 ტომში (1971წ.) გემრიელად ჩაუნიკნიკებიათ ჰიტლერი, ჰიმლერი, გერინგი, გებელსი (რუსული წარმოთქმის გამოისობით ოთხივე ერთ ტომში მოხვედრილა. როგორ გაუხარდებოდათ!). მაშასადამე, ნაცისტური გერმანიის ოთხი თავკაცი, საერთაშორისო მასშტაბის ოთხი პირსისხლიანი დამნაშავე არხენინად განისვენებს საბჭოთა ენციკლოპედიის ნიაღში, საიდანაც ულაპარაკოდ, უყოყმან-უჭოჭმანოდ გაუქრიათ ამხ. ტროცკი და მისთანანი (ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი, რიკოვი, ტუხაჩევსკი და ა.შ.) — ამხ. ბერლიოზის უკვდავი რეცეპტით.

განა ამას პარადოქსი არა ჰქვია? თუმცა აჯობებდა, რომ კურიოზი ვუნდოთ.

## P.S.

ბერლიოზის რეცეპტს ბუმერანგის ნირი ჰქონია და დამოუკიდებელ საქართველოშიც ჩამოთესილია.

ამ ოციოდ წლის წინათ, თბილისში, ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობის კედლიდან ჩამოხსნილ იქნა მემორიალური დაფა, რომელიც გვაუწყებდა, რომ ამ შენობაში 1894-99 წლებში სწავლობდა სტალინი.

გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ცნობით, ავსტრიის დედაქალაქ ვენის ერთი შენობის კედელზე გაკრულია მემორიალური დაფა სტალინის ბარელიეფით და წარწერა ამცნობს მთელ ევროპას, რომ 1913 წლის იანვარში ამ სახლში ცხოვრობდა სტალინი და თურმე სწორედ აქ დაუნერია თავისი ცნობილი ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

მო იენი პირველი ჩინელი ნობელიანტია ლიტერატურის დარგში (2012). დაიბადა (1955) და გაიზარდა შანდუნის პროვინციის, კაომის მაზრის პატარა სოფელში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ბავშვობიდან უყვარდა ზღაპრების ჯერ მოსმენა, ხოლო შემდეგ თვითონაც ყვებოდა. მო იენი მწერლის ფსევდონიმია. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: არ ილაპარაკო, ნუ იტყვი. ასეთი ფსევდონიმი განაპირობა დრომ, როდესაც მწერალმა დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა და როდესაც იმის თქმა, რასაც ფიქრობდა, არ შეიძლებოდა, სახიფათო გახლდათ. ეს იყო „კულტურული რევოლუციის“, საყოველთაო ტერორის მძვინვარე ხანა. მო იენი პოპულარული მწერალია, უამრავი მოთხრობისა და აგრეთვე რომანების ავტორი. დაჯილდოებულია მრავალი ეროვნული ჯილდოთი. მოთხრობა „თეთრი ძაღლი და საქანელა“, რომელსაც „ჩვენი მწერლობის“ მკითხველს ვთავაზობთ, ამოღებულია კრებულიდან „ფუ სუნგლინ-ისგან ვსწავლობ“. კრებულის ეპიგრაფი: ჩემი სამშობლოს შთაბეჭდილებები სულია ჩემი მოთხრობებისა.

## მო იენი თეთრი ძაღლი და საქანელა

კაომი-ის მაზრის სოფელ ტუნგპეისიანგ-ში მკვიდრობდა უმცველებელი, მორჩილი თეთრი ძაღლი ჯიში, მრავალი თაობა იყო მოშენებული. ახლა კი იშვიათად თუ მოჰკრავთ თვალს ჯიშიანს ერთს მაინც. ახლა ყოველ ოჯახს ჰყავს ძაღლი, მაგრამ უმეტესობა ეზოს მცველია, უჯიშო. თეთრი, შემთხვევით სადმე თუ შემოგვვდათ კიდეც, სხეულის რომელიმე ნაწილში უცილობლად მაინც გამოტყვერება სხვა ჯიშის, სხვა ფერის ნიშანი, ჯიშთა შემთხვევით შეჯვარებას რომ ამჟღავნებს. მაგრამ თუკი სხეულის ასეთ ნაწილს უმნიშვნელო, ანდა შეუმჩნეველი ლაქები აჩნია, ხალხი მათ მაინც „თეთრუას“ უწოდებს, დაჟინებით არ იძიებენ ხოლმე მათ წარმოშობას. ერთი სრულიად თეთრი — წინა ორი თათის შავი ბოლოების გარდა — მიჩნეული იყო ჯიშიან „თეთრუად“. ერთხელაც თავჩაქინდრული მოლასლასებდა ნახევრად-დანგრეულ ძველ ქვის ხიდზე. მე კი სწორედ ამ დროს ხიდექვეშ, ქვის ბურჯთან ანკარა წყალს პეშვით სახეზე ვისხურებდი, პირს ვიბანდი. ეს იყო მთვარის კალენდრის მიხედვით მეშვიდე თვის ბოლო. ჩვენი სოფელი ტუნგპეისიანგ-ი კაომი-ს მაზრაში ვაკე ადგილას, დაბლობში იმყოფება, ამიტომ ზაფხული აქ მძიმე, ზვავტიანი, ძნელად გასაძლევი იცის. მე გამოვძვერი ავტობუსიდან, მაზრის მთავარ ქალაქსა და ჩვენს სოფელს შორის რომ მიდი-მოდის, ოფლისგან მთლად გახვითქული, საგზაო მტვერი მთლად ჩაეყვითლებინა ჩემი სახე და კისერი. პირისახე და კისერი რომ ჩამოვიბანე, ერთი სული მქონდა მთლიანად გავციტვლებულიყავი და გადავშვებულიყავი მდინარეში, მაგრამ თვალი მოვკარი, მოყვითალო-უანგისფერ მინაზე, მინდორსა და ხიდს შორის რომ განოლილიყო და მათ აერთებდა, ვილაც მოდიოდა. მაშინვე შევეშვი ჩემი სურვილის ასრულებას. ნამოვდექი, ამოვიღე ცხვირ-სახოცი, იმ დასტიდან ახლახან რომ მისახსოვრა ჩემმა საცოლემ, შევიმშრალე პირისახე და კისერი. მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა. ზენა ქარმა დაქროლა. ნიავექარი იყო მოალერსე და გრილი, სასიამოვნო. კაოლიანი?, ნიავის ქროლას აყოლებული, ნელინელ შრიალებდა, ხოლო მოახლოებული თეთრი ძაღლი თითქოსდა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ბალანს მისას თითქოს ნიავე ყალყზე აყენებდა, ხოლო კუდი აქეთ-იქეთ ნელა ქიცინებდა. მომიახლოვდა და შევნიშნე, ორივე თათი შავი ჰქონდა.

ის შავთათება თეთრი ძაღლი ხიდზე აბრძანდა, შეჩერდა, უკან მიიხედა, იქეთ, სადაც მინაზე ბილიკი მიიკლანებოდა, მერე აიშვირა დინგი, შემომხედა თავისი დაბინდული ძაღლური მზერით. თვალები გამოხატავდა რალაცნაირ შორეულ კაემანს, თითქოსდა რალაცის მამხილებელს. ამ შორეულმა და კაემანმა მზერამ ჩემი გულის სიღრმეში რალაცნაირი ნათელი გამოძახილი დაჰბადა.

\*\*\*

მშობლიური სოფლიდან წასული ვიყავ სასწავლებლად. მშობლებიც ასევე დასახლებულიყვნენ სხვა პროვინციაში, სადაც ჩემი უფროსი ძმა ცხოვრობდა. სამშობლოში ნათესაობა

არა კაცი აღარ დამრჩა, ამიტომ მეც ამ მხარეს მეტად აღარ დავბრუნებულვარ. თვალის დახამხამებაში ჩაიქროლა ათმა წელიწადმა. ეს არაა მოკლე ხანი, მაგრამ არც ძალიან დიდიცაა. ზაფხულის არდადეგებამდე მამა ჩამომივიდა ინსტიტუტში, სადაც ვმსახურობდი, ჩემს მოსანახულებლად. საუბარი გავაბით მშობლიურ მხარეზე, უნებლიეთ გული ავიჩიუყდა. მამას იმედი ჰქონდა, რომ მე დავბრუნდებოდი, მოვინახულებდი იქაურებს, იქაურ ყოფა-ცხოვრებას, მე კი მივუგე, რომ ვმსახურობ, ეგრე იოლი როდია გათავისუფლდე. მამამ თითოსდა გულგრილად გადაიქნია თავი. როგორც კი მამა უკან გაბრუნდა, გულში რალაც მოუსვენრობამ ჩაიბუდა, ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე ყველაფრისათვის მიმენებებინა თავი და დავბრუნებულიყავი.



თეთრმა ძაღლმა კვლავ გახედა გზას, მერე ისევ მე შემომხედა, ისევ იმ ძაღლური მიბნედილი მზერით. და როცა მე, ერთობ გაკვირვებულმა, დავინახე მისი შავი თათები, მაშინვე ნამომიტივტივდა რალაც მოგონება წარსულისა, თუმცა ეს მოგონება დამირღვია ძაღლმა, რომელმაც თავისი ღია ნითე-ენა გადმოაგდო და ერთი-ორჯერ პირდაპირ მე შემომყეფა. ამის შემდეგ ჩაცუცქა და ხიდზე შეხტა, უკანა ცალი ფეხი აიშვირა და ჩვეულებისამებრ მიაფსა. საქმე რომ მოამთავრა, ჩემდა მოულოდნელად, იმავე გზით, სულ ახლახან რომ გამოვიარე, უკან გაჩანჩალდა, ხიდიდან ჩამოვიდა. მიდიოდა ნელა, ჩემს შორიახლოს შეჩერდა, უკანა ფეხებს შორის ამოიძუა კუდი, ენა გადმოაგდო და წყლის სვლეპას შეუდგა.

ის თითქოსდა ვილაცას ელოდა, მართალია, წყალს კი სვლეპა, მაგრამ თითქოს არცა სწყუროდა, გულგრილად სვამდა, გვეგონება სასხვათაშორისოდაი. მდინარის წყალი ირეკლავდა ძაღლის გულგრილობას. თევზები მისი დინგის ახლომანლო შეუჩერებლივ დასრიალებდნენ. არც ძაღლსა და არც თევზებს ჩემი შიში არა ჰქონდათ, მე კი მძაფრად შევიგრძენი ძაღლის შარდისა და თევზების სიმყრალე. საზიზლარი აზრიც კი დამებადა, მოდი ერთი ნიხლსა ვკრავ, შუა წყალში გადავაგდე, თევზები დაიჭიროს-მეთქი. მაგრამ მაშინათვე გადავიფიქრე, უადამი-ანობაა-მეთქი, იყავ-მეთქი „ძაღლთმოყვარე“, ვუთხარი ჩემს თავს და სწორედ ამ დროს ძაღლმა აპრისა კუდი, აიშვირა დინგი, გულცივად შემომხედა და ნაბიჯ-ნაბიჯ ხიდზე გაემართა. ვხედავდი როგორ აბურძნოდა ბალანი. რალაც მოუსვენრად და დაძაბულად მოჰკურცხლა. გზის ორსავე მხარეს კაოლიანის რუხი მწვანე ყანა იზრდებოდა. ცის ვიწრო ლაჟვარდ ზოლზე მიმოცურავდა თოვლსავით ქათქათა ღრუბლები, ხოლო ცა ნაჭერ-ნაჭერად დაყოფილ კაოლიანის მინდორსა და კიდეც უფრო შორეულ ველს ზემოდან სახურავისავით გარინდებულებოდა. მე ავედი ხიდზე ზურგჩანთით ხელში, დავაპირე ჩქარი ნაბიჯით გადავსულიყავი ხიდს და საჩქაროდ გამერბინა ჩემს სოფლამდე დარჩენილი თორმეტიოდე ვერსი. მე ხომ არავისთვის შემიტყო-

ბინები ჩემი ჩამოსვლის ამბავი. ნეტავი ადრე მივსულიყავი, რათა დამხედურებს ჰქონოდათ დრო ჩემთვის საძინებელი და ვახშამი გაემზადებინათ. ამ ფიქრებში წასული ვხედავ, თეთრი ძაღლი ისეთივე მსუბუქი ძუნძულით გამოქანდა ჩემსკენ, გეგონებოდათ ბელადსავით მიკაფავდა გზას კაოლიანის ხშირ ბარდებში, და მალე გამოჩნდა ადამიანი, კაოლიანის ფოთლებისა და რტოების უმველებელი ლოგოროთი<sup>3</sup> ზურგსნამოკიდებული.

მე ხომ სოფელში ვეგდე ასე ოციოდ წელიწადს და კარგადაც ვუნყობდი, კაოლიანის ფოთოლი საქონლისა და პირუტყვის საუცხოო საკვები რომაა, ისევე, როგორც მოსავლის აღებისა და ლენვის შემდეგ შემორჩენილი ხმელი, გამხმარი ფოთოლი, რომელიც არც წარმოებას აზარალებს და გლენობასაც ხელს უმართავს. ვხედავ, ადამიანის არსება მოლასლასებს და ტვირთის სიმძიმით ტორტმანობს. ჩემს გულში შევიგრძენი ეს სიმძიმე. ჩემთვის ხომ კარგადაა ნაცნობი ამ აუტანელი შრომის გემო. გაბარდნული კაოლიანის ხშირი და ხმალივით ბასრი ფოთლები, ზაფხულის ხვატი, ოფლი მთელს სხეულზე რომ ჩამოგწურწურებს, გული ძლივძლივსდა გიცემს. ესეც საკმაოდ ძელია, მაგრამ ყველაზე უფრო გაუსაძლისია კაოლიანის ფოთლების თვალისათვის უხილავი უწვრილესი ბუსუსი, დაუნდობლად რომ ეხახუნება ოფლით დაღობილ კანს და ენით უთქმელ ტანჯვას ინვევს. კაოლიანის ლოგოროთი დატვირთული სხეული თანდათან გამოიკვეთა. ამ სანახაობის შემხედვარეს უნებურად ოხვრა აღმომხდა. ლურჯი ქურთუკი, შავი შარვალი, გამავეებული ფეხები ჯოხებივით ამოშვრილიყო ჩაყვითლებული ბოტებიდან. რომ არა შუბლზე ჩამოშლილი გრძელი თმა, ვერაფრით შევიცნობდი მასში ქალს, თუმცა როგორც კი გამოჩნდა, უკვე საკმაოდ სიახლოვეს იყო ჩემგან. თავი ჩახვარა ისე დაბლა, ჰორიზონტს უსწორდებოდა. სხეული მოხრილი კი ჰქონდა, მაგრამ კისერი რაღაც არაბუნებრივად წაგვრძელებინა წინ. ეს რა პოზაა, მხრებს მოკიდებული ტვირთის სიმძიმის შესამსუბუქებლად? ცალი ხელით აჭერდა გრძელი კეცის ბოლოს, მხარს რომ გაედო, ხოლო მეორეთი ზურგის უკანდინ, კისერს რომ შემოჭდობოდა, ჩასაქიდებოდა კეცის მეორე ბოლოს, თითქოს აჭერდა მას. მზის სხივი ეფინებოდა ოფლის წვეთებს, მის მუქ, გარუჯულ კანზე ბროლის მძივებივით რომ კიაფობდნენ. მის ზურგსმოკიდებული კაოლიანის მწვანე ფოთოლი ხახვის ქორფა ყლორტებსავით ხასხასებდა. იგი მძიმე-მძიმედ ადგამდა ნაბიჯს, ავიდა ხიდზე. ხიდის სიგანე მის ტვირთის სიგანეს დიდად არ ჩამოუვარდებოდა. მე უკან დავიხიე იმ ბურჯისაკენ, სულ ახლახან თეთრმა ძაღლმა რომ მიაფსა. იქვე შევიჩერდი და თვალი გავაყოლე არსება თუ როგორ გადადიოდა ხიდს.

\*\*\*

მე, სიზმარში რომ ხდება ისე, გუმანით მივხვდი, რომ თეთრ ძაღლსა და მას შორის გაბმულიყო რაღაც უხილავი, თვალისათვის უჩინარი, იდუმალი ძაფი. ხოლო თეთრი ძაღლი ჩქარ-ჩქარა, ხან კი ნელა მიძუნძულებს და მიძუნძულებს, ეს ძაფი კი მათ შორის იბმის ხან უფრო მჭიდროდ, ხან უფრო ღუნედ, მაგრამ არა და არ წყდება, იბმის და მიჰყავს ისინი. როცა ჩემს წინ მოექცნენ, ძაღლმა ისევე, მაშინდელივით, შემომხედა თავისი შორეული და დაბინდული ძაღლური მზერით. ძაღლის ეს იდუმალი მინიმება ჩემთვის იმნამსვე სავესებით მკაფიოდ და ნათლად გასაგები გახდა. მან თავისი ორი შავი თათით გაგლიჯა ჩემი სულის ნისლოვან-იდუმალი ლიბრი, თვალის ამიხილა და ნამისყოფაში ვიცანი იგი. ის იმ წუთას, თავისი ჩაქინდრული თავით და ფეხებქვეშ დარჭობილი მზერით, ჩემს წინ მიცურავდა. მისი მოკლე-მოკლე სუნთქვა, ოფლის სუნი იმ წამიდან სამუდამოდ დამამახსოვრდა და დამკვიდრდა ჩემს სიღრმისეულ შეგრძნებებში. მან უცბად ჩამოიგდო ზურგიდან ლოგორო, მერე ნელ-ნელა გამართა სხეული, რომელსაც ტვირთი ზურგსა და მკერდსაც კი მძიმედ აწვებოდა. მე შევნიშნე, რომ იმ ადგილს, ლოგოროში რომ ჩაზნექილიყო, მისი სხეულის ფორმა მისცემოდა. სწორედ იმ ადგილას, სადაც ყველაზე მეტად იძაბება ძარღვი და თავად მტვირთავი, ლოგოროს ჩაზნექილ ადგილას ფოთლები დატენი-

ანებული და ჩაჭმუჭნული იყო. მე ვიცოდი, რომ მის სხეულზე ის ადგილები, რომლებიც კაოლიანის ფოთლებს ჩაეჭყლიტა, როგორც იქნა ცოტაოდენ შვებას მაინც იგრძნობდნენ. ხიდის თავში, სადაც ნიავს სიგრილე მოჰქონდა, იგი უსათუოდ იგრძნობდა შვებას და მოდუნდებოდა. შვებისა და კმაყოფილების გრძობა ადამიანის ცხოვრებისეული ბედნიერების ნაწილია, ეს გადასახლებებში გატარებულ წლებში გვარიანად შევიგრძენი.

წელში რომ გაიმართა, წამით თითქოს გრძობაც კი დაკარგა. ოფლისა და ჭუჭყის ღვარები არხებსავით ჩამოედინებოდა. პირი გამომსახველად დააფჩინა, უანგბადის ჭავლები ამოაფრქვია. ცხვირი ქორფა პრასის ლეროსავით ჩამოქნოლი, სახე ძალზე მოშავვგრძენი, კბილები კი თოვლივით ქათქათა ჰქონდა.

ჩემი მშობლიური მხარე ლამაზმანებით განთქმულია. აქაურები ყოველ ისტორიულ დინასტიაში იყვნენ საიმპერატორო სასახლისათვის შერჩეულნი. ახლაც არიან დედაქალაქში, კინოში რომ თამაშობენ. რამდენიმე ასეთი მეც მინახავს და ვიცოდი, არცერთი დიდი არაფერია, ამას ვერ აჭარბებენ ჭეშმარიტი მშვენიერებით. თვალს რომ არ გამოსთხროდა, ჩვენში რომ იტყვიან, სახე რომ არ დალენოდა, ვინ იცის, დიდი მსახიობიც გამოსულიყო. ათიოდ წლის წინათ ყვავილის ყლორტით ტანკენარი გახლდათ, თვალები ვარსკვლავებივით უბრწყინავდა.

\*\*\*

— ჰეი! — შევძახე მე.

მან მარცხენა და ერთადერთი თვალი ისე გადმოკარკლა, თვალის თეთრ გუგაზე წითელი ბადურაც კი დავინახე. ეს გამოხედვა მეტად ამაზრუნელი იყო.

— ჰეი, მამიდიკო! — შევძახე რიხიანად.

წლელს ოცდაცხრისა ვხდები, იგი ორიოდ წლით უმცროსია. უკვე ათი წელია, რაც ერთმანეთს დავშორდით, რა უშველებელი ცვლილება მომხდარა. რომ არა ის საბედისწერო შემთხვევა საქანელაზე და შემორჩენილი ხეიბრობა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიცნობდი. თეთრი ძაღლიც დაკვირვებით შემომცქეროდა. გონებაში გამოვიტვალე, თორმეტისა უნდა იყოს, ბებერზე ბებერი ძაღლია. არცკი მეგონა ცოცხალი თულა იქნებოდა და არათუ ცოცხალი, შესახედავად სავესებით ჯანსაღიც. იმ წელს ტუანუს<sup>4</sup> დღესასწაულზე ჯერაც ლეკვი იყო, კალათბურთის ბურთისოდენა. მამაჩემი მაზრის დედაქალაქში გაემზავრა და თავისი ქვისლის ოჯახიდან ეს თეთრი ძაღლი უბით ჩამომიყვანა. იმხანად თეთრი ჯიში უკვე თითქმის განყვეტილიყო და ამ უმნიშვნელო ზადს — შავ თათებს — უკვე აღარავინ შემოედევებოდა, თორემ ბიძაჩემი, ჯიშიანი ძაღლების გამოყვანა-გაყიდვით სარფიანად რომ ითბობდა ხელს, არ გადაწყვეტდა აესრულებინა თავისი დისწულის მარად აუხდენელი ოცნება — ჰყოლოდა ძაღლი, არ მაჩუქებდა და მამაჩემს არ ჩააბარებდა პატარა, შავთათება ლეკვს. იმხანად თეთრი ძაღლების ჯიში ჯერაც ფასობდა, და, მართალია, ზადი კი ჰქონდა, მაგრამ მამაჩემს ოცდაათი იუენი შეაძლიეს, რაც იმ წლებში არ იყო პატარა ფული, მაგრამ მამაჩემი თავაზიანად, ზრდილობიანად უარით ისტუმრებდა მთხოვნელებს. მაშინ ცხოვრება უკვე ძნელი გახლდათ, ხოლო ჩვენი კომი<sup>5</sup> სამინელი სტიქიური უბედურებების შემოტევას განიცდიდა. ჩვენს ჩრდილო-აღმოსავლეთ სოფელში ჯერაც იყო ხალხი, ვისაც ძველებურად უყვარდა თავის შექცევა, ხოლო შინაური ძაღლების ყოლა ერთი ამგვარ გართობათაგანი გახლდათ. მაშინ, რომ არა გაუფაროლი სტიქიური უბედურებები, ხალხსაც საკმარი ექნებოდა საკვები და ძაღლების მოშენებაც ჩვეულებრივი მოთხოვნილება იყო. ესეცაა, ხელს რომ უწყობდა ჯიშების მოშენება- გამრავლებას.

მე ცხრამეტისა ვიყავი, ხოლო ნუან-ი ჩვიდმეტის, როცა თეთრი ძაღლი სულ ოთხი თვისა გახლდათ. ნიფანგჯინ-ის<sup>6</sup> არმია ზედიზედ, მანქანა მანქანის მიყოლებით გადადიოდა ჩვენს ქვის ხიდზე. ჩვენმა საშუალო სკოლამ ზედ ხიდის თავში, ქვის ბურჯთან გაშალა ჭილოფის კარავი. იქ ადულებდნენ წყალს დაქანცული არმიელებისათვის, მოსწავლეებისგან შედგენილი ბრიგადები

პროპაგანდას ეწეოდნენ, გონგებსა და დოლებსა სცემდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ხიდი ძალზე ვიწრო იყო. პირველივე მანქანის უკანა ბორბალი ხიდს გადაღმა სანახევროდ გადაეკიდა და ძალზე ნელი, ფრთხილი უკან-უკან სვლით ხიდიდან გადავიდა. მეორე მანქანამ კი ქვის ერთი ფილაქანი ჩაღუნა, მდინარეში ჩავარდა, დაამსხვრია უამრავი ქვაბი, ჯამ-ჭურჭელი, ბაღია და ფილა ისე, რომ წყლის ზედაპირზე ნაირ-ნაირ ზეთთა გუბებში ატივტივდა. ჯარისკაცების მთელი გუნდი გადაეშვა წყალში და მანქანის კაბინიდან ძლივდელივით გამოათრიეს მთლად გალუმპული მძღოლი. რამდენიმე გრძელ თეთრხალათიანი ჯარისკაცი გარს შემოეხვია მას, ერთს ხელში ეჭირა ტელეფონის ყურმილი და შიგ რალაცას ხმამალა ჩაჰყვიროდა. მე და ნუან-მა, როგორც ჩვენი მონაფური პროპაგანდისტული ბრიგადის ჯგუფელებმა, რალა თქვა უნდა, თავი მივანებეთ ცეკვა-თამაშს და თვალეზდაჭყეტილები შევცქეროდით ჩვენს წინ გათამაშებულ სანახაობას. მერე მოვიდა ვილაც ძალიან დიდი და ძალიან პატივცემული უფროსობა, მათ ახლდა ჩვენი სკოლის ლატაკებისა და საშუალო ფენის წარმომადგენელი ბიძია კო, ზედსახელად კო-პირნაცყავილარი, რომელსაც ეს უფროსობა ერთიმეორის მიყოლებით ხელს ართმევდა, მერე ხელი ჩამოართვეს ჩვენი სკოლის რევოლუციური კომიტეტის უფროსს, ლიუ-ს, მერე ჩაიცვეს ხელთათმანები და ჩვენ დაგვიქნიეს ხელი. მერე გამწკრივდნენ და აკვირდებოდნენ, ჯარისკაცების რიგი თუ როგორ მიაბიჯებდა ხიდზე. ამ დროს ბიძია კო-პირნაცყავილარმა მიბრძანა, გააგრძელე სალამურის ბერვაო, ხოლო ლიუ-უფროსმა ნუან-ს უბრძანა, მიდი, იმღერეო. ნუან-მა ჰკითხა: „რა ვიმღერო?“ ლიუ-უფროსმა თქვა: „იმღერე: „როს თქვენ გიხილეთ, უფრო მეტად მიზღობოური ნი გახდით ჩვენთვისაო.“ და აი ასე, ვუბერავდით და ვმღეროდით. ჯარისკაცებმა მწყობრად განაგრძეს მსვლელობა, აპრაგუნებდნენ ხიდზე, ხოლო მანქანები ერთიმეორის მიყოლებით მდინარეს გადადიოდნენ. „საყვარელო მდინარეო პატარავ, მჭვირვალე მდინარეო, // ორმო პირთამდე ავსილა ხორბლის მოსავლითაო. // მანქანების ცხვირები თოვლივით თეთრ ქაფს აყენებდნენ, ხოლო თავად მანქანებს კი უკან მოჰყვებოდა ჭუჭყისფერ-მოყვითალო ნაკადები. // ნიეფანგჯინ-ის არმიელები მთებში გვეწვივნენო, // ხელს ვეაშველებენ შემოდგომის ჭირნახულის ალებამიო//. სატვირთო მანქანებმა რომ ჩაიარეს, მერე ორი პატარა ბლაგვცხვირა ჯიპიც შევიდა მდინარეში. ერთ-ერთმა გადამფრენი ფრინველის სისწრაფით გაიარა მდინარე, დააყენა ხუთ-ექვს მეტრიანი ჭავლები, ხოლო მეორემ თავით ჩაყვინთა მდინარეში, გაჰკვილა უცნაური ხმით: „ვუუ, ვუუ“ და ჩაიძირა, ჩაკვდა, მდინარეში შავი ბოლის ჭავლი ავარდა მხოლოდ. // „წამოვიწყეთ აქეთურ-იქითურის ერთმანეთისთვის მოყოლაო, // რამდენი რამ წარსულისა გულში წამოგვიტვივტივდაო. // „მორჩა!“ თქვა ერთმა მეთაურთაგანმა. მეორე მეთაურმა გრძელად თქვა: „ერთი მაგის დედაც! მიდი, იმ მაიმუნ-ვანს უბრძანე, ხალხი შეაგროვოს, მანქანა ამოათრიონ!“ // „ერთი ჯამიდანა ვჭამდითო, // ერთი ლამპარი დაგვანათოდაო.“ // . მალევე გამოინახა ნიეფანგჯინ-ის ბევრი მეომარი, შევიდნენ მდინარეში, დაეჯაჯგურნენ ჯიპს, წყალში ყველანი ჩაცმულები შევიდნენ. მდინარიდან როცა ამოვიდნენ, მხრებამდე გალუმპულიყვნენ, მუნდირები ჩამუქებოდათ, ტანისამოსი ტანზე შემოტმასნოდათ და გამოჰკვეთდა ვის სქელს-სქელსა და ვის მჭლე თეძო-კანჭებს. // თქვენ, ჩვენი გულ-ღვიძლოო, // თქვენ, ჩვენი გულის დარდებოო.“ // . იმ თეთრხალათიანებმა გამოიტანეს მთლად განუწული მძღოლი, შესავენეს მანქანაში, ნითლად ჯვარი რომელსაც ეხატა. // „სიტყვაც ვერც იტყვის, ვერც ენა გამოთქვამს, კომპარტიის სიკეთესაო. // როს თქვენ გიხილეთ, უფრო მეტად საყვარელნი გახდით ჩვენთვისაო.“ // უფროსობა შემოტრიალდა, გეგონებოდა ხიდის გადასვლას აპირებდნო, მე კი ხელში შერჩენილი ჩემი სალამურით, ხოლო ნუან-ი პირდაღებულად, გაოგნებულად შევცქეროდით უფროსობას. ერთმა, შავჩარჩოიან სათვალთანა უფროსმა ჩვენს მხარეს გადმოიქნია თავი და თქვა: „არც ცუდად არა მღეროდნენ და გვარიანადაც უბერავდა.“ ბიძია კო-პირნაცყავილარმა თქვა: „უფროსობა დაიღალა. ბავშვე-

ბის თვითმოქმედება კი, რაიც შეეძლოთ, იმედია, აპატიებთ.“ მან ხელი მიიფათურ-მოიფათურა, ამოიღო სიგარეტის კოლოფი, გახსნა და დიდი მონინებით გაუნოდა უფროსობას, გაუმასპინძლდა, მათ კი თავაზიანად იუარეს. ერთი მანქანა, დაუთვლელ-ბორბლებიანი, მდინარის მეორე ნაპირას გაჩერდა. რამდენიმე ჯარისკაცი შეახტა, გადმოყარეს ლითონის მსხვილ-მსხვილი კაბელები და რამდენიმე თეთრი ხის ხელკეტი. შავჩარჩოიან სათვალთან უფროსის მახლობლად მდგომმა ლამაზმა და ვაჟკაცური იერის ახალგაზრდა ოფიცერმა თქვა: „ბრიგადირო ცაი, თქვენი პროპაგანდისტული ბრიგადის რამდენიმე საკრავი ხომ არ გესაჩუქრებინათ ამათვის.“

\*\*\*

ჯარმა გადაიარა მდინარე და ახლო-მახლო სოფლებში დაბანაკდა. მთავარი ხელმძღვანელი ბირთვი ჩვენს სოფელში იდგა. ის დღეები იყო ისეთი, უწინდელ ახალწლობას რომ ხდებოდა, სოფლები ერთიანად აღგზნებულ-აღელვებულიყო. ჩვენი სახლის გვერდითი ფრთედინად გაჭიმეს ათი სატელეფონო კაბელი, ლამის ქვეყნიერების ოთხივე კუთხით და რვავე მხარეს გაიბა. კულტურულ-განმანათლებელი ჯარისკაც-მსახიობები, ლამაზი, ვაჟკაცი მეთაური ცაი-თ სათავეში, ცხოვრობდნენ ნუან-ის სახლში. მე ყოველდღე დავიარებოდი იქ, გასართობად. ცაი-ს ეს ჯარისკაცები ანრუშუნებდნენ, ვიოლინოს, ცინ-ს უბერავდნენ და მღეროდნენ. მეთაური ცაი ნუან-ს სთხოვდა, იმღერეო. ეს ახოვანი, გრუზათმანი და წარბებანკეპილი ახალგაზრდა მამაკაცი თავჩაქინდრული უსმენდა და თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა ეწეოდა და ნაფაზს ნაფაზზე ურტყამდა. შევამჩნიე, ყურები ოდნავ უთრთოდა. ამბობდა, ნუან-ს არცთუ ურიგო მონაცემები აქვსო, თანაც ძალიანაც კარგიცაო, დასანანია, რომ არაა სათანადო მასწავლებელი გასანაფადაო. ის კიდევ ამბობდა, მეცა მაქვს მომავალიო. მოსწონდა ჩვენი ოჯახის თეთრუა ლეკვი, შავთათება. მამაჩემმა ეს რომ შეიტყო, გადანყვიტა ერუქებინა, მაგრამ მან იუარა. იმ დღეს, ჯარი წასასვლელად რომ უნდა აყრილიყო ბინებიდან, მამაჩემი და ნუან-ის მამა ერთად მივიდნენ მეთაურ ცაის-თან სათხოვნელად, თან ნავეყვანეთ მე და ნუან-ი. მეთაურმა ცაი-მ თქვა, წლის ბოლოს ახალწვეულთა განვევა იქნება ჯარშიო, და აი მაშინ ნავეყვანდნენ. გამოთხოვებისას მეთაურმა ცაი-მ მაჩუქა ერთი პატარა ნიგნაკი „სალამურის დაკვრის ხერხები“, ხოლო ნუან-ს — „როგორ უნდა ვიმღეროთ რევოლუციური სიმღერები“.

„სიაოკუ“ — გაბედულად წარმოვთქვი მე. „რაო, ნუთუ სრულებით ვერა მცნობ?“

უნდა ითქვას, ჩვენს სოფელში ერთი კომლი კი არა სახლობდა, როგორც ეს ხდება ხოლმე. ჩვენ სოფელში ცხოვრობდა ქვეყნის ოთხივე კუთხიდან შემოგროვილი ხალხი და სხვადასხვა გვანის მქონენიც სახლობდნენ. და, მართალია, ტრადიციულად თაობებს მოითვლიდა, მაინც ერთი ქაოსი სუფევდა. ხან იყო და მამიდის თაობის ქალი ძმისწულზე თხოვდებოდა, ხან იყო და ძმისწული ბიცოლას იტაცებდა ცოლად, არავინ დასცინოდა, თუკი ასაკით შესაფერი იყო. მე ნუან-ს ვეძახდი „მამიდიკოს“, იმიტომ რომ, პატარაობიდან ასე ვიყავი მიჩვეული, თუმცაღა ნათესაური სისხლის ნვეთიც არ გვერია. ათზე მეტი წლის უწინ მე მას „მამიდიკოს“ და „უმცროს მამიდას“ ვეძახდი, ხან ისე და ხანაც ასე, მაგრამ მამინაც მის სახელს ჩემთვის რალაც გემო დაჰკრავდა. ახლა კი, ათი წლის შემდეგ, ჩვენ გავიზარდენით, პატარები აღარ გახლდით, მე კი მას უწინდებური გემო „უმცროსო მამიდაო“, თუმცა უწინდებური გემო უკვე გამქრალიყო.

\*\*\*

— სიაოკუ, ნუთუ სრულებით ვერა მცნობ? — ვთქვი და ვიგრძენი ჩემი სიბრიყვე. ხოლო მისი სახე, როგორც მანამდე, გულგრილობას გამოხატავდა. ჯერაც გვარიანად გაოფლილიყო, თმის ერთი მშრალი ჩამონაშალი ლოყას მისწებებოდა, გარუჯულ სახეს რუხი მონაცრისფრო სიმკრთალე დაჰკრავ-

და, მარცხენა თვალში უელავდა რაღაც, წყალში არეკლილი სხივის მსგავსი, მარჯვენა თვალი კი აღარცა ჰქონდა, არც ცრემლი, თვალის ფოსოში ღრმად ჩავარდნილი ხერხელია იყო, მაგრამ თვალის ადგილის გარეშემო უთავბოლოდ იზრდებოდა შავი წამწამები. გული შემეკუმშა, გაუსაძლისი იყო ამ ხერხელის ყურება და მზერა მის მიღმა გავაპარე, შევხედე მის წარბებსა და მზის სხივით ალაპლაპებულ გაოფლილ თმას. მარცხენა ლოყა ეკრუნჩხებოდა, მარცხენა თვალისა და მარცხენა წარბიც უთრთოდა. ეს ყველაფერი მის გამომეტყველებას უცნაურსა ხდიდა და მხილველს სევდასა ჰგვრიდა, შეუძლებელია ადამიანი ამ სანახაობისადმი გულგრილი დარჩენილიყო. მე არ ძალმიძდა გულგრილი დავრჩენილიყავი...

ათზე მეტი წლის უნინ, იმ საბედისწერო საღამოს მე მოვირბინე შენს სახლში, გითხარი: — საოკუ, საყვარელო, წამო, საქანელაზე ვიქანაოთ, ხალხი უკვე დაიშალა, წამო, ქანაობით ვიჯეროთ გული!

შენ თქვი: მე უკვე მეძინება. მე ვთქვი: ნუ იპრანჭები! დღეს ცივი საკვების დღესასწაულის<sup>9</sup> უკვე მერვე დღეა, ხვალ კოლმეურნეობის ბრიგადა საქანელას დაშლის, მათ ძელები სჭირდებათ. დღეს ოსტატი ბრიგადირს ეზუზღუნებოდა, ურიკისათვის დაგრეხილი ბაგირი მჭირდება, ეს ბაგირი უკვე გადახეხილია, რაღას ივარგებსო. შენ დაამთქნარე და თქვი: — მაშ კაი, წამო.

თეთრი ძაღლი უკვე წამოზრდილიყო, შედერებულები, წვრილძვალა და თხელტყავა, ისე ლამაზიც აღარ იყო როგორც ლეკვობისას. მთვარის სხივი ეფინებოდა ბალანს, ბალანი ვერცხლისფრად ულივლივებდა. საქანელას ორი ძელი მოედნის ნაპირას იდგა, ზემოდან გარდიგარდმო ერთი დიდი ძელი ჰქონდა დაჭედებული. ამ ხარისაზე იყო დამაგრებული რკინის წყვილი დიდი რგოლი, მათზე კი მსხვილი ბაგირი ეკიდა. და კიდევ იყო ერთი ფიცარი, ზედ ფეხდგომელა საქანაოდ. საქანელა მდუმარედ იდგა ზედ მთვარის შუქქვეშ. იყო ამაში რაღაც შემზარავი, რადგანაც ჩამოჰგავდა „ეშმაკის საგუშავოს.“<sup>10</sup> მოედნის შორიხლოს, საქანელას გადაღმა, იყო თხრილი. თხრილში იზრდებოდა ეკლიანი აკაციის გაბარდნული ბუჩქნარი. ბუჩქებს მაგარი, დიდრონი და წვეტიანი ეკლები ესხა. შეგრძნება იყო ისეთი, თითქოს სწორედ ამ ეკლიან ტოტებზე ჩამოკიდებულიყო ცის ტატნობზე ამოცურებული გაცრეცილი მთვარე.

\*\*\*

— მე დავდგები, შენ კი გამაქანე — თქვი შენ.  
— მე შენ ზედ ცამდე გაგაქანებ.  
— თეთრუასთან ერთად.  
— სისულელეს ნუ იგონებ.  
შენ თეთრუა მაინც აიყვანე ხელში. შენ თქვი: თეთრუავ, მოდი, შენც განანავებ.

შენ ცალი ხელით ბაგირს ეჭიდებოდი, მეორეთი თეთრუა გყავდა ჩახუტებული. ის ლეკვივით ანკმუტუნდა. მე ფიცარზე ვიდექი, შენ, ძაღლიანად, ფეხებით მყავდი ჩაჭერილი და ზედიზედ, მიყოლებით, სულ უფრო და უფრო ღონივრად გაქანავებდით. საქანელამ თანდათან ქანს უმატა. ჩვენ სულ უფრო და უფრო მაღლა მივფრინავდით. მთვარის სხივი წყლის ტალღებით ირნეოდა. ჩვენს ყურებში სულ უფრო და უფრო ძლიერად ზუზუნებდა ქარი. მე ცოტა არ იყოს თავბრუ დამეხვა. შენ კი სიხარუ-

ლით კისკისებდი, თეთრუა ყმუოდა და ნკავნკავებდა. ბოლოს და ბოლოს საქანელას ხარისამდე ავფრინდით. ჩემს თვალსაწიერში მოექცა უკვე მინდორიცა და მდინარეც კი, სახლებიცა და საფლავთა ბორცვებიც, ქარის სიგრილე სახეს ელამუნებოდა და სრიალ-სრიალით მიქროდა შორეთში. მე დავიხარე, რათა შენს თვალეში ჩამეხედა და გკითხე: სიაოკუ, კარგია, ხომ კარგია?

შენ თქვი: კარგია, ცას ვენიეთ!  
ბაგირი განყდა. მე საქანელას ქვეშ მოვექეცი, შენ და თეთრუა შიგ შუა თხრილში გადაექანეთ, ეკლიან აკაციებში, ერთი ეკალი მარჯვენა თვალში შეგესო. თეთრუა ბუჩქნარიდან გამოძვრა, მთვრალივით დაიწყო საქანელას ირგვლივ წრიულად ბორიალი, საქანელამ დაარეტიანა...

— ეს წლები ... კარგადა ცხოვრობდი? — ჩავიბუტბუტე.  
გხედავ, მხრები ჯერ აიჩეჩა, მერე ჩამოყარა, სახის კუნთებიც მოეშვა. შესაძლოა ბიოლოგიური ანაზღაურების ზემოქმედების, ან კიდევ მეტისმეტად დიდი დატვირთვის გამო მარცხენა თვალის ძალზე დიდი ჰქონდა, ის ასხივებდა ცივსა და ძლიერ შუქს, ყინულივით რომ დამსუსხა და მთელს ტანში რაღაცნაირმა უხერხულობამ დამიარა.

— აბა, ცუდად როგორ იქნება?! საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი, კაცი, შვილები, ყველაფერი მაქვს, მაშ რატომ ვიქნები ცუდად? ერთი არა მყოფნის მარტო — ვაჟი. აი ეს ნიშნავს „არაუშავს“, ხომ ასეა? — მან საკმაო სასონარკვეთითა და ავადებულადაც მომიგო.

ენა გამიშრა, ცოტას დავფიქრდი და ესლა ვთქვი: „ინსტიტუტში დამტოვეს, პედაგოგად. ამბობენ დოცენტად დამაწინაურებენ... მშობლიური კუთხე ძალზე მენატრება. განა მარტო ადამიანები, არამედ მდინარეც, ქვის ხიდიც, მინდორ-ველიც, წითელი კაოლიანის ყანაც, სუფთა ჰაერიც, ჩიტების ფლურტულიც... აი საზაფხულო არდადეგებზე დამითხოვეს და მეც გადავწყვიტე დავბრუნებულიყავი.“

— რა გენატრება, ეს ჯურღმული, ეს დარჩენილი ხიდი გენატრება? ამ კაოლიანის მინდვრების დედაც ვატირე, ჩაიხრჩობი შიგ, როგორც გინახავს ჭენგლუნგ-ში,<sup>11</sup> კაცი ცოცხლად მოიხარშება. ამ სიტყვებით იგი ნელ-ნელა ხიდიდან ქვეით დაეშვა. გაჩერდა, გაიხადა გაცვეთილი, რეცხვით გამოთეთრებული მამაკაცის ლურჯი კიტელი, იქვე, მახლობლად რიყის ქვაზე მიავლო, ნელში მოიხარა და დაიწყო სახისა და კისრის ბანვა. ტანზე მხოლოდამხოლოდ ფართო, განიერი მაისურილა შემორჩენოდა, მრგვლად ამოღებული გულისპირით. მაისური მთლად გავსებულიყო წვრილ-წვრილი ნაწვრეტებით და თეთრიც, უთუოდ, ოდესღაც იყო, ახლა კი რუხი ფერი დასდებოდა. მაისური ჩაიტანა შარვალში, რომელიც ქამრის ნაცვლად დაგრეხილი მარლის ბინტით ჰქონდა შემოჭერილი. იგი ჩემს იქყოფნას არაფრად ავადებდა. პეშვში მოგროვილი წყლით იბანდა სახეს, კისერს, მხრებს. ბოლოს და ბოლოს, თითქოს იქ არავინ იყო, მაისურიც ამოათავისუფლა შარვლიდან, ახლა კვლავ პეშვით ძუძუების ბანვა დაიწყო. მაისური მალე დაუსველდა, ქსოვილი მჭიდროდ შემოეჭმანსა მის დიდ, ხორციანსა და ჩამონლენილ ძუძუებს. ამ ორი რაღაცის შემხედვარემ გავიფიქრე, აი, ვფიქრობთ ათას რამეზე, ამქვეყნად კი ყველაფერი ფუჭი, ამაო ყოფილა. ყველაფერი სისულელეა, სოფლელი ბიჭბუჭობა რომა მღერის ხოლმე: „უქმარო — ოქროს ძუძუკებიო; ქმრიანი — ვერცხლის ძუძუკებიო; ნამშობიარევი — ძუქნის ძუძუებიო.“





და მე შევეკითხე:  
 — შვილი რამდენი გყავს?  
 — სამი ცალი. — თმა შეისწორა, მაისურის კალთა ჩამოიქანა, მიპასუხა და მერე კვლავ შარვალში ჩაიტანა.  
 — აკი ნათქვამია, ერთის მეტი არ შეიძლებაო?  
 — მე არც გამიჩენია მეორე ფეხმძიმობით. — და რომ ნახა, ვერაფერი გავიგე, საკმაოდ გულცივად ამიხსნა:  
 — ერთბაშად გავაჩინე სამი ცალი, ზედიზედ, მიყოლებით, ნაყოფი როგორცა ცვივა, ზუსტად ისე — ძაღლივით.  
 ცალყბად გავიციინე. მან ხელი დაავლო ლურჯ კიტელს, მუხლებზე შემოიბერტყა, ჩაიცვა, რატომღაც ქვემოდან ზეითკენ შეიკრა ლილები. კაოლიანის ლოგოროზე წამოწოლილი თეთრი ძაღლიც წამოდგა, ბენვი გაიბერტყ-გამოიბერტყა, ზანტად გაიზმორა.  
 მე ვთქვი: „ყოჩაღ!“  
 — ყოჩაღი არ იყო როგორ იქნება? აბა სხვა რა გზაა. რაც ტანჯვა გინერია, უნდა გამოიარო კიდევაც, ბედს ვერსად გაექცევი.  
 — ბიჭებიცა და გოგოებიც?  
 — სულ მამალ-მამალი.  
 — ბედნიერი ყოფილხარ. ხომ ნათქვამია ტოუ ძ, ტოუ ფუ!<sup>12</sup>  
 მან თქვა: „ტოუ ფუ!“<sup>13</sup>  
 — ეს ისევე ის ძაღლია, ხომ?  
 — ცოტა დღეებილა დარჩენია.  
 — აბა, თვალი დავახამხამებ და ათზე მეტმა წელმა ჩაიარა.  
 — კიდევ დავახამხამებთ და ჩაძაღლების დროც დავგიდგება.  
 — ჰო, აბა რა. — ნელ-ნელა ვიგრძენი, რომ ეს ყველაფერი მომბეზრდა. მივბრუნდი ძაღლისაკენ, იქვე, ლოგოროს ძირას ჩემს წინ რომ ჩაცუტულიყო და ვთქვი: „ე, რა ბებერია და ჯერაც ცქვიტია!“  
 — ო, სიცოცხლის უფლება გეპოძათ და განა შეიძლება არ იცოცხლოთ? ბრინჯს ვინც მიირთმევს, ნებაზე სიცოცხლე, ქატოს ვინცა სჭამს — იმათაც უნდათ სიცოცხლე. დიდგვა-როვნებმა უნდა იცოცხლონ და მდაბიობებსაც, რა, ხომ უნდათ სიცოცხლე.  
 — აბა რას ამბობ?! — ვთქვი მე. — ეს დიდგვაროვნები, ეს მდაბიოები ვინლა ბრძანდებიან?  
 — აი შენ, კარგა დიდგვაროვანი არა ბრძანდები განა? უნივერსიტეტის დოცენტი!  
 ვგრძნობ თანდათან ალმური რომ მედება, ყურებამდე ავილუნე, სიტყვა ვერ მიპოვინა. იმნამს მომინდა რალაც მწარმწარე მეთქვა, გული მეტკინა მისთვის, ამ ღვარძლიანი სიტყვებისა და ჩემი ამ დღეში ჩაგდებისათვის შური მეძია, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე. კაი, გაუშვი, ილაპარაკოს-მეთქი! ზურგჩანთა მოვიკიდე, ცივად გავუღიმე და ვთქვი:  
 — ვფიქრობ, ჩემი მერვე ბიძიას ოჯახში გავჩერდები, თუ მოიცალო, შემომიარე.  
 — გათხოვილი ვარ, ვანგ-ების გორაკებში, ხომ იცი?  
 — შენ რომ არ გეთქვა, არ მეცოდინებოდა.  
 — იცი-არ იცი, ამით რა იცვლება, — თქვა გულგრილად,  
 — თუკი არ გეზიზღება, შენი მამიდიკო ძაღლურად რომ გამოიყურება, დრო თუ გექნა, შემოიარე. იმ სოფელში რომ შემოხვალ, მოიკითხე „ცალთვალა ნუან-ის“ ოჯახი, ჩემს ოჯახს ყველა იცნობს.  
 — სიაკოუ, არ მეგონა თუ ასე ...  
 — ეს ხომ ბედია, კაცის ბედი, ამას ზეცა წყვეტს, ამაზეზე ფიქრი არცა ღირს. — ლაპარაკობდა მშვიდად, ნელ-ნელა, კაოლიანის ლოგოროს წინ მდგარი. — მიდი, ქენი სიკეთე, მომეშველე, ზურგზე წამომაკიდებინე.  
 ავფორიაქდი, ავლელდი, მტკიცე ხმით ვუთხარი: „ტვირთს ჩემი ზურგი მიგატანინებს!“  
 „როგორ ვიკადრებ!“ ამ სიტყვებით ლოგოროს წინ ჩამოხვალა, მხარს გაიდო კეტი და თქვა:  
 „აბა, ჰე!“

ზურგსუკან შემოვუარე, თოკს ვტაცე ხელი და რაც ძალი და ღონე მქონდა ავქაჩე. ამ ძალის დახმარებით იგი წამოდგა. მისი სხეული კვლავ მოიხარა, რათა ტარება გაადვილებოდა. ლოგორო ერთი-ორჯერ შეაქან-შემოაქანა. ფოთოლი აშრიალდა — შრ, შრ, საიდანღაც ქვემოდან ყრუდ შემომესმა ხმა: „აბა, მამ შემომიარე!“  
 თეთრმა ძაღლმა ერთი-ორჯერ შემომეყვია, წინ-წინ გაიქცა. კიდევ დიდხანს ვიდექი ხიდის ბურჯთან და გავცქეროდი, კაოლიანის ლოგორო ნელ-ნელა თუ როგორ მიიწინავდა ჩრდილოეთისკენ. ვუცქერდი მანამდე, სანამ თეთრი ძაღლი ერთ თეთრ ლაქად გადაიქცეოდა, მე შემოვბრუნდი და სამხრეთისაკენ გავწიე.  
 ხიდის თავიდან სოფელ ვანგ-ების გორაკებამდე შეიდი ვერსია.  
 ხიდის თავიდან ჩემს სოფლამდე კიდევ თორმეტი ვერსი. მაშასადამე, ჩვენი სოფლიდან ვანგ-ების გორაკებამდე ცხრამეტოდე ვერსია. მერვე ბიძიამ მიჩნია ველოსიპედით გავმგზავრებულყავ. ვთქვი, არა ღირს, სულ ათიოდე ვერსია, შორი არაა, ფეხითაც მივალ-მეთქი. მერვე ბიძიამ თქვა: „ახლა ყველა გამდიდრებულია, თითო ველოსიპედი ყველა ოჯახს უყენია. ახლა ის წლები კი აღარაა, შენ რომ აქ იყავი, მთელს სოფელში ერთნახევარი ძლივძლივ თუ იპოვებოდა და არც არავინ არავის ათხოვებდა, ისე ძვირფასი რამ იყო. მე ვთქვი: ვიცი-მეთქი, ცნობილია, ყველა მდიდრდება და ვხედავ კიდევაც, თქვენთან დიდპატარა ველოსიპედით უთავბოლოდ რომ მიდი-მოდის. მაგრამ მე არ მინდა ველოსიპედზე ჯდომა. როგორც კი ნასწავლი შევიქენი, მაშინვე იმდენს ვიჯექ-ვიჯექი, გვარინი ბუასილი ავიკიდე. ფეხით სიარული მიჯობდეს. მერვე ბიძიამ თქვა: „კარგი ერთი რა! ეგრე გამოდის, სწავლა-განათლება დიდი ვერაფერი ჭკუის მასწავლებელია. რა ხეირი მოაქვს, გარდა იმისა, რომ იტყვიან „ჭირსა და უბედურებას გადაეყრებო“. კაცი ან მთლად გაგიჟდება, ან კიდევ პატარას ჭკუიდან გადავა. ნეტავ რას მიეთრევი იმის სახლში. მის ოჯახში რა დაგკარგავა? ბრმა-თვალგამოთხრილი, ყრუ და მუნჯი. არ გეშინია, მთელი ჩვენი სოფელი მასხარად რომ ავიგდებს? ხომ იცი, ამქარი ამქარსაო, შენ ღირსებას ნუ დაჰკარგავ!“ მე კი ვთქვი: „შეთნან კამათი სულაც არ მინდა. ოცი წელი უკვე უკან ჩამომიტოვებია, მალე ოცდაათს მივუკაკუნებ, ცოტა ხომ არ არის. ჩემს საქმეს თვითონვე მივხედავ, ავწონ-დავწონი.“ მამაჩემის მერვე ძმას ცოტა არ იყოს გული გაუტყდა, განანყენებული გამეცალა, საქმეს მივხედავო, წავიდა. მიხვდა, ჩემთან ვერაფერს გაანყობდა.  
 დიდი იმედი მქონდა, ხიდის თავივე შევხვდებოდი მასაც და თეთრ ძაღლსაც, და თუკი ისევე ექნებოდა კაოლიანის ფოთლების ლოგორო, უსათუოდ, სიცოცხლის ფასადაც რომ დამეჯდომოდა, ზურგით მივუტანდი სახლამდე. თეთრუცა და იგიც მეგზურებად მეყოლებოდნენ, მის სახლთან მიმიყვანდნენ. ქალაქში ახლა ყველა მოდას აჰყოლია, დროის შესაფერ ტანსაცმელზე მიუდით ფიქრი, დრო დადგა ასეთი. სოფლად კი, ჩემს მშობლიურ სოფელშიც, ყველა აგდებულად შეჰყურებდა ჩემს ჯინსებს, უხერხულად ვგრძნობდი თავს. ამას ის მოჰყვა, რომ ახსნა-განმარტებები გავაბი, ჩამოფასებული საქონელია-მეთქი, სულ სამ იუენად და სამოც ფენად მაქვს ნაყიდი-მეთქი, მაგრამ სინამდვილეში ოცდახუთი იუენი მივახარჯე. მაგრამ როცა რწმუნდებოდნენ, იაფად მქონდა ნაყიდი, მპატიობდნენ. ვანგ-ების გორაკების სოფლებებმა, რასაკვირველია, არ იცოდნენ იაფფასიანი თუ იყო. რაკი მას და თეთრუას ვერ შევხვდი, მეტი რა ძალა იყო, კითხვა-კითხვით მომიხდა მათ სოფელში მისვლა და ამით კიდევ მეტ ყურადღებას ვიქცევდი. ამ ფიქრებში წასული კიდევ მეტად ვიმედოვნებდი, რომ შევხვდებოდი მას, ანდა თეთრუას, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ქვის ხიდი რომ გადავიარე დავინახე, გავარვარებული მზე თუ როგორ ამოგორდა შორეთში, კაოლიანის მინდვრებს გადაღმა, აირეკლა მდინარეში, ვითარცა წყალში ჩანოლილი კვასკვასა წითელი სვეტი და ხასხასა წითლად შეღება მდინარე. მზე იყო

ისე უჩვეულოდ წითელი, ხოლო მის ირგვლივ ისეთი შავი შარავანდი შემოხაზულიყო, უეჭველად განვიმდებოდა.

დასაკეცი მექანიკური ქოლგით ხელში, წვიმის ირიბად დაშვებულ თქემში შევედი შუა სოფელში. ერთი მობუზული, მხრებში კისერჩამძვრალი დედაბერი სწორედ ამ დროს ქუჩას გადადიოდა. ქარი ისე უფრიალებდა გრძელკალთებიანი კაბის საყელოს, გეგონებოდა მთელს სხეულს უტორტმანებსო. დავეკეცი ქოლგა და მისკენ გავემართე: „დეიდა, ნუან-ის ოჯახი აქ სადა ცხოვრობს?“ დედაბერი რაღაც მოღრეცილად შეჩერდა, გაყინულ-დაბინდული მზერა მომაპყრო. ქარი თხელ ჭალარა თმას უწუნავდა, უფრიალებდა საყელოს, ნორჩ ხეებსა დრეკდა და თავის ძალაუფლებას ავლენდა ამ მთელს ამო ყოფიერებაზე. წვიმის წვეთები გამსხვილდა, თითო წვეთი სპილენძის ფულის ტოლა შეიქნა, თუმც კი ისე ხშირი აღარ იყო. ერთი დიდრონი წვეთი ქალს სახეზე დაეცა. „ნუან-ის ოჯახი სადა ცხოვრობს?“ გავუმოკრე კითხვა. „ეგ რომელი ნუან-ის ოჯახი?“ მეკითხება. იძულებული ვარ ვუპასუხო: „ცალთვალა ნუან-ი.“

დედაბერმა მძიმე მზერა დამამტერა, მხრები აიჩქრა, თითი გაიშვირა გზის პირად ლურჯ, მოჭიქულ კრამიტინი ქოხ-მახების რიგისაკენ.

\*\*\*

გზიდანვე ხმამალა დავიძახე: „ნუან-მამიდა შინაა?“ არსება, ვინც ჩემს ხმას პირველი გამოუხმაურა, იყო ის შავთათება თეთრი ძაღლი, რომელიც არ ჰგავდა უპატრონო ძაღლებს, შენს გარშემო რომ იწყებენ სირბილსა და ღრენას, თანაც გიყეფენ, შიშისმომგვრელად აღრჭენენ კბილებს. ასეთი ძაღლები კი, თავდაჯერებულები, თამამები, ავები არიან, თუ არ დაგვლეჯენ, ისე მაინც შეგამიწებენ — გული გაგისკდეს. ეს ძაღლი კი წვეს თავისთვის, არც ინძრევა, მუცელზე გართხმულა თავის ბუნავში, თბილ თივაზე, თავის ძაღლურ თვალებსა ნაბავს და წმინდანყლის სიმბოლურადა ყეფს, თითო-ორორჯერ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ავლენს იმ ათიათასი საათობითა და დღეებით გამომშავებულ, კეთილსა და სტუმართმოყვარე ზნეს, ჩემი სამშობლოს თეთრი ჯიშის ძაღლებს რომ მოსდგამთ.

ხელახლა დავიძახე. ნუან-მა შინიდან წკრიალა ხმით მიპასუხა, ხელო სახლიდან კი გამოვიდა ერთი უზარმაზარი, მხარბეჭიანი, ქერა წვერგაბურღენული და ყვითელთვალა მამაკაცი. მან რაღაცნაირად ბოროტად შემომხედა უანგისფერ-მოყავისფრო თვალებით. მზერა შეაყოვნა ჩემს ჯინსებზე, პირი დამცინავად დაღრჩა, მერე სახემ გაცოფება გამოხატა. იგი ერთი ნაბიჯით მომიახლოვდა, მე კი დაბნეულად ერთი ნაბიჯი უკან გადავდგი. მან მარჯვენა ნეკა თითი მომაშვირა, ზედ ჩემს თვალწინ გააქნა-გამოაქნია, პირიდან ამოუშვა უთავბოლო, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბგერები. მე, მართალია, ჩემი მერვე ბიძიასგან უკვე მქონდა ვაგონილი, რომ ნუან-ი ერთ მუწვს გაჰყოლოდა ცოლად, მაგრამ ამ სანახაობამ მაინც ძალზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ცალთვალა — ყრუ-მუნჯი! რომ იტყვიან: ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, რაც აღხანაა, ის ჩაღხანაო, არცერთს არ დანყდება გული. მე კი თავიდან ველარ მოვიშორე ის, მართალია, წამიერი, მაგრამ სამარადისო გულის სიმძიმე.

\*\*\*

ნუან-მამიდა, მაშინ ჩვენ ოცნებას ავყევით. ოცნება მშვენიერი იყო. ბრიგადირმა ცაი-მ წასვლისას იმედი მოგვცა. იმ დღეს, მისი წასვლის წინ, პირდაპირ თვალებში ჩასცქეროდი და არ მალავდი ცრემლებს, სწორედ მისი წასვლის გამო რომ ღვრიდი. მასაც ფერი წასვლოდა, სახეზე ნაცრისფერი დასდებოდა. უბის ჯიბიდან ამოიღო პატარა სავარცხელი, ხარის რქისაგან ნაკეთი და გამოგინოდა. მეც ავტირდი. მე ვთქვი: „ბრიგადირო ცაი, ჩვენ სულმოუთქმელად დაველოდებით დროს, შენ როცა მოგვიხმობ.“

ბრიგადირმა ცაი-მ თქვა: „დაელოდეთ“. ველოდეთ. კაოლიანი მთლად გადაწითლდა. დადგა გვიანი შემოდგომა. შევიტყვეთ,

რომ მაზრის დედაქალაქში წვევამდელები მიჰყავდათ ჩინეთის გამათავისუფლებელ არმიაში. ჩვენ, ორივეს, ძილიც გავვიკრთა, ისე ველოდით ამას. სკოლაში გვყავდა ერთი მასწავლებელი, რომელიც საქმეების გამო ქალაქს მიემგზავრებოდა, შევხვებნეთ, სახმედრო თავდაცვის განყოფილებაში გაეგო ამბავი, ხომ არ ჩამოსულიყო ცაი. მასწავლებელი წავიდა. მასწავლებელი დაბრუნდა. მასწავლებელმა გვითხრა: „წლეულს სამხედრო საქმეებით დაკავებულები მხოლოდ თავდაცვითი ფერის ყვითელ ფრენებსა და ლურჯ შარვლებში არიან ჩაცმულნი, ეს მინაზე მოქმედი ავიამოსამსახურეები არიან, ეს ის ნაწილი არაა, ცაი-ს რომ ექვემდებარება.“ მე გული გამიტყდა. შენ კი დაჟინებით მეუბნებოდი: „ბრიგადირმა ცაი-მ არ შეიძლება მოგვატყუოს!“ მე ვამბობდი: „აღბათ, დიდი ხანია გადავაგინყდით!“ მამამენიც ასე ამბობდა: „ტოტი მოგანოდეს, თქვენ კი ნემსი გეგონათ, ჩერჩეტებო. ბალებს რომ გააცურებენ, ისე მოგატყუათ. არ გაგიგონათ ძველთაძველი ხალხური ანდაზა: კარგი ადამიანი სალდათი არ გახდება, ისევე, როგორც ძვირფასი ლითონისაგან ლურსმანი არ გამოიჭედება. შენ ეი, ბიჭო, ეგებ კოგორმე სკოლა დაგემთავრებინა, მერე კი საოჯახო საქმეებს, მჭედელობას მიჰყავს ხელი. არ გიღირდეს ზღაპრების აყოლა.“ შენ თქვი: „მას მე პატარა ბავშვად არ მივუჩნევივარ. არამც და არამც ბალებად არ მივუჩნევივარ.“ ამ სიტყვების თქმა და სახის აღენვა ერთი იყო. მამაშენმა ისლა თქვა: „დიდი ამბავი! რა იყო, რა თავში აგვარდინა!“ მე, გაკვირვებულმა, შევნიშნე სახე როგორ შეგეცვალა, შენმა სიტყვებმა გამოაცა, საგონებელში ჩამაგდო. მე ნაჩქარევად ბორძიკ-ბორძიკითა ვთქვი: „იქნებ წლეულს ვერ შეძლო, გაისად ჩამოვა, გაისად თუ არა, იმის გაისად მაინც“. რაღა თქმა უნდა, ცაი ახოვანა, ლამაზი იყო. სხეულის ყველა კიდური გრძელი, ჩამოსხმული ჰქონდა, სახე შეუვალე, მკაცრი, ნაქანდაკარი, პირისაზე მუდამ გაპარსული ისე, ლამის მწვანე ფერი დაჰკრავდა. შენ მოურიდებლად და გულახდილად მითხარი, რომ იმ ღამით, როცა უნდა გამგზავრებულიყო, შენი თავი საკუთარ ხელებში მოაქცია და ნაზად გეამბორა. კიდევ ისიც მითხარი, რომ ამის შემდეგ ამოიხრა და თქვა: „დაიკო, უმნიკვლოვ ... უმანკოვ ...“ ამის გამო ცოტა არ იყოს შემჯავრდა კიდევ. შენ თქვი: „მიდი, გაიხარე, სამხედრო გახდი, აი მაშინ შენ გამოგყვები.“ მე კი თქვი: „ოცნებას ნუ აჰყოლილხარ! ორასი ფუნტი!“ ღორის ხორციც რომ მიართვა, მაინც არა სჭირდები, ცოლად არ ნაგვიყვანს.“ „ჰოდა კაი, ის არ ნამიყვანს, შენ გამოგყვები.“ „მე კიდევ არა მნებავს!“ დავიყვირე. აღმაცერად გადმოხედე, დამცინავად მითხარი: „აი, თავშიც აგივარდა!“ ახლა რომ ვისხენებ, მაშინ უკვე კარგა გაფურჩქვნილი იყავი, ძუძუები აგკოკრებოდა, გულს მიჩქროლებდნენ, გული საგულეში მიხტოდა.

მუნჯი ჩემს მიმართ ამკარად გამოხატავდა ზიზღს, ეს ჩანდა ზევით ამკერილ ნეკა თითში, რომელიც განა მარტო ზიზღს, სიძულვილსაც ნიშნავდა. მე კი გულმოდგინედ ვწვლავდი ტუჩებს ღიმილის ნიშნად, ვცდილობდი მისი მიგობრული განწყობა დამემსახურებინა. მან კი ორივე ხელის თითები ერთიმეორეს გადააჭდო, რაღაც უცნაური გამოსახულება შექმნა და ჩემს სახეს მოუახლოვა. მე ჩემი სიჭაბუკისდროინდელი მურღალი ოინების გამოცდილებამ მიმახვედრა ამ გამოსახულების პასუხი. ეს რაღაც უშვერს, სიბილწეს ნიშნავდა. ამ ყველაფერმა ჩემში ძლიერი ზიზღი დაბადა, გეგონებოდა ხელში საზიზღარი გომბემო მჭეროდა. ის-ის იყო უკან გაბრუნება დავაპირე, რომ შევნიშნე სამი, სახით ერთნაირი, ერთნაირადვე ჩაცმული, ერთნაირადვე თავგადაპარსული ბიჭი რომ გამოგორდა კარიდან. მომშტერებოდნენ ერთნაირი წვრილი, ყვითელ-უანგისფერი თვალებით და სრულიად ერთნაირად მარჯვნივ გადაღრეცილი თავებით, როგორც სამი შეუღინდლავი ბარტყი, აფხორილი მამლაყინა. ბავშვები პატარა ბებრუცუნებსა ჰგავდნენ, შუბლზე ნაოჭებიც კი გასჩენოდათ. ყბები რაღაცნაირად ფართო და მყარი ჰქონდათ, ყველანი ცოტ-ცოტას კანკალებდნენ. მე ნაჩქაროდ ამოვიღე კამფეტები და მივმართე: „მიირთვით.“ მუნჯმა მაშინვე მათკენ გაიქნია ხელი, პირიდან ჩემთვის გაუ-

გებარი რამდენიმე ბგერა ამოაფურთხა. ბიჭები ხარბად დააცქერდნენ ჩემს ხელისგულზე გაშლილ ფერად-ფერად კამფეტებს, ხელის ხლებას კი ვერა ბედავდნენ. ის იყო გავიფიქრე, მივანოდებ-მეთქი, და მივუახლოვდი, რომ მუნჯი წინ გადამიდგა, გადამელობა, უხეშად იქნევდა ხელებს, თან გულისგამყინავ, ველურ ხმებს აყრანტალებდა.

\* \* \*

ნუან-ი თქოზე დონეზე მოყრილი რალაცნაირი ბარბაცით გამოვიდა შინიდან. ხელად მივუხვდი მისი დიდი ხნით შეყვონების მიზეზს. სუფთა, ლილურჯი ქურთუკი, ხელოვნური დი ციუნელიანგის<sup>14</sup> ქსოვილის შარვალი, გამტკიცული ნაკეცით. აშკარა იყო, ეს-ესა გამოეცვალა ტანისამოსი. ლილურჯი, ახლა უკვე მოძველებული თიემის<sup>15</sup> თარგის ზედატანი, უკვე კარგა ხანია აღარავის რომ არ აცვია. თვალი როგორც კი შევავლე, მაშინვე დამებადა წარსულის ნაღვლიანი განცდა. ქალიშვილებს ასეთ ტანისამოსში მართლაც ჰქონდათ განსაკუთრებული მიმზიდველობა და განუმეორებელი იერი, რადგან ლამაზად გამოჰქვევდა ათქვირებულ მკერდს. ნუან-ი მუდამ ტანკენარი იყო, გრძელკისერა, სახის ნაკვთები სწორი, ეშხიანი ჰქონდა. ახლა კი მის მარჯვენა თვალი ჩადგმული იყო ხელოვნური თვალი. ეს, რალა თქმა უნდა, სახეს ერთგვარ წონასწორობას აძენდა. მის ბედზე ნუხილით განვიმსჯელებდი. მე მუდამ მძიმე გულით ვაკვირდებოდი ადამიანთა ბედ-იღბალს. ახლაც ჩემი გული აბრეშუმის სიმივით დაჭიმულიყო და როცა ეს ყველაფერი ცხადად დავინახე, ბუნებრივია, ცახცახი დამანყებინა. არ ძალმიდგვა თვალი გამესწორებინა იმ თვალისთვის, სიცოცხლე რომ დაშრეტოდა. მართალია დაბინდულიყო, მაგრამ ფაიფურისებურად კი ბრჭყვიალებდა. რომ შენიშნა ვაკვირდებოდი, თავი დახარა, მუნჯს გვერდი აუარა და მომიახლოვდა. მხრებიდან ზურგჩანთა ჩამომხსნა, თქვა: „შინ შევიდეთ.“

მუნჯმა უეცრად, გაცოფებულმა, გაათრია იგი, თვალეში ელვა ეკლაცნებოდა. ჩემს შარვალზე მიუთითებდა, ნეკა თითი აეშვირა და ზედ ცხვირწინ მიტრიალებდა, არაადამიანურ ხმებს უშვებდა. სახის თითოეული ნაკვთი უმოძრავებდა, ხან ეკუმშებოდა, ხან უფართოვდებოდა, ემანჭებოდა. ეს სახე შიშსა და შემოფოთებასა შებადებდა. ბოლოს და ბოლოს მინაზე დააფურთხა, ფურთხის მსხვილძვალა ტერფით გასრისა. მისი ჩემდამი სიძულვილი, ჩანს, უშუალოდ ჩემი ჯინსებით იყო გამოწვეული. ვინანე, სამშობლოში სამგზავროდ ჯინსი რომ ჩავიცვი და გადავწყვიტე, შინ დაბრუნებისთანავე ჩემს მერვე ბიძიასგან რომელიმე ფართოტოტებიან შარვალს ვითხოვებდი და ჯინსში გადავუცვლიდი.

„სიაოკუ, შეხე, უფროსი ძამიკო არ მიცნობს.“ — აშკარად დარცხვენილმა წარმოვთქვი.

მან მუჯღუფუნო გაჰკრა მუნჯს, საჩვენებელი თითით ჩემზე მოათითა, მარჯვენა ხელის ცერა თითი ჩვენი სოფლისაკენ გაიშვირა. მერე ჩემს ხელს მიათითა, მიათითა მუდმივ კალამს, ჩემი უბის ჯიბიდან რომ ამოშვერილიყო, თან მიაწინა ჩემი ინსტიტუტის სამკერდე ემბლემაზე, გულისპირზე რომ მეხნია, ხელით ნერისმაგვარი მოძრაობა გააკეთა. მერე ისევ ხელით ოთხკუთხა საგანი მოხაზა, ეს, ალბათ, წიგნსა ნიშნავდა. შემდეგ ციხაკენ აიშვირა ცერა თითი. მისი სახე მრავლისმეტყველი, მეტად გამომსახველი იყო. მუნჯი ცოტა არ იყო გაშტერდა და წამში დაცხრა. თვალეში მორჩილი დიდი ბავშვისა გაუხდა. მისი ფართოდ დაფრენილი პირიდან ამოდინოდა სიცილის ხმა, ძალისი ყეფას რომ მიუგავდა, გამოაჩინა ნაფოტ-ნაფოტა ყვითელი კბილები. იგი ხელისგულს მიტყაპუნებდა მკერდზე, მერე ფეხების ბაკუნს მოჰყვა. გაჰყვიროდა, სუნთქვა ეკვროდა, წამონითლდა. ზუსტად ვუგებდი მის ალტკინებას და მეც ამიჩყვდა გული. როცა ვიგრძენი, რომ მუნჯის ძმური ნდობა დავიმსახურე, გულზე საგრძნობლად მომეშვა, მთელმა სხეულმა შეება იგრძნო. ის სამი ბიჭი გაუბედავად მომიახლოვდა. თვალის დაუხამხამებლად დაამტერდნენ კამფეტებს, ხელში რომ მეჭირა.

მე ვთქვი: „აბა, მოდიო!“

ბიჭებმა მამას გადახედეს. მუნჯმა ჩაიხიოხიოთა. ბიჭები წამისუმალ კატის მოქნილი სისხარტით მომახტნენ, ჩემს ხელისგულზე კამფეტებს დაეძგერნენ. მინაზე დავარდნილი კამფეტები ერთიმეორისათვის რომ წაეგლიჯათ სამმა გადახოტრილმა თავმა ზედახორა ატეხა. მუნჯი, მათი შემყურე, იცინოდა. ნუან-მა ღრმად ამოიოხრა, თქვა:

„აი, ყველაფერიცა ნახე. ხომ სასაცილოა ... შეგიძლია დაგვიცინო.“

„სიაოკუ ... როგორ გეკადრება ... ყველანი ისე საყვარლები არიან ...“

მუნჯმა, გრძნობამორეული რომ მაკვირდებოდა, გაიცინა, შებრუნდა, თავისი დიდრონი ტერფით გაყარ-გამოყარა სამივე ბიჭი. ბიჭები ხვნეშდნენ, ერთიმეორეს ბრაზიან თვალეებს უბრიალებდნენ. მე მოვჩხრიკე კამფეტები, სამ თანაბარ ნაწილად გავყავი, მათ გავუნოდე. მუნჯი გაჰყვიროდა, აუ, აუ, და ხელის თითებს უცნაურად ამოძრავებდა. ბავშვებმა ხელები ზურგსუკან წაიღეს, ნაბიჯ-ნაბიჯ უკან-უკან დაიხიეს. მუნჯმა კიდევ უფრო ხმა-მაღლა დაიღმუვლა „აუ“. ბიჭებს სახე დაემანჭათ. თითოეულმა თითო-თითო კამფეტი აიღო, დადო მამის მსხვილძვალა, ფართო ხელისგულზე... მერე მათაც დაიღმუვლეს და მოუსვეს იქედან, შორს გაქრნენ, ვითომც არცა ყოფილან. მუნჯი, სამივე კამფეტით ხელში, ბლაგვი გამომეტყველებით დააცქერდა და მე შემომხედა. პირიდან კვლავ „აუ, აუს“ ხმა ამოსდიოდა, ხელები კი რალაც გაუგებარს გამოხატავდა. მე ვერაფერი გავიგე. შველისათვის ნუან-ს გადახედე, დამეხმარე-მეთქი. ნუან-მა თქვა: „ამბობს, დიდხანია გაცონილი მაქვს შენი განთქმული სახელიო. პეკინიდან რომ ჩამოგვიტანე, ის საუცხოო კამფეტი სურს რომ გასინჯოს.“ მე გავაკეთე მოძრაობა, თითქოს პირში რალაცას ვიყრიდი. მან გაიცინა, დიდი გულმოდგინებით შემოაცალა კამფეტს ქალაღი, პირში ჩაიგდო და დალეჭა. თავი ცალ მხარეს გადახარა, თითოს რალაცას აყურადებდა. ისევ აიშვირა ცერა თითი. ახლა ჩემთვის უკვე გასაგები იყო — მიქებდა გემრიელ, საუცხოო კამფეტს. მალე მეორეც შესანსლა. მე ნუანს-ს მივუბრუნდი, ვუთხარი, რომ შემდეგი ჩამოსვლისას უსათუოდ ბევრ მაღალხარისხოვან კანფეტს ჩამოვუტანდი უფროსი ძამიკოს. ნუან-მა თქვა: „შენ განა კვლავაც შეძლებდა აქ ჩამოსხვიდე?“ მიუუგე, უეჭველად ჩამოვალ-მეთქი.

მუნჯმა მეორე კამფეტიც რომ ჩაღებდა, ცოტას ჩაფიქრდა და ერთი კამფეტი ნუან-ს გაუნოდა, ზედ სახესთან მიუტანა. მან კი თვალეები დახუჭა. „აუ“, აყვირდა მუნჯი. მე, იმის შემხედვარეს, როგორ იქნევდა თვალდახუჭული ნუან-ის წინ ხელებს, გული ამითრთოლდა. ნუან-ი, თვალდახუჭული, კვლავინდებურად უარის ნიშნად იქნევდა თავს. „აუ, აუ“ — ბრაზმორეული ღმუოდა მუნჯი. მარცხენა ხელით თმაში სწვდა, თავი უკან გადაუქაჩა, სახე რომ გამოსჩენოდა, და თან მარჯვენა ხელით კამფეტი პირში მოიგდო, კვლებით შემოახია შესაფუთი ქალაღი, მერე ორი თითით დაიჭირა დადარბოლიდა, დამბალი კამფეტი და ცოლს პირში ჩასტენა. ნუან-ს პირი არ ჰქონდა პანანინა, მაგრამ ქმრის თითებთან შედარებით, ორ ჩაყვითლებულ კიტრს რომ მიუგავდა, მისი პირი მოცუცქნული ჩანდა. მისი შავი და ტლანქი თითები, ცოლს პირში ძალით რომ სტენიდნენ კამფეტს, კიდევ უფრო მკვეთრად აჩენდა ნუან-ის ნაზი ტუჩების მოხდენილ ნაკვთს. მის უშველებელ ხელებში მოქცეული ნუან-ის სახე კიდევ უფრო სათუთი ჩანდა.

მას პირში ედო კამფეტი, არც გადმოუფურთხებია და არცა დალეჭა, ხოლო მისი სახე ისე უჩვეულოდ წყნარი იყო, როგორც მიტოვებულ წყალსაცავში ჩამყავებული წყალი. მუნჯმა თავისი გამარჯვებით გაიხარა, გაღიმებულმა მე გადმოხედა.

ქალმა რალაც გაურკვეველად თქვა: „შევიდეთ, რალა. რა სულელურად დაემდგარვართ ამ ქარში.“ მე შარანი და ათვალწუნებული თვალი მიმოვავლე ეზო-კარს. ქალმა თქვა: „რას უყურებ? ეს დიდი სოფლები ვირი ტლინკებსა ყრის, იკბინება, უცხოები აქ მოახლოებასაც ვერა ბედავენ. ჩემს ხელში კი მორჩილია. გაზაფხულზე ძროხა ვიყიდეთ. ერთი თვეც იქნება ხბო მოიგო.“

\*\*\*

ეზოში იდგა დიდი ღია ფარდული, ფარდულში იდგა ვირი და ძროხა. ძროხა მჭლე ჩანდა. ფეხქვეშ ედგა ჩასუქებული ხბო, ცურს უნოვდა. ხბო ფეხებს აბაკუნებდა, კუდს აქეთ-იქეთ აქიცინებდა, შუბლით ძროხის ცურს ერჩოლებოდა. ძროხას, ჩანდა, სტიკოდა კიდევაც, ხანდახან ტკივილისაგან ზურგს აიკუნზავდა, თვალში კი მოცისფრო, ნალვლიანი სხივი უკრთოდა.

მუნჯი ათის სამყოფსა სვამდა, ისე, ხალხში რომ იტყვიან, „ღვინოს ზღვასავითა ხერეპსო“. ჭურენ პაიკარ-ის<sup>16</sup> სახელგანთქმული ღვინით სავსე ბოთლის ათი წილიდან ცხრა მან გადაყლურნა. მე — მხოლოდდამხოლოდ ერთი. სახე არ ეცვლებოდა, მე კი უკვე თავბრუ მესხმოდა. ახლა მეორე ბოთლს მოხსნა პირი, დამისხა, სირჩა შემეცო. თავისი სირჩა დიდი პატივით ორივე ხელით თავს ზევით აღმართა ჩემს პატივსაცემად. ვშიშობდი, ვაითუ მენყენებინა, ჩემი ახალი მეგობრის გული მომეკლა, სასონარკვეთილმა, სოფელში როგორც ამბობენ „სასონარკვეთა მსგავსი იმისა, ნორი ლამფის შუშითა ნაყო“, ისე ჩამოვართვი სირჩა და ყლურნ — ბოლომდე გამოვცალე. მეშინოდა, პატივისმცემელ ჟესტს გაიმეორებს-მეთქი და თავი მოვრალად მოვარჩენე, მობრეცილი მივეყუდე დაკეცილ-აკოკოლავებულ საბნებს. იგი აგზნებული, სახე აღენილ-აჭარხლებული იყო, თითებით ნუან-ს რალაცას ანიშნებდა, ის ასევე პასუხობდა, მერე კი დანელებული ხმით მითხრა: „ნუ აპყვები, ნუ ედრები, შენაირს ათს დაათრობს. არასგზით არ დათვრე“. ამ სიტყვებით მან მკაცრი მზერა დამასო. მე მარჯვენა ხელის ცერა თითი ავიშვირე, მერე კი მუნჯზე მივათითე, ნეკა თითით კი ჩემზე ვანიშნე. ამით შესაძლებელი გახდა სასმელი გაეტანათ და მოერთმიათ ნიაო<sup>17</sup>. მაშინ ვთქვი: „სიაოკუ, მოდი, ერთად შევექცეთ“. ნუან-მა ყრუ-მუნჯის თანხმობაც მიიღო. სამივე ბიჭი იმავე ნამს ამოძვრა ქანგ-ზე.<sup>18</sup> ერთმანეთს არ აცდიდნენ, ისე ეცნენ საქმელს, როგორც მშიერი მგლები და ვეფხვები. ნუან-ი კი იდგა ქანის ძირას, გვემსახურებოდა. ვთხოვდით, მიირთვიო, მაგრამ თქვა, კუჭი ვერა მაქვს რიგზეო, მადა არა მაქვსო.

ნასადილეც ქარი ჩადგა, ღრუბლები გაიფანტ-გამოიფანტა, ზაფხულის ავი მზე ცის სამხრეთ კიდეს გადმოეკიდა, დედამინის თავზე ვარვარებდა. ნუან-მა კარადიდან გამოიღო ყვითელი ფერის ქსოვილი, ყრუ-მუნჯს სამ ბავშვზე და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიუთითა. ყრუ-მუნჯმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. ნუან-მა მითხრა: „შენ მოისვენე. მე მაზრის ცენტრში მივდივარ, ბავშვებისათვის ტანისამოსი უნდა გამოვაჭრევიო. ჩემს დაბრუნებას ნუ დაელოდები, ნაშუადღევს ნადი“. ერთობ მოღუშული მიცქეროდა, ილღიაში ამოიღო ბოხჩა, ნაჩქარევად გაქუსლა ეზოში, თეთრი ძალღი ენა-გადმოგდებული გაედევნა.

მე და ყრუ-მუნჯი დავარჩით ერთმანეთის პირისპირ. როგორც კი ჩვენი მზერა გადაჯვარედინდებოდა, მყისვე გამიღორიჭებდა. სამმა ბიჭუნამ პატარა ხანს იხმაურა, მერე კი ნამოგორდნენ და დაიძინეს, ეს მათ ზუსტად ერთდროულად გააკეთეს. მზემ როგორც კი ღრუბლებიდან გამოაჭყიტა, ჩამოცხა, ხეებზე ციკადები აჭრიჭინდნენ. მუნჯმა ქურთუკი გაიძრო, ტიტველა ტანზე გამოუჩნდა ხორციანი კუნთები. მე მისი ცხოველური ოფლის სუნი მეცა და რალაც შიშმაც დამრია ხელი. მომწყინდა კიდევ. ყრუ-მუნჯი თვალებს აფახულებდა, შიშველ გულ-მკერდს ორივე მჯილით ისრესდა ისე, რომ სხეულზე ცალე ჩამოუგორდა ასოროსილი მონაცრისფრო ჭუჭყი თავის ცურცლივით. ნარამარა გადმოაგდებდა ენას და ხელიკივით ილოკავდა თავის სქელ-სქელ ტუჩებს. მე ზიზიდი და გულისრევა მეუფლებოდა. გული ნებაუნებურად მიმინევდა ხიდქვეშ გამჭვირვალე, გრილი, მომწვანო წყლისაკენ. მზე ფანჯარას აჭერდა და ჯინსებში ჩემს ფეხებს აცხუნებდა. მე ავნიე ხელი, მაჯის საათს დავხედე. „ო, ო, ო!“ აყვირდა მუნჯი. ჩამოხტა ქანგიდან, კარადის უჯრაში მიაფათურ-მოაფათურა, ამოიღო ელექტრონული საათი, მე მიჩვენა. მის სახეზე მავედრებელი გამომეტყველება ამოვიკითხე. ვიფარისველე, ნეკა თითით ჩემს მაჯის

საათზე, ხოლო ცერა თითით მის ელექტრონულ საათზე მივანიშნე. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. თავისი საათი მარჯვენა მაჯაზე ნამოიცვა. თითით ვანიშნე, მარცხენა მაჯაზე გაიკეთე-მეთქი. მან გაუგებრად გაიქინა თავი. მე გავიცინე.

„რა სიცხეა. წლეულს კარგ მოსავალს ველით. შემოდგომით ჭირნახული იქნება. შენი ვირი კაი გვარია რამეა. მესამე ყრილობის შემდეგ გლეხობა გამიდრდა, ცხოვრების დონე ამაღლდა. შენ, უფროსო ძმაო, ასევე მდიდრდები. დროა ტელევიზორი იყიდო. ჭურენგ პაიკარი ძველი მარკაა, მაგარია, მაგრამ ურცყავს“.

„ო, ო, ო, ო!“ მისი სახე კმაყოფილებასა და ბედნიერებას გამოხატავდა. ორი შეტყუებული თითი ჯერ თავზე მიიღო, მერე კისერზე, შიშნარევად გავიფიქრე, ვინმეს თავის ნაცლას ხომ არ უპირებს-მეთქი? მიხვდა, რომ ვერაფერი გამაგებინა, აღელდა, თანაც ისე, ხელები აუკანკალდა. „ო, ო, ო, ო, ო, ო!“ თავის მარჯვენა თვალზე მიმითითა, მერე ისევ თავზე, მერე ხელი კისერზე ჩამოსვა და შეჩერდა. მივხვდი, სურდა ნუანის შესახებ რალაც ეთქვა. მე თავის გაქნევა მომიწია. მან მიმითითა თავის მკერდზე შავ ძუძუებზე, მერე ბავშვებზე, მერე მუცელზე მოითათუნა ხელი. თითქო რალაცას ვიგებ, მაგრამ მაინც გაუგებრობაში ვარ, უარყოფის ნიშნად თავს ვაქნევი. იგი აღელვებული ჩაცუცქდა, მთელი ძალები მოიკრიბა, რათა სათქმელი ჩემამდე რამენაირად მოეტანა. მეც, რაც ძალი და ღონე მაქვს თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევი, თანაც ვფიქრობ, საჭიროა ყრუ-მუნჯთა ენა დავისწავლო. ბოლოს და ბოლოს, ოფლად გავხვითქული ვემშვიდობები. ეს ორივესათვის გასაკლები რამაა. მას სახეზე აღებუჭდა სრულიად ბავშვური, ნოფენი გამომეტყველება. ხელისგულით ჯერ ჩემს გულზე, მერე კი თავის გულზე მიიტყაპუნა. ლამის იყო დავიღვრიალე: „უფროსო ძმაო, ჩვენ მაგარი ძმები ვართ!“ მან სამჯერ შემოპკრა სამ ტყუპს, სამივე გამოაღვიძა, რათა ძილისგან შენებებული თვალებით გავეცილებინეთ. ალაყაფის კართან მისულმა ზურგჩანთაში მოვავათურე ხელი, ამოვიღე მექანიკური ქოლგა და ვუსაჩუქრე. თან ისიც დავასწავლე, თუ როგორ უნდა მოეხმარა. მან, ვითარცა უძვირფასესი განძის პატრონმა, ქოლგა თავს ზევით ასწია და მისი გამლა-დაკეცვა ნამოინყო, ისევე გამალა, ისევე დაკეცა, ასე ბევრჯერ გაიმეორა. სამი ბიჭი, თავადღერებულები, ნამძინარევე თვალებს აჭყეტდნენ და შესცქეროდნენ ამ საოცრებას. შევამჩნიე, როგორ უცახცახებდათ ნიკაპები. თითი გავკარი ყრუ-მუნჯს, მივუთითე გზისაკენ, სამხრეთისაკენ რომ განოლილიყო. „ო, ო“ — გაპყვიროდა იგი, თან ხელს მიქნევდა, მერე ჩქარი ნაბიჯით შევარდა შინ. გამოიტანა გაშლილი ხელისგულისოდეგა გრძელი დანა, ხარის რქისგან ნაკეთი ბუდიდან ამოიღო, დანა ზედ სახესთან მომიახლოვა. დანის პირმა ელვარებით თვალის მომჭრა. ხელად მივხვდი, ძალზე ბასრი იქნებოდა. თითის წვერებზე აინია, თავს ზემოთ ჩინარის ხეს თითის სიმსხო რტო ჩამოასახიპა, დანით ქერქის გაცლა დაიწყო. წვრილ-წვრილი რტოები ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით მიწაზე ცვიოდა.

მან დანა ზურგჩანთაში ჩამიღო.

\*\*\*

მივდიოდი, თან ვფიქრობდა, აი, ყრუ-მუნჯი კია, მაგრამ ხასიათში ვაუკაცობა შემორჩენია, მამიდიკო ყრუ-მუნჯის ცოლი კია, მაგრამ, ასე მგონია, არც ისე ძალიან მიძიმე ჭაპანს ეწევა. მართალია, ვერა საუბრობენ, მაგრამ დრო გადის და შესტეებით, მიმიკით ხომ ერევიან საუბარს, ეს ხომ ეხმარება ფიზიკური ნაკლითა და ზადით გამონვეულ უხერხულობა-სიძნელეთა გადალახვაში. თუმცა ეს ჩემი განცდები, არამკითხე მეამბეობას, ყველას მამიდობასა ჰგავდა. ხიდის თავს რომ მივალნიე, თავი მივანებე ნუან-ზე ფიქრს. მარტო იმასა ვნატრობდი, ხიდქვეშ წყალში ჩავმტარეყავი და მებანავა. გზა იყო უკაცრიელი და წყნარი. დილის ნაწვიმარი დიდხანია დამშრალიყო, მინა იყო გამხმარი, ყვითელი მტვრით მოფენილი. გზის ორივე

მხარეს კაოლიანის ზურმუხტოვანი ფოთლების შამბნარში დახტოდნენ მზის სხივებით ალაპლაპებული მოვარდისფრო ქერეჩიანი კალიები. ფარფატისას ქერეჩი ჭრიჭინებდა კდ, კდ. ხიდქვეშ მოდუღუნებდა მდინარე, ხოლო იქ, ხიდის თავში, სადაც ქვის ბურჯი აღმართულიყო, თეთრი ძაღლი იჯდა.

თეთრი ძაღლი, როგორც კი მომკრა თვალი, ნელ-ნელა აყვავდა. თეთრი ეშვები და კბილები დაკრიჭა. მე რაღაც ისეთი წინათგრძნობა წამომიტივტივდა, გონითაუნვლომელი ამბავი მოხდებოდა. თეთრი ძაღლი წამოდგა, შამბნარისაკენ გაძუნ-ძულდა, მიდის, თან უკან-უკან იყვებდა, თითქოს მიმისმობსო. რატომღაც სათავგადასავლო ფილმების კადრები გამახსენდა. გამბედაობა მოვიკრიბე და გავყევი. თან ზურგჩანთაში ჩავყავი ხელი, მაგრამ ჩაბეჭდვებ ბასრი დანის ტარი. შამბნარი რომ გავწი-გამოვწი და კაოლიანის ტვერში შევძვერი, ვხედავ, იქ ზის, მის გვერდით კი ჩემთვის უკვე ნაცნობი ბოხჩა დევს. ჩანს, მან ყანის ნაწილში კაოლიანი დატკეპნა, შექმნა რაღაც მცირე სივრცე, რომლის ირგვლივაც თევზირივით იდგა მჭიდროდ შეტემახსული კაოლიანი. მე რომ დამინახა, ბოხჩიდან ამოიღო ყვითელი ფერის ქსოვილი, მიწაზე დადო და წაწოლილი, დატკეპნილი კაოლიანზე გაშალა. სახეზე მზის გამჭოლი სხივის ფერად-ფერადი ათინათი ულიცლიცებდა. გვერდით თეთრი ძაღლი მუცელზე განოლილიყო, თავი წინა თათებზე დაედო და სიცხისგან ძაღლური ქოშინი გაება: „ხად, ხად.“

\*\*\*

ცივმა ოფლმა დამასხა, კბილი კბილს აღარ ხვდებოდა, ყბა ჩამომვარდა, მთლად გავმტვრედი: „შენ... აკი მაზრის დედაქალაქში მიდიხარ? აქ რაღატომ მოვირბენია...“

„მე ბედ-იღბლისა მწამს.“ ერთი კამკამა, მჭვირვალე ცრემლი ლოყაზე ჩამოუგორდა. მან თქვა: „თეთრუას ვუთხარი, ძაღლიყო, ძაღლო, შენ თუკი გავეგება ჩემი გულისნადებისა, მაშინა ხიდის თავისაკენ, აქ მომიყვანე. თუკი აქ გამოჩნდება, ესე იგი ჩვენი კარმა არ დამთავრებულა. და აი, მოგიყვანა კიდეც.“

„ჩქარა, მოუსვი შინ.“ მე ზურგჩანთაში მოვაფათურე დახა, ვთქვი: „იმან ეს დანა მაჩუქა.“

„შენ რაც ნახვედი, ჩაიქროლა ათმა წელიწადმა, მეგონა, აღარასოდეს აღარ შევხვდებოდი ერთმანეთს. ცოლიანი ხარ? ჯერ არ შეგირთავს?... აი, შენ ნახე იგი ისეთი, როგორიც არის... თუ უყვარხარ, სულს ამოგხდის კოცნით, ხვევნა-კოცნით დაგახრჩობს... თუ იეჭვიანა, მცემს რაც ძალი და ღონე აქვს, მიმასიკვდილებს... მამაკაცს, ერთს მაინც, სიტყვა თუ ვუთხარი, უკვე ღალატის ეჭვი აქვს. ერთსა ოცნებობს, სელის თოკით დამაბას. ყოლში ამომივიდა. მოწყენილობისაგან ისლა დამრჩენია, მთელი დღე ამ თეთრუას ველაპარაკო. ძაღლო, მას აქეთ, რაც თვალი დაგვარგე, ჩემთან დაიდე ბინა. ჩემზე სწრაფად კი ბერდები. გავთხოვდი და მეორე წელიწადსვე დავფხვნიმდი. მუცელი უზარმაზარი გამომებერა, გეგონებოდა, დიდი ბუშტი გადამეყლაპოს. ძირს რომ დამეხედა, ფეხის წვერებს თულა ვხედავდი. მშობიარობამდე უკვე უიმისოდ ფეხს ვეღარსად ვადგამდი. ზედიზედ სამი ტყუპი ვაჟი გავაჩინე. თითო ოთხიოდე ფუნტზე მეტი თუ იყო. კნუტებივით გაჩხიკულები იყვნენ. ჩხაოდა — ყველა ერთად, შიოდა — ყველას ერთდროულად. მე კი მარტო ორი ძუძუ მაქვს. რიგრიგობით ვაჭმევდი. რომელსაც არ ეყოფოდა, ჩხაოდა. იმ ორ წელიწადს ლამისაა დამბლა დამეცა. რომ გავაჩინე, ერთი ფეხრილა მიკლავდა გულს — ჰოი, ზეცავ, ნუ იქმ იმას, მამასა ჰგავდნენ! ნეტავ თითოეულს სიტყვის ამოთქმა მაინც შეეძლოს-მეთქი! შვიდი-რვა თვისანი რომ შეიქნენ, გული გამეყინა, ჩანდა, რაღაც არ იყო რიგზე, თითოეული ბლუც იყო და ყრუც. ტირილიც იცოდნენ გაბმული, როგორც გაფშეკილი ცომსაზელი ჯოხი, ვლოცულობდი, ჰოი, ზეცავ! ზეცავ! ნუ იქმ იმას, ეს ნაჩეკი ყრუ-მუნჯი იქნეს! ეგებ ერთმა, ერთმა მაინც გაიგონოს, ტაშს რომ შემოვკრავ-მეთქი. სიტყვას მაინც მეტყოდეს რომელიმე... ბოლო-ბოლო ყველა ყრუა და მუნჯია...“

თავი ჩაქვინდრე და ძლივძლივობით ამოვღერდე: „კუ... სი-აოკუ... ყველაფერი ჩემი ბრალია. იმ წელს ძალით რომ არ წამეყვანე საქანელაზე...“

„შენი რა ბრალია. მე ბევრი მიფიქრია, თვითონვე ვარ დანაშაუნი. იმ წელს, მე ხომ გიამბე, ბრიგადირმა ცაი-მ შუბლზე რომ მაკოცა... უფრო გაბედული რომ ვყოფილიყავ, გავყვებოდი შტაბში, ის აღარ გამომიშვებდა. ვიცი, გულწრფელად მოვწონდი. მერე მოხდა ის, რაც საქანელაზე მოხდა. შენ რომ უნივერსიტეტში გაემგზავრე, ჯერ კიდევ მწერდი, მე განგებ არა გპასუხობდი. ვფიქრობდი, როგორ უნდა გავეტოლო, მე, ხეი-ბარი, თანაც გაუნათლებელი-მეთქი. აჯობებს, ჩვენში რომ იტყვიან: „ჯობს ერთი მარტო იყინებოდეს, ვიდრე ორივენი და ცალ-ცალკე!“ ახლა ვიფიქრე და მივხვდი, სულელზე სულელი ვიყავ. მართალი მითხარი, ახლა რომ გამოგყვე, წამიყვანდი?“

რომ დავინახე მისი შეშლილი სახე, გული ამიჩუყდა. ვთქვი: „რა თქმა უნდა წამიყვანდი, უეჭველად.“

„ყოჩაღ... მაგრამ შენც უნდა გამიგო .... მე შემემინდებოდა, რომ თავს მოვაბეზრებდი, შეგზინდებოდა ჩემი ჩადგმული თვალი. მაგრამ ახლა დედათა რიგის დრო ზუსტად მომწინფებია ... მე მხოლოდ ერთი ენაადგმული შვილი მინდა... თუ თანახმა ხარ — გადამარჩენ. თუ არადა — მომკლავ. ვიცი, მესმის, ათასი საბაბი გაქვს, ნურაფერს მეტყვი, იყურე...“

...

**განმარტაბანი:**

- 1. მთვარის კალენდარი** — უძველესი ჩინური კალენდარი
- 2. კაოლიანი** — ღობის მავგარი მცენარე.
- 3. ლოგორო** — დიდი კონა ფოთლებისა. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი
- 4. ტუნაუ** — ჩინური მთვარის კალენდრის თანახმად მეხუთე თვის მეხუთე დღე. ერთ-ერთი დიდი ეროვნული ტრადიციული ხალხური დღესასწაული
- 5. კაოი** — შანდუნგ-ის ერთ-ერთი დაბა.
- 6. ნიეფანგჯინი** — სახალხო გამანათავისუფლებელი არმია. 1949 წლის რევოლუციის შემდეგ ასე ეწოდება ჩინეთის არმიას.
- 7. ცინი** — უძველესი ჩინური სალამურისდაგვარი საკრავი.
- 8. სიაოკუ** — მამიდებს შორის უმცროსი, პატარა მამიდა. სიტყვა-სიტყვით: სიაო — პატარა, უმცროსი. კუ — მამიდა.
- 9. ცივი საკვების დღესასწაული** — ერთ-ერთი ტრადიციული დღესასწაული, მიცვალებულთა მოსახსენიებელი, საფლავზე გადინან და მიაქვთ წინა დღით დამზადებული საკვები.
- 10. ეშმაკის საგუშაგო** — ალყაფის კარი, რომელშიც საიქიოში მოსახვედრად უნდა შესულიყვნენ გარდაცვლილი გუიები, ანუ გარდაცვლილი ადამიანები, ეშმაკეულნი.
- 11. ჭენგლუნგი** — ჩინური დიდი ორთქლის ქვაბი.
- 12. ტოუ'ძი, ტოუ ფუ** — მრავალყვიანი, მრავალბუნდნიერი.
- 13. ტოუ ფუ** — გადაკრული სიტყვაა, ქარაგმა, მართალია, გამოითქმის ერთნაირად, მაგრამ იეროგლიფი სხვადასხვაა. სიტყვა-სიტყვით: ტოუ — ბევრი, ძ — ვაჟიშვილი, ტოუ ფუ — ჩინური სიოის ყველი, ჩვეულებრივი, ყოველდღიური საკვები. გამოდის ბევრი ვაჟი, ბევრი ყველი. ანუ ყველაფერი ფუჭია, უაზრობაა, სისულელეა.
- 14. დი ციუნლიანის ქსოვილი** — ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილი, გამოგონებული XX ს. 50-იან წლებში, ადვილად ირეცხება, აბრეშუმზე ბევრად იაფია და ამავდროულად ძალიან ჰგავს აბრეშუმს.
- 15. თიემის თარგის ქურთუკი** — 50-60-იან წწ. მოდური, ჩინური თარგის ქურთუკი, მაღალი, ყელსმომდგარი საყელოთი და ტრადიციული ჩინური საკინძით, დაგრეხილ-დანწული ლილეებითა და ლილეკლოებით
- 16. ჭუჩენ პაიკარ-ი** — არყისმავარი თეთრი ფერის ალკოჰოლური სასმელი
- 17. ნიაო'ძი** — ჩინური ტრადიციული კერძი, პელმენის მსგავსი.
- 18. ქანგი** — აფურთხ ნაშენები სათბობი, ლუმელივით, ქვეშიდან თბებოდა.

ჩინურიდან თარგმნეს  
ლიუ-ყანდარელ კუანგჰინგა  
და რუსუდან ქუთათილაძემ

მამუკა ბერძენიშვილი

# ქართული მეცნიერის ბიოგრაფიული იტალიაში გამოცდა

გასული წლის დეკემბრის თვეში 95 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს ელენე მეტრეველს. მდიდარია ქალბატონი ელენეს მეცნიერული მემკვიდრეობა: ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობები, ლიტერატურათმცოდნეობის, არქეოგრაფიის, კოდიკოლოგიის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხები. ავტორია თხუთმეტი მონოგრაფიის და მრავალი სამეცნიერო გამოკვლევისა, ზოგიერთი ნაშრომი კი დღემდე არ არის გამოქვეყნებული.

1958 წლიდან, მთელი მისი ცხოვრება — სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) უკავშირდება, სადაც არქეოგრაფიულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, 1968 წლიდან კი — ორი ათეული წლის მანძილზე ამავე ინსტიტუტის დირექტორია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაისტამბა საქართველოსა და საზღვარგარეთის არქივებსა და წიგნსაცავებში დაცული ქართულ ხელნაწერთა აღწერილობები. „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს)“ წარმოადგენს იერუსალიმის ჯგერის მონასტრის ქართული აღაპების პუბლიკაციას. სირია-პალესტინის გეოგრაფიულ არეალში მკვლევარმა აღმოაჩინა მანამდე უცნობი ორი ქართული კულტურული ცენტრი. ამ საკითხს მიუძღვნა გამოკვლევა „შავი მთის მნიშვნელობის კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში“.

ათონის ივირონის მონასტრის მნიშვნელობა ჩვენი და საზოგადოდ, აღმოსავლური ქრისტიანული კულტურისათვის, განხილულია მონოგრაფიებში: „ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან“ და „ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი“.

ქალბატონი ელენე უცხოელ საზოგადოებას აცნობდა ძველ ქართულ ხელნაწერებს ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის საკითხებს. მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, არჩეულ იქნა ტუბინგენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

ბელგიელმა მეცნიერმა ჟ. მოსეიმ, 80-იან წლებში წინადადებით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, რათა კაბადოკიელი მამის — გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა სრული კრებულისათვის „Corpus Nazianzenum“ (დღემდე გამოსულია 25 ტომი: ბერძნული, არაბული, სირიული, სომხური, ქართული რედაქციები), ჰომილიათა ძველი ქართული თარგმანების პუბლიკაცია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში მომზადებულიყო. ელენე მეტრეველის უშუალო ხელმძღვანელობით დასაბუთდად მომზადდა — წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი — ნაზიანზელის ჰომილიათა კრებუ-

ლები: Sancti Gregorii Nazianzeni. Opera. — Versio Iberica, დღემდე გამოსულია ხუთი ტომი.


მეტრეველის საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მისი საიუბილეო დღეები ფართოდ აღინიშნა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. დაბადების მე-80 წლისთავს საგანგებოდ გამოეხმაურა იტალიის სამეცნიერო საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ იტალიურ ენაზე მისი შრომები არ არის გამოქვეყნებული. რომის კონსტანტინესა და ანგელოზების სახელობის ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალმა „Studi sull' Oriente Cristiano“ („გამოკვლევები ქრისტიანულ აღმოსავლეთზე“ ოთხი სპეციალური ნაკვეთი (vol 4, parte I-II — 2000, vol 5 parte I-II — 2001) —

Miscellanea Metreveli (მეტრეველის კრებული) — მიუძღვნა მას, რომლებშიც ქართველ მკვლევართან ერთად დასტამბულია უცხოელ მეცნიერთა წერილები.

ჟურნალი „Studi sull' Oriente Cristiano“ 1997 წელს დაარსდა (მთავარი რედაქტორია პროფესორი გაეტანო პასარელი) და აღმოსავლური ორიენტაციის სხვა იტალიურენოვან ჟურნალებთან ერთად („Orientalia“, „Oriens Antiquus“, „Bibbia e Oriente“, „Orientalia Christiana Periodica“, „Rivista degli Studi Orientali“, „Annali“, dell'Istituto Universitario di Napoli, „Studi e ricerche sull' Oriente Cristiano“, „Annali“ di Ca' Foscari — „serie Orientale“), მასალებს აქვეყნებს

საქართველოს ისტორიაზე, ქართულ ლიტერატურასა და კულტურაზე.

ელენე მეტრეველისადმი მიძღვნილი „Studi sull' Oriente Cristiano“-ს საიუბილეო კრებულის პირველი ნომერი პროფესორ გაგა შურღაიას რედაქტორობით დაიბეჭდა. ამავე ნომერშია მის მიერ შედგენილი ელენე მეტრეველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღების ნუსხა, შრომათა ვრცელი ანოტირებული ბიბლიოგრაფია ქართულ და იტალიურ ენებზე. აღწერილი მასალა 216 დასახელებას მოიცავს და დაყოფილია ქვეთავებად. ქართველი მეცნიერი ქალის ღვაწლის დაფასებისათვის, რედაქტორს — გ. პასარელის და იტალიის სამეცნიერო საზოგადოებას მადლობა გადაუხადა საქართველოს მაშინდელმა ელჩმა იტალიაში რუსუდან ლორთქიფანიძემ და თავად ქალბატონმა ელენე მეტრეველმა (იხ. 5/2-2001). გაზეთმა „ლიტერატურული საქართველო“ (15-25 იანვარი, 3 (3315), 2001, დაბეჭდა ინტერვიუ პროფ. გაგა შურღაიასთან, რომელიც მიეძღვნა ჟურნალის („Studi sull' Oriente Cristiano“) პირველი ნომრის გამოცემას, მომდევნო ნაკვეთებში დასაბეჭდი სტატიების მრავალფეროვან თემატიკას (ზოგიერთი წერილი არ გამოქვეყნებულა) და კონსტანტინესა და ანგელოზების აკადემიის დანიშნულება-მიზანდასახულებას.



2007 წლის 13-14 დეკემბერს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა მეცნიერის დაბადების 90-ე წლისთავს სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ვენეციის უნივერსიტეტის „კა“ ფოსკარის“ ნებართვით გამოქვეყნდა „არტანუჯის“ მიერ ცალკე წიგნად დაისტამბა ბატონ გაგა შურლაიას მიერ შედგენილი „ელენე მეტრეველი (1917-2003) ბიბლიოგრაფია“, რომელიც მასალების 300 ერთეულს მოიცავს. შესავალ წერილში აღნიშნულია — წინამდებარე წიგნი ქართული ნაკვეთია ელენე მეტრეველის ბიბლიოგრაფიისა, რომელსაც ქართულ და იტალიურ ენებზე გამოსაცემად ამზადებს ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტ „კა“ ფოსკარის“ ევრაზიულ კულტურათა კათედრა. ორი წლის შემდეგ ქართულ და იტალიურ ენებზე „ევრაზიატიკის“ სერიით, ევრაზიულ კულტურათა კათედრის რეკონსტრუქციის მე-80 ტომად გამოიცა „ელენე მეტრეველი (1917-2003) ბიბლიოგრაფია“, შემდგენელი გაგა შურლაია. *Eurasiatica. Quaderni del Dipartimento di Studi Eurasiatici 80. Università Ca' Foscari — Venezia. „Bibliografia di Elene Met'reveli (1917-2003)“ a cura di Gaga Shurgai. Edizioni Studium — Roma — 2009.*

წიგნი იწყება ვენეციის „კა“ ფოსკარის“ უნივერსიტეტის პროფესორის გაგა შურლაიას წინათქმით, რომელსაც მოსდევს ელენე მეტრეველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიმოხილვა ქართულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე. შემდეგ კი — ქართულ და იტალიურ ენებზე ბიბლიოგრაფიული და ანოტირებული მისი გამოკვლევები, სამეცნიერო-პოპულარული წერილები, აგრეთვე რეცენზიები, ელენე მეტრეველის რედაქციით გამოცემული შრომები და ლიტერატურა მეცნიერების შესახებ. თითოეულ მუხლში ერთმანეთს განსაკუთრებულია ქართული და იტალიური ნაწილები. ბიბლიოგრაფიული რეკვიზიტები პირველად მოტანილია იმ ენაზე, რომელზეც ნაშრომი გამოქვეყნდა, რომელსაც მოსდევს მათი თარგმანი იტალიურად. საენციკლოპედიო სტატიების და რეცენზიების გამოკლებით, ანოტირებულია ბიბლიოგრაფიაში შეტანილი ყველა მასალა. ქართულად პირველად არის აღწერილი ქალბატონი ელენე შურლაია უცხო ენებზე გამოქვეყნებული ზოგიერთი გამოკვლევა. წიგნს ერთვის რამდენიმე ფოტოილუსტრაცია და მეცნიერის შრომების აბზანური ნუსხა, ბოლოს კი — სახელთა საძიებელი.

„ბიბლიოგრაფიაზე მუშაობა ერთობ შრომატევადი აღმოჩნდა — აღნიშნავს შემდგენელი, — ეს ძირითადად განაპირობა იმან, რომ ნაშრომი მომზადდა და სტამბას გადაეცა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული მეცნიერის პირადი არქივის აღწერილობაზე მუშაობა, სისტემაში იყო მოსაყვანი საარქივო მასალები და მოსაძიებელი ზოგიერთი დოკუმენტი“.

ბიბლიოგრაფია მოიცავს 1947 წლიდან 2008 წლის თებერვლამდე დასტამბულ მასალებს, სულ 306 ერთეულია აღწერილი.

იტალიური სამეცნიერო წიგნები დიდ ინტერესს ავლენენ ქართული მეცნიერებისადმი. ქვეყნდება მათი შრომები, იბეჭდება მათადმი მიძღვნილი კრებულები. საკმარისია გავისხენოთ დ. უზნაძის და ალ. ფრანგიშვილის ფსიქოლოგიურ გამოკვლევათა თარგმანები, კონსტანტინე წერეთლის „Grammatica di assiro moderno“ (Napoli 1970), მისივე „Grammatica dell' aramairi“ (Torino 1995), ნინო ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნილი „Dalla forma allo spirito. Scritti in onore di Nina Kauchtschischwili“ (Milano 1989); „Semitica. Serta philologica Costantino Tsereteli dicata — სემიტოლოგიური ძიებანი კონსტანტინე წერეთლის პატივსაცემად (Torino 1993), შემდეგ კი ქალბატონი ელენესადმი მიძღვნილი ოთხი სპეციალური ნომერი „Miscellanea Met'reveli“ და „Bibliografia di Elene Met'reveli“.

„დიდი მადლიერების გრძობით აღვნიშნავ, — წერს შემდგენელი გაგა შურლაია, — რომ ნაშრომი იბეჭდება ვენეციის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კა“ ფოსკარის“ ევრაზიული კულტურების კათედრის გრიფითა და დაფინანსებით, საჩუქრად გადაეცემა საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების უმთავრეს ეროვნულ ბიბლიოთეკებს, ქართველოლოგიურ და საერთოდ, ქრისტიანული აღმოსავლეთის სამეცნიერო კვლევით და საუნივერსიტეტო ცენტრებს.

## „თუ იცნობდი ნიტა ტაბიძეს...“

ლიტერატურის მუზეუმმა უმასპინძლა ტიცინ და ნიტა ტაბიძეებისადმი მიძღვნილ საღამოს. პოეტის თავისუფალი ქართველ შემოქმედებთან ერთად მონაწილეობდნენ მოსკოვიდან ჩამობრძანებული სტუმრებიც: მწერალი და მთარგმნელი, საღამოს სულისჩამდგმელი ნატალია სოკოლოვსკაია, მოსკოვის კონსერვატორიის ვიოლონჩლისტი ნატალია გუტმანი, მოსკოვის კონსერვატორიის პიანისტი ირინა კანდინსკაია, მოსკოვის კონსერვატორიისა და ვენის უმაღლესი სკოლის პროფესორი ანა კანდინსკაია, ბორის პასტერნაკის მუზეუმის დირექტორი, მწერალი ირინა ერისანოვა. მათ საკუთარი შემოქმედებით გამოხატეს სიყვარული და პატივისცემა ეპოქის ბედთან გადაჯაჭვული ტრაგიკული ბედის მქონე პოეტისადმი.

„გვერგო პატივი და იღბალი, ყმანვილკაცობის ნაწილი ნიტა ტაბიძესთან ერთად გაგვეტარებინა, — ამყავს იტყვის მწერალი ლაშა თაბუკაშვილი და იქვე დასძენს, — თუ იცნობდი ნიტა ტაბიძეს, მიხვდებოდი, ვინ იყო ტიცინი“.

მსახიობმა მურმან ჯინორიამ, რომლისთვისაც ტიცინ ტაბიძე გამორჩეული პოეტია, საკუთარი რეპერტუარიდან წაიკითხა სამი ლექსი: „მამ გამარჯვება“, „კარმენსიტა“, „მეარღნები და პოეტები“ და ამით გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება საყვარელი პოეტისადმი.

ტიცინ ტაბიძის პოეზიიდან ლექსები წაიკითხა მსახიობმა ზაალ ჩიქოვაძემაც.

პოეტმა კოტე ყუბანეიშვილმა სიყვარულითა და სითბოთი გაიხსენა ნიტა ტაბიძესთან გატარებული სიჭაბუკის წლები და ტიცინისა და მისი ქალიშვილისადმი მიძღვნილი ლექსები გააცნო საზოგადოებას.

ტრაგიკული ეპოქისა და ამ ეპოქის ტრაგიკული ბედის მქონე პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ისაუბრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მარიამ ფილინამ.

„ქალბატონი ნიტა ხიბლავდა ყველას კეთილშობილებით. მუდამ პოეტ-სიმბოლისტებზე საუბრობდა, მისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო დარიალის ხეობიდან და გერგეთიდან ჩამოტანილი შქერის ყვავილები. ძვირფას და ლამაზ ხსოვნად დამიტოვა პოეტური მინიატურები, დაწერილი მშვენიერი ქართულით“, — ნიტა ტაბიძესთან ურთიერთობის ლამაზ წელს გაიხსენებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარინე ჯიქია.

ასევე უჩვენეს მოსკოვში, 1976 წელს, ტიცინ ტაბიძისადმი მიძღვნილი საღამოს კადრები, რომელშიც მონაწილეობდნენ ირაკლი აბაშიძე, პაველ ანტოკოლსკი, ნიკოლაი ტიხონოვი, ირაკლი ანდრონიკოვი, ბელა ახმაღულინა.

ტიცინ ტაბიძისადმი პატივისცემა საკუთარი შემოქმედებით გამოხატეს მომღერლებმა ეთერ კაკულიამ და სოფო გელოვანმა, მწერალმა ზაზა აბზიანიძემ და პოეტმა მზია ხეთაგურმა.

საღამო დასრულდა ნიტა ტაბიძისადმი მიძღვნილი თამარ ცაგარეიშვილის ფილმის კადრების ჩვენებით.

# მარტოკაცი ჭამაშია ც პრალიაო

სხვადასხვა ჯურის რეიტინგებით გატაცება მართლაც უსაზღვროა თანამედროვე მსოფლიოში. მათი ჩამოთვლა და განსჯა ძალზე შორს წავიყვანდა. დიახ, სხვადასხვა ჯურისა-ნი არიან და ამ სიმრავლეში ობოლ მარგალიტად გამოიყურება რეიტინგი მხედრული სიმამაცისა და ნიჭისა ანუ, მდაბიურად რომ ვთქვათ, ვინ უფრო მაგარია ომში, სამართლიანი ომი იქნება თუ უსამართლო, მსოფლიოს მრავალ ტომთაგან ყველაზე მეტად რომელს ეხერხება ბრძოლა და თავგანწირვა.

არ გაინტერესებთ, ვინ არის ამ რეიტინგის ავტორი? ახლავე მოგახსენებთ, ოლონდ უმოჩილესად გთხოვთ, რომ წავიკითხოთ მრისხანებისა და მიკერძობების გარეშე, წავიკითხოთ დაკვირვებით და ძალიან სუბიექტური მოსაზრება, ვინ იცის, ეგებ ობიექტურ სინამდვილედ მოგვეჩვენოს.

როგორც გადმოგვცემენ, მეორე მსოფლიო ომის პერიოდებზე მსჯელობისას (ომი ახალი დამთავრებული იყო) გენერალისიმუს სტალინს უთქვამს: ისტორია მეტყველებს, რომ ყველაზე მედგარი მეომარი არის რუსი, მეორე ადგილზეა გერმანელები, მესამეზე კი... (ჩაფიქრდა და მცირე პაუზის შემდეგ დასძინა) პოლონელები, პოლონელი მეომრები, დიახ პოლონელებიო.

თავად პოლონელებს, ცხადია, არ ეჭაშნიკებათ დიქტატორისეული ქება, ვინაიდან, ალბათ, არც კი გაუგონიათ ბრძნული ქართული ანდაზა: შენ ხილი იხილე, მებაღეს რას კითხულობო...

მაგრამ თავისუფლებისმოყვარე პოლონელები დიდად ამაცობენ იმით, რომ ისინი ერთგულად, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ემსახურებოდნენ ლამის ღვთაებად შერაცხულ ნაპოლეონს და, რაც მთავარია, მათ წარსულს სხვა მრავალნი საქმენი საგმირონია ამშვენებს. განსაკუთრებით კი აელვარდა პოლონელთა მხედრული დიდება მეორე მსოფლიო ომის წლებში, როდესაც ყველაზე ხანგრძლივად მოუწიათ ბრძოლა, უიღბლოდ თუ იღბლიანად, 1939 წლის პირველი სექტემბრიდან 1945 წლის ცხრა მაისამდე. სად არ წააწყდებოდნენ პოლონელ მეომრებს — ჩრდილოეთის ყინულებში თუ სამხრეთის სიმზურვალეში. სასონარკვეთილნი თავდადებით იცავდნენ ვარშავას 1939 წლის სექტემბერშივე; 1940 წელს იბრძოდნენ ნარვიკთან, ნორვეგიაში; 1941-42 წლებში, ინგლისისა და ავსტრალიის ჯარებთან ერთად, იცავდნენ იტალიელთა და გერმანელთა მიერ ალყაშემორტყმულ ტობრუკს ლიბიაში; 1944-45 წლებში ჰიტლერელთა უღლიდან ათავისუფლებდნენ საფრანგეთს, ბელგიასა და პოლანდიას. და იმავე ხანებში, ნითელი არმიის მხარდამხარ, აღმოსავლეთიდან უტევდნენ გერმანელ ოკუპანტებს. ყველა გზა კი მიდიოდა ვარშავისკენ.

პოლონელები თავს ინონებენ იმითაც, რომ ისინი 1940 წელს საფრანგეთში უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ სხვათა სამშობლოსათვის. იბრძოდნენ უფრო ხანგრძლივად, ვიდრე თავად ფრანგები — თავისი სამშობლოსათვის (ტყუილად როდი ამბობდა ბორის პასტერნაკი, ეროვნული ბუნების გამორჩეული ნიშნები პოლონელებსა და ქართველებს ანათესავებს).

ეგებ გახსოვთ დიდებული პოლონელი რეჟისორის ანჯეი ვიდას ბრწყინვალე ფილმი „ფერფლი და ალმასი“ — პოლონელები როგორ ზეიმობენ 9 მაისს, აჟრიამულეზულ რესტორანში ახალგაზრდა მომღერალი ქალი ჰანკა ლევიცკა ესტრადაზე ადის და შთაგონებით, სულისშემძვრელად მღერის იმდროინდელი პოლონეთის ყველაზე პოპულარულ სიმღერას, რომელსაც ჰქვია „მონტე-კასინო“ და გამარჯვების სიხარულს ერწყმის ცრემლი, რამეთუ მონტე-კასინოს ყაყაჩოები ნითლად შეუღლებავს პოლონურ სისხლს.

მკაცრი სტატისტიკა გვაუწყებს, რომ 1002 (ათას ორი) პოლონელი მეომრის ნეშტი განისვენებს მონტე-კასინოში განლაგებულ სამხედრო სასაფლაოზე.

ეს რიგითი ტოპონიმი იტალიის გეოგრაფიულ რუკაზე გადაქცეულა პოლონელთა გმირობის ეჭვმიუტანელ სიმბოლოდ და სამარადისოდ აღბეჭდილა პოლონელი ხალხის მეხსიერებაში.

მონტე-კასინო მთის ქედია, ნეაპოლიდან რომს მიმავალ გზაზე რომ აღმართულა, და ზედ მდებარეობს ძველისძველი მონასტერი. 1944 წლის იანვრიდან იმავე წლის მაისამდე დასავლეთის მოკავშირეთა ჯარები ცდილობდნენ გაერღვიათ გერმანელთა თავდაცვის ხაზი და გზა გაეხსნათ რომისკენ. სამი შეტევა უშედეგოდ დამთავრდა და აი, მეოთხე, გადამწყვეტ ბრძოლაში თავი გამოიჩინა პოლონელთა მე-2 კორპუსმა, რომელსაც სარდლობდა გენერალი ვლადისლავ ანდერსი. კორპუსის შემადგენლობაში ირიცხებოდა 46 ათასი მეომარი. 18 მაისს პოლონელები დაეუფლნენ მთის ქედს და მწვერვალს, სადაც მდებარეობდა მონასტერი. აიღეს ის სიმაგრე, აუღლებელი რომ რჩებოდა თითქმის ხუთი თვის განმავლობაში. აჯობეს ინგლისელებს, ფრანგებს, ამერიკელებს, კანადელებს, ავსტრალიელებს, ახალზელანდიელებს, ინდოელებს...

სახელმძღვანელო პოლონელ გენერალს, ეტყობა, წაკითხული ჰქონდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება, სადაც დამონმებულია ალექსანდრე მაკედონელის ნათქვამი: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროსს“ (უმიროს — ასე მოიხსენიებდნენ ქართულ ენაზე გენიალური „ილიადისა“ და „ოდისეის“ ავტორს). და ამიტომაც იყო, რომ ვლადისლავ ანდერსმა მონტე-კასინოსთან გადამწყვეტი ბრძოლების წინ თავის კორპუსში წარგზავნა იმხანად ყველაზე გამოჩენილი პოლონელი ჟურნალისტი მელქიორ ვანკოვიჩი და ყველაფერი იღონა, ბრძოლების დროსაც და შემდგომშიც, რათა მისთვის მუშაობა გაეიოლებინა.

თანამედროვე პოლონელი მწერალი ზბიგნევ ზალუსკი შენიშნავს, დღეს ვიღას ახსოვს გენერალი ანდერსი, ხოლო ვანკოვიჩის ნიგნი „მონტე-კასინო“ პოლონელთა ყველაზე სახელგანთქმული და სისხლისმღვრელი ბრძოლის უკვდავ ძეგლს წარმოადგენსო.

დასახელებულ ნაშრომში სრულიად მოულოდნელად გვხვდება ერთი ფრიად კოლორიტული პასაჟი, რომელმაც შესაძლოა ქართველ მკითხველსაც აღუძრას ინტერესი. აი, ყური დაუგვდოთ პოლონელთა მე-2 კორპუსის ორი ჯარისკაცის დიალოგს:

- რა არის აუცილებელი მეორე მსოფლიო ომის მოსაგებად?
- შეჭრა შუაგულ ევროპაში.
- რა არის აუცილებელი, რომ შეჭრა გახდეს შესაძლებელი?
- გაიხსნას გზა ჩრდილოეთ იტალიისკენ, საიდანაც მოხერხდება ეფექტური დაბომბვა სამხედრო-სამრეწველო ობიექტებისა ავსტრიაში. მაშასადამე, უსათუოდ უნდა დავიკავოთ მონტე-კასინოს მონასტერი.
- რა უნდა გაკეთებულიყო მონასტრის ასაღებად?
- უვნებელყოფა სიმაღლე 593-ისა.
- ვინ აიღო სიმაღლე 593?
- მეოთხე ბატალიონმა.
- ვინ მეთაურობდა ამ ბატალიონს პოლკოვნიკ ფანსლაუს შემდეგ?

- მაიორი მელიქ-სომხიანცი.
- მაშასადამე, ვინ მოიგო მეორე მსოფლიო ომი?
- მე მგონი, ყველაფერი ცხადია“.

ასე რომ, მეორე მსოფლიო ომი არც სტალინს მოუგია, არც ჩერჩილს და არც რუზველტს. მეორე მსოფლიო ომი მაიორმა მელიქ-სომხიანცმა მოიგო!

ზბიგნევ ზალუსკი შენიშნავს, რომ მელიქ-სომხიანცი იყო გაპოლონებული სომეხი ქალაქ ლგოვიდან.

ზალუსკიმ არ იცის, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ჩვენთვის ხომ ორჯერ ორიგით არის, რომ ეთნონიმი „სომეხი“ (და შესაბამისად — „სომხეთი“, ნაცვლად ჰაიასტან-არმენიისა) მარტო-



დენ ქართული ენის ლექსიკურ სალაროში მოიპოვება, არც სომხურსა და არც სხვა რომელიმე ენაში არა ჭაჭანებს.

ამდენად, საფიქრებელია, რომ მეორე მსოფლიო ომის მომგები მაიორი წარმომავლობით საქართველოდან უნდა იყოს.

ზემოთქმულ მასალას, გამოქვეყნებულს ჟურნალ „ომეგას“ ფურცლებზე (2000, №2), დასასრულ ერთვოდა მოკრძალებული თხოვნა: „ეგებ ვინმე გამოგვეხმაროს და გაარკვიოს აღძრული საკითხი. საინტერესოა, არსებობს თუ არა დღევანდელ თბილისში გვარი მელიქ-სომხიანცი“.

გამოხმაურება (უფრო ზუსტად — გამოხმაურებანი) იმაზე გაცილებით ვრცელი და ფრიად მჭევრმეტყველი, შეიძლება ითქვას, ამალელებელიც კი, გამოდგა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ტყუილად როდი ბრძანებს ბრძნული ქართული ანდაზა: მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო.

ზემოხსენებული თხოვნა შესაძლოა დარჩენილიყო, ვითარცა ხმა მღალადებლისა უდაბნოს შინა, მაგრამ ღვთის წყალობით, ქართული მწერლობის ასპარეზი, მიუხედავად დრო-ჟამის უკუღმართობისა, უნაყოფო უდაბნოს როდი მოგვაგონებს, არამედ — თვალწარმტაც არაგვის ჭალებს, რომელთაც მგზნებარე ხოტბა შეასხა ნიკოლოზ ბარათაშვილმა („ჰოი ნაპირნო, არაგვის პირნო, მობიბინენო, შვებით მომზირნო“).

და აი, იმავე ჟურნალ „ომეგას“ ფურცლებზე (2000, №4) რუბრიკით „გამოხმაურება“ დაიბეჭდა თამაზ ჩხენკელის წერილი „ქართველთა ერთგული სომეხი“, სადაც ვკითხულობთ შემდეგს:

„1921 წლის 25 თებერვლის ღამეა. ტაბახმელაზე საშინელი ქარი ქრის. ხვეტავს და პირში გვაყრის ხორხოშელას და თოვლს. თოვლით ავსებს სანგრებსა და უსწორმასწორობას. თხელ ფარაჯებში გახვეულნი, გაყინულნი, გულმოდგინედ ვდარაჯობთ კუთვნილ სივრცეს... ამ დროს ხაზით გადმოგვცეს ოცეულის უფროსის ბრძანება: ნახვალთ სკოლის საუფროსოში და იქ მიიღებთ შემდეგ ბრძანებას პოლკოვნიკ ჩხეიძისგან... გარეთ გამაყრუებელი ქარი ისევ ბობოქრობს. მივდივართ ღრმა თოვლში, მოძრაობა გვამძიმებს. თუ ყურში არ ჩაეძახებთ ერთმანეთს, არაფერი გვესმის. ახლა მთავარია გზა არ აგვებნეს და მტრის ბანაკში არ მოვხვდეთ. სასროლად გამზადებული თოვები ხელში გვიჭირავს. ოთხნი ვართ. არც ერთი 21 წელს არა ვართ გადაცილებული, ტანითაც სუსტი აგებულების ვართ. ყველაზე ჯმუხი აგებულებისაა სომხიანცი, ქართველთა ერთგული და გულადი სომეხი“.

თ. ჩხენკელის სიტყვით, ეს ციტატა ამოღებულია 49-გვერდიანი ნიგნაკიდან „იუნკრები“ — გამოცემულია თბილისში 1990 წელს (უცვლელად გადმობეჭდილია ჟურნალიდან „ივერია“, 32, პარიზი, 1988). ნიგნაკის ავტორები არიან ყოფილი იუნკრები ნიკოლოზ მათიკაშვილი და მიხეილ კვალიაშვილი.

ყოველგვარი დაეჭვების გასაქარწყლებლად და სრული იდენტიფიკაციისათვის თ. ჩხენკელი იმონებს მოგონების ავტორთა მონაცემებს, რომ „პოლონეთში სამხედრო სამსახურს გადიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 87 მოქალაქე. მათ შორის 6 გენერალი, 35 უფროსი ოფიცერი და 46 ყოფილი ქართველი იუნკერი“.

ამ ნიგნაკში 46-ვე იუნკერი ყოფილა დასახლებული და მე-10 ნომრით წარმოდგენილია „სომხიანცი მელიქი: ტომით სომეხი, საქართველოს ერთგული. გერმანელებთან ბრძოლებში მონაწილეობდა პოლონეთის ტერიტორიაზე და იტალიაში — ინგლისის მხრიდან. ცხოვრობს ინგლისში“.

თ. ჩხენკელი სავსებით სამართლიანად ასკვნის, რომ მონტე-კასინოს ბრძოლებში სახელმძღვანელო მელიქ-სომხიანცი ის 21 წლის ბიჭია, რომელიც ბოლშევიკთა წინააღმდეგ იბრძოდა 1921 წელს ტაბახმელაში.

ერთ გამოხმაურებას მალე მეორეც მოჰყვა.

კვლავ „ომეგას“ ფურცლებზე (2001, №4) რუბრიკით „ნათელი სახეები“ გამოქვეყნდა რუსუდან დაუშვილის წერილი „სომხიანცი — ქართველთა ერთგული სომეხი“.

ქართული ემიგრაციის ცნობილ მკვლევარს როგორ გამოეპარებოდა, რომ ეს ჩვენი მელიქ-სომხიანცი სწავლობდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში და მისი თანაკლასელის, ყოფილი იუნკრის — ვანო ბაქრაძის მოგონება დაიბეჭდა ქართველი ემიგრანტების მოგონებათა შორის ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორის იოსებ ოცხელის შესახებ (ჟურნალი „კავკასიონი“, №11, პარიზი — 1967).

რ. დაუშვილი იმონებს ერთ ფრაგმენტს ვანო ბაქრაძის მოგონებიდან:

„ჩემთან სწავლობდა ერთი სომეხი, გვარად სომხიანცი. არ გავიღოდა თითქმის არც ერთი დღე, რომ ერთმანეთს არ დავტაკებოდით! უფრო ხშირად დამწყები მე ვიყავი. თუმცა ის ჩემზე უფრო ღონიერი იყო და უფრო მეტი მე მხვდებოდა ხოლმე, ამას მაინც არ ვერიდებოდი; პირიქით: თავი გმირად მიმაჩნდა! ვიქნებოდი თორმეტი წლისა“.

ერთ მშვენიერ დღეს ორივე — ბაქრაძეც და სომხიანციც — თავისთან დაუბარებია იოსებ ოცხელს.

ვ. ბაქრაძე განაგრძობს: „ბ-ნი იოსები მთელი საათი გვესაუბრა. გვითხრა: თუ რა დიდი ერი ყოფილა სომხეთი, მათი მწერლები და დიდი კულტურა! როგორ ესმოდათ ეს საკითხი ჩვენი ქვეყნის დიდ მოჭირნახულეთ ბაგრატოვანებს და მათში უფრო საქართველოს აღმაშენებელ დავითს და თამარ მეფეს, ურთიერთის სიძულვილს ისტორიული გამართლება არა აქვს! რომ ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო! ეს სიძულვილი ჩვენი საერთო მტრის მახვილია ამ ორი ერის გულში... და სხვა ბევრი რამ გვითხრა ბ-ნმა იოსებმა და დაასკვნა: ბოლოს, მე არა მაქვს იმედი, რომ ამის შემდეგ, დღესვე, ბაქრაძე და სომხიანცი გადაეხვევიან ერთმანეთს, მაგრამ ამას გთხოვთ და ვიმედოვნებ, რომ ჩხუბს მოიშლით, ვინაიდან მუშტი-კრივი ჭკუით სუსტებს სჩვევიათ! ჯობს ჭკუით აჯობოთ ერთმანეთს, ვიდრე მუშტით!“

იოსებ ოცხელის გაკვეთილს ამაოდ არ ჩაუვლია. გამოადგათ და მერე როგორ გამოადგათ!

რ. დაუშვილი აღნიშნავს, რომ 1921 წლის თებერვალში ბაქრაძე და სომხიანცი, იუნკერთა სასწაულებლის კურსანტები, სხვა იუნკრებთან ერთად ჩადგნენ თბილისის დამცველთა რიგებში.

ამას მოსდევს კიდევ ერთი ვრცელი ციტატა ვანო ბაქრაძის მოგონებიდან:

„დადგა ჩვენი ქვეყნის ბედის გადამწყვეტი ომი! 1921 წლის 24 თებერვალი! სასტიკი ბრძოლებია, ხშირად ხელჩართული! ჩავვარდნა გასაჭირში. ათ ნაბიჯზე მტრის ორი ჯარისკაცი, ნითელარმიელი ხიშტებით ჩემსკენ მოიწევს... იქნებ ნავხდებოდა და მათი მსხვერპლი გავხდებოდი, რომ უკნიდან რიხიანი ხმა არ გამეგონა: ვაი დედასა, მაგრად, ვანო! ჰვა მაგათ, მაგათი... აქ ვარ!.. და სწრაფად გვერდში ამომიდგა. ვინ?! სომხიანცი! დიას, სომხიანცი! სითბო ვიგრძენ დაღლილ ძარღვებში. შიშის ნერწყვები გადავყლაპე და კიდევ უფრო მაგრად ჩაეჭიდე ხელი თოფს. ქართველმა და სომეხმა ერთად ადვილად ვძლიეთ მტერი!.. მტერმა ზურგი გვიჩვენა. ჩამოვარდა დროებითი სინყნარე... მე და სომხიანცი ერთად ვართ!.. ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს... და აქ ბრძოლის ველზე ორივე შევასრულეთ დიდი აღმზრდელის, იოსებ ოცხელის სურვილი და იმედი: მეგობრულად ჩვენ ერთმანეთს გადავხვით...“

რუსუდან დაუშვილი წერს, რომ საქართველოდან ევროპაში გახიზნული ბაქრაძეც და სომხიანციც პოლონეთში დასახლებულან. ორივე ვაჟკაცურად იბრძოდა პოლონეთის არმიის გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. პოლონეთის ოკუპაციის შემდეგ მათი გზები გაყრია. ბაქრაძე გერმანელთა მიერ ჩამოყალიბებულ ქართულ სამხედრო ნაწილში („თამარ მეორე“) ჩარიცხულა, ომის შემდეგ კი საფრანგეთში დასახლდა. ხოლო მელიქ-სომხიანცის თავგადასავალი ზემოთ ითქვა.

აი ასე, საერთო ძალებით შეიქმნა ერთობ შთამბეჭდავი პორტრეტი მელიქ-სომხიანცისა, რომელსაც თურმე მოუგია მეორე მსოფლიო ომი!